



N30 (529) 29/VII-4/VIII-2010 ფასი 1 ლარი

ქართული პრემიის საგანგებო

ტომი №22 ნიკო ლომური

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შეძებათ ტომი
გურამ ფანჯიკია



**სხალი ზაფხული,
საკურორტო ფლირტი
და პარსკვლავური
თავგადასავლები**

**მოდური ცალ-ცალი
და სილიკონგარეული
სასურაო კოსტიუმებია**

**„მთავარია, მამაკაცი
კუნძი არ იყოს“**

**შორანა:
„თუ მიყვარს,
ბოლომდე
მიყვარს“**



**შეთითხენილი ბრკლდავა
და სინეზი უკანონოდ
გაბარებული შვიდი თვე**

**რუსების მიერ
დასჯილი სვანები**



**გომიჩას
ქალიშვილი
ლას-ვეგასის
დაწყობას
აპირებს**

**უსნაური გვარები, სილაში ჩაფლული ეკლესია
და ზაპოროჟეცის მხიარული თავგადასავალი**

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

დაინტერესდით ზვიბანებით და მათი მონათესავე თავზებებით!

როგორ მკვანები ბინადრობენ ზვიბანები?

იხილეთ რა არის ვოკაბონები?

რამდენ კბილს იხვალის ზვიბანი სისოცხლაში?

გაიკეთე უფრო მეტი !

26 ივლისიდან – 2 აგვისტომდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამგანწიმილაბიანი (3D) გამოსახულებები

„შეიხიეთ კვირის პალიტრასთან“ ერთად


„კვირის პალიტრას“ ხელმოწერითა საყურადღებოდ!
წიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „**ელვა.ჯი**“-ს
კურიერი სერვის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ
ტელ: 38-26-73/38-26-74



*** - მალე**



ტომი №6



სერია „ეს სამყაროა“-ს უკვე გამოსული ტომები გაყიდვაშია წიგნის მალაზიებში!

თან იქონიეთ ფენისტილი გალი, ლაიზილ უნო, ლინექსი და დაისვენეთ პრობლემების გარეშე

ფენისტილი გალი
დიჰითინფანის მალვატი



- მწერის ნაკბენი
- მზის ალერგია
- მზით გამონვეული დამწვრობა
- გამონაყარი კანზე, ქავილი




Фенистил гель

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ლინექსი

Bifidobacterium infantis, Lactobacillus acidophilus, Enterococcus faecium



ლინექსი გამოიყენება მოგზაურთა დიარეის როგორც სამკურნალოდ, ასევე პროფილაქტიკის მიზნით

მოგზაურთა დიარეის პროფილაქტიკა:
ლინექსი ასაკობრივი დოზირებით მოგზაურობამდე 3 დღით ადრე და მოგზაურობის პერიოდში მოგზაურთა დიარეის მკურნალობა:
ლინექსი ასაკობრივი დოზირებით 2-3 კვირის განმავლობაში

lek
a sandoz company

ტარბინაფინი

ლაიზილ უნო

1 წასმა

ზღვაზე ან აუზზე გადაწყვიტეთ წასვლა?

ბუსრთ დაისვით ბარფი სოკოვანი ინფექციისგან?



ლაიზილ უნო

- მხოლოდ 1 წასმა და ბარფი დასულია სოკოვანი ინფექციისგან 3 თვის განმავლობაში

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია



ქართული პრესის საგანგებო

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ტომი №22
ნიკო ლომოური




ნიკო ლომოური
წინაპართა ანტილონი

22


ბურაბ ფანჯიკია



კონსტანტინე გამსახურდია
ტომი I



კონსტანტინე გამსახურდია
ტომი II




წიგნის ფასი **3 ლარი!**

29 ივლისიდან - 5 აგვისტომდე!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

- | | |
|-----------------------|------------------------------|
| №1 ბურაბ დონაშვილი | №12 ბრიგოლ აბაშიძე (წიგნი-1) |
| №2 მიხეილ ჯავახიშვილი | №13 ბრიგოლ აბაშიძე (წიგნი-2) |
| №3 ნოდარ დუმბაძე | №14 არჩილ სულაკაური |
| №4 ილია ჭავჭავაძე | №15 ნიკო ლორთქიფანიძე |
| №5 ბურაბ რეაუნიშვილი | №16 გოფარძი ჩოხელი |
| №6 ვაჟა-ფშაველა | №17 ლევან გოთუა |
| №7 რეზო ჭიჭიშვილი | №18 აპა მორჩილაძე |
| №8 აბაკი ნვრთელი | №19 ვასილ ბარნოვი |
| №9 ბურაბ გეგეშიძე | №20 თამაზ ბიბილაძე |
| №10 ღვთის კლდიაშვილი | №21 რეზა ინანიშვილი |
| №11 ოტია იოსელიანი | |



ნამდვილი შავი შოკოლადი "კორონა"

ის ვიცი, ჩვენ შოკოლადის შესახებ? ჩვენი გავაყვით შოკოლადის აჩვენა, ხოცა ჩვენს წინაშე თხოვრებზე დევს ჩამდინებე ბიენდი? ჩვენთვის ცნობილია, ჩვენ შოკოლადს შეუძლია შიშობისუნაჩინაობის გახედა, განწყობის ამაღლება და რიგანობის ენეგითი ავსება. ხომ ძალიან სასიამოვნოა მოკბორა ნაკები, დახეჭო თვლები და იგინო, ჩვენი დნება შოკოლადი ენაზე. ასეთია შოკოლადი "კორონა", საქართველოში ეთი-ეთი ყველაზე პოპულარული საფაჭო ნიშანი. მას მომხმარებელი ენობა და ეს ნიშნობა ეხმობს ახის გამოცდილი. შოკოლადი "კორონა" ახ შეიძლება ახ გამხდარიყო პოპულარული, მისი ნაჩინება ხომ უკვე მის იუვეტუტაში დევს – ენდოტეხების ცოდნისა და გამოცდილების წყალობით "კორონა"ში მიღწეულია შოკოლადის ყველაზე მნიშვნელოვანი რიგანოტეხიკუქი მასსათობების რკინადელი შეხამება: ახმადი, დეგი, გემო, დნობა, საბოლოო გემო. "კორონა"-ს გამოყვითილი, დასამხსოვრებელი გემო აქვს. აი უკვე 15 წელიწადი "კორონა" მზადდება ექანინაში, ექოსტანეის შოკოლადის ეფიკიკაში, ჩემილიც 1974 წლიდან ნაჩინადგენს შოკოლადის ნაჩინების ეფაგმანს პოსტსაბქოთს ექიკოჩინაზე, ხოლო 1994 წლიდან შედის ექანსნაციონალური კოჩინაციის Kraft Foods-ის შემადგენლობაში.

შოკოლადი "კორონა"-ს ხახისბობივი თვისებები


- ეფიკიკას, სადაც იბადება "კორონა", გააჩნია შოკოლადის ნაჩინების სხელი ცოცი: დანეებელი ექაქოს მახეცების დამე-შავებით და დასხელებელი მზა პილოტეის შეფუთვით, ნაჩინების სხელი ცოცის ახსებობა ექოსტანეის შოკოლადის ექ-ჩინის სპეცილიტეებს აძლევს საშუალებას აქონეჩილონ პილოტეის ხახისბი და ესაფიხობება ყოველ ექაპზე, ჩაც იძლევა პილოტეის ხახისბის ემადლეის სტანდატეების გაჩინას. შოკოლადის ექიკიკი ექასიკი სკოლის ეანონმდებლებს შეე-ცახიში, ბეღიკაში, გეჩინინასა და საფიხნეიში ზესეც ასეთი სტანდატეები აქვთ დანეებელი, ჩაც მომხმარებელს პილოტეის ეცედილი მალაი ხახისბის გაჩინას აძლევს.

- "კორონა"-ს დამხადების ექოს გამოყენება ემადლეის ეონციის ექაქოს მახეცების ნაჩევი, ჩემილიდანაც ეშუალო ეფიკიკაში იჩეება ექაქოს ცინი.

- "კორონა"-ს შემადგენლობაში შედის მალაი ხახისბის ნაკუხელი და ექოლოგეიკი იჩედიენეცები, მამინ ჩოცა მზადი მნაჩინობელი ამატებს თვის შოკოლადში სოოს და სხვა ცოლოვან პილოტეებს. მათი ახსებობა შოკოლადში შეიძლება ამოცნოთ შოკოლადის ფილის ზედპიხის ან შოკოლადის ეანდეის ეფიკო ლა და მქეტი დეგიით ასეთი შოკოლადი ახ დნება და ენეება ებილებს.

ჩვენი ენდა იქოს ნამდვილი შავი შოკოლადი

- მალაი ექასის შოკოლადი შესახედავად ენდა იქოს ეთოგავიკანი დეგის, გლევი და პიკა, პეიხის ბეშეეების გაჩეშე.
- ნამდვილი შოკოლადი ეყება მშხალი ექაცენით და ახავითი შემთხევეში ახ ინელება.
- მოკეხვის ადგილზე მკვეთხად გამოხატული სიმქეტი ენდა იქოს, მამინ ჩემილიც თვითონ შოკოლადის ფილას ენდა პიონდეს გლევი და პიკა ზე-დაპიხი.
- შოკოლადის პეკახ ნაკებს თუ დაიღებთ ენაზე, ის მომენტალურად დადნება, ვინაიდან ექაქოს ცინი დნება უკვე 30-36°C, ჩაც ახ ხდება იმ შემთხევეში, თუ ექაქოს ცინი ჩანაცვლებულია საქონდიკო ცინიებით.
- შოკოლად "კორონა"-ს აქვს ეთოგავიკანი ექეკეკა, პიში გამოყვითილი ცაღეული ნანიღაების გაჩეშე. ის ანიჭებს ზეოვანი, პიხის ექეს მომდენი მასის სასიამოვნო შეგინებას ექეტი საბოლოო გემოთი.



„კვირის პალიტრის“ კოლექცია „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედეგები და ისტორიები
წიგნი X

ს ე ბ ა ნ ი



მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლაში!



I, II, III, IV, V, VI, VII, VIII და IX ტომი.
წიგნის პალაზიკაში გაიღვაპა!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შექენის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერვის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ



ქვეყანა



„ათეგანობას თითქმის ყოველთვის წვიმს და ვიცოდით, გდინარა „გადარეული“ იქნებოდა...“

„მერე კი მითხრეს, რაც მოხდა. მთელი გზა ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა ჩემი ძმისთვის?! ძლივს გვალირსა და ოჯახი შექმნა...“

7

სახე



ვის მეზობლავს „უნთავდა“ გულავს გიგი დედალამაზიანი

„მე ხომ რომელიმე კომპანიის თანამშრომელი არა ვარ, — მეგობრებთან ერთად ვმუშაობ, მათთან ერთად ვისვენებ.“

18

ცხოვრება

ლუი არმსტრონგი — ჯაზთან და საუკუნესთან ერთად დაბადებული



80-იან წლებში ვილაცამ ქალაქის არქივში მისი დაბადების მოწმობა „აღმოაჩინა“, სადაც 1901 წლის 4 აგვისტო ეწერა. მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ეს მისი ცხოვრების „შავი ლაქის“ — დეზერტირობის ჩამოსარეცხად გაკეთდა. თვითონ თავის დაბადების დღედ, 1900 წლის (საუკუნის დასაწყისი) 4 ივლისი (ამერიკის დამოუკიდებლობის დღე) „აირჩია“

28

- **მინიატიურები** 5
ქინ-ძა-ძას (ქინ... ძე... ბი-ს) კვირა
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **ტრაგედია** 10
- **საზრდო** 13
- **სამართალი** 16
- **საზომი** 18
- **ფსიქოლოგია** 20
ვის მეზობლავს „უნთავდა“ გულავს გიგი დედალამაზიანი
- **ავსტრალია** 22
„მაიტა ნასოსის“ ლამაზმანი „მის მსოფლიო თასზე“ საქართველოს სახელით წარდგება
- **კარიერა** 24
27 წლის ასაკში დაწყებული ჟურნალისტური გზა და ახალგაზრდა გეოლოგის აღმოჩენა
- **მოდელი** 26
სამზადისი ლას-ვეგასის კონკურსისთვის და მილანური კონტრაქტის პერსპექტივა
- **პარსკვლავები** 27
- **კრიმინალი** 28
შეთითხნილი ბრალდება და ციხეში უკანონოდ გატარებული 7 თვე
- **სიბუაშია** 31
- **სადაურსა სად ნაიყვან** 33
- **დრონი** 36
ლუი არმსტრონგი
- **კოგი** 38
საიდუმლო ჰობი და მოპარვის შიშით გადამალული ნახატები
- **მოდა** 40
პრაქტიკული რჩევები საცურაო კოსტიუმების შერჩევისას
- **ისტორიის ლაბირინთები** 42
1875-1876 წლების სვანეთის აჯანყება

გზაგანილები

სოლიანი შეყვარებულისა და გაპარული, „კრუზოი“ და გაჭირვებული მოგზაუგის ამბავი



„ერთ-ერთ ქვეყანაში უბედნიერესი წყვილი ცხოვრობდა. ბედნიერებისთვის არც ფული აკლდათ და ბევრი შვილიც ჰყავდათ. თუმცა, გავიდა დრო და ქალმა მეუღლეს განქორწინება მოსთხოვა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ როცა ქალი ნიგნის კითხვას დაიწყებდა, მეუღლე გადააფურცვლინებდა და მის დასასრულს აკითხებდა. შემდეგ კი ქალი ნიგნის კითხვას გულს ვედარ უდებდა. P.S. ეს ამბავი ნამდვილია. გველამუა.“

74

■ ბაკარი	45
სლავთა შორის ქრისტიანობა მასობრივად პირველად სერბებმა მიიღეს	
■ ეს საყვარო	46
■ ავტო	47
■ ექსტრემალური	48
ქართული ექსტრემალური თამაშები და ექსტრემალური ქალები	
■ საკითხავი ქალებისათვის	50
■ ჯანმრთელობა	52
■ პროფესია	54
გადარეული ექსტრემალეები, მაშველების თავსატეხი და ჩაფუთილი დამსვენებლები	
■ წარმატება	56
კონსულებისთვის გამართული კონცერტი და პატარა პიანისტით აღფრთოვანებული პროფესორები	
■ ფსევები	57
უცნაური გვარები, სილაში ჩაფლული ეკლესია და ზაპოროჟეცის მხიარული თავგადასავალი	
■ თინიჯარული პონტები	59
ვირტუალური სამყაროს ნიღბოსნები და ჩეთაობით შექმნილი ოჯახი	
■ წვთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ შანტაგისტიკური ღებეჭივი	64
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)	
■ მინირომანი	68
მირაჟი	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (დასასრული)	
■ გზავნილები	74
ცოლიანი შეყვარებულებისა და გაპარული, „კრუტოი“ და გაჭირვებული მშობლების ამბები	
■ ყველა ერთისათვის	78
■ მობილი-ზაყნა	80
■ მოსაიკა	86
■ ფანტაზიანი	88
■ მუნდიალი	89
■ შეჩარბული ნაღი	91
■ აკუდიტი	92
ნოდკო ტატიშვილი ლონდონში წავიდა	
■ გასართობი	94
■ ასრტოლოგია	96
■ სქანვორდი	97
■ საფირმო კროსვორდი	98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვლით
 გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი

მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. #49**
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

საყვარო 1875-1876 წლების სვანეთის აჯანყება



ამასთან, ცარიზმის მესვეურებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: 13 შეფიცულის ვერაგულად დატყვევების გამო, სვანეთში მღელვარება უფრო გაძლიერდა და იქ მინისმზომელთა გაგზავნაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

38

აღაიანი უცნაური გვარები, სილაში ჩაფლული ეკლესია და ზაპოროჟეცის მხიარული თავგადასავალი



რა საერთო შეიძლება ჰქონდეს სიტყვებს — „სანზური“, „ზაპოროჟეცი“, „ვარადა“? ალბათ გაგიკვირდებთ, მაგრამ ეს უბრალოდ სიტყვები კი არა, გვარებია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სურვილი გამიჩნდა, ამ გვარების წარმომადგენლები მომეძებნა.

54

ბიბლუსი ინტერვიუ ნიცივალბუღისთან



— ეჰ, — ხელი დანანებით ჩაიქნია დარაჯმა, — კაცი ნუ მოკვდები, თორემ... დასაფლავების შემდეგ აქ მაგ უბედურის ერთი ნათესავიც კი აღარ გამოჩენილა. — წარმოუდგენელია...
 — რატომ ვითომ? იცით, აქ რამდენი მიტოვებული საფლავია?
 — ჰო, მაგრამ არეშიძის საფლავი ჩინებულადაა მოვლილი. ეტყობა, რომ ვილაც რეგულარულად დადის და აწესრიგებს.

62

ტაიმ-აუზი ნოდკო ტატიშვილი ლონდონში წავიდა



„ჩემი დაც ლონდონში სწავლობს. პროფესიით ფილოლოგია, გალაკტიონთან მან „დამაახლოვა“. მთხოვა, რომ ოთარ ჭილაძის ნიგნები წავულო, ამ ავტორზე გიჟდებო. თხოვნას აუცილებლად შევუსრულებ“...

86

ქინ-და-დას (ქინ...ძე...ნი-ს) უვირა...



შესავლის ნაცვლად ვინც არ იცის, მის გასაგონად ვიტყვი: „ქინ-და-და“ არის ქართული წარმოშობის რუსი რეჟისორის, გიორგი დანელიას ერთ-ერთი კომედიური ფილმის სათაური და, აგრეთვე, ფრაზა ამავე ფილმიდან — გამოგონილ, უცხოპლანეტელთა ენაზე.

მართალი რომ გითხრათ, არ მახსოვს, რას ნიშნავს ფილმში ეს „ქინ-და-და“, მაგრამ თვით ფილმი რომ დიდი ვერაფერი შეილია (დანელიას სხვა კომედიებისგან განსხვავებით), ამას თვით რეჟისორიც აღიარებს.

სამაგიეროდ, დანელიას ეს არცთუ შედეგოვანი ნაწარმოები კინოინდუსტრიის უპირველესი სახელმწიფოს პრეზიდენტის უსაყვარლესი ფილმი ყოფილა ბავშვობიდან!

დაბს, ბატონებო — მისტერ პრეზიდენტ ბარაკ ობამა თურმე ბავშვობიდან „ქინ-და-და“-ზე აფანატებს!!!

ასე თქვა მისმა დამ (მერე რა, რომ ნახევარდაა, „მთელი“ არ ჰყავს და რა ქნას?) და დაეჯერება...

ისე, ჩვენში დარჩეს და, მაგ ბიჭზე (დანელიაზე კი არა, ობამაზე) თავიდანვე ვიქვჩე, რომ არის მასში რაღაც „ქინ(და)ქური“-მეთქი, მაგრამ ასე პირდაპირი მნიშვნელობითაც თუ გამართლდებოდა, ნამდვილად არ მეგონა! არა, არა — დღითი დღე ვრწმუნდები ჩემში წინასწარმეტყველური ნიჭის არსებობაში და უსამართლობა არ არის, ამ ქვეყანაში ირაკლი ლომიას ერქვას რაღაცის მამა თუ მამამთავარი?! კარგი, აღარ გვინდა, შევეშვათ ლომიას, დღეს სხვა „ქინ(და)ქებზე“ უნდა ვისაუბრო.



არ ვიცი, რითი, უფრო ზუსტად — „ვისით“ დავინყო... არა, კი ვიცი, ოღონდ მიმიძის... მაგრამ რას ვიზამ — სიმართლე უპირველეს ყოვლისა! ეეჰჰ... მოკლედ, ჩემმა მკითხველმა (მეგობრებმა — მით უმეტეს) იციან, რომ უაზროდ, უმიზეზოდ და ფანტიკურად არც შემყვარებია ვინმე და არც შემძულებია (შვილებისადმი ბუნებრივ სიყვარულს თუ არ ჩავთვლით); ცხადია, გამონაკლისების გარდა და ერთ-ერთი (კი არა, მეონი — ერთადერთი) ასეთი გამონაკლისი დიეგო მარადონაა (იყო?!).. პრინციპში, რატომ — უმიზეზოდ?... ფეხბურთზე ვგიჟდები და ვისაც ფეხბურთი უყვარს და მარადონა არ მოსწონს, „იმ შავი ბიჭის“ არ იყოს, მაგარი „ქინდადა“, მაგრამ თვითონ ეს ჩემი დიეგო „ქინ(და)ქურ“ „სასტავს“ ჩაესტა — აუ, მტრისას! არა, ჩავესთან და ფიდელ კასტროსთან გასაგებია, ჩე გევარა და ამბავი (თუმცა ეგეც რატომაა გასაგები?), მაგრამ კვირას ეგ კოკოითს ექლურტულა! ძლივს „აალიტეს“ სხვა „ქინ(და)ქებმა“ ერთმანეთს! კოკოითმა, — ჩამოდი, ჩაგასრობ ხაბიძგინებში! დიეგომ, — ხაბიძგინები ბებიამუნს აჭამე, შენზე ამბობენ, უფრო „საინტერესო“ რამეებიც მოეპოვება და ამ დარდიან

გულზე უკეთესს ვერაფერს შემომთავაზებო? კოკოითმა, — შენ ოღონდ ჩამოდი და რისი კოკ(ოითი) ვარ, შენ თუ ჩვენებურ კოკ(აინზე) გული დაგწყვიტოო... მოკლედ, ი-ქინ-და-ძეს...

ახლა მოსკოვში „ნავიდეტ“ (წარმოსახვით, თორემ ისე ჯვარი გვწერია): მაგათმა მთავარმა „ქინ-და-ძამ“, მედედევე-მა ორი ქართველი (უფრო ზუსტად, „ქართველი“) დააჯილდოვა: „სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის“ ზურაბ წერეთელი და „ღირსების ორდენით“ — თამარ გვერდ-ნითელი... ერთი თხოვნა მაქვს ცხოვრებული რევან ლაღ-იძის ოჯახის მიმართ (აღბათ ისინი ფლობენ კომპოზიტორის შემოქმედებით მეგვიდრეობაზე საავტორო უფლებას), ოღონდ ამჯერად, არა „პროვოკაციული“, არამედ სრულიად სერიოზული: არ შეიძლება, რუსული „ღირსების“ ორდენოსნებსა და „სამშობლოს“ წინაშე დამსახურებულებს, ერთი სიტყვით, ყველა „ქინ-და-ძას“, თუნდაც „თბილისო“-ს სიმღერა რომ აუკრძალოთ?!

ზოგიერთ აქაურ „ქინ(და)ძ(ა)“-ს ვთხოვ, იდიოტური არგუმენტებით სავსე შეიღებები არ მომწერონ (როგორებიცაა: „საქართველოს სახელს უთქვამენ...“, „ორი ერის შერიგებას ემსახურებიან...“, „რაც უნდა იყოს, მართლმადიდებელი ქვეყანა...“): პარასკევს პარიზში მივდივარ და ნუ გამიშვებთ ნერვებაშლილს...

ძალიან კი დამაინტერესა — რას ნიშნავს იმ ფილმში „ქინ-და-და“? მაგრამ რომ არ მახსოვს?! უნდა მოვქექო ახლა ინტერნეტში... თუკი ვინმე ამაცხილებს ამას და მომწერს, მადლობელი ვიქნები.

P.S.

ისე, მაგარი კი იქნება, სულაც რაიმეს კარგს რომ ნიშნავდეს და მე კი ამ დროს კოკოითს სულ „ქინ-და-და“ ვეძახე... მოკლედ, სანახავია, მაგრამ ჟღერადობა აქვს ისეთი, კარგიც რომ იყოს, პირადად მე, „ქინ-და-ძობას“ არ ვისურვებდი...

სულ ამაზე ვწვწუნუნები რედაქტორს, — ორი გვერდი მაინც მომცეს: რამდენი ვიქადავ დასაწყისში, ბევრ „ქინ-და-ძაზე“ გვექნება საუბარი-მეთქი, მაგრამ არ მყოფნის ერთი გვერდი და რა ვქნა?!

არადა, ურეკვი სტადიონის საჯარიმო მოედანში პოლიციის ოფისს აშენებენ; ქუთაისში გერმანელი პროფესორი „გაძუყენეს“ ბარში ფეხბურთის ყურებისას, — გერმანიას როგორ „ბალელშიკობ“, ჩვენ აქ ფულს ვაგებთო; გიორგი გუგავას ბავშვობაში კოსმონავტობა „ნანდომა“ და ბედნიერია, რომ ოცნება აუხდა(?) და ნათელაშვილთან აღმოჩნდა...

მოკლედ, „ქინ-და-და“-ს რა დაღვეს ამ ქვეყანაში?!

P.S.S. ნეტავ მართლა, რას ნიშნავს?..

პროვოკატორი



მედიკალური გამო იტალიელთა ბერლუსკონი გადასწავლა

იტალიის საზოგადოებამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, სილვიო ბერლუსკონი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. ამის მიზეზი ამჯერად, მისი და რუსეთის პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის ფოტო გახდა, რომელიც



მათ მილანში, ლეონარდო და ვინჩის ფრესკის — „საიდუმლო სერობის“ ფონზე გადაიღეს. ბერლუსკონიმ სტუმარს სანტა-მარია დელე გრაციეს მონასტერი დაათვალიერებინა, რომლის სატრაპეზოსაც მხატვრის ცნობილი ქმნილება ამშვენებს. ფრესკასთან სამახსოვრო ფოტოს გადაღების სურვილი მედვედევს გაუჩნდა, რაც უმალ შეუსრულეს. მონასტრის დარბაზებში რიგითი დამთვალიერებლებისთვის ფოტოების გადაღება, თამბაქოს მოწევა, მობილური ტელეფონით სარგებლობა, სველი ქოლგით, საკვებითა და სასმელით გადაადგილება აკრძალულია. ადგილობრივი ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბერლუსკონისა და მედვედევის ფოტოგადაღების ფაქტს აღმაშფოთებელი უწოდეს. მათი თქმით, ლიდერები თავს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ. „რამდენიმე ფოტოს გადაღებამ შესაძლოა, „საიდუმლო სერობა“ არ დააზიანოს, მაგრამ აქ საქმე პრინციპთან გვაქვს: სხვებს ფოტოგადაღება ეკრძალებათ, ამათ კი (ბერლუსკონისა და მედვედევის) — არა“, — განაცხადა აღშფოთებულმა დეპუტატმა, დავიდე კორიტონემ.

გამოყენებულია ინტერნეტ-პორტალ ambebi.ge-ს მასალები. რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

გერმანიაში ჭარბონიანების დაბეზვრას აპირებენ

გერმანელი დეპუტატი, მარკო ვანდერვიცი მიმდინარე ადამიანებისთვის სამედიცინო დაზღვევის გაძვირების წინადადებით გამოვიდა. მისი აზრით, მსუქანი ადამიანები „არაჯანსაღი ცხოვრების წესს შეგნებულად მისდევენ და ამის გამო პასუხი უნდა აგონ“. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ეკონომისტმა, იურგენ ვაზემმა პარლამენტარის ინიციატივას მხარი დაუჭირა. „ჯანმრთელობისთვის მანერ პროდუქტები, თამბაქოს ნაწარმის მსგავსად, უფრო მაღალი გადასახადებით უნდა დაიბეგროს. ამ გადასახადების ნაწილი კი ჯანდაცვას უნდა მოხმარდეს“, — განაცხადა მან. ბრემენის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, ჭარბი წონის მქონე ადამიანები ჯანდაცვის სისტემას ყოველწლიურად, 17 მლრდ ევრო უჯდება.



რუსები ვიკიპედიის სტილით დასვენიან

რამდენიმე კრასნოდარელმა მამაკაცმა პარაშუტს ვირი გამოაბა და ჰაერში გაუშვა. როგორც გაირკვა, ამგვარი ფანდით ადგილობრივი ბიზნესმენები აზოვის ზღვაზე მათ კუთვნილ კერძო პლაჟებზე დამსვენებლების მიზიდვას ცდილობდნენ. ნანახით აღშფოთებული თვითმხილველები ადგილობრივ პრესას დაუკავშირდნენ. „ვირი ყოყინებდა, ბავშვები ტიროდნენ, მაგრამ ჭკუა არავის ეყო, რომ ეს ყველაფერი მილიციისთვის შეეტყობინებინა. ვირის მიწაზე დაშვება საშინელი იყო: ქარმა პარაშუტი წყლისკენ წაიღო და პირუტყვი რამდენიმე მეტრის მანძილზე ათრია, შემდეგ კი ცოცხალ-მკვდარი გამოათრის ნაპირზე“, — განაცხადა შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა და ბიზნესმენებს მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით დაემუქრა.

ფრანგებმა მყინვარის უფუთვა გადაწყვიტეს

საფრანგეთში, ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტ ლეზ-არკის მყინვარს უზარმაზარ საბანს გადააფარებენ. ფრანგებს იმედი აქვთ, რომ საბანი მყინვარს მზის სხივებისგან დაიცავს და დნობისგან გადაარჩენს.



როგორც გაირკვა, მყინვარის დაცვის ასეთ მეთოდს შვეიცარიაში, ავსტრიაში და იტალიაში ხშირად იყენებენ. მყინვარის „შესაფუთად“ ვერტიკალური და 10 ადამიანი 2 დღის განმავლობაში გაირჯება. ეს სამუშაო 30 ათასი ევრო დაჯდება. საბანი მყინვარის ცალკეულ მონაკვეთზე, მათ შორის ნვერზე დაიფინება. როგორც ეკოლოგები ამბობენ, ალპების მყინვარები ისეთი ტემპებით განაგრძობს დნობას, რომ თუ ადამიანებმა არაფერი იღონეს, საუკუნის დამლევითვის იქ თოვლი და ყინული აღარ იქნება.



ქვეყანა

ავროპული დოკუმენტი, როგორც არაფერს ცვლის და რუსული ხაფანგი ქართველებისთვის

სათუნა ბახტურიძე

„ჰააგის სასამართლო იცულლუტა“ — ასე შეაფასა ქართველმა პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებით, საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა არ დარღვეულა. მოგვიანებით მისმა თავმჯდომარემ, ჰისაში ოგადამ დააზუსტა: „სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 17 თებერვალს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით კოსოვოს არ დაურღვევია არც ზოგადად საერთაშორისო სამართალი, არც უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუცია და არც კონსტიტუციური ჩარჩოები“. ევროპული ექსპერტების ნაწილმა ეს ფაქტი კრიტიკულად შეაფასა. მართალია, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, მაგრამ ექსპერტები ფიქრობენ, რომ მას დიდი დიპლომატიური მნიშვნელობა აქვს და შესაბამისად, მთელ მსოფლიოში ავტონომიურ მისწრაფებებს შეუწყობს ხელს. სერბეთის ყოფილი პროვინციის სუვერენიტეტი უკვე 69 სახელმწიფომ, მათ შორის, ევროკავშირის 21 წევრმა ქვეყანამ აღიარა. დანარჩენი 120 სახელმწიფო (რომელთა შორის არიან: რუსეთი, ჩინეთი, საბერძნეთი და ესპანეთი) ამ ნაბიჯის გადადგმაზე უარს ამბობს. რა „იცულლუტა“ საერთაშორისო სასამართლომ შეიძლება თუ არა, კოსოვო სეპარატისტული რეგიონებისთვის მისაბამგალითად იქცეს და რა გავლენა შეუქმნის მოახდინოს ამ ფაქტმა საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე — ამ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტი სოსო ცინცაძე გვესაუბრება.

— მართალია, რუსეთი არ ცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას, მაგრამ აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერი ამ ფაქტს მიესალმება და იმედოვნებს, რომ საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული დოკუმენტი ხელს შეუწყობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. რამდენად რეალურია სეპარატისტი ლიდერის მოლოდინი და რას გულისხმობდით, როდესაც აღნიშნეთ, რომ ჰააგის სასამართლომ „იცულლუტა“?

— პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ ბალაფშის ეს განცხადება არაფერს ნიშნავს. ის ნებისმიერ შემთხვევაში იმას გააკეთებს, რასაც მედვედევი ან პუტინი უბრძანებენ. ევროპული ექსპერტების უმრავლესობა მართლაც ამბობს, რომ ჰააგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პოსტსაბჭოთა

ასე დგას: ჰააგამ მხოლოდ ის თქვა, — საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს დამოუკიდებლობის გამოცხადებასო, — და არა ის, რომ დამოუკიდებლობის აღიარება ნიშნავს ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების დაწყებას. ე.ი. უბრალოდ თქვა, რომ ის, რაც კოსოვოსთან დაკავშირებით მოხდა, სამართლიანია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არსებობს მონტევიდეოს კომისია (რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა) და ასევე ბადენტერის კომისია (რომელიც 1991 წელს იუგოსლავიასთან დაკავშირებული პრობლემის გამო შეიქმნა); ორივე კომისიის დასკვნაში ნათლად და გარკვევით წერია, თუ როგორ, რა პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ახალი სახელმწიფო. ამ დასკვნებში ერთ-ერთი მთავარი პირობა არის ის, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ შეიქმნება ძალადობის გზით, ასევე ვერ გახდება დამოუკიდებელი ის ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელსაც არა აქვს მუდმივი ტერიტორიები და არ ჰყავს მუდმივი მოსახლეობა.

— ძალისმიერ მეთოდების გამოყენებაზე არც კოსოვოს უთქვამს უარი. იქნებ კონკრეტულად ჩამოყალიბებით, რა განსხვავებაა კოსოვოსა და აფხაზეთს ან თუნდაც

სივრცეში კონფლიქტების გადაჭრას ხელს არ შეუწყობს, მაგრამ მათი ნაწილი იმასაც ფიქრობს, რომ საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც არაფერს ცვლის, ე.ი. „იცულლუტა“. მე მეორე ვერსიას უფრო ვეთანხმები. საკითხი



ჰააგამ მხოლოდ ის თქვა, — საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს დამოუკიდებლობის გამოცხადებასო



ენ. სამხრეთ ოსეთს შორის და ისიც დავაზუსტოთ, თუ რატომ უჭერს მხარს დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას?



— ჩემი აზრით, კოსოვოს პრეცედენტს საერთოც კი არაფერი აქვს აფხაზეთთან და ენ. სამხრეთ ოსეთთან. კი, ბატონო, ძალისმიერი მეთოდები კოსოვოშიც გამოიყენა, მაგრამ ამ პრეცედენტებს შორის არსებობს პრინციპული განსხვავება — ეთნონმენდა. 1999 წლამდე სერბეთის არმიამ კოსოვოდან დაახლოებით 800000 ალბანელი გააძევა, რათა რეგიონი „ეთნიკურად სუფთა“ ანუ სერბული გამხდარიყო. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში კონფლიქტების მთავარ მიზეზს უმრავლეს შემთხვევაში, სერბეთის მხრიდან უპირატესობის მიღწევის სწრაფვა წარმოადგენდა. ამ ომების ყველაზე ტრაგიკული, გარდამტეხი მომენტები იყო: სერბების მიერ 1995 წელს სრებრენიცაში ჩადენილი, 8000 მუსლიმანის მკვლელობა და 1425-დღიანი ბლოკადა სარაევოში, რომლის შედეგად, 1992-96 წლებში 10000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. სერბეთის რესპუბლიკას ძალიან უჭირდა ამის აღიარება და დიდხანს ცდილობდა ამ საშინელებებზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას. ძირითადად, ამით აიხსნება კოსოვოელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და ამ ბრძოლისთვის დასავლეთის მხრიდან გამოჩენილი მხარდაჭერაც. რაც შეეხება საქართველოს, — აქ ყველაფერი პირიქით მოხდა: აფხაზეტმა, რუსებმა და ოსებმა ქართველები დახოცეს ან გამოყარეს საკუთარი ტერიტორიებიდან. ხომ ხედავთ, განსხვავება რაოდენ პრინციპული და მნიშვნელოვანია. ამ დროს, გამომდგარან ქართველი პოლიტიკოსები და, სხვათა შორის, ექსპერტების ნაწილიც და თავი სხელებს იცემენ — დაგვღუპა ჰააგის სასამართლოში!.. არსებობს რადიკალურად განსხვავებული პოზიციებიც: ზოგი იმას ამბობს, — საერთაშორისო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებსო. არც ერთია მართალი და არც მეორე. ნამდვილად, უკეთესი იქნებოდა, ჰააგას კოსოვოს

დამოუკიდებლობისთვის მხარი არ დაეჭირა და ამით რუსეთი არ გაელიზიანებინა. მაგრამ ეს ფაქტი ჩვენთვის დამოუკიდებელი მაინც ვერ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ თავად ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაში, პრინციპულ პოზიციებზე დგანან და გარკვევით აცხადებენ, რომ კოსოვო არ შეიძლება გახდეს პრეცედენტი სხვებისთვის. თუ ამ მოსაზრებას რუსეთი არ გაიზიარებს, ისევ შეექნება პრობლემა კავკასიაში. რუსული არმიის მიერ განადგურებული ჩეჩნეთის დედაქალაქის, გროზნოს კადრებმა მთელი მსოფლიო მოიარა.

— **ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სხვა ქვეყნებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ. როგორ ფიქრობთ — საქართველო გაიზიარებს ამ მოწოდებას?**

— არა მგონია. წესით, არ უნდა გაიზიაროს. მართალია, ჰააგის დადგენილება სამართლებრივი პრეცედენტი ვერ გახდება, მაგრამ შესაძლოა, ამას ჩვენთვის სიტუაციის გართულება მაინც მოჰყვეს. საერთოდაც, მინდა აღვნიშნო, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ საკითხთან დაკავშირებით ემოციური განცხადებების გაკეთებას თავი უნდა დაანებონ და არსებული ვითარება მეცნიერულად შეისწავლონ.

— **თუ საქართველო კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს, ეს საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე რამდენად აისახება?**

— მე მგონია, რომ საერთოდ არ აისახება. ვფიქრობ, ვაშინგტონიც და ბრიუსელიც გაგებით მოეკიდებიან ჩვენს პოზიციას. კოსოვოს დამოუკიდებლობა არც ესპანეთმა და საბერძნეთმა აღიარეს, მით უმეტეს, ეს ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან. უფრო მეტიც: ესპანელი პოლიტიკოსი, ხავიერ სოლანა ხან ნატოს გენერალური მდივანი იყო და ხან ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების მინისტრი. ასე რომ, ჯობს, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებთ, იმაზე დავფიქრდეთ, ჩვენი პოზიცია როგორ იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაში არსებულ პრობლემებსა და კონფლიქტებზე.

— **ბოლო დროს ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები კონფლიქტების მოგვარების იმ რუსულ გეგმაზე ალაპარაკდნენ, რომლის მიხედვითაც, აგვისტოს ომის შემდეგ დაკარგული ტერიტორიების, ასევე დევნილებისთვის მშობლიურ კუთხეში ცხოვრების უფლების სანაცვლოდ, თბილისმა აფხაზეთისა და ენ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს, ისინი კი**

კონფედერაციაზე დათანხმდებიან. რამდენად შესაძლებელია, ამ გეგმის განხორციელება მართლაც გახდეს კონფლიქტის მოგვარების წინა პირობა?

— ეს გეგმა, რომელიც საქართველოში პრიმაკოვმა შემოგადო, საფანგია და მეტი არაფერი. ე.ი. ჯერ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთისა და ენ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და მერე დავინყოთ მოლაპარაკება კონფედერაციაზე? მტერი ენდო კოკოითს, ბალაფშა და მაგათ „მამა-მამარჩენალ“ რუსეთს! ჩვენ რომ ამ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა ვაღიაროთ, მერე მოლაპარაკების პროცესში, კოკოითი და ბალაფში ისეთ ნინადადებებს წამოგვიყენებენ, რომ პროცესს ჩაშლიან, მაგათ კი დამოუკიდებლობა შერჩებათ. გარდა ამისა, არც კონფედერაციის იდეაა ჩვენთვის მაინცდამაინც სახარბიელო.

— **რატომ, ბატონო სოსო? კონფედერაცია ხომ თავდაცვის, საგარეო ურთიერთობების, მონეტარული პოლიტიკის ცენტრალიზებულად მართვის პრინციპებს ეყრდნობა, რაც ქართველ, აფხაზ და ოს ხალხებს შორის მყარ კავშირს შექმნის?!**

— მყარი კი არა, ეს ძალზე მყიფე კავშირი იქნება. ამ კონფედერაციაში შემავალი ყველა მხარე თანასწორუფლებიანი და მის დასაშლელად, ერთერთი მხარის მხოლოდ სურვილიც კი საკმარისია. დღეს ცოლ-ქმრის გაყრა გაცილებით რთული პროცედურაა, ვიდრე კონფედერაციის დაშლა. თავის დროზე კონფედერაცია შექმნეს სირიამ, ეგვიპტემ, იორდანამ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დაირქვეს, მაგრამ ყოველგვარი პრობლემის გარეშე, ამ კავშირიდან „გავარდა“ იორდანია, მალე სირიაც მიჰყვა და დარჩა მარტო ეგვიპტე. მიუხედავად ამისა, მაინც „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა“ ერქვა. მხოლოდ ხელისუფლებაში ანვარ სადათის მოსვლის დროს მოიფიქრეს, რომ ძველი სახელი — „ეგვიპტე“ დაებრუნებინათ; მანამდე, კომუნისტებისთვის, კომიკურ სიტუაციაში ცხოვრობდნენ. ახალგაზრდებს შეიძლება, არც გახსოვთ, თუ რა „მხიარულ“ არჩევნებს ატარებდა საბჭოთა კავშირი. საარჩევნო ბიულეტენში „დიდი ამბით“ ეწერა — თქვენთვის სასურველი კანდიდატი შემოხაზეთო, — არადა, ფურცელზე მხოლოდ ერთი კაცის სახელი და გვარი ფიგურირებდა... ერთი სიტყვით, ქართველებს არც კონფედერაციის შექმნა გვარგებს და არც რუსი ექსპერტების მიერ შემოგდებული გეგმები. ჯობია, თავად გავანძრიოთ ტვინი და მეცნიერულად შევისწავლოთ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტებიც, რუსეთის პოლიტიკური ისტორიაც და სხვა დანარჩენი მოვლენებიც, რომლებიც ჩვენს ქვეყანაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ■

აისოქი

- უზრუნველყოფს ფაფაწაობის ცუდის დაგანგეული ნეკროსა და მანქნაღრეწნი ნიუთიერებების სმწაღ შეესებას
- ამქიწებს ფაფაწაობის ხანგწიღეუობას
- ამქიწებს განაღრეოგანი მასების მოღეულობას და ექვის მოქმეუების სობმწრეს
- ამქიწებს გუგასხმის სავქიწოების
- ამქიწებს ტუბიწებას

განაღრეობის მის გუგასხმის ამქიწებას

საქმობის მოქმეუების მისებ ამქიწებას ამქიწების მოქმეუების მისებ ამქიწებას

სმწაღ შეესებას ამქიწებას ამქიწების მოქმეუების მისებ ამქიწებას

საქმობის მოქმეუების მისებ ამქიწებას

საქმობის მოქმეუების მისებ ამქიწებას

WWW.AISOKI.GE



„ათენგანობას თითქმის ყოველთვის წვიმს და ვიცოდი, მდინარე „გაღარეული“ იქნებოდა“ ...

ათენგანობა იდგა ხევისურეთში და რამდენიმე დღე გადაბმულად წვიმდა. ამ დღესასწაულზე თითქმის ყოველთვის წვიმს. ამიტომაც გადარეული იყო თვალუწვდენელ მთებს შორით გუგუნით მიმავალი მდინარე არლუნი... ათენგანობის დღესასწაული ხევისურებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და ისეთივე დიდი დატვირთვა აქვს, როგორც დანარჩენი მართლმადიდებლური სამყაროსთვის — შობასა და აღდგომას. თუმცა რიტუალი სულ სხვანაირად სრულდება: ათენგანობა ხევისურეთის სხვადასხვა სოფელში, სხვადასხვა დღეს შემოდის ანუ ერთი დღეს გუდანში ზემობენ, რამდენიმე დღიანი ინტერვალის შემდეგ — ხახმატში, შემდეგ — შატლში, მუცოსა და ხონეში... ყველა გვარს თავისი საგვარეული ხატი ჰყავს, რომელსაც შვილებს მიაბარებს ხოლმე. მიბარებაში შვილების ხატისთვის შევედრება იგულისხმება. ოდიოტანვე, თუ ოჯახში ძე ჰყავდათ, ოჯახის უფროსი ხუცესს ანუ ხევისბერს (თემში ყველაზე ასაკოვან და ავტორიტეტულ კაცს) სთხოვდა, ემწყალობებინა და ხატობაზე რიტუალი მას ჩაეტარებინა; სალოცავში ორი ცხვარი და ერთი ხარი აჰყავდა და ხატს სწირავდა. წინა დღეს ცხვებოდა ქალებიც, საგანგებოდ ამ დღესასწაულისთვის ისარშებოდა ლუდიც და დილაზე ქეიფობდნენ... მაგრამ ეს წინათ იყო, მაშინ ხატობაზე ქალებიც არ მიჰყავდათ... შემდეგ დაკლული ხარის სისხლით ოჯახის ძეებს შუბლზე, ლოყებსა და ყურებზე ჯვარს გამოუსახავდნენ, რათა წმინდა სალოცავს ავისა და ბოროტისგან დაეფარა და ამის შემდეგ, ისინი ხატის ყმებად ითვლებოდნენ... ადრე შვილების მიბარების რიტუალი დიდხანს გრძელდებოდა, დროთა განმავლობაში კი, მას შემდეგ, რაც ხევისურეთი დაიცალა, ამ რიტუალშიც ბევრი რამე შეიცვალა. დარჩენილები ცდილობდნენ, მამა-პაპის ადათი როგორც შეენარჩუნებინათ და გაეგრძელებინათ. მათ შორისაა შატლის საკრებულოს წევრი, პირველ რიგში კი მშობლიური კუთხის ღირსეული შვილი და პატრიოტი, პოეტი და მომღერალი გელა დაიაური, რომლის ოჯახური ტრადიციის ამბავმა მთელი საქართველო შეძრა.

ლალი პაპასკირი

...დადუმებული მივყუცებით მთებს შორის დაკლავნილ, ვინრო სამანქანო გზას მისი მეგობრები. თბილისიდან



წარბშეკრულსა და შეწუხებულს ვერ ნახავდი. ფშაველი იყო, სოფელ სიონიდან. ჩემს ძმასავით, მასაც უსამღეროდ უყვარდა მთა. ის და გელა ძალიან უკებდნენ ერთმანეთს...

დილაადრიანად გავედით, რათა დაკრძალვისთვის ჩაგვესწრო და გელასთვის ნუგეში გვეცა... აგერ რაღაც ფრინველი დავაფრთხეთ, ჩვენი მიკროავტობუსის საქარე მინას შეასკდა. მთის პატარა არწივია. შევაშინეთო, — გახუმრება სცადა მძღოლმა... თვალს ვერ ვაცილებთ წინვოვან ტყეებს, სალ კლდეებსა და აქა-იქ მწვანე მთებს შორის თეთრად გადმოხეთქილ ჩანჩქერს... იმდენად გვიორთვებს ბუნების საოცარი სილამაზე, რომ დროდადრო გვაგინყდება ტრადიცია... მთელი არსებით და შეგნებით ვხვდები, — რატომ ვერ ელევა პოეტი დაიაური აქაურობას და რატომ მოუწევს გული ყოველთვის ამ უზარმაზარი მთებისკენ...

პირველად სწორედ გელამ ნაგვიყვანა მე და ჩემი მეგობარი და კოლეგა ეკა ლომიძე ხევისურეთში. ამ ბუნების უზადო სილამაზეში რამდენიმე დღე ლამის ენაგადაყლაპული დავდიოდით... მაშინ „მთის ბულბულად“ წოდებული მშვენიერი თეონა ჯერ კიდევ მისი მუხლზე არ იყო და, გელას მშობლებსა

და მწვანეთვალება და-ძმებთან ერთად, თბილისიდან შატლიამდე გზა ხუმრობასა და სიმღერაში გავლიეთ. ბუნების სილამაზით დატყუვებულებმა მაინც შევამჩნიეთ — ხევისურები სტუმრებისთვის სათქმელ თითოეულ სიტყვას ზომავდნენ და წონიდნენ... „ამ შემოდგომაზე ქალი მაიყვანე, ბიჭავ, თორემ სახლში არ შამაგიშვებ. მამასწარ შენს ბალებს“, — უთხრა ეშმაკური ლიმილით მამამ შვილს... გელა მამის შეგონებას თავდახრილი უსმენდა და თავისთვის (და ჩვენთვისაც) საყვარელი საკრავის თანხლებით, მაღალი, ვაჟკაცური ხმით მღეროდა: „თეთრი ნისლის დარი ფიქრი მემატება, ფიქრი, შენთან საუბარი როგორ მენატრება, როგორ...“

ხევისურეთში გატარებული რამდენიმე დაუვინყარი დღის შემდეგ, მალევე შევიტყვე — გელას ცოლი მოუყვანიო. მერე ერთ-ერთ საიტზე მოვისმინე ვინმე „მთის ბულბულის“ მიერ ფანდურის თანხლებით შესრულებული სიმღერები. გოგონა ხევისურული ტალავარით, თეთრი ლიმილით, სიკვითთ სავსე თვალებითა და ტკბილი ხმით დამამახსოვრდა. გელა დაიაურის ცოლიაო, მითხრეს... უცებ გელას მოხუცი მამა წარმომიდგა თვალწინ, შვილის ქებაზე პატარა ბავშვივით რომ იმორცხვებდა და ბედნიერებისგან თვალზე ცრემლმომდგარი გვეუბნებოდა: „რავიც, კაი იძახიან მასზე, კარგიაო, მაგრამ ქალ ვერ მაუყვანია და...“ ახლა გულდამძიმებული მივიდიოდი ამ გზაზე და სიტყვებს ვერ ვპოულობდი, რით მენუგეშებინა ეს საოცრად ალალი ხალხი...

შატლში ჩასულებმა შევისვენეთ. იმ სკოლა-ინტერნატს შევავლე თვალი, სადაც წლების წინ გელა მასწავლებლად მუშაობდა. მაშინ ბავშვივით გახარებულმა დაგვათვალეებინა კეთილმოწყობილი შენობა: ჩემს მოსწავლევებს კომპიუტერიც აქვთო, გვითხრა... ახლა უკვე ინტერნეტიც გვაქვსო, — სიამაყით მითხრეს შატილელებმა და სინანულით დაამატეს, — ზამთარში გზა რომ ჩაიკვებება, გარე სამყაროს მხოლოდ ამით ვუკავშირდებითო... გელას ჯალბთან მიდისართო?! — გვკითხეს. — „დაიას“, — ვუპასუხე. ხევისურებმა თავები ჩაქინდრეს, ლაშარის ძალი შეგენითო, — მითხრეს დაბალი ხმით...

დაიაურის ცოლ-შვილი, ულამაზესი თეონა და 9 თვის ჯარჯვი მუცოში, გელას ბიძის სახლში იყვნენ დასვენებული და რაც უფრო მცირდებოდა



ვხვდები — ჯერ მეგობრებისა და ახლობლების წრეში გრიალებს და ბოლომდე არა აქვს გააზრებული, რა სჭირს

გზა შატილიდან მუცომდე, უფრო გვიმძიმდებოდა გულები... შატილიდან მუცომდე ერთი საათის გზაც არ არისო, — გვაფხიზლებდა მძლოლი. მართლაც, მალე მივედით, ან იქნებ, ამ საბედისწერო დღესასწაულზე ფიქრში გზა მალე გაილია...

ცად ასული მთის წინ მოკრძალებული ხის სახლი იდგა, სახლამდე კი ხის ხიდი უნდა გადაგვევლო. მოტირალი ქალების ხმას ანდაქის გამაყრუებელი გუგუნი ვერ ფარავდა. ხიდს მიღმა გელა დაიაური იდგა, დარდისგან მოტყეხილი კი არა, სალ კლდესავით პირქუში და გახვეებული. თვალბინი არავის უყურებდა, ისე, თავდახრილი იღებდა სამძიმარს... ვაიმე, როგორ მაგრად დგას ეს უბედური, — თავი ვეღარ შეიკავა ჩემ უკან მდგომმა გოგონამ და აქვითინდა.

არ მახსოვს, როგორ გავიარეთ ეზო. ოთახში, თეთრ სუდარაში გახვეული ორი ცხედარი ესვენა. „თეო, ბარემ, დემეტრეც გაიყოლე, შვილო, დედის სითბო მოაკლდება პატარას და ცოდას!“ — შემომესმა თვალბინის ხმა და გელას მეგობრის მონაყოლი გამახსენდა: 9 თვის იყო პატარა ჯარჯი, მეტის არა, მაგრამ დემეტრე მასზე მეტად მეცოდებოდა, — ჯარჯის, ძმისგან განსხვავებით, საფლავი მაინც ექნებოდა...

ოთახიდან გამოსული, პირდაპირ ბაღასზე დავჯექი. „ერთი შვილი მაინც დაგრჩენოდა, ჩემო გაუხარებელი ბულებო... რატომ დავისაჯეთ ასე, ჩემო უბედურო შვილებო, რატომ, რატო-ოომ?!“ — არ წყდებოდა იმ ავბედითი ოთახიდან გულის განმგმირავი ტირილი...

— გამაღობ, რომ მოხვედით, ყველას დიდი მადლობა, — მითხრა ვილაცამ. ჩემ წინ გელა დაიაურის უმცროსი ძმა, თორღვა იჯდა და საცოდავად მიღიმოდა. თვალბინი დანიტლებული ჰქონდა, მაგრამ სიამაყე არ აღეშინებოდა უფლებას, გულჩვილობა გამოეჩინა და კურცხალი გადმოეგა... მამა-

მისზე ვკითხე, — ვერ ვნახე და როგორ არის-მეთქი? თვალი ამარიადა:

— იმდენად ცუდად გაუხდა გული, ვეღარ წამოვიდა... ხევსური დარდასა და ტკვილს უნდა მოერიოს, მაგრამ ამ საშინელებამ გატეხა მამა. ასეთი ტრაგედია ხევსურეთს არ ახსოვს. წელს მამა სუსტად არის და ათენგენობაზე ვერ წამოვიდა, არადა, გულით უნდოდა. ვერც მე წამოვედი... „ოდნოკლასნიკებში“ ჩემს მეგობრებს სტატუსზე ჰქონდათ, — ეს რა დაგვემართა?! გამიკვირდა, რა სჭირს ამ ხალხს-მეთქი? ხუმრობა მეგონა. მერე ერთ ჩვენგანს ვთხრობდი, როგორც მათ გვითხრობდნენ და ვთხრობდი, როგორც მათ გვითხრობდნენ და ვთხრობდი, როგორც მათ გვითხრობდნენ... ასე მეგონა, მსუხარებისგან მოტყეხილი და დაბეზრებული დამხვდებოდა, მაგრამ ისევე ისეთი გელა ვნახე, როგორსაც ვიცნობდი. ჩემი ძმა არ შეცვლილიყო, დინჯი და თავშეკავებული დამხვდა. პირიქით, აქეთ



მამშვიდებდა... ვხვდები — ჯერ მეგობრებისა და ახლობლების წრეში ტრიალებს და ბოლომდე არა აქვს გააზრებული, რა სჭირს, მერე მიხვდება და ვიცი, რომ ჩაიკეტება, კარგად ვიცი მისი ხასიათი... შენ ჩემს რძალს იცნობდი?

— არა, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან მზარული და ნიჭიერი გოგო

იყო...

— თავისი პატარა ოჯახის ბედნიერებით ცოცხლობდა და ხარობდა. წარბშეკრულსა და შეწუხებულს ვერ ნახავდი. ფშაველი იყო, სოფელ სიონიდან. ჩემს ძმასავით, მასაც უსაზღვროდ უყვარდა მთა. ის და გელა ძალიან უგებდნენ ერთმანეთს... ბოლოს რამდენიმე თვის წინ ვნახე მთელი ოჯახი. ჩვენთან კახეთში, არაშენდამი იყვნენ... თონა მესუმრებოდა, — დემეტრეს სულ დაგიტოვებ, მარტო შენთან ჩერდება და ერთობაო. პატარებს ხომ სჩვევიათ უმცროსებზე ეჭვიანობა; ის პირიქით იყო, — სულ ეფერებოდა ჯარჯის. 8 ივლისს 2 წელი შეუსრულდა. გულზე ლოდად მანვეს, რომ ვერ ჩამოვედი და ვერ მივულოცე. დღეს მისი საფლავიც კი არ ვიცი, სად მივიდე?... ჯარჯი მძინარე გეგონება, მარტო წარბი აქვს გახეთქილი. თონას კი მთელი სახე დაღწეული აქვს, კბილებიც კი... სწრაფ დინებას ქვეშე დაუნდობლად უხეტებოდა... ერთი მეტრის სიმაღლიდან არიან გადავარდნილი. როცა მანქანა ამოიყრავდა, სწრაფმა დინებამ ჯიპი რამდენიმე მეტრზე ათრია. ჩემი ძმა უკან მჯდარა და ამ დროს თავის ცოლ-შვილს გადაჰფარებია. ცოტა ხანს დემეტრე ხელში ეჭირა, შემდეგ კი, როცა მანქანის სალონი წყლით გაეხვეოდა, შვილი დინებას წაურთმევია... საიდანღაც ჰყვრი შემოდოდა და თავი იქითკენ ჰქონია შებრუნებული; ამასობაში მოუსწრეს და ამოიყვანეს. თონა ჭინჭარაული მანქანიდან გადმოვარდა და დინებას ხის ტოტისთვის მიუნარცხებია. არ ვიცი, როგორ მოახერხა, მაგრამ სწორედ იმ ტოტზე გადაკიდებული იპოვეს მამშვილებმა. მერე მომიყვა — მთელი ძალით ვიყავი ჩაბლაუჭებული და დროზე რომ არ მომშველებოდნენ, უკვე ღონე მეცლებოდა და დინება გამიტაცებდაო. ტვივის შერყევა აქვს...

— სწრაფი დინება, მაგრამ

სიახლე! ავეჯის მაღაზია „ლუი XV“ გთავაზობთ: ტყავის და ხავერდის ბალბიურ საძირკვებს დაბალ ფასებში 200-დან 2000- ლარამდე



დემეტრე მასზე მეტად მეცოდება, — ჯარჯის, ძმისგან განსხვავებით, საულავი მაინც ექნებაო...

თითქოს ღრმა არ უნდა იყოს...

— რამდენიმესათიანი წვიმა საკმარისია და გადარეულივით ადიდდება. გეგონება, მთელ ხევსურეთს წალეკავსო. წვიმის დროს მთებში თოვლი დნება და ამიტომ დიდდება სწრაფად. როგორც კი შეწყდება წვიმა, ანდაქიც კალაპოტს უბრუნდება. ათენგენობას თითქმის ყოველთვის წვიმს და ვიცოდი, რომ მდინარე „გადარეული“ იქნებოდა... ერთი ადგილია, აქაურები ხონესჭალას ვეძახით, იქ მდინარე ძალიან ვიწროა, მკვეთრი მოსახვევია, მაგრამ ისეთი ღრმაა, როცა არღუნი ადიდებულია, ყველაზე მამაცი ხევსურიც კი შეყოფდნება. სწორედ იქ უნახავთ პატარა დემეტრე, — თითქოს ერთი ხელის განვდენაზე ჩაგვიარა, ხელებს იქნევდაო, — მაგრამ ეს ყველაფერი ელვისუსწრაფესად მომხდარა და ვერ მოასწრეს... ჯერჯერობით ოჯახი არ მყავს და შვილის სიყვარული ძმისშვილებმა მაგემეს. ერთ-ერთი მაინც დარჩენოდა ცოცხალი!.. არ ვიცი, როგორ გააგრძელებს ჩემი ძმა ცხოვრებას...

— თორღვა, ბერდია არაბულზე რას მეტყვი?

— რა გითხრა, აბა?... ძმებავით იყვნენ. გელა მისი მეჯვარე იყო. მე სულ ერთი-ორჯერ მყავს ნანახი, ვინაიდან გელა უფრო, თბილისსა და ხევსურეთში იყო... ბერდია საჭესთან მკვდარი იჯდა, ეტყობა, დარტყმისგან დაიღუპა... მათი სიბრალულით გული მიკვდება, 4 თვის

მამუვაც წყალმა წაიღო და ჩემი დემეტრესავით, მასაც არა აქვს საფლავი. არ ვიცი, როგორ ვთქვა, მაგრამ საბედნიეროდ, ბერდიას მეუღლე სოფო, რომელიც მათთან ერთად დაიღუპა, იპოვეს... აღარ ვიცი, ჩემი მიცვალებული ვიტყვი თუ ისინი... ძმებავით, სულ ერთად იყვნენ. ბერდიაც, გელასავით, აქაურობას ვერ ელეოდა. აქ (სახლზე მიმითუბს. — ავტ.) ბიძაჩემი მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა, წელს კი გადაწყვიტა, ზამთარშიც აქ დარჩეს. გელამ ეს რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა, — მეც უფრო ხშირად ამოვალო... გაუჭირდება, ვიცი, მაგრამ ბარის კაცი ვერ გაიგებს, რას ნიშნავს, როცა მთა გიხმობს. მისი შვილი ხარ, მისი ავიც გიყვარს და კარგიც...

— ვიცი, რომ ადრე დაცდა გელა...

— კი, ტრაგიკული ოჯახი გვაქვს. თაია 9 წლის იყო, როცა მუცოში ვილაცას შემთხვევით, გაუვარდა და მოკვდა. 1994 წელს მოხდა ეს ამბავი და დედაჩემი დღემდე ისე ტირის, როგორც ერთი თვის წინ დაღუპულს... რამდენიმე წლის წინ სიძეც დაგვეღუპა, უფროსი დის ქმარი, გულის მანკი ჰქონდა.

ბიბა დანიაური, გელა დაიაურის ბიძაშვილი:

— ჩვენ ბერდია არაბულის მანქანას უკან მოყვებოდით. ამოტრიალებული მანქანა ვერ ვიცანით; ვიფიქრე, რომელიღაც ტურისტის დაშავდა-მეთქი. მერე კი მივხვდი, რა უბედურებაც გვჭირდა... სწრაფი დინების გამო მანქანის ამობრუნება გაგვიჭირდა. არ ვიცი, როგორ და სად მოკვიდე ხელი მანქანას, მაგრამ როცა შიგნით ხელი მოვაფაათურე, ვიგრძენი, რომ ვილაცის ხელზე მომიხვდა. მაშინვე მიხვდი — უცხო ადამიანის კი არა, გელას თითები იყო.

— საიდან მიხვდით?

— ბავშვობაში დინამიტი აუფეთქ-

და ხელებში და 3 თითი წაწყვიტა... მერე გვითხრა, — ისე ვლრილებდი, მეგონა, გაიგონებდითო... არაფერი გაგვიგონია, მდინარის გუგუნმა, ყველანაირი ხმა გადაფარა. აღარ ვიცი, რა ვუთხრა ჩემს ბიძაშვილს, როგორ ვანუგეშო; ამ მწუხარებას რომ გაუძლო, სალი კლდე უნდა იყო...

გელა დაიაურის ნათესავების ოჯახი ერთადერთია, ვინც მუცოში დარჩა. აქაურებმა მითხრეს, მთელ ხევსურეთს 100-მდე კაცი თუ შემორჩაო... ჩვენი დროის გმირებს სატყვივრის მეტი რა აქვთ, მაგრამ პრობლემებზე საუბარს მაინც გაურბიან. სიტყვაჟუნობენ: თქვენ ხომ ნახეთ, აქ როგორი პირობებია, — გზები არ არის, კავშირი არ არის; ადამიანი ცუდად რომ გახდეს, ან შატლიში უნდა ჩახვიდე, ან მესაზღვრეებთან უნდა ახვიდე, მთაშიო, — გვეუბნებიან... ადრე ძლებდა ხალხი, ახლა სხვა დროა...

დაღუპულები მინას მზის გადახრამდე უნდა მიაბარონ — ესეც მთის მკაცრი კანონია...

როცა სუდარაში გახვეული, პატარა ჯარჯი გამოასვენეს, ხალხს კიდევ ერთხელ უმტყუნა ნერვებმა... წამოვიშალეთ ჭირისუფლებთან ერთად, დაიაურების საგვარეული სასაფლაოსკენ გავეშურეთ. გელა ხალხმრავალ ადგილს თავს არიდებდა, განმარტოებას ლამობდა, მაგრამ ახლობლები და მეგობრები გვერდიდან არ შორდებოდნენ... ალბათ არასდროს ამომივა თვალებიდან „კადრი“ — როგორ მიშტერებოდა გახვევებული, მდინარის ერთ ნურტილს, სადაც დინებისგან მდინარის ფსკერზე, ქვების დაკლავნილ რიგს შემოხვეულ ტანსაცმლის ნაგლეჯს ტალღები ათამაშებდა...

დაიაურების საგვარეულო სასაფლაო მუცოს ციხესთან, მთის წვერზე ყოფილა. ძნელად მისადგომ ადგილას საფლავის გაჭრას თავისი ახსნა აქვს — წინათ, სამტროდ გადმოსულ ქისტებს მიცვალებული რომ არ წაებინათ...

ხევსური ბიჭი დიდებული მუცოს ციხის ძირში გამოკვეთილ აკლდამებს მიჩვენებს, — იქ ჩვენი წინაპრების საძვალეაო... საფლავისკენ მიმავალთ, გზადაგზა, პატარა ჩარჩოში ჩასმული ფოტოები გვხვდებოდა, დაბადებისა და გარდაცვალების წლებით დათარიღებული. ზოგი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა, ზოგს გზა აებნა ცუდ ამინდსა და ქარბუქში, გაყინული იპოვეს, ზოგს კი ფეხი მოუცურდა ყინულზე... ასეთი ტრაგედიის შემდეგ, ძნელია, კიდევ ვილაცის უბედურებაზე ჰკითხოთ თაწაქინდრულ ხევსურებს. ვიცი, რომ მთის ხალხს შეკითხვები და სულში ჩაძრომა არ უყვარს, არადა, იმდენი დამიგროვდა...



წამოვიშალეთ ჭირისუფლებთან ერთად, დაიაურების საგვარეული სასაფლაოსკენ გავეშურეთ

„ტითქოს გურამი ცენტრი იყო და ყველანი მის ირგვლივ ვბრიალებდით“

„ქართული პროზის საგანძურს“, ჩვენდა სასიხარულოდ, გულშემოტივი ვარი და მკითხველი არათუ ელევა, ნელ-ნელა უმრავლდება და ეს ძალიან გვახარებს. ბევრს აინტერესებს, კიდევ რამდენი ტომის გამოცემას ვაპირებთ? საბედნიეროდ, ძალიან მდიდარი ლიტერატურა გვაქვს; კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებთან ერთად, ბევრი საინტერესო ავტორია, ვისთან შეხვედრაც უდიდეს სიამოვნებას მოგანიჭებთ და ჩვენც აუცილებლად ვიზრუნებთ, რომ ეს სიამოვნება გაგისხანგრძლივოთ.

ირმა ხარშილაძე

დღეს XX ტომად ჟურნალ „გზასთან“ ერთად, მკითხველმა ნიკო ლომოურის მოთხრობების კრებული მიიღო, მომავალ სთუმებათს კი „საგანძურს“ XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელს, მწერალ გურამ ფანჯიკიძეს „შეგახვედრებთ“. XX ტომში დაიბეჭდება ბატონი გურამის რომანი — „თვალი პატიოსანი“ და რამდენიმე მოთხრობა.

ნაადრევე დაღუპულ მწერალს მისი მეუღლე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მთარგმნელი — ქალბატონი დალი ფანჯიკიძე იხსენებს.

— გურამი ოჯახის დიდი მოყვარული იყო. შვილებსა და შვილიშვილებზე გიჟდებოდა. საერთოდაც, მოსიყვარულე ადამიანი გახლდათ. შინ ძალიან ლალი, თავისუფალი და ხმაურიანი იყო. მის ირგვლივაც ყოველთვის ხმაური, ჟრიაში იყო. მეგობრების მისვლა-მოსვლა უყვარდა. სადაც კი ქეიფობდა, ნაშუალამევს იქაური სტუმრები ბოლოს მაინც ჩვენთან მოჰყავდა. სუფრას გამაშლევივინებდა და აქ განაგრძობდნენ მოლხენას. სხვებივით, კაბინეტში კი არა, მისალეებ ოთახში მუშაობდა, სადაც ყველანი ვტრიალებდით. ამ კაბინეტში, მაგიდასთან ერთი ბნკარიც არ დაუნერია. შინ ძირითადად, დილაობით მუშაობდა რამდენიმე საათი, მერე ყოველთვის საზოგადოებრივ სარბიელზე გადაერთვებოდა ხოლმე. მუდამ აქტიურად ცხოვრობდა და რასაც ხელს მოჰყიდებდა, ის საქმე ყოველთვის საფუძვლიანად უნდა შეესწავლა. თუნდაც საგამომცემლო საქმეში, ბუღალტერივით დანაყბული, ყველა ნიუანსში ერკვეოდა. ტექნიკური განათლება ჰქონდა მიღებული, მეტალურგი იყო და ალბათ საინჟინრო საქმეც ბევრი საკითხის გარკვევაში ესმარებოდა.

— თქვენ როგორ გაიცანით ბატონი გურამი?

— ჟურნალისტობას ვაპირებდი და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოვაქვეყნე წერილი, სადაც დავინუნე და საბჭოთა ადამიანის აზროვნებისთვის შეუფერებელი ვუნოდე „გეპეის“ ჯაზს, რომელიც იმ დროს ქუხდა, გურამმა კი ამის გამო თავის გაზეთში — „გეპეის“ გაზეთის რედაქტორი იყო — სასტიკად გამაკრიტიკა (იცინის). ამ ამბავმა შეგახვედრა და ჩვენი ნაცნობობა მალევე სიყვარულში გადაიზარდა. საკმაოდ მალეც დავექორწინდით. ასე რომ, ხომ ხედავთ — ყველაფერი ხდება (ილიმის).

— „გეპეის“ ჯაზთან დაკავშირებით კონსენსუსს მიაღწიეთ?

— სასაცილო ის იყო, რომ მეც ძალიან მომწონდა „გეპეის“ ჯაზი, მაგრამ ჟურნალისტობა რომ მინდოდა, ვითომ ამით ხელისუფლებას ვასიამოვნე და თანაც, ყურადღების ცენტრში მოვექეცი. თუმცა საბოლოოდ, ჟურნალისტობა მაინც გადავიფიქრე და გერმანული ენის შესწავლა ვარჩიე. რაც შეეხება გურამს, — მართალია, მომლხენი და მოქეიფე იყო, მაგრამ ამით არასდროს აზარალებდა საქმეს. ის ქეიფიც მხოლოდ ღვინის სმა ხომ არ იყო — ეს ადამიანებთან ურთიერთობის, საინტერესო საუბრების საშუალებაც გახლდათ. საერთოდ, გურამი ძალიან უშუალო იყო და ბევრს უყვარდა. ყველა მის საუკეთესო მეგობრობას იწვევებდა. მთელი საქართველო მოვლილი ჰქონდა და სადაც შეეძლო, ნავეყვანე, თუნდაც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ან საზღვარგარეთ, დიდი სიამოვნებით დავ-



ფეხსაცმლის მაღაზია „ტორალი“ გთავაზობთ

100%-იანი ისპანური

ქალის, მამაკაცის და ბავშვის

ფეხსაცმელაზის ფართო არჩევანს, ხელმისაწვდომ ფასებში, 30 ლარიდან.

მის ქართვან ნაგებულის გამზ.№92 (მისანთან)
 ტელ 77 65 82; 858 68 55 48



კონსტანტინე გამსახურდიასთან



თამაზ ჭილაძესთან



მეტალურგი გურამ ფანჯიკიძე

ყვებოდი. შესაბამისად, მის თავს გადახდენილი ყველა ამბის თუ ახალ-ახალ ადამიანებთან დაახლოების შემსწრე და თანაზიარი ვხდებოდი. არც მისი ქეიფები ან შუალამისას სტუმრების მოყვანა მალიზიანებდა. ვიცოდი, ასეთი იყო და, პირიქით, ყველანაირად ხელს ვუწყობდი — შუბლშეკრული არასდროს ვხვდებოდი, სუფრასაც ხალისიანად ვშლიდი და ღამის სტუმრებთან ერთად ვილხენდი კიდეც (იციინის).

— ახალშექმნილ ნაწარმოებს პირველად თქვენ გაკითხვებდათ,

შვილებს თუ მეგობრებს?

— ნაწილ-ნაწილ არავის გვაკითხებდა. სამუშაო პროცესში არასდროს მრთავდა. ვიდრე დაასრულებდა, ვიცოდი, თვალის არ უნდა ჩამეკრა ნაწერში. მხოლოდ დასრულებული ნაწარმოები შემეძლო წამეკითხა. მეც საკუთარი შემოქმედება მქონდა — მთარგმნელი ვარ და ამით, სხვათა შორის, ძალიან ამაყობდა. მეც, ვიდრე არ დავასრულებდი კონკრეტული ნაწარმოების თარგმნას, ზედმეტად არ შემანუთებდა ხოლმე.

— ქალბატონო დალი, როგორ გაგრძელდა ცხოვრება ბატონი გურამის გარდაცვალების შემდეგ?

— იმ საზარელ დღეს (გურამს ინფარქტი ზღვაში ცურვისას დაემართა) ვერასდროს ვივინყებ. ხომ უდიდესი ელდა იყო გურამის დაღუპვა, მაგრამ რომ ვუკვირდები, თითქოს წინა პერიოდში რაღაც მზადდებოდა საამისოდ. ვატყობდი, ნელ-ნელა ენერგია აკლდებოდა, ძველებურად მხნედ თითქოს ველარ იყო. ცრურწმენასაც კი უკავშირდება ეს ამბავი... არც ვიცი, ღირს თუ არა ამის ხმამაღლა თქმა — დღემდე არც მითქვამს (*ჩაფიქრდა*)... გურამს ბოლო ხანს ყურები ანუხებდა და ერთ-ერთი ცნობილი ექსტრასენსი ქალბატონი გადაევიდა, მე მოგიჩვენო. ექსტრასენსული სეანსებიც დაუწყო. ძალიან არ მომწონდა ეს ამბავი, ვატყობდი, ენერგია აკლდებოდა. თითქოს ცუდი წინათგრძნობაც მქონდა... მანამდე არასდროს უჩიოდა გულის ტკივილს, მერე კი თითქოს დასუსტდა... არ ვიცი, რა ვთქვა... გურამის სიკვდილის შემდეგ ჩვენი სახლი დადუმდა (*ცრემლი მოვრია*)... თითქოს გურამი ცენტრი იყო და ყველანი მის ირგვლივ ვტრიალებდით. დღემდე ვერ ვეგუები ამ სიჩუმეს.

— დაგრჩათ წიგნები, რომლებიც მუდამ აცოცხლებს მწერალს.

— გურამს აღიარება არ აკლდა, პრემიაც ბევრი ჰქონდა მიღებული და მის ნაწარმოებებს ხშირადაც თარგმნიდნენ სხვა ენებზე. მუდამ ძალიან თანამედროვე და თანაც, ურბანისტი მწერალი იყო. ქალაქის ცხოვრებას აღწერდა და თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრ ტექნიკურ და მეცნიერულ საკითხსაც საინტერესოდ უღრმავდებოდა. ამით გამოირჩეოდა ბე-



ვრისგან. არადა, კრიტიკოსები ყოველთვის ტრადიციულ მიდგომას იჩენდნენ მისი ნაწარმოებების მიმართ და არ ითვალისწინებდნენ „ქალაქური პროზის“ თავისებურებებს. გნებავთ, „აქტიური მზის წელიწადი“ აიღეთ, ან სულაც, „მეშვიდე ცა“, ან სხვა ნაწარმოებები, — მკითხველი უამრავ ინფორმაციას იღებს მათი წაკითხვით. მიხარია, რომ „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემა დაიწყო. ძალიან საინტერესო პროექტია და განსაკუთრებით, ახალგაზრდებს წაადგებათ.



შვილიშვილებთან ერთად

ბიბლუსი

საბავშვო ბიბლიოთეკა
საბავშვო ბიბლიოთეკა



დღეი

**ფანჯარა და
წიგნები**

15 ივლისიდან

ბიბლუსის ყველა მაღაზიაში

ქართულენოვანი ლიტერატურა, ზეპირ ლექსები, ვაქანსები, ანტიკვლევა, სიმღერა, მხატვრობა, მათა და სხვა წიგნები ბავშვთა მხარე, ავტობიოგრაფიები, მათა და სხვა.

*ქართულენოვანი ლიტერატურა?
ზეპირ ლექსები?
ვაქანსები, ანტიკვლევა,
სიმღერა, მხატვრობა?*

თბილისი:
ბიბლიოთეკა #11
ბიბლიოთეკა #12
ბიბლიოთეკა #13
ბიბლიოთეკა #14
ბიბლიოთეკა #15

სამცხე:
ბიბლიოთეკა #16
ფანჯარა:
ბიბლიოთეკა #17

გურჯისტან:
ბიბლიოთეკა #18
ბიბლიოთეკა #19

ქვემო ქართლი:
ბიბლიოთეკა #20

აჭარა:
ბიბლიოთეკა #21

სამხრეთ-დასავლეთი:
ბიბლიოთეკა #22

ქვემო ქართლი:
ბიბლიოთეკა #23

სამცხე:
ბიბლიოთეკა #24

სამცხე:
ბიბლიოთეკა #25

ფანჯარა:
ბიბლიოთეკა #26

☎ 307 402
www.biblusl.ge





როგორ გავაჩუქოთ ქონება

ყველა ადამიანს უხარია, როცა სიურპრიზებით ანებივრებენ და საჩუქრებს უძღვნიან. საყვარელი ადამიანი ნებისმიერი ნივთით შეიძლება გაახაროთ, მაგრამ თუკი მისთვის უძრავი ქონების ჩუქება გსურთ, უნდა გახსოვდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში, ოფიციალური მხარის მოგვარება ყველაზე მნიშვნელოვანია და დოკუმენტი ნოტარიალურად შედგენილი უნდა იყოს.



„მჩუქებელს ნაჩუქარი ქონების დაბრუნება შეუძლია“

თბა სურსილავა

ბუნებრივია, სამოქალაქო კოდექსში არის შესაბამისი მუხლები, რომლითაც ჩუქების ხელშეკრულება რეგულირდება. ამასთან, ისიც უნდა გახსოვდეთ — გარკვეული დროის შემდეგ თუ მჩუქებელმა მიიჩნია, რომ ამ საჩუქარს მისი საყვარელი ადამიანი არ იმსახურებდა, მას შეუძლია, უმადურ ადამიანს ნაჩუქარი ქონება წაართვას. ცნობილ ადვოკატს, **ციცინო ცხველიანს** სწორედ ჩუქების ხელშეკრულებაზე ვესაუბრეთ.

— ქალბატონო ციცინო, თუ ადამიანი ქონების გაჩუქებას გადაწყვეტს, აუცილებლად ნოტარიუსს უნდა მიმართოს?

— სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს არეგულირებს. შეიძლება, ადამიანს ნებისმიერი ნივთი უპრობლემოდ აჩუქო და გაახარო; აჩუქო, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. ნივთის ჩუქებას აღარ სჭირდება არც წერილობითი და არც ნოტარიალური გაფორმება. მაგრამ თუკი საკითხი უძრავ ქონებას ეხება, ასეთ დროს აუცილებელია, კანონით დადგენილი ფორმა დაიცვათ. ჩუქების ხელშეკრულება მხარეებს შორის წერილობითი ფორმით ფორმდება და შემდგომ, საჯარო რეგისტრში მისი რეგისტრაცია აუცილებელია. ისიც უნდა იცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში, მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის ორმხრივი ხელშეკრულების დადება საჭირო. მართო მჩუქებლის ნება — რომ მას სურს, ადამიანს აჩუქოს თავისი ქონება — საკმარისი არ არის; მნიშვნელობა ენიჭება დასაჩუქრებულის აზრს და პარალელურად, მისი თანხმობაც უნდა არსებობდეს.

— საჩუქარზე ალბათ უარს არაფერ იტყვის. თუ არის გამონაკლისი შემთხვევები?

— რატომ?! შეიძლება, ადამიანს არ უნდოდეს ამ საჩუქრის მიღება;

გააჩნია, რა ქონებაზეა ლაპარაკი. შეიძლება ამ საჩუქარმა რაღაც პრობლემები შეგიქმნას და ამიტომ, სულ არ გინდოდეს მიღება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასაჩუქრებულისთვის რა შედეგს გამოიღებს. კანონი მჩუქებელს ვალდებულებასაც უწესებს: თუკი შეჰპირდება ადამიანი ვინმეს, რომ ქონებას გადასცემს და თუკი ნოტარიალურად დამოწმებულია ეს შეთანხმება, მაშინ მჩუქებელი ვალდებულია, დოკუმენტში მითითებული პირობა ზედმიწევნით შეასრულოს და დასახელებული ქონება დასაჩუქრებულს გადასცეს.

— ბუნებრივია, მხარეებს შორის დადებულ სიტყვიერ შეთანხმებას ძალა არ ექნება, არა?

— დიას. საჩუქრის დაპირება ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ წარმოშობს, თუ იგი სანოტარო წესით დადასტურებულია. კანონი შეზღუდვებსაც უწესებს მჩუქებელს. მაგალითად, პირს არა აქვს ქონების გაჩუქების უფლება იმ შემთხვევაში, თუკი ქონების გაჩუქება

მხარე სარჩელს შეიტანს და ჩუქების ხელშეკრულების გაბათილებას მოითხოვს, ასეთ დროს ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება. კანონით, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ შემთხვევაშიცაა შესაძლებელი, ლაპარაკი თუ დასაჩუქრებული უმადურობას გამოიჩინოს, რაც ადრე მოქმედ კოდექსში არ იყო. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული შეურაცხოფას მიაყენებს ან უმადურობას გამოიჩინოს მჩუქებლისა თუ მისი ახლო ნათესავის მიმართ; ოღონდ არ არსებობს კანონის ნორმაში კონკრეტული ჩამონათვალი დოკუმენტებისა ან პირობებისა — თუ რა მიიჩნევა დიდ უმადურობად; ეს სასამართლოს შესაფასებელია; სასამართლო თავად აფასებს იმას, გამოიხატა თუ არა უმადურობა.

— მხარეს ხელშეკრულების გაუქმება ნებისმიერ დროს შეუძლია?

— კანონით დაწესებულია, თუ რამდენ ხანში შეიძლება გაუქმდეს ჩუქება. თუკი დასაჩუქრებული შეუ-

კანონით, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებაც შესაძლებელია დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, რაც ადრე მოქმედ კოდექსში არ იყო

თავად მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს საარსებო წყაროს უსპობს.

— ქონების გაჩუქების შემთხვევაში, მჩუქებლის ოჯახის წევრების თანხმობა საჭიროა?

— კანონში არ არის მითითებული, რომ სხვების თანხმობა საჭიროა, მაგრამ თვითონ ხომ იცის მჩუქებელმა, თუ ვინ დაზარალდება ქონების გაჩუქებით. თუ დაზარალებული

რაცხყოფას მიაყენებს მჩუქებელს, ან ის შეიტყობს, რომ დასაჩუქრებულმა დიდი უმადურობა გამოიჩინა, ამ დროიდან ერთი წლის განმავლობაში მჩუქებელს შეუძლია, სარჩელით მიმართოს სასამართლოს და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვოს. თუკი სასამართლო დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას, შესაბამისად, ქონება უკან დაუბრუნდება. გარდა ამისა, კანონით, ქონება-



ის უკან დაბრუნება მჩუქებელს შეუძლია მაშინაც, თუკი მატერიალურად მიიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და მას არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. ასეთ დროს უფლება აქვს, უკვე გაჩუქებული ქონების დაბრუნება მოითხოვოს, ოღონდ ამან დასაჩუქრებული უკიდურესად მიიმე მატერიალურ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს.

— თუ ქონების დაბრუნებით დასაჩუქრებულს ზარალდება, ასეთ დროს, უპირატესობა ვის ენიჭება?

— თუკი დასაჩუქრებული მიიმე მდგომარეობაში ჩავარდება, კანონი უპირატესობას დასაჩუქრებულს ანიჭებს. ფაქტობრივად, თვით ჩუქების ხელშეკრულებაც არ არის მყარი ხელშეკრულება, რომელიც შემდგომში ხელუხლებელი რჩება. გაჩუქებული ნივთი არ შეიძლება გამოითხოვოს, თუკი გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიყენა თავი მიიმე მდგომარეობაში. — ვთქვათ, ორი ბინა ჰქონდა, ერთი გააჩუქა, მეორე გაყიდა ან გაასხვისა, შემდეგ კი თქვა, — იცით, ალარაფერი მაქვს და ჩემი გაჩუქებული ნივთი უკან დამიბრუნონო... თუ აღმოჩნდა, რომ მან ეს მდგომარეობა ხელოვნურად შექმნა, მაშინ ნივთი არ დაუბრუნდება. ჩუქების ხელშეკრულება სანოტარო წესით ფორმდება, სადაც მითითებულია, თუ ვინ არის მჩუქებელი, ვინ არის დასაჩუქრებული, რა ქონება გადაიცემა და რომ ქონება ნამდვილად, მჩუქებელს ეკუთვნის. როგორც წესი, ნოტარიუსი დასაჩუქრებულს აფრთხილებს და განუმარტავს — თუკი მომავალში ის უმადურობას გამოიჩენს ან შეურაცხყოფას მიაყენებს მჩუქებელს, ამას ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

— როგორი შინაარსის საჩივრები შედის სასამართლოში?

— ძირითადად ჩივიან იმის გამო, რომ ხელმოწერა არ ეკუთვნის ქონების პატრონს. ასევე ბევრი სარჩელი შედის დასაჩუქრებულის უმადურობის გამო. ცხადია, ეს სასამართლოს შესაფასებელია: როცა აშკარად ჩანს უმადურობა, სარჩელი დაკმაყოფილებულია. ადვოკატისთვის უფრო იოლია დასაჩუქრებულის დაცვა, ვიდრე მჩუქებლის. მე პირადად, უფრო ხშირად, დასაჩუქრებული დამიცავს და პროცესი მომიგია.

— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ოჯახის წევრები გაჩუქებულ ქონებაზე დაობდნენ?

— რა თქმა უნდა, არის ასეთი ფაქტები. დედამ ქონება ერთ შვილს აჩუქა და მეორე დაობდა. ძმა ამბობდა, — დედამ ჩემს დას აჩუქა ბინა, მან კი დედაჩემის მიმართ უმადურობა გამოიჩინაო. შეიძლება, ეს სიმართლეა, მაგრამ ასეთ დროს ძმა არასათანადო მხარეა, რადგან სასამართლოში დედამ უნდა იჩივლოს. ხშირად მხარე ამბობს, რომ მშობელს არ ჰქონდა უფლება, ბინა გაჩუქებინა. თუკი შვილს მიაჩნია, რომ მასაც ეკუთვნოდა ამ ბინიდან წილი, ამ დროს დედამ შელახა მისი უფლება, მაშინ ისინი სათანადო მომჩივნები არიან, მაგრამ რამდენად დაადასტურებს ამ გარემოებას პროცესზე, ეს უკვე სულ სხვა საქმეა. პრივატიზებული ბინა მამის სახელზე ირიცხებოდა; მან ერთ ქალიშვილს აჩუქა და მეორე ისე და-



ით, რომ დასაჩუქრებული ყურადღებას ალარ აქცევდა და ალარ ეპყრობოდა ისეთი პატივისცემით, როგორც ადრე. აქვე მიინდა განვმარტო: თუკი ადამიანი ქონებით დასაჩუქრებულსგან მატერიალური დახმარება სჭირდება, მან უნდა იცოდეს — ასეთ შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულება კი არა, სამუდამო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს. ჩუქების ხელშეკრულებაში დასაჩუქრებულს არანაირი ვალდებულება არ ეკისრება. ჩვენი საქმე განიხილა სასამართლომ და გაცივდა, რომ დასაჩუქრებულს არც შეურაცხყოფა მიუყენებია მჩუქებლისთვის და არც ცუდად მოჰქცევია, ამიტომ პროცესი მოვიგეთ და ქონება დასაჩუქრებულს დარჩა.

— თუ გქონიათ დავა სასამართლოში, გაჩუქებულ მოძრავ ნივთთან დაკავშირებით?

— არა, ასეთი შემთხვევა არ მქონია. როგორც ჩანს, ამას მხარეები უპრობლემოდ არეგულირებენ.

— თუ პირს მანქანის გაჩუქება სურს, მანაც ნოტარიალურად უნდა გააფორმოს ხელშეკრულება?

— რაც შეეხება მანქანის გაჩუქებას, — ამ დროსაც საჭიროა ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულება და ესეც ისე ფორმდება, როგორც უძრავი ქონება.

— როგორც ვიცი, ჩუქების ხელშეკრულების დროს მხარეს საკმაო თანხის გადახდა უნევს და ამის გამო ხშირად, ამ ხელშეკრულების დადებისგან თავს იკავებენ. ხომ ვერ გვეტყვი, რა თანხის გადახდა ეკისრება მხარეს?

— სანოტარო მოქმედებისთვის თანხა გადასახდელია. ნოტარიუსს განსაზღვრული ტარიფები აქვს. გადასახადი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ ვინ არიან ერთმანეთისთვის მჩუქებელი და გამჩუქებელი. თუ ქონებას პირველი ჯგუფის მექვიდრეებს გადასცემენ, მაშინ ისინი შეღავათებით სარგებლობენ, თუ არამექვიდრეებს, მაშინ შეღავათი არ არის გათვალისწინებული. ასეთი ხელშეკრულებები ძირითადად, ნათესავეებს შორის ფორმდება; იშვიათია, როცა არანათესავს გადასცემენ საჩუქრად ქონებას.

ტოვა. მეორე მოითხოვდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას და ბინაზე თანამესაკუთრეობას, რადგან იმ პერიოდში ბინაში რეგისტრირებული იყო და თვითონაც იქ ცხოვრობდა. ამ შემთხვევაში, მომჩივნამა შევიღმა მოიგო. მასაც ეკუთვნოდა ბინის გარკვეული ნაწილი, მაშინ კუთვნილი ქონება ისე დარჩა დასაჩუქრებულ შვილს, დანარჩენ ნაწილში კი ხელშეკრულება გაუქმდა, ამით ნაჩუქარი ქონება შეუმცირდა და დაუსაჩუქრებელ დას თავისი წილი დაუბრუნდა.

— კონკრეტული ფაქტები იქნებ კიდევ გაიხსენოთ?

— მჩუქებელმა ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა იმ მიზეზ-



სასხე

წყალში მხოლოდ „ნაგლე“ გოგონა გადაწყვიტა, გადნიერი იყოს

მშვენიერ შორინა ბიბაშვილს აქტიური დასვენება არ უყვარს. თავყვანისმცემელი მამაკაცების „იერიშების“ მოგერიებას, რეპლიკების მოსმენას და გოგონების არაკეთილგანწყობილ მზერას, განმარტოებით ყოფნა და ფიქრი ურჩევნია, ოღონდ უკაცრიელ კუნძულზე — არა: ცივილიზაციასთან „სიასლოვე“ მისთვის აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანმხლებ „პრინცსაც“ კი ცემას უპირებს...

ეთო ყორღანაშვილი

— ზაფხული ძალიან მიყვარს! ჰოროსკოპით კირჩხიბი ვარ და წყალში საოცრად ბედნიერად ვგრძნობ თავს, მაგრამ ცურვა არ ვიცი — ნაპირთან ვარ ხოლმე. შარშან დასვენება ვერ მოვახერხე. მხოლოდ 5 დღით გახლდით ბათუმში, ისიც — გადაღებაზე. პლაჟზე საღამოობით გავდიოდი... ვეცდები, დანაკლისი წელს ავინაზღაურო. ერთი სული მაქვს, ზღვაზე როდის გავვარდები (იცი-ნის)!

— თუკი წყალი ასე ძალიან გიყვარს, ცურვა რატომ არ ისწავლე?

— შევშინდი: ჩემს დაქალთან ერთად, სოფელში ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ცურვა არ ვიცოდი, ჩანჩქერიდან ვსტებოდი. ერთ-ერთი გადმობტომის შედეგად, საკმაოდ ბევრი წყალი ვყლაპე: მორევემა ცოტათი ჩამითრია, ჩანჩქერის ქვეშ მოვყევი და იქ დიდხანს ვგდე (იცი-ნის). წარმოიდგინე, რა „სინაგლეა“: ცურვა არ იცი და წყალში კლდიდან ხტები!

— ალბათ, იმ ადამიანების იმედი გქონდა, ვინც შენთან ერთად იყვნენ და ცურვა იცოდნენ, არა?

— ცურვა არავინ იცოდა. ვიდრე თავად არ ამოვეყვინთე და რაღაცას არ მოვებლაუჭე, არაფერი მემშველა. მას შემდეგ, მსგავსი ნახტომებისგან თავს ვიკავებ, მაგრამ წყალში მაინც ვაგდივარ (იცი-ნის).

— გარუჯვა გიყვარს?

— ისე, რა. ვიცი, რომ კანისთვის საშიშია. საკმარისია, 5 წუთის განმავლობაში მზის გულზე გავჩერდე, რომ უკვე ფერს ვიცვლი, რადგან ისედაც შავგვრემანი ვარ.

— სოლარიუმს არ სტუმრობ?

— ვსტუმრობ, რა თქმა უნდა: გადაღებისთვის მჭირდება ხოლმე — ეკრანს ნამზებული უხდება. სოლარიუმში 1 ან 2 ვიზიტი მყოფნის. მაღლობა ღმერთს, რომ ასეა, რადგან მინდა, მოვლილი და ჯანმრთელი კანი მქონდეს.

— ზაფხულობით თავს როგორ უვლი?

— არც თმას (ბუნებრივად ხვეული თმა მაქვს) და არც სახეს არ „ვანწვალე“. ვცდილობ, ცოტა „გავთავისუფლდე“, თუმცა როცა კამერის წინ დგახარ, საჭიროა, თავს სათანადოდ მიხედო.

— როცა პლაჟზე ხარ, თავყვანისმცემლებს როგორ იგერიებ?

— ყოველთვის ბევრი მეგობარი მახლავს თან. რაღაც რეპლიკები ყოველთვის მესმის, გოგონების არაკეთილგანწყობილ მზერას ვგრძნობ, რადგან ვილაცის შეყვარებული თვალს მაყოლებს და ა.შ. ამიტომ ვცდილობ, ჩემთვის, განცალკევებით ვიყო. შესაბამისად, აუზი მიყვარს და არა — ზღვა, რადგან პლაჟზე ბევრი ხალხია. ხალხმრავალ ადგილებს არ ვწყალობ.

— პასიური დასვენება გიყვარს?

— კი: სახლი, სიმშვიდე... მაგრამ ხალხმრავალ ადგილებში



სიარულიც საჭიროა: მეპატიჟებიან და რომ არ მივიდე, უხერხულია. ასე რომ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გასვლა ხშირად მინევს, თუმცა მირჩევნია, სახლში ვიყო, ტელევიზორთან დივანზე მოვკალათდე და რაღაცები ვი-მაიშუნო (იცი-ნის)...

— შენ და შენი გოგონა — ევა ერთად ისვენებთ ხოლმე?

— დასვენება ბავშვის გარეშე?! სულ უნდა ვინერვიულო, — ახლა სადაა, რამე ხომ არ სჭირდება და ა.შ. მირჩევნია, ჩემთან იყოს. თან, ისეთი შვილია, რომ არ მანუხებს, აბსოლუტურად დამოუკიდებელია. პირიქით, თავად ზრუნავს ჩემზე. უფროსი ადამიანის როლი შეითავსა და ფიქრობს, რომ უნდა მომიაროს... ძალიან საყვარელია (ილი-მის)! მე და ბავშვი ყოველთვის ერთად ვისვენებთ. გადაღებაზეც რომ მივდივარ, ევაც თან მიმყავს. სულ ასე ხდება... ალბათ, წელს დავგეგმავთ და დასასვენებლად წავალთ.

— სად?



— ან ბათუმში, ან — თურქეთში. ვნახოთ.

— საქართველოს ფარგლებს გარეთ დასასვენებლად ყოფილხარ?

— ბავშვებთან ერთად — არა. ინდოეთში გადაღებაზე ვიყავი, მაგრამ იქ დასვენება არ გამოვიდა — მუშაობა ძალიან რთულ რეჟიმში გვინევდა. გადაღების შემდეგ, სანაპიროზე გავდიოდით, სანთლის შუქზე ზღვის პროდუქტებს ვჭამდით, შემდეგ ქვიშაზე ფეხშიშველები დავდიოდით... სასწაული იყო! ისეთ საოცარ გარემოში ვიმყოფებოდი, რომ მეგონა, იმის იქით აღარაფერი არსებობდა! მარტო საყვარელი ადამიანი უნდა გენატრა გვერდით, მაგრამ იქ მხოლოდ ფილმის გადაღებ ისთვის საჭირო აპარატურა და გადაამლევი ჯგუფი იყო. დასვენებისა და რომანტიკისთვის დრო ნამდვილად არ გვქონდა (იციან).

— რადგან საყვარელი ადამიანი ასხენე, გვიტხარი — ე.წ. საკურორტო რომანებზე რას ფიქრობ?

— ფლირტი და მით უმეტეს, საკურორტო რომანი ჩემთვის მიუღებელია. არ შემიძლია, ვინმე მცირე ხნით მიყვარდეს. თუ მიყვარს, ბოლომდე მიყვარს. ცოტა ხნით გავერთო და მერე სახლში წავიდე? ასეთი საქციელი არ მესმის. ორკვირიანი ფლირტი, გაპრანჭვა არ შემიძლია. თან, შვილი მყავს, რაც იმის უფლებას არ მძლევს, რომ სხვანაირად მოვიქცე.

— მამაკაცთან დაკავშირებით ევას აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებ?

— აბა, რა! თუ ჩემმა შვილმა ვერ გაუგო, არ მოეწონა, გამოირიცხულია, იმ მამაკაცთან ურთიერთობა განვაგრძო. ევა სულ გვერდით მყავს, ყველაფერი ჩემთან ერთად გამოიარა და ვინმე კაცის გამო... არა, რა სისულელეა, ჩემთვის შვილი ყველაზე მნიშვნელოვანია!

— შორენა, მთაში დასვენება თუ გიყვარს?

— ვერ ვიტან!

— რატომ?

— ვერ ვხვდები, იქ რა უნდა ვაკეთო? დარწმუნებული ვარ, ისეთი დეპრესია დამემართება, რომ შეიძლება, სამუდამოდ მთაში დავრჩე — იქ დამმარხონ (იციან)!

მთაში რა ვაკეთო — აბიბინებულ ბალახს, ხეებს ვუყურო?

— ხომ შეიძლება, ბუნებაში გაისეირნო, გაირუჯო...

— როცა თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე, დედამ პატივი მცა და დასასვენებლად სოფელში (კახეთში) გამიშვა. წყალი ამოდიოდა. დასალევ წყალს „700“ კილომეტრიდან „მივათრევდი“, ვისიცხებოდი... ის ერთი კვირა ჩემთვის ნამდვილი კატასტროფა იყო! სოფლიდან ისე გამოვიქციე, რომ მას შემდეგ აღარც ჩავსულვარ (იციან). მერჩინა, თეატრალურში დედას თოდ არ ჩამებარებინა და დავდასასასვენებლად არ გავეშვი. ის პერიოდი ისე ცუდად მახსენდება, რომ არასოდეს აღარ წავალ ისეთ ადგილას, რომელიც ცივილიზაციასაა მოწყვეტილი! არ შემიძლია!

— უკაცრიელ კუნძულზე რომ მოხვდები?..

— (მანყვევინებს) ვაიმე, ვაიმე!.. შეიძლება, იქ ვინ ვცემო!

— კი, მაგრამ იქ ვინ უნდა ცემო?!

— გოგონები ხომ ნატრობენ ხოლმე, — ნეტავ, უკაცრიელ კუნძულზე ლამაზ ბიჭთან ერთად მოვხვდეთ?! თუკი იქ კბილის ჯაგრისი, ჩემი სუნამოები არ მექნება, ფრჩხილს ვერ „გავიქლიბავ“, ლაქს ვერ წავისვამ, შეიძლება, ცუდად გავხდე! არც ის „პრინცი“ მინდა, ვინც იქ „ეგდება“ (იციან)!..



— საზაფხულო გარდერობი განაახლე?

— ცოტათი დატბა თუ არა, უამრავი სამოსი შევიძინე. რაც მთავარია, „კუპალინიკები“ არ მაქვს, უფრო უხსტად — შარშანდელი მაქვს ანუ განახლება მომიწევს. წელს ღია ფერის, ჭრელი „კუპალინიკები“ მინდა.

— „მაიტა ნასოსში“ ვარდისფერი საცურაო კოსტიუმი გაცვია?

— კი, ჩემი „კუპალინიკია“. საერთოდ, გადაღებისას ჩემი, კარგი საცურაო კოსტიუმის ჩაცმა მირჩევნია, თუმცა, რა თქმა უნდა, ყიდვაც შემომთავაზეს. ძირითადად, „ფილმების“ „კუპალინიკები“ მაცვია, მაგალითად — „ვიქტორია სეკრეტის“ თეთრი, ძალიან ლამაზი საცურაო კოსტიუმი, რომელიც ფილმში — „ყველაფერი კარგად იქნება“ — მაცვია და რომელსაც ყველა კარგად იცნობს (იციან). უკვე ძველია, წარსულს ჩაბზარდა.

— ერთი და იმავე სამოსით საზოგადოების წინაშე გამოჩენას ერიდები?

— მინდა, თუ — არა, ასე ვიქცევი, რადგან მერე იტყვიან, — რა არის, ამის მეტი არაფერი აქვსო (იციან)!? მიუხედავად იმისა, რომ არ მსიამოვნებს, გარდერობს მაინც ხშირად ვახსენებ, რადგან ვიცი, რომ რაღაც წვეულებაზე უნდა წავიდე და საზოგადოებასთან „შეხმატკბილებულად“ უნდა მეცვას.

— „ძველი სამოსი“ სად მიგაქვს?

— ჩემს მეგობრებს, დასვრუქნი, ზოგს კი ჩემი შვილისთვის ვინახავ, რადგან ევას უკვე ბევრი რაღაც ძალიან უხდება. ასე რომ, ძვირად ღირებულ ტანსაცმელს ვინახავ. ჩემს გარდერობში უამრავი სამოსია. ვცდილობ, რაც აღარ მინდა, „გადავყარო“ — გარდერობში რომ შეიხედავ, ყველაფერი უნდა ჩანდეს: ფეხსაცმელები, ტანსაცმელები...

— ...ანუ შენს გარდერობში ქაოსი არაა?

— არა. როცა რაღაც მინდა და ვერ ვპოულობ, საშინელება ხდება! ამიტომ ყველაფერი მოწესრიგებული მაქვს, სეზონის მიხედვითაა დანყობილი. ბენვეულსა და ტყავის ქურთუკებზე ვგიჟდები! ჩანთების კოლექცია მაქვს. ჩემს გარდერობში უამრავი ჩანთა და ფეხსაცმელია... გადავწყვიტე, ამ ზაფხულს „ჭრელი“, ბედნიერი შორენა ვიყო (იციან)!..

ვის მეზობლებს „უნთებდა“ გულს გიგი დედამაზიშვილი

„ქართველი ვარ და რა ვქნა?!“

„მგზავრების“ სოლისტი გიგი დედამაზიშვილი ადრე თურმე რომანტიკული ყოფილა, სიყვარულისთვის სისულელეებიც უკეთებია, სიყვარულისგან დათრგუნვილს სიმღერებიც უწერია. ახლა ამ რომანტიზმის ცოტა რცხვენია... უმეტეს დროს მეგობრებთან ერთად ატარებს, მათთან მუშაობს და მათთან ისვენებს. ძილიც უყვარს. მასზე ამბობენ, თუ დაიძინა, აღარ იღვიძებს და თუ გაიღვიძა, აღარ იძინებსო. გულწრფელიცაა. ამიტომ მისი ფსიქოპორტრეტის შექმნა არ გაგვჭირვებია.

ნიმუშაღმდელი

— როგორ იწყება შენი დღი?

— ვილაცამ თუ არ გამაღვიძა, არაფერი მშველის, არც მაღვიძარა. უნდა დამეჯავჯავროს ვინმე და მითხრას, — გიგი, ადექო! მეუბნებიან, რომ ერთი დაძახება არ მშველის.

— სმაურშიც შეგიძლია, დაიძინო?

— თუ ძალიან დაღლილი ვარ, სავარძელში დამჯდარსაც დამეძინება.

— დაღლას რას უხერხებ?

— არ ვიცი. რომ ამბობენ, მეგობრებთან ერთად ვისვენებო, ეს ჩემს შემთხვევაში არ ამართლებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სულ მეგობრებთან ერთად ვარ. მე ხომ რომელიმე კომპანიის თანამშრომელი არა ვარ, — მეგობრებთან ერთად ვმუშაობ, მათთან ერთად ვისვენებ.

— დასვენება სმაურში — „ტუსოვკაზე“, დისკოთეკაზე გირჩევენა თუ სინცნარეში, წიგნთ ხელში?

— ორივე მიყვარს, თუმცა „ტუსოვკაზე“ ბოლო დროს იშვიათად დავდივარ. ერთი პერიოდი იმდენად ხშირად მიწევდა სახლში ყოფნა (ჩვენ ხომ რეპეტიციები ჩემთან სახლში გვექონდა), მერე, ე.წ. „ტუსოვკაზე“ ხალხმრავლობამ ცოტა არ იყოს, შემანუხსა, არ მესიამოვნა.



— იქნებ, მუსიკამ დაგლალა?

— სხვათა შორის, მუსიკასაც აქვს ასეთი თვისება. თან, მე სულ ვუსმენ მუსიკას.

— საინტერესოა, როგორ მუსიკას უსმენ. მაგალითად, მობილურზე რა ზარი გიყვინა?

— ბანალურად ჟღერს, მაგრამ ყველაფერს ვუსმენ, განწყობილები-სდა მიხედვით. ისე, „პინკ ფლოიდი“ მიყვარს ძალიან. ამ ჯგუფს აქვს სიმღერები, რომლებსაც დღისით ვუსმენ და სიმღერები, რომლებსაც ღამით ვუსმენ. მობილურს რაც შეეხება, ისეთი ტელეფონი მაქვს, რომელშიც მელიოდიები არ იწერება, თავისი ზარები აქვს. მიყვარს, მესამე წელია, ეს მობილური მაქვს.

— გაბრაზებული გიგი როგორია?

— უი, ცუდი ძალიან — ყვირის, რალაცებს ამტვრევს... ფიცხი ვარ. საკუთარ თავზეც ბევრჯერ გავბრაზებულვარ. საერთოდ, როცა ცუდი რალაც ხდება ჩემს ცხოვრებაში, ვფიქრობ, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, რომ ასე იყო საჭირო, თუნდაც — შემდგომი წარმატებისთვის. ამით ვიმშვიდებ თავს.

— მუზა როდის მოდის — გაბრაზებულ გულზე თუ კარგ ხალათზე?

— არ ვიცი, მართლა არ ვიცი. ზოგჯერ ვჯდები და ისეთ ცუდ სიმღერებს ვწერ, მერე რომ ვუსმენ, გული მისკდება. ეს იმ შემთხვევაში, როცა შეკვეთა მაქვს. ასეთ დროს გიტარას ვდებ და სხვა საქმეს ვკიდებ ხელს.

— სახლში როგორია გიგი — ჩვეულებრივ, ყოფით ცხოვრებაში?

— ძალიან ზარმაცი. მთელი დღე მძინავს. ჩემზე ამბობენ, — თუ გაიღვიძა, აღარ იძინებს და თუ დაიძინა, აღარ იღვიძებსო (ილიმის). მართლა ასეა. ძალიან მინდა, მეც 7 საათზე გავიღვიძო, მაგრამ დილით ამ დროს შემოვდივარ სახლში და მშურს

იმ ადამიანების, ვინც ამ დროს სამსახურში მიდიან, მე კიდევ უნდა დავიძინო და შუადღისას გავიღვიძო.

— ჯიუტი ხარ?

— არა. მაგალითად, არ მომწონს რომელიმე სიმღერა და ვამბობ, — მოდი, ეს არ ვიმღეროთ-მეთქი. ძალიან ადვილია ჩემი გადარწმუნება. თუ ჯგუფის წევრები იტყვიან, — რატომაც არაო, ვთანხმდები. პატარა „რკები“ კი მაქვს, მაგრამ მამტვრევენ ხოლმე...

— რომანტიკული თუ ხარ?

— ვიყავი.

— რომანტიკული ან ხარ, ან არა; ვიყავი და აღარ ვარო, ჯერ არავისგან მსმენია...

— იცი, რამია საქმე? — რაც დრო გადის, უფრო მრცხვენია ასეთი რალაცების. თუმცა დღესაც არის სიტუაციები, სადაც ჩემს რომანტიკულობას ჩემდა უნებურად ვამჟღავნებ ხოლმე. ძალიან ბევრი სისულელეც ჩამიდენია სიყვარულისთვის.

— მაგალითად?

— დიდი ორიგინალურობით ვერ გამოვირჩეოდი — ძირითადად, გულის ფორმის ცეცხლს ვუნთებდი გოგონებს; თუ „ბენზინი“ მყოფნიდა, გულში იმ გოგონას სახელსაც ვწერდი... ერთი ლიტრი ბენზინით კარგა მოზრდილი გული ისატებოდა (იკინის). სწორ შემთხვევაში არ მიმართლებდა — გოგონა სახლში არ მსვდებოდა და მეზობლებისთვის მომიწყვია ეს სანახაობა.

— მგონი, იმიტომ გაგარა რომანტიზმმა, რომ გოგონები სახლში



არ გხვდებოდნენ-

— (იციანის) არ ვიცი, შეიძლება.

— **შენმა რჩეულმა შენი თანდასწრებით ფლირტი რომ გააჩაღოს-**

— (მანყვეტიანებს) მოკვლავ! ძალიან არ მიყვარს ეგეთი რამეები. ბუნებით ქართველი ვარ. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ ქართველი ვარ! კი მინდა, ცოტა ლაითად შევხედო ესეთ რალაცებს, მაგრამ რა ვქნა, ვერ შევეგუები ბევრ ისეთ რამეს, რაც ევროპელისთვის მისაღებია.

— **მაგალითად?**

— თუნდაც დამოკიდებულება ოჯახთან. მე არ მინდა, ცოლს რომ მოვიყვან, ცალკე ვიცხოვრო. ოჯახი მიყვარს, სამი თაობა, მეგობრები.

— **მოგეწონება, შენ გვერდით შენს მეუღლეს ინტერესით რომ აკვირდებოდნენ?**

— მაგაზე ბევრი ვიფიქრე და ერთ დასკვნამდე მივდი: თუ ადამიანს უყვარხარ, ყველაფერს შენთვის აკეთებს — შენთვის იცვამს, შენთვის იპრანჭება... არც ისეთი ქართველი ვარ, ცოლებს რომ სახლში ძალით სვამენ; მინდა, ჩემი ცოლი წარმატებული ქალი იყოს, ჰქონდეს თავისი საქმე, იმიტომ, რომ საკუთარი თავი არ „შეჭამოს“, დეპრესია არ დაემართოს, არ იწუნუნოს. ქალების წუნუნის მკლავს, ეგრევე ვყვირი მაგაზე, სადაც უნდა ვიყო. ჩაცმის კომპლექსიც მაქვს, მომთხოვნი ვარ ამ მხრივ — მოკლე ქვედაბოლო და დეკოლტე არ მინდა, რომ ჩემს ახლობელს ეცვას.

— **ეი კორექტივებსაც შეიტან მეუღლის ჩაცმის სტილში?**

— არა, მე აღარ შემაქვს ხოლმე კორექტივები; ყველამ იცის, რომ გიგის ეს არ მოეწონება და ჩემთან ერთად ყოფნისას ასე არ იცვამენ. თეატრალურში ჩემს მეგობარ გოგოებს ხშირად მოკლე ქვედაბოლო არ ჩაუცვამთ, იმის გამო, რომ არ მოეწონებოდა. საერთოდ, როცა ვინმე მიყვარს, იმის მიმართ განსაკუთრებით მომთხოვნი ვარ. ჩემი და იქნება ეს, დედა თუ მეგობარი, მინდა, სამაგალითოები იყვნენ, პირველ რიგში — ჩემთვის.

— **რამდენად მეგობრული ხარ დასთან? მაგალითად, ნინის შეუძლია გაგამილოს, რომ შეყვარებულია ან თავის თაყვანისმცემლებზე გელაპარაკოს?**

— ნინი ძირითადად, როცა გაუჭირდება, მაშინ მომმართავს, სხვა შემთხვევაში ვერც მოვუსმენ: ბავშვია ნინი...

— **რამდენი წლის არის?**

— 22-ის.

— **შენ?**

— 24-ის. მაგრამ ჩემთან შედარებით, ბავშვია. ჩემს დას შეყვარებული ჯერჯერობით არ ჰყოლია და ეს ძალიან მახარებს (იციანის). ვილაც ბიჭი ალბათ მოსწონებია, მაგრამ რამდენი ბიჭიც

მოეწონება, რომ მოვიდეს და მითხრას, — გიგი, ახლა ბიჭმა გაიარა და ძალიან მომეწონაო, — რა თქმა უნდა, არ მესიამოვნება. თვითონაც არ მომიყვება ყველაფერს: ძალიან ვერვითობ ასეთ რალაცებზე და რატომ უნდა მანერვიულოს?! ასეთ რამეებს გოგონები ალბათ დაქალებს უყვებიან, მე ხომ ნინის დაქალი არ ვარ!

— **ემოციებს სხვების თანდასწრებით გამოხატავ?**

— ეგ პრობლემა მაქვს — თავს ვერ ვიკავებ.

— **ბოლოს როდის იტირე?**

— ფილმი ვნახე — „ხაჩიკო“, ძალზეა და მაშინ ვიტირე.

— **ცხოველები ვიყვარს?**

— კი. ჩემი ძალი არ შეგხვდა სადარბაზოში?

— **კი, შეშვდა. მიირთმევდა. რა ჰქვია?**

— სევდია. სევდიანია ძაან (იციანის).

— **ტყუალი გითქვამს?**

— როგორ არ მითქვამს?! ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ — არა. ისიც ხომ ტყუილია, სიმღერის ხასიათზე რომ არა ხარ და სცენაზე გადიხარ და მღერი.

— **სახლში მშვირი როცა ბრუნდები და კრძი არ გხვდება, რა რეაქცია გაქვს?**

— იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან მიყვარს კვერცხი და სულ გვაქვს სახლში, ამის გამო სკანდალს არ ავტებ. შემიძლია, თავდაც გავაკეთო ტაფამწვარი. დედაჩემი კი მეუბნება ხოლმე, — შვილო, ნახე, რა გემრიელი, ვთქვათ, „სუმხარჩო“ გავაკეთე, გასინჯე მაინცო, — მაგრამ მე კვერცხი მირჩევნია. ბავშვობაში მაშინებდნენ, მალე კაკანს დაიწყებო და აჰა, აკვანკანი, სიმღერა კი დავინყე (იციანის).

— **შეყვარებული გიგი როგორია?**

— თუ ორმხრივია სიყვარული, ბედნიერი ვარ, თუ ცალმხრივად ვარ შეყვარებული, ძალიან მანუხებს ეს გრძნობა, სახეზე მაწერია ყველაფერი.

— **სიმღერასაც უფრო ხშირად წერ?**

— არა, ადრე ვწერდი ხოლმე სიმღერებს დათრგუნვილ სიყვარულზე (იციანის). ახლა დიდი ბიჭი ვარ, 24 წლის (იციანის), გამოცდილებაც მაქვს.

— **რომელი პროფესიის ქალს არ შეირთავ ცოლად?**

— არასდროს თქვა „არასდროსო“, ხომ იცი?.. ძნელია ამის თქმა.

— **მსახიობიც რომ იყოს შენი**

მეორე ნახევარი, მაინც არ შეუშლი კარიერაში სელს?

— მსახიობი ქალი ყველაზე რთული ქალია. მე თეატრალური დავამთავრე და მქონია მათთან მეგობრული ურთიერთობა. თუ რეალიზებული არ არის, მტერს არ ვუსურვებ ასეთ ქალს ოჯახში. სადაც უნდა იმუშაოს და რა რაოდენობის შემოსავალიც უნდა ჰქონდეს, სულ ემასსოვრება ის, რომ დღეს სცენაზე შენ გამო არ დგას. არადა, როგორ შეიძლებოდა, კარიერაში წარმატების მიღწევა და როგორ დაჩაგრეს!

— **ისე კარგად ჩამოაყალიბე არარეალიზებული მსახიობი ქალის წუნუნი, ვეჭვობ, ასეთი ქალისთვის არაერთგზის მოგისმენია.**

— მომისმენია?! მეტს კი არაფერს ვაკეთებ — მსახიობი ვარ და ირგვლივ სულ მსახიობი ქალები მყავს.

— **ბოდიშის მოხდა გეადვილება?**

— თუ სხვანაირადაც შეიძლება სიტუაციიდან გამომდინარე, მირჩევნია, არ მოვიხადო, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის, არც ეგაა დიდი პრობლემა.

— **იზუტები ხოლმე?**

— კი.

— **რამდენი დღე შეგიძლია, იყო გაბუტული, მაგალითად, დასთან?**

— ნინისთან ერთი თვეც ვყოფილ-



ვარ გაბუტული.

— **პირველ ნაბიჯს შეროგებისკენ ვინ დგამს ხოლმე?**

— ის, რა თქმა უნდა!

— **დასასრულ, „მგზავრების“ საზაფხულო გეგმებზეც გვითხარო, რას აპირებთ?**

— კონცერტები გვაქვს დაგეგმილი: თელავში მივდივართ, ზუგდიდში, ქობულეთში, ბათუმში, ქუთაისში. მიგვიწვიეს. ასე რომ, სამუშაოს დასვენებას შევუთავსებთ და საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც მოვიწახულებთ.

— **ისლა დამრჩენია, წარმატებები გისურვო!**

— მადლობა!



„მაიტა ნასოსი“ ლამაზიანი „მის მსოფლიო თასზე“ საქართველოს სახელით წარდგება

მოდელი ოქსანა ტარაშჩინაძე მსახიობის პროფესიაზე სერიოზულად ფიქრობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეროტიკულ სცენებში მონაწილეობაზე არანაირი გასამრჯელოს ფასად არ დათანხმდება. მისი, როგორც მსახიობის დებიუტი ფილმში — „მაიტა ნასოსი“ შედგა, სადაც შორენა ბეგაშვილთან ერთად ითამაშა...

ოქსანა სამოდელიო საქმეს სერიოზულად არ ეკიდება — მისთვის ეს უბრალოდ ჰობია, მთავარი კი — სწავლა-განათლება და ოჯახია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცოტა ხნის წინ საქართველოში ჩატარებული სილამაზის კონკურსისთვის განსაკუთრებულად არ ემზადებოდა, მაინც გაიმარჯვა და შემოდგომაზე ჩინეთში „მის მსოფლიო თასზე“ საქართველოს სახელით წარდგება.

ითო უორლანაჰვილი

— ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით, სილამაზის კონკურსი საქართველოში პირველად ჩატარდა და როგორც ორგანიზატორებმა თქვეს, ანი სისტემატურად გაიმართება.

— ამ კონკურსზე როგორ მოხვდით?

— სააგენტო VIP-იდან დამიკავშირდნენ და მონაწილეობა შემომთავაზეს.

— VIP-ის მოდელი ხარ?

— თავისუფალი მოდელი ვარ — კონტრაქტი არც ერთ სააგენტოსთან არა მაქვს გაფორმებული. ისე, ზალიკო ბერგერთან ვემგობრობ და შეიძლება ითქვას, რომ მისი წამყვანი მოდელი ვარ.

— კონკურსში რამდენი გოგონა მონაწილეობდით?

— 12.

— მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევდით?

— კონკურენტის ვერ ვგრძობდი, რადგან აშკარად ეტყობოდა, გამარჯვებული ვინც იქნებოდა (იციან)...

— ჟიურის წევრები ვინ იყვნენ?

— დიზაინერი თეა ლომიძე, კობა ბრეგაძე, ბორის ბეღია (რომელიც ძალიან მგულშემატკივრობდა და შეიძლება, თავის კლიპშიც გადავიღოს), ერთ-ერთი სერიოზული ფირმის პრეზიდენტი, იტალიაში მოღვაწე ქართველი მოდელი და სააგენტო „ლეონის“ ხელმძღვანელი.

— კონკურსისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდით?

— სიმართლე რომ ვთქვა — არა. არავითარი დიეტა არ დამიცავს. ყველაფერი უცბად მოხდა. კონკურსის შესახებ მის დაწყებამდე სულ რაღაც 5 დღით ადრე გავიგე.

— გოგონების ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავდა?

— დიზაინერი ქეთი ჯანაშია. ჯერ საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილები გავდით, შემდეგ — კაბებში. „მის მსოფლიო თასზე“ (რომელიც შემოდგომაზე ჩინეთში გაიმართება) თეა ლომიძის 10 კაბით წარვდგები.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობდით?

— ესპანეთს, რომელმაც მოიგო კიდეც (ილიმის)!

— სპორტის ეს სახეობა მოგწონს?

— ძალიან — არა, მაგრამ მომწონს. 2 წლის წინ „მის სპორტ-შიც“ ვმონაწილეობდი. მესამე ადგილი დავიკავე — „მის გრაცია“ გავხდი, 2007 წელს კი — პირველი „ვიცე-მის ბიკინი“.

— „მის სპორტის“ მონაწილეები სილამაზის სხვა კონკურსებისგან განსხვავებულ კრიტერიუმებს უნდა



აკმაყოფილებდნენ?

— არა, ისიც ჩვეულებრივი სილამაზის კონკურსია.

— განსაკუთრებულად არც მსოფლიო კონკურსისთვის ემზადებთ?

— კარგად უნდა მოვემზადო, წონაში 7 კგ დავიკლო. მსურს, როცა ჩინეთიდან დავბრუნდები, ჩემი მშობლები ჩემით ამაყოფდნენ!

— წონაში დაკლება გიჭირს?

— არა. უბრალოდ, სალამოს 6 საათის შემდეგ არაფერს შევჭამ და — მორჩა (იციან).

— დიდი ხანია, რაც სამოდელიო სფეროში მუშაობ?

— 15 წლის ასაკიდან.

— შენი, როგორც მსახიობის დებიუტი, ფილმში „მაიტა ნასოსი“ შედგა, არა?

— დიახ. კიდეც 2 ფილმში უნდა გადავიღო, სადაც უფრო სერიოზულ როლებს შევასრულებ, თუმცა ამაზე წინასწარ საუბარი არ შეიძლება.

— კარგი, მაშინ „მაიტა ნასოსზე“ ვისაუბროთ. ამ ფილმში როგორ მოხვდით?

— ფილმის რეჟისორები ჩემი მეზობლები არიან. მათ როლი შემომთავაზეს და შორენა ბეგაშვილთან ერთად გადამიღეს. გადაღების პროცესი ძალიან საინტერესო იყო, მომეწონა!

— სვანეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას სახალისო ხომ არაფერი გადაგხდენია თავს?

— კი. ჩვენი ავტობუსი სვანეთში





ვისთან ერთად ცხოვრობ?
 — დედასთან, მამიკოსთან და დაიკოსთან. მამა უკრაინელია, დედა — რუსი.
— დიდი ხანია, რაც საქართველოში ცხოვრობ?
 — მე — კი: აქ დავიბადე და გავიზარდე.
— უკრაინას ხშირად სტუმრობ?
 — კი, იქ ნათესავები მყავს და ხშირად მივემგზავრები. გაისად კიევში სასწავლებლად წასვლას ვაპირებ, სადაც უმაღლეს განათლებას მეორედ მივიღებ: საქართველოში ახლახან უნივერსიტეტში სწავლა დავასრულე. სექტემბრიდან მუშაობის დანყებას ვაპირებ, „პიარის“ ან მარკეტინგის განხრით.

რომ ავიდა, შუქი არ იყო. ჯოხებით შეიარაღებული სვანები გზაზე გამოვიდნენ და ყვირილი დაიწყეს: ავტობუსი გააჩერეთ, გააჩერეთო! ვერ გადავწყვიტეთ, გაგვეჩერებინა თუ — არა, რადგან არ ვიცოდით, რა უნდოდათ. ბოლოს მაინც გავაჩერეთ. დახმარება ხომ არ გინდათო? — გვკითხეს (იცი-ნის)... ძალიან ხალისიანი ხალხია. არ იცი, მათგან რას უნდა ელოდო.

— შენ დაც მოდელია?
 — ისიც მოდელია, მაგრამ ახლა თმის გადანერგვის კლინიკაში მუშაობს. სამედიცინო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული.



— სვანეთი თუ მოგწონა?
 — ძალიან ლამაზია! მერე ბათუმშიც წავედი — გადაღება იქაც გვერდა. რადგან კინოში ჩემი დებიუტი იყო, გადაღებების დასრულების შემდეგ, რეჟისორებმა და მსახიობებმა საჩუქარი გამიკეთეს — აფრიკელი ქალის ძალიან ლამაზი პატარა ქანდაკება გადმომცეს.

— ოქსანა, გარუჯვა თუ გიყვარს?
 — კი. კონკურსისწინა დღეებში „ზაგარს“ სოლარიუმში ვიღებდი. საერთოდ, ძირითადად, სოლარიუმში ვირუჯები, მაგრამ ზაფხულში დასასვენებლად ზღვაზე რომ მივემგზავრები, ნამზუურს პლაჟზე ვიღებ.

— შორენა როგორი პარტნიორი იყო?
 — მას ვიცნობ, როგორც ძალიან კარგ ადამიანს. მხიარული გოგონაა. შორენასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.

— გარდა წინასაკონკურსო პერიოდისა, გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობ?
 — რასაკვირველია! სილამაზის სა-

— როგორც დებიუტანტ მასივობს, რჩევები თუ მოგცა, თუ დაგეხმარა?

— არა, არავინ დამხმარებია. ფილმამდე ბევრ მუსიკალურ კლიპში, სარეკლამო რგოლში ვმონაწილეობდი... ნიკა არაბიძემ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მისი დამსახურებაა, რომ კამერის წინ არ ვკომპლექსდებოდი. მუშაობა გამიიოლა.



— ეროტიკულ სცენებში მონაწილეობას თუ მიიღებ?
 — არა. 100%-ით ვიცი, რომ არა!

— რატომ?
 — იმიტომ, რომ საქართველოში ვცხოვრობ და ჩემთვის ეს მიუღებელია. ჩემმა ოჯახმა სხვანაირად აღმზარდა. ასე რომ, ძალიან თამამიც ვერ ვიქნები, რაც უნდა ბევრი ფული შემომთავაზონ.

— შენს ოჯახზე გვიამბე.

ლონი — ჩემი ცხოვრებაა! თავს განსაკუთრებულად ვუვლი და მიმამჩნია, რომ ნებისმიერი გოგონა ასე უნდა იქცეოდეს.

— ამ ზაფხულს დასასვენებლად სად მიემგზავრები?

— ესპანეთში. მოგზაურობა ძალიან მიყვარს!

— ბევრ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— ძალიან ბევრში — არა: უკრაინაში, რუსეთში, სომხეთში... მთელი თურქეთი მოვლილი მაქვს. ჯერჯერობით, სულ ესაა (იცი-ნის).

— საქართველოში ბევრ ადგილას ხარ ნამყოფი?

— კი.

— რომელს გამოარჩევ?

— მცხეთას. ისტორიული ქალაქია

და ძალიან მომწონს. ასევე — ვარძის.

— ოქსანა, შეყვარებული არ გყავს?

— არა.

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— ქართველი ბიჭები მომწონს: მამაკაცურები არიან — ჩემთვის ეს მთავარია. მნიშვნელოვანია, მამაკაცი ტუნნი არ იყოს. მასთან ნამდვილ ქალად უნდა ვიგრძნო თავი!

— კიდევ რას მეტყვი, შენს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ხომ არ ხდება?

— არა. ახალ წინადადებებს ველოდები. ჩინეთიდან რომ დავბრუნდები, მოდელად აღარ ვიმუშავებ ალბათ.

— რატომ?

— სხვა გემები მაქვს. მინდა, ოჯახი შევქმნა.

— მგონი, მომაცყუე, როცა მითხარი — შეყვარებული არ მყავსო...

— (იცი-ნის) ჯერ ამაზე საუბარი არ მინდა.

— საყვარელი ადამიანის გამო, კარიერაზე უარის თქმა შეგიძლია?

— თუკი ნამდვილი სიყვარულია, კი.

27 წლის ასაკში დაწყებული ჟურნალისტური გზა და ასაღბარდა გეოლოგის აღმოჩენა



თათა დაღვალი

— ჩემი კარიერის ფორმირება კომუნისტების მმართველობის პერიოდს დაემთხვა და ამან მნიშვნელოვანი დაღი დაასვა. სკოლა რომ დავამთავრე, მშენებლობაზე წავედი სამუშაოდ, რადგან უმაღლესში, გეოლოგიურზე ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას. მშენებლობაზე და გეოლოგობაზე ფიზიკურ შრომას მოითხოვს და მამა მეუბნებოდა, გამოგადგებაო. მომდევნო წელს გეოლოგიურზე ჩავაბარე. შემდეგ 2 წელი საბჭოთა ჯარში ვიმსახურე. მერე უნივერსიტეტი დავამთავრე და მუშაობა დავიწყე. დამწყები გეოლოგისთვის ძალიან კარგი სტარტი მქონდა — უნივერსიტეტშიც და კვლევით ინსტიტუტშიც ვმუშაობდი. ასპირანტურაც დავამთავრე. მაგრამ ერთ დღეს, პრაქტიკული საქმიანობისას მივხვდი, რომ ეს ის არ იყო, რაც ცხოვრებაში მინდოდა და მხიბლავდა.

— როდის დაიწყეთ ჟურნალისტად მუშაობა?

— გაზეთში წავაწყდი განცხადებას, რომ იხსნებოდა რადიო „საქართველოს ხმა“ და სამუშაოდ ნიჭიერ ასაღბარდებს იწვევდა, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ ჟურნალისტური განათლება. მე და ჩემი მეგობარი (რომელიც ასევე დარჩა ჟურნალისტიკაში) მივედით და მიგვიღეს. ასე შევცვალე ცხოვრება 27 წლის ასაკში და ჟურნალისტობა დავიწყე. რადიოს შემდეგ იყო საინ-

„ბიზნესკურიერის“ შემქმნელსა და წარმატებულ ჟურნალისტს — აბაკი ბობიჩაიშვილს ჟურნალისტური საქმიანობა არც ისე ადრე — 27 წლის ასაკში დაუწყია. წარმატებას საკმაოდ მალე მიაღწია და სხვადასხვა დროს კარგი ტელეგადაცემებიც შემოგვთავაზა. პროფესიით გეოლოგს ამ სფეროშიც საინტერესო გზა გაუვლია და რომ გავერძელებინა, შესაძლოა, ახალი საბადოებიც აღმოეჩინა...

ინტერვიუს ჩასაწერად, ტელესტუდიაში ვწვევით. „ბიზნესკურიერის“ შემქმნელთა გუნდში ისეთი ხალისიანი განწყობილება სუფევს, შენობის მე-14 სართულზე ყოფნით გამონვეული სიმაღლის შიში იოლად დავძლიე.

ფორმაციო სააგენტო და გაზეთი.

— რადიოში რას აკეთებდით?

— ნიუსებზე დავრბოდი ჟურნალისტები. შემდეგ 3 წელი გაზეთ „რეზონანსში“ პოლიტიკაზე ვწერდი. ბოლო წელი მთავარი რედაქტორის მოადგილედ ვიყავი. შემდეგ მივხვდი, რომ თეორიული ცოდნაც საჭირო იყო, — რალაც შეცდომებს ვუშვებდი — და კონკურსზე გავედი, საიდანაც სასწავლებლად ამერიკაში გზავნიდნენ. სტიპენდია მოვიპოვე და გავემგზავრე. კურსი 2-წლიანიც იყო და 1-წლიანიც. რადგან მანამდეც ბევრი დრო დავკარგე, ვქარობდი, მალე მიმელო განათლება ამ სფეროში და 1-წლიანი ავირჩიე. ეს მგონი, 1994-95 წლებში ხდებოდა. მაშინ პრესა იყო წამყვანი, ტელევიზიებში თითქმის არაფერი ხდებოდა.

— როგორი იყო ამერიკა თქვენს წარმოსახვაში და როგორი აღმოჩნდა?

— ჩვენ ის თაობა ვართ, რომელსაც ინფორმაციაზე დიდად არ მიუწვდებოდა ხელი. ინტერნეტიც უცხო ხილი იყო ჩვენთვის. ამერიკა ჩემს წარმოდგენაში მთლიანად ტაიმს-სკვერის მსგავსი იყო: მაღალსართულიანი სახლები, ყველაფერი განათებულია და ა.შ. საუნივერსიტეტო ქალაქები კი ძირითადად, მიყრუებულ ადგილებშია — რათა სტუდენტებმა ნაკლებად იფიქრონ გართობაზე... როცა თვითმფრინავი ფაქტობრივად, ტრიალ მინდორზე დაეშვა, სადაც არც სახლი იყო, არც არაფერი, გამიკვირდა, — სად მოვხვდი-მეთქი?... თავიდან იყო რაღაც შოკის მომგვრელი სიტუაციებიც, თუნდაც კულტურის თვალსაზრისით: ის, რომ ქალს არ შეიძლება, კო-

მპლიმენტი უთხრა, ადგილი დაუთმო, კარი გაუღო და ა.შ., რადგან ამას „ცუდად გაიგებენ“... ვერ შევეჩვიე იქაურობას, თორემ დარჩენის საშუალებაც მქონდა და მუშაობისაც, მაგრამ არც მიფიქრია ამაზე. სხვა მხრივ, პროფესიული თვალსაზრისით, იქ ყოფნამ ბევრი რამ მომცა, განსაკუთრებით, პრაქტიკამ, რომელმაც გამოცდილება შემძინა: საშუალება მქონდა, სტაჟირება გამეწყო ჟურნალისტურ საგამოძიებო ორგანიზაციაში. ჩემი ცოდნის 90% იმ პერიოდში შევიძინე.

— არაერთხელ მოგიყოლიათ, მაგრამ მაინც გავიხსენოთ თქვენი და ნინო საჭომიას გაცნობის ამბავი...

— მაშინ უკვე „კურიერში“ ვმუშაობდი. ინგლისურს კარგად ვფლობდი და ძირითადად, უცხოური ამბების გაშუქება მევალებოდა. ვაშინგტონში ეუთოს სამიტი იმართებოდა. ნინო ჩვენი ოპერატორის ახლობელი აღმოჩნდა და იქ გავიცანი. როცა გავიგე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და იქაც სწავლობდა, ცხადია, ვუთხარი — როცა დაბრუნდებოდა, სამუშაოდ ჩემთან მოსულიყო. ასე მოხდა ჩვენი დაკავშირება და დაოჯახება.

— ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ სად დაიწყეთ მუშაობა?

— როცა ამერიკიდან დავბრუნდი, „ბაზარზე“ უკვე „რუსთავი 2“ იყო მომძლავრებული, პოპულარული და მივხვდი, რომ ტელევიზია მაინტერესებდა, რადგან უფრო ფართო აუდიტორიაზე გადის. დავრეკე და პირდაპირ დირექტორთან დალაპარაკება ვითხოვე. მოვუყვიე ჩემი გამოცდილების შესახებ და ვუთხარი, რომ ტელევიზიაში მინდოდა მუშაობა. გადაცემაზე მქონდა პრეტენზია, მაგრამ, — რადგან სატე-



ლევინო გამოცდილება არ გაქვს, „კურიერში“ დაიწყე მუშაობაო, — მითხრა. 2 წელი ვიმუშავე. მერე „60 წუთი“ გავაკეთე. ეს ის სფერო იყო, რომელშიც ამერიკაში სწავლის პერიოდში გავიარე პრაქტიკა და იქიდან დაბრუნებისას სწორედ ამგვარი იდეის განხორციელებას ვაპირებდი: ვფიქრობდი, რომ საინტერესო იქნებოდა, აქ საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარება. მერე ისევ წავედი ამერიკაში, საგრანტო პროგრამით და წელიწად-ნახევარი სტენფორდში დავყავი. იქიდან ბიზნესპროექტი დავბრუნდი და „ბიზნესკურიერი“ წამოვიწყეთ.

— საინტერესოა, სკოლის პერიოდში თუ ფიქრობდით ჟურნალისტიკაზე?

— ჟურნალისტიკა ყოველთვის მინდოდა. კარგად ვწერდი და ვხედავდი, რომ ეს სიამოვნებას მანიჭებდა. მაგრამ იმ პერიოდში ისეთი სიტუაცია იყო, რომ მიანდებოდა, — თუ ვინმე არ გყავდა ამა თუ იმ სფეროში, სამუშაოს ვერ იშოვიდი და მცდელობასაც აზრი არ ჰქონდა. მამაჩემი თანამდებობაზე არ იყო, მაგრამ გეოლოგიაში სიტუაციას იცნობდა და ნაცნობებიც ჰყავდა. მთავარი არგუმენტი კი ის იყო, რომ გეოლოგიური წიგნების დიდი ბიბლიოთეკა გვქონდა და, — ხომ არ გადავყრიო! — მეუბნებოდა ხოლმე... ბოლომდე ჩამოყალიბებულიც არ ვიყავი და დავთანხმდი, მაგრამ არ ვნანობ — კარგი და გამოსადეგი ცოდნა მივიღე ამ სფეროში. უმაღლეს მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას ვსწავლობდით; ჟურნალისტიკა მინც უწევს ამ სფეროებთან შეხება და ჩემი პირველი პროფესიის წყალობით, იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე სხვამ.

— რაიმე სამეცნიერო ნაშრომიც ხომ არ გაქვთ გეოლოგიაში?

— დისერტაციაზე ვმუშაობდი და რალაც საკონფერენციო თემებიც მქონდა. ოქროზე ვმუშაობდი. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ვიყავი მივლინებული, მერე ჩრდილოეთ ოსეთში გვქონდა სამუშაოები. ვაჟა ბუაძე იყო ინსტიტუტის დირექტორი და მასთან ერთად, იქ სპილენძის საბადო აღმოვაჩინეთ, ოქროს აღმოჩენის პერსპექტივით. საინტერესო იყო, უბრალოდ, ჩემთვის, თვით გეოლოგიური ცხოვრების სტილი აღმოჩნდა ნაკლებმომზიდველი.

— ბევრი გადაცემა გაქვთ გაკეთებული; თქვენ-

თვის ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი რომელი იყო?

— „60 წუთის“ პერიოდზე თუ ვისაუბრებთ, გეტყვით — ყველაზე საინტერესო იყო, როდესაც შევქმელით, ფარული კამერით გადაგვეღო ნარკომანობის ბრძოლის სამსახურის უფროსი, შს მინისტრის მოადგილე საკუთარ კაბინეტში როგორ ახარისხებდა ჰეროინს და თავის აგენტს აძლევდა, რომ მას სხვისთვის ჩაედო, რათა დაეჭირათ და შემდეგ გათავის უფლებებისთვის ფული გამოეძალათ. ვფიქრობ, ძალიან წარმატებული იყო ეს პროექტი მთლიანად.

— რაში მდგომარეობს წარმატების თქვენული ხედავა? რა ეხმარება ადამიანს მის მიღწევაში?

— პირველ რიგში, წარმატება ისაა, თუ მასურებელი გიყურებს და გისმენს, ამის მისაღწევად კი ძალიან გულახდილი უნდა იყო. ზოგს ჰგონია, რალაცას არ იტყვის, რალაცას დამალავს, საკუთარი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და ამას ვერავინ შენიშნავს. სინამდვილეში, ეს არავის გამოუპარება და აუცილებლად აისახება მისდამი დამოკიდებულებაზე. ერთხელ თუ გადაგიბრუნდა ფეხი, საწყის პოზიციაზე დაბრუნება რთულია. ამდენად, ვცდილობ, ყოველთვის გულახდილი ვიყო, შეცდომები შეიძლება მოგვივიდეს, ადამიანები ვართ, მაგრამ უნდა ვალიაოთ.

— რამდენად რთულია, ყოველდღიურად აკეთო გადაცემა ეკონომიკასა და ბიზნესზე ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო, რომელიც დიდად არ გამოირჩევა ეკონომიკური წინსვლით?

— ურთულესია, განსაკუთრებით,

ამ კრიზისულ სიტუაციაში. უკვე მეოთხე წელია, ეს გადაცემა არსებობს და თავიდან ძირითადი პრობლემა — კომპანიებთან ურთიერთობა იყო. მათი მხრიდან დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებოდით: საგადასახადო ხომ არ ხართ? ვინ ხართ? რა გინდათ? — ეკითხებოდნენ. დაახლოებით 1 წელი დასჭირდა იმას, რომ შექმნილიყო სერიოზული ბაზა იმ კომპანიებისა, რომლებიც ჩვენთან სისტემატურად ითანამშრომლებდნენ და საშუალება გვქონოდა, თავისუფლად გვეკეთებინა გადაცემა. როცა უკვე ცოტა გაგვეხსნა ხელ-ფეხი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაიწყო და ეს ჩვენი ბაზა, ერთი მხრივ, გაიცხრილა, მეორე მხრივ, აღარც სიახლეები იყო, რადგან ბიზნესი არ ვითარდებოდა. ვერ გეტყვით, რომ ახლა მნიშვნელოვნად შეიცვალა რამე, მით უმეტეს, ზაფხულის პერიოდში ჭირს მუშაობა, მაგრამ ვფიქრობ, მაინც საჭიროა.

— როდესაც „იმედის“ ეთერშიც გამოჩნდა მსგავსი ტიპის გადაცემა, თავიდან რამდენად უწევდა კონკურენციას „ბიზნესკურიერს“? რომელი იყო მეტად რეიტინგული?

— ჩვენ რეიტინგით ვჯობნიდით და ესეც იყო მიზეზი, რომლის გამოც, შემდეგ იმ გადაცემაში მიმიწვიეს და დაახლოებით 1 წლის განმავლობაში ორივე გადაცემა მიმყავდა. სამწუხაროდ, მერე დაიხურა.

— თქვენი უახლოესი გეგმები გაგვიზილეთ: რაიმე სიახლეს ხომ არ აპირებდით მასურებელს?

— ჩემი სამომავლო გეგმები უკავშირდება ისევ იმას, რასაც ვაკეთებ, რადგან ჯერ საბოლოო სიტყვა არ მითქვამს, ყველაფერი წინ გავაქვს და კიდევ უკეთესი გადაცემის გაკეთება შეგვიძლია. როდესაც დავინახავ, რომ ამ კუთხით ჩემი რესურსები ამოიწურა და აღარაა საინტერესო, ცხადია, სხვა რამით დავინტერესდები, თუ მანამდე პენსიამ არ მომიწია (იციანის).

— ზაფხულში დასასვენებლად წასვლას არ აპირებთ?

— წელს ვერსად მივდივართ, რადგან ბინა გაყიდეთ, სახლს ვაშენებთ და გვინდა, ეს დრო მის დასრულებას მოვასხმაროთ, ზაფხულშივე მოესწროს და როცა სამსახურში დავბრუნდებით, მშენებლობა დამთავრებული იყოს. ■



საქართველოს ლას-ვეგასის კონკურსისთვის და მილანური კონტრაქტის პერსპექტივა

საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი გოგონა, „ვიცე-მის საქართველოს“ ტიტულის მფლობელი ნანუშა ბობინაძე მალე „მის სამყაროზე“ გაემგზავრება. როგორ ემზადება ამ კონკურსისთვის ცნობილი ჟურნალისტების — გიორგი გოგიჩაიშვილისა და ნათია ბანძელაძის ქალიშვილი და სად ხიზლავს მას დასვენება, — ამ ყველაფერზე თავად მოგიყვება.

ნათია ჭიჭიკა

— მოგესხებოდა, სილამაზის კონკურსზე — „მის საქართველო“, პირველი „ვიცე-მის საქართველოს“ ტიტული მოვიპოვე, რის შედეგადაც, „მის სამყაროზე“ ლას-ვეგასში წასვლა მიწევს. ამერიკაში 6 აგვისტოს გავემგზავრები, კონკურსი კი 23 აგვისტოს გაიმართება.

— მთელი ამ დროის განმავლობაში ალბათ მოსამზადებელი პერიოდს გექნება.

— რა თქმა უნდა. როგორც ყველა კონკურსის წინ, ამჯერადაც ვივარჯიშობ. გარდა ამისა, ჩვენს მოვალეობაში შედის სხვადასხვა კომპანიისთვის რეკლამების გაკეთება, გვექნება ფოტოსესიები, საკონკურსო დადგომის რეპეტიციებს გავივლით. ეს სამკვირიანი პროცესია, 23 აგვისტოს კი კონკურსი ჩატარდება. რასაკვირველია, მთელი ამ დროის განმავლობაში ჟიურის წევრებზე ჩვენთან ერთად იქნებიან და ამ პერიოდში გადაწყვეტენ, ვის რა ტიტული მიანიჭონ.

— უცხოელი ჟიურის წევრები შემოქმედებითი კუთხითაც შეგაფასებენ?

— არა. ეს კონკურსი „მის მსოფლიოს-გან“ იმით განსხვავდება, რომ „ტალანტ-შოუ“ არ იქნება. იქ ყურადღებას გარეგნობას უფრო მეტად აქცევენ.

— შენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნებს?

— როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც „მის მსოფლიოს“ კონკურსანტის ჩაცმულობაზე კვლავ მალაზია „მარიონელა“ იზრუნებს. ორ კოსტიუმს სპეციალურად ჩემთვის კერავენ: ერთი იქნება ნაციონალური კაბა, რაც ამ კონკურსზე ყველაზე მნიშვნელოვანია, მეორე კი — საღამოს კაბა. გარდა ამისა, საცურაო კოსტიუმითაც მომიწევს სცენაზე გამოსვლა.

— წინამოსამზადებელ პერიოდს ალბათ თბილისშიც გადისარა, არა?

— რა თქმა უნდა. „მის საქართველო“ ოქტომბერში ჩატარდა. მაშინ არ იყო გადაწყვეტილი, როდის გაიმართებოდა „მის სამყარო“, თუმცა ოქტომბრიდან მაინც ვემზადები ამ კონკურსისთვის. მერე კონკრეტული ვადებიც დადგინდა და მთელი ივნისი და ივლისი დაძაბულ რეჟიმში მიწვედა მუშაობა. სულ დატვირთული ვარ.

— „მის საქართველოს“ შემდეგ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?

— რატომღაც, ეს შეკითხვა ყველას უჩნდება... რა ვიცი, განსაკუთრებული

ალბათ არაფერი. „მის სამყაროს“ ჩატარებას ველოდები და მგონია, ამის შემდეგ გაცილებით მეტად შეიცვლება ჩემი ცხოვრება. გარდა ამისა, სულ ცოტა ხნის წინ მილანის ერთ-ერთი ცნობილი სამოდელი სააგენტოს წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულები, რომლებმაც აქ კასტინგი ჩაატარეს. მათ მსახიობური მონაცემების მქონე გოგონები და მოდელები სჭირდებოდათ. „იმიჯ ცენტრიდან“ მოდელების ნაყვანა გადაწყვიტეს და რამდენიმე გოგონა შეგვარჩიეს კიდევ. ნესით, სექტემბერში ამ სააგენტოსთან კონტრაქტი უნდა გავაფორმო და მილანში გავემგზავრო, თუმცა ამას დარწმუნებით ვერ გეტყვით, რადგან წინ „მის სამყარო“ მელოდება და არ ვიცი, რა მოხდება. ამერიკიდან რომ დავბრუნდები, მერე გადავწყვეტ, სად გავემგზავრო.

— რატომ? ამერიკაში რაიმე შემოთავაზებას ელოდები?

— არ ვიცი, ვნახოთ.

— როგორ ფიქრობ — 15 საუკეთესოს შორის მოხვედრის შანსი მაინც თუ გაქვს?

— დიდი შემართებით მივდივარ. იმაზე არ ვფიქრობ, თხოუთმეტუღში მოვხვდები თუ ხუთუღში. შესაძლოა, ვერც ერთში ვერ მოვხვდე, მაგრამ შემამჩნიონ და სხვა შეთავაზებები მქონდეს. „მის სამყარო“ არის კონკურსი, სადაც უამრავი სააგენტოს ხელმძღვანელია, ამიტომ მგონია, რომ გარკვეულ წარმატებას მაინც მივაღწევ.

— როგორც ვიცი, სააგენტო „ნატალის“ მოდელი იყავი. აქამდე რატომ არ მიგელია მონაწილეობა „მის საქართველოს“ კონკურსში?

— კი, „ნატალის“ მოდელი ვიყავი, „მის საქართველოს“ შემდეგ „იმიჯ ცენტრში“ გადავედი. რაც შეეხება კონკურსებში მონაწილეობას, რატომღაც, ამას ყოველთვის არასერიოზულად ვუყურებდი. 2009 წლის „მის საქართველოში“ ჩემი მეგობარი, ლიკა ორჯონიკიძე მონაწილეობდა, რომელიც „ვიცე-მის“ გახდა და მთელი წელი მეუბნებოდა, ოღონდ ამ კონკურსში მიიღე მონაწილეობა და ჩემი გვირგვინი შენ უნდა გამოგვეცო. მისი თხოვნით, გავიარე კასტინგი და გვირგვინი მართლაც, მე გადამიცა.

— მგონი, პოპულარულიც გახდი... — მართალი ხარ. თუმცა მანამდეც, ჩემი მშობლების წყალობით, ყოველთვის მცნობდნენ და იცოდნენ, ვისი შვილიც ვარ. ახლა ის განსხვავებაა, რომ უკვე ტიტული მაქვს.

— შენი მშობლები როგორ უყურებენ ამ შენს ტიტულს და თუ



გემარებიან რამეში? ნათია ალბათ ჩაცმასთან დაკავშირებით გაძლიერდება, ხომ?

— ჩემი მშობლები აქამდეც ყოველთვის მხარში მედგნენ და ახლა — მით უმეტეს.

— აქამდე გიმოგზაურია საზღვარგარეთ?

— რა თქმა უნდა. თურქეთში ალბათ ყველა ადამიანია ნამყოფი. გარდა ამისა, არაბეთშიც ვიმოგზაურე, დასასვენებლად ვიყავი წასული.

— ვისთან ერთად?

— მეგობრებთან ერთად ვიყავი და არაჩვეულებრივად გავერთეთ. ძალიან მოვიხიბლე იქაურობით.

— საერთოდ, სად გიყვარს დასვენება — მთას ანიჭებ უპირატესობას თუ ზღვას?

— ზღვა ძალიან მიყვარს. მთას უპირატესობას ნამდვილად ვერ მივანიჭებ. თუ მთაში წავალ, მხოლოდ რამდენიმე დღით და ისიც, მეგობრებთან ერთად, რომ გავერთოთ. წყნარი დასვენება არ მიყვარს.

— წელს მოახერხებ დასასვენებლად წასვლას?

— ალბათ ვერა, რადგან მთელი აგვისტო ამერიკაში კონკურსზე ვიქნები. რამდენიმე დღე მეგობრებთან ერთად, აგარაკზე, ლოპოტაში ვიყავი და კიდევ ვაპირებთ, რომ წავიდეთ. წელს სულ ეს იქნება ჩემი დასვენება.

— წარმატებებს გისურვებ!



დოლოფ ლუნდგრენი კომედიის უანრში გამოცდის თავს




დოლოფ ლუნდგრენი ტელეარხ NBC-ის კომედიურ სერიალში — „ჩაკი“ ითამაშებს. მსახიობის ახალი როლის დეტალები ჯერ-ჯერობით არ ხმაურდება, მაგრამ სერიალში მთავარი როლის შემსრულებელმა, ზახარი ლევაიმ მის მიკრობლოგში დაწერა, რომ ლუნდგრენის უარყოფითი პერსონაჟი მისი გმირის, ჩაკის დამარცხებას ცდილობს. სიუჟეტი ერთ დროს უნივერსიტეტიდან გარიცხული ახალგაზრდის, ჩაკ ბარტოვსკის გარშემო ვითარდება, რომელსაც დიდი ხნის უნახავი მეგობარი (და ამჟვე დროს ფარული აგენტი) ფოსტით საიდუმლო ფაილს გაუგზავნის. ჩაკი ფაილს

გახსნის, შემთხვევით, ქვეცნობიერად, სრულიად საიდუმლო სამთავრობო კომპიუტერის მონაცემები დაამახსოვრდება, ცოცხალ ანალიტიკურ მანქანად გადაიქცევა და ამის გამო მალე საიდუმლო სამსახურის ოპერაციებში ჩაითრევენ.

ამჟამად დოლოფ ლუნდგრენი სილვესტერ სტალონეს ახალ პროექტზე — „დაუოკებელი“ მუშაობას ასრულებს. ფილმი მაყურებელს სპეცრაზმის წევრების შესახებ მოუთხრობს, რომლებიც ერთ-ერთი ტროპიკული ქვეყნის კონფლიქტში ჩათრეულნი აღმოჩნდნენ... მთავარ როლებს თავად სტალონი, მიკი რურკი, ჯეისონ სტივტიემი, ჯეტ ლი, დოლოფ ლუნდგრენი, ტერი კრიუსი, ერიკ რობერტსი და არნოლდ შვარცენეგერი ასრულებენ.

ადამიანი-ობობას ახალი კოლეგა

დისნეის სტუდიის ახალ ფილმში — Tink — ფერია დინ-დინის როლს ელიზაბეტ ბენქსი შეასრულებს. პროდიუსერები — ადამ შენკანი, მისი და, ჯენიფერ გიბკოტი და მაქჯი იქნებიან. ეს უკანასკნელი ფილმის სცენარზეც იმუშავებს. ავტორები აღნიშნავენ, რომ სურათი რომანტიკული კომედია იქნება, მაგრამ სიუჟეტის დეტალებზე ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ფერია დინ-დინი შოტლანდიელი ავტორისა და დრამატურგის, ჯეიმს მეთიუ ბარის რომანის — „პიტერ პენის“ ის პერსონაჟია, რომლის მტერის წყალობითაც ნანარმოების მთავარი გმირები ფრენას ახერხებენ.



ელიზაბეტ ბენქსი მონაწილეობდა ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: კევინ სმიტის „ჩაკი და მირი პორნოს იღებენ“ და გაი რიჩის „ნაღებულნი“. გარდა ამისა, მსახიობმა „ადამიანი-ობობას“ ორ სერიაში გამომცემლობის მდივანი ქალი, ბეტი ბრანტი განასახიერა.

კარლოს სანტანას ახალი სიყვარული

გიტარისტმა კარლოს სანტანამ მეგობარ ქალს, დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დამკვრელ მუსიკოს სინდი ბლეკმენს ხელი და გული პირდაპირ კონცერტის მსვლელობისას სთხოვა. სინდი ბლეკმენი იმ ჯგუფის წევრია, რომელიც ამჟამად საგასტროლო ტურნეში სანტანასთან ერთად მოგზაურობს. ცოტა ხნის წინ ჯგუფმა ჩიკაგოსთან ახლოს, ქალაქ ტინლი-პარკში კონცერტი გამართა და 4 სიმღერა შეასრულა. ერთ-ერთ მათგანში („ჩორაზონ სპინადო“) სინდიმ დასარტყმელ ინსტრუმენტზე სოლო პარტია შეასრულა, სანტანამ სატრფოს სწორედ ამ გამოსვლის შემდეგ შესთავაზა დაქორწინება და თანხმობაც მიიღო.



კარლოს სანტანა ერთხელ უკვე იყო დაქორწინებული. იგი 2007 წელს გაეყარა დებრა სანტანას, რომელთან ერთად, 34 წელი იცხოვრა.

ადრე სინდი ბლეკმენი ლენი კრავიცთან, კასანდრა უილსონთან, ბილ ლასველთან და Buckethead-თან თანამშრომლობდა.

„ჰარი პოტერის“ ამერიკელ გამომცემელს სასამართლოში უჩივლეს



ამერიკელი მწერლის, ედრიენ ჯეიკობსის მემკვიდრეებმა ნიუ-იორკის სასამართლოში ჯოან როულინგის რომანების ამერიკელი გამომცემლის, კერძოდ, გამომცემლობა Scholastic-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. მომჩივანი მხარე ირწმუნება, რომ როულინგმა ჯეიკობსის 1987 წელს გამოქვეყნებული წიგნის — „ჯადოქარ ვილის თავგადასავალი“ — სიუჟეტის მომენტები გამოიყენა. 2009 წლის ივნისში მწერლის მემკვიდრეებმა ანალოგიური სარჩელით ლონდონის სასამართლოს მიმართეს და მოპასუხე მხარედ დიდ ბრიტანეთში „ჰარი პოტერის“ სერიის გამომცემელი Bloomsbury Publishing PLC დაასახელეს, ხოლო 2010 წლის თებერვალში მოპასუხეთა რიგებს თავად ჯოან როულინგიც შეემატა. ჯეიკობსის მემკვიდრეთა ნდობით აღჭურვილი პირი პოლ ალენი აცხადებს, რომ მომავალში საქმეს სხვა ქვეყნების გამომცემლობათა წინააღმდეგაც აღძრავენ. „ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა „ჰარი პოტერის“ უდიდეს აუდიტორიას წარმოადგენს, ამიტომ პირველ რიგში, სწორედ ამერიკის სასამართლოს მივმართე“, — ამბობს პოლ ალენი.

მწერალი ედრიენ ჯეიკობსი ჰარი პოტერის შესახებ როულინგის მიერ დაწერილი პირველი წიგნის გამოქვეყნებამდე 3 წლით ადრე, 1997 წელს გარდაიცვალა. თავად მწერალი ირწმუნება, რომ ჯეიკობსის წიგნები არასდროს ნაუკითხავს და პლაგიატობაში ბრალდებას უარყოფს.

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ



ცხოვრება

ზეთითხნილი ბრალდება და ციხეში უკანონოდ გატარებული 7 თვე

26 წლის ბიჭს მკვლელობაში ადანაშაულებდნენ

სასამართლო ხელისუფლებასა და ძალოვან სტრუქტურებს საზოგადოების უდიდესი ნაწილი აკრიტიკებს. სწორად ამბობენ, რომ ამ ქვეყანაში სამართლის პოვნა შეუძლებელია და არც თავად ადვოკატები უარყოფენ, რომ ფაქტობრივად, მათ სიტყვას პროცესზე ფასი აღარ აქვს, რომ მოსამართლეები მხოლოდ პროკურატურის წარდგენილ ბრალდებას აკანონებენ. ამიტომაც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ევროსასამართლოში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრების რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

თბა სურსილაპა

26 წლის ოთარ არუთინაშვილიც უსამართლობის მსხვერპლია და მისი საქმე ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, უდანაშაულო ადამიანს, არც მეტი, არც — ნაკლები, შურისძიების ნიჟარაზე ჩადენილ განზრახ მკვლელობაში დასდო ბრალი, შემდეგ კი ეს შეთითხნილი საქმე სასამართლოში გადაგზავნო. ახალგაზრდა ბიჭი თბილისის საქალაქო სასამართლოში (მოსამართლე ზვიად ესებუა) გაასამართლა. განსასჯელის სკამზე უმძიმესი ბრალდებით, ოთარ არუთინაშვილი იჯდა, რომელსაც განზრახ მკვლელობასთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექცნა-შენახვა-ტარება ედებოდა ბრალად. ადვოკატი ირაკლი ჩიკვაძე მისი დასაცავის უდანაშაულობაში დარწმუნებული იყო, მაგრამ არ მალავს, რომ სამართლის პოვნის იმედი არ ჰქონდა.

განსასჯელ ოთარ არუთინაშვილს თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჯემალ ჭუმბურიძის მკვლელობაში დასდეს ბრალი. მკვლელობის მოტივად შურისძიება დასახელდა. საბრალდებო დასკვნის ფაბულა ასეთია (სტილი დაცულია): „ოთარის დამ, სოფო არუთინაშვილმა ნათესავის, თ. ჭუმბურიძისგან თბილისში, ბარნოვზე, მალაზიის ფართი იქირავა, რომელიც რუსეთში მცხოვრებ მის მამას, ჯემალ ჭუმბურიძეს

ეკუთვნოდა. სოფო ქირას იხდიდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო, ქირის გადახდა ვეღარ შეძლო. 2009 წლის ნოემბერში, ჯემალ ჭუმბურიძე რუსეთიდან თბილისში დაბრუნდა და როცა თანხის არგადახდის ამბავი შეიტყო, ტელეფონით სოფოს დაუკავშირდა, ვალის გადახდა მოსთხოვა და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. განწყობებულმა სოფო არუთინაშვილმა მომხდარი, ტელეფონით ძმას, ოთარს აცნობა, რომელიც იმ პერიოდში სოფელ ვახტანგისის მამათა მონასტერში იყო. 2009 წლის 4 დეკემბერს ოთარ არუთინაშვილმა შურისძიების მოტივით, თანაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით თბილისში, საკუთარი სახლის კარებთან მრავალჯერადი გასროლით სიცოცხლე მოუსპო ჯემალ ჭუმბურიძეს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა“.

ასეთი ბრალდებით წარდგა განსასჯელი სასამართლოზე. საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ ბრალი დადასტურებული იყო მოწმეთა ჩვენებით, ოდორიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით და განსასჯელს ხელზე დენთის კვალიც აღმოაჩნდა. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც საჭიროა და როგორ შეიძლებოდა, ვინმეს ეჭვი შეეტანა იმაში, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანს უმძიმეს ცოდვას, მკვლელობას დააბრალებდნენ? არადა, წინასწარი გამოძიების პროცესშივე განსასჯელი აცხადებდა, რომ მომხდარ მკვ-

ლელობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა და მყარი ალიბიც ჰქონდა — მკვლელობის დროს მამათა მონასტერში იმყოფებოდა. მერე რა?! რა მნიშვნელობა აქვს პროკურატურისთვის იმას, რომ მონასტრის წინამძღვარი, ბერი ნეოფიტე და ტაძარში იმ დროს მყოფი სასულიერო პირები ამ ფაქტს ადასტურებდნენ?! ფაქტია, საქმე სასამართლომდე მივიდა, მოსამართლემ კი სასამართლო გამოძიება ჩაატარა და ყველა მტკიცებულება გამოიკვლია; დაჰკითხა სასულიერო პირებიც, რომლებიც გამოძიებას უკვე დაკითხული ჰყავდა. ცხადი იყო, პროკურატურას მტკიცებულება არ გააჩნდა. როგორც ადვოკატი ირაკლი ჩიკვაძე აცხადებს, პროკურატურამ მოზიცია მინც არ შეცვალა და განსასჯელისთვის 14-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. როგორც ადვოკატმა გვითხრა, ძალოვნებმა მასმედიას არასწორი ინფორმაცია მიანოდეს — თითქოს დაკავებული მკვლელობას აღიარებდა. ადვოკატმა ირაკლი ჩიკვაძემ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა და მართლაც, მოსამართლე ზვიად ესებუამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — 12 ივლისს განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ოთარ არუთინაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. „სასამართლო გამოძიების პროცესში დაკითხული ბრალდებისა და დაცვის მოწმეების ჩვენებებით, ასევე სასამართლოს მიერ გამოკვლეული საქმის მასალებით უტყუარად ვერ იქნა დადგენილი ოთარ არუთინაშვილის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ამიტომ ის დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან“, — ასეთი იყო მოსამართლის ვერდიქტი. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებას არც განსასჯელი ელოდა, ის ბედს შეგუებული იყო და განაჩენის გამოცხადებამდე მოსამართლის სახელზე განცხადებაც კი დაწერა, რომ მას ციხეში ოჯახის წევრებთან შეხვედრის საშუალება მისცემოდა.



როგორ აღმოჩნდა უდანაშაულო ახალგაზრდა კაცი ციხეში? მინცდამაინც მას რატომ დააბრალეს მკვლელობა? — ამ კითხვებზე პასუხს მისი ადვოკატი, **ირაკლი ჩიკვაძე** გავცემს.

— ოთარ არუთინაშვილი თბილისში დასთან ერთად ცხოვრობდა. მან თეატრალური უნივერსიტეტი დაამთავრა. 11 ივლისს 26 წლის გახდა და მოსამართლემ საჩუქარი გაუკეთა — უდანაშაულო ბიჭი 12 ივლისს დარბაზიდან გაათავისუფლა!.. ოთარის დას ბარნოვის №83-ში ყვავილების სალონისთვის ფართი ჰქონდა ნაქირავები. ბინის მეპატრონე — მოკლეული ჯემალ ჭუმბურიძე რუსეთის მოქალაქეა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ის ბიზნესმენი იყო და თბილისში პერიოდულად ჩამოდიოდა. ბინაში მისი ვაჟიშვილი ცხოვრობდა (პირველი ქორწინებიდან) და გაქირავებული ფართის ქირასაც ის იღებდა... სოფო კარგი დიზაინერია. მან ბოლო ორი თვის ქირის გადახდა ველარ შეძლო, დაუფიანდა, ეს კი ჯემალ ჭუმბურიძის რუსეთიდან ჩამოსვლას დაემთხვა. მან დავალიანების გადახდა მოითხოვა, სოფო კი დაჰპირდა, — ფულს ორ დღეში მოგიტანო. ამ შეთანხმების მიუხედავად, საღამოს ჭუმბურიძემ ისევ დაურეკა სოფოს და ჰკითხა, თუ როდის გადაიხდიდა ფულს, თან დედამისის მისამართით შეიგინა. სოფომ უპასუხა: რატომ მაგ-

ბიჭის თქმით, შეიძლება, გარეთ დარჩენილ რომელიმე თანამონაწილეს მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე ჩაედინა; მეორე ვერსიით კი ჭუმბურიძის შვილი კონკრეტული კრიმინალის სახ-



ელსა და გვარს ასახელებდა. ამბობდა, რომ 2006 წლიდან მამამისს ამ კრიმინალთან მწვავე კონფლიქტი ჰქონდა, რადგან მან ჯემალს რუსეთში დიდი თანხა „დაანერა“. ეს კრიმინალი 2009 წელს ნარკოტიკისთვის დააკავეს და მართალია, იმ პერიოდში პატიმარი იყო, მაგრამ შეიძლება, მისი დაკვეთით, ვინმეს მამამისის მკვლელობა განეხორციელებინა. ამბობდა, — მამა არ ეშვებოდა და წართმეულ ფულს სთხოვდაო. მიუხედავად ამ ჩვენებებისა, ძალოვნებ-

ფიტეს დაურეკა, საქმის კურსში ჩააყენა და არც ის დაუმაღავს, რომ მთელი ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა, შემდეგ კი სთხოვა, ოთარისთვის არაფერი ეთქვა, — არ მინდა, ეს იცოდეს, საკუთარ თავს რაიმე არ დამართოსო. მართლაც, პოლიცია მონასტერში მეორე დილით ჩავიდა. ამ დროს ოთარი ჩვეულებრივად, სხვებთან ერთად, ეზოში მუშაობდა — ისინი ნაძვის ხეებს ჭრიდნენ და ალაგებდნენ. იგი თითქოს, მონის სტატუსით წამოიყვანეს, თავისი ნივთები წამოალებინეს და მალე ექვმიტანილად ცნეს. მკვლელობა 2009 წლის 4 დეკემბერს, 21 საათსა და 15 წუთზე მოხდა. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ მკვლელი 21 საათიდან ელოდებოდა, თუ როდის გაალებდა კარს ჭუმბურიძე და როდის გამოვიდოდა გარეთ... არუთინაშვილს ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს და შურისძიების ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობაში „აზილიეს“: თითქოს განაწყენებულმა, დედის გინება არ აპატიო და ორი დღის შემდეგ, ავტომატიდან გასროლით, ჯემალ ჭუმბურიძე მოკლა. მართლაც, სოფოს ოთართან მონასტერში დარეკილი ჰქონდა, ისევ მოძღვრის ტელეფონზე, რადგან ოთარი ტაძარში მობილურს არ იყენებდა.

— **ზარი როდის იყო განზოცოვებული?**

— მკვლელობის წინა დღეს. გოგო ირწმუნებოდა, რომ ჭუმბურიძეზე ძმისთვის არაფერი უთქვამს და არც მას მიუქცევია ამ სიტყვებისთვის დიდი მნიშვნელობა, რადგან ჭუმბურიძეს საერთოდ, ასეთი ლექსიკა ჰქონდა; არც ის დაუმაღავს, რომ ძმას ვიღაც მაკლერზე ელაპარაკა, რომელიც ბინის ყიდვაში უნდა დახმარებოდა — მას ფული აღებულ ჰქონდა და უკან აღარ აბრუნებდა (არუთინაშვილების დედა იტალიაში მუშაობს და შვილებს ბინის საყიდლად ფული გამოუგზავნა). სოფომ ოთარს უთხრა, რომ მაკლერი ზარებს არ უსუხობდა — ამ დიალოგს მამა ნეოფიტეც ესწრებოდა და ამას ისიც ადასტურებდა. დასთან ლაპარაკის შემდეგ, ოთარმა მოძღვრის ტელეფონით მაკლერის ნომერზე დარეკა, მაგრამ მან ყურმილი არ აიღო, ამიტომაც მესიჯი მისწერა, სადაც მითითებული იყო მისი ვინაობა და ყურმილი საღამოს 19 საათზე და; მოძღვრის ტელეფონში ეს მესიჯი შენახული აღმოჩნდა. იმ დროს საშობაო მარხვა გახლდათ და მონასტერში მყოფი ყველა პირი ადასტურებდა, რომ მკვლელობის დროს ოთარი ტაძარში იმყოფებოდა.

— **პროკურატურა ექსპერტიზის დასკვნას იშველიებდა და ამბობდა,**

სოფო მისცდა, რომ მის ძმას პოლიცია მიაკითხავდა და წინამძღვარს — მამა ნეოფიტეს დაურეკა, საქმის კურსში ჩააყენა და არც ის დაუმაღავს, რომ მთელი ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა, შემდეგ კი სთხოვა, ოთარისთვის არაფერი ეთქვა

ინებთ, არ ყოფილა შემთხვევა, ფული არ გადაიხადოს და ამასაც ორ დღეში მოგიტანო, ხომ შევთანხმდითო?! ამ საუბრიდან ზუსტად 2 დღეში ჯემალ ჭუმბურიძეს ავტომატიდან გასროლით კლავენ.

— **რატომ მიიტანეს ეჭვი არუთინაშვილზე?**

— მკვლელობის დღესვე მოკლეული შვილი დაიკითხა. მან გამოძიებას ჩვენება მისცა, უფრო მეტიც, ეჭვებიც კი გამოთქვა. ორი ვერსია ჰქონდა: ერთ-ერთი მათგანი ყაჩაღებს უკავშირდებოდა ანუ — 2009 წლის გაზაფხულზე იმავე მისამართზე, სადაც მამამისი მოკლეს, ჭუმბურიძის შვილი დააყაჩაღეს. ამ დანაშაულისთვის 4 პირი გაასამართლეს და

მა იმავე ღამეს სოფო არუთინაშვილის ბინაში ჩხრეკა ჩატარეს.

— **რატომ?**

— როგორც ჩანს, ჭუმბურიძის შვილმა ძალოვნებთან ისიც აღნიშნა, რომ მამამისმა სოფოს დედა შეაგინა. ეს ოფიციალურად, ჩვენებაში არსად დაფიქსირებულა, მაგრამ ძალოვნებმა ეს მოსაზრება რატომღაც, გაიზიარეს, ბინა გაჩხრიკეს, სოფო და მისი ნათესავი გოგონა კი დილაღე პოლიციაში ჰყავდათ. ჰკითხეს, თუ სად იყო მისი ძმა? სოფომ ძალოვნებს უთხრა, რომ ოთარი სოფელ ვახტანგისის მამათა მონასტერში იყო და მორჩილი უნდა გამხდარიყო. სოფო მისცდა, რომ მის ძმას პოლიცია მიაკითხავდა და წინამძღვარს — მამა ნეო-



რომ არუთინაშვილს დენტის კვალი აღმოაჩნდა. ეს არ არის მტკიცებულება?

— დაკავებისას ხელზე, ცხვირსა და ტანსაცმელზე ანაწმენდები აუღეს. მართალია, საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ დენტის კვალი აღმოაჩინეს, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ოთარს ხელსა და ცხვირის

სთვის რაიმე არ წაესვათ და ექსპერტიზა არ გაეყალბებინათ. საბედნიეროდ, ტყავის ქურთუკზე, რომელიც მოწმის მტკიცებით, დამნაშავეს უნდა სცმოდა, დენტის კვალი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, დენტის კვალი აღმოჩნდა იმ ტანსაცმელზე, რომელიც არუთინაშვილს ტაძარში, დაკავებისას ეცვა. მამაო ამბობდა, — ამ ლოგიკით, მეც დასაჭერი

გარემოების გამო არ შეიძლებოდა, მტკიცებულებად მიეწინათ — შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში არ იყო მითითებული, რომ ამოღებული იყო ნიმუში და რომ ის დილილუქა... ოთარს არც მოკლედ შევრეჭილი თმა ჰქონდა; როცა დააკავეს, საკმაოდ გრძელი ვარცხნილობა ჰქონდა და წვერმოშვებულიც იყო. კიდევ კარგი, საქმეში მისი იმდროინდელი სურათი იდო. მოწმემ პროცესზე კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დამნაშავეს მოკლე ვარცხნილობა ჰქონდა. ოთარ არუთინაშვილი ამბობდა, — თბილისში რომ მოეყავდი, გავიგონე, პოლიციელებმა როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს: ამას წვერი აქვს — ან მართლა უდანაშაულოა, ან მაგარი მსახიობიო. ამ ეჭვების მიუხედავად, მინც ამდენი ხანი მოუხდა ციხეში ყოფნა. დაზარალებულს სულ სხვა ვერსიები ჰქონდა და რატომ არ იმუშავეს იმ კუთხით, რატომ გადატყეს ჯოხი უდანაშაულო ბიჭზე, ეს გაუგებარია. გამოძიებამ დამარწმუნა დაკავებულის ბრალეულობაში, — განმარტა პროცესზე დაზარალებულმა. ოთარის დაკავება პროკურორ დავით ხიზანაძის დროს მოხდა... რაც ყველაზე სამწუხაროა, ოთარის მამა შვილზე ნერვიულობას გადაჰყვა: მას უეცრად, სიმსივნე აღმოუჩინეს და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. ამის შესახებ განსასჯელმა არაფერი იცოდა, ვუმაღავეთ და გათავისუფლების შემდეგ შეიტყო. ბიჭი პირველად მამის საფლავზე ავიდა... მოსამართლემ სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა და იქნებ, სწორედ ამ საქმით დაინყოს სასამართლოს შემობრუნება.

თბილისში რომ მოეყავდი, გავიგონე, პოლიციელებმა როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს: ამას წვერი აქვს — ან მართლა უდანაშაულოა, ან მაგარი მსახიობიო

ნესტოზე აღმოაჩნდა დენტის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი — აზოტი. რაც ყველაზე მთავარია, ფაქტის ერთადერთი თვითმხილველი, მოკლულის მეზობელი თამაზ ყიფიანი ადასტურებდა, რომ ოთარი არ იყო ის პიროვნება, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა.

— ეს მონზე წინასწარი გამოძიებისას დაკითხული არ ყოფილა?

— ის პირველსავე დღეს დაჰკითხეს. სამსახურიდან შინ დაბრუნებულმა ყიფიანმა ავტომობილის ჯერიის ხმა გაიგონა (ის ჭუმბურჩიძის სახლის წინ ცხოვრობს). ამბობს, — დავინახე, როგორ გამოვარდა ჭიშკრიდან ახალგაზრდა მამაკაცი, სავარაუდოდ, 176 სმ სიმაღლის, მოკლედ შეკრეჭილი თმით. მას მუქი ფერის ჯინსი და ტყავის ქურთუკი ეცვა. სახე არ დამინახავს, რადგან ქურთუკის საყლოთი იფარავდა, საქმრემი კი, ქურთუკის ქვეშ მოგრძო იარაღს მალავდა; და კიდევ, მას სპორტსმენისთვის დამახასიათებელი სირბილი ჰქონდაო. პროცესზე ოთარის ქურთუკი გაიხსნა — ის დაბალყელიანი იყო, თანაც — მოკლე, მონზე კი ამტკიცებდა, დამნაშავეს ქურთუკი გრძელი იყო და იარაღსაც მის ქვეშ მალავდაო. ოთარს არც სპორტული აღნაგობა ჰქონდა და ვერც სირბილს შეძლებდა, რადგან ასთმითა დაავადებული. როცა მონზე ეზოში შევიდა და ნახა, რომ სახლის კარი ღია იყო, მოკლული მამაკაცი კი კართან ეგდო, ყვირილი ატეხა. იქვე, გვერდით სახლში მოკლულის ძმა ცხოვრობდა. ყვირილზე მანაც გამოიხედა და მოკლული ძმა ნახა. გარდაცვლილს რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა — შემთხვევის ადგილიდან 11 ჰილზი ამოიღეს. ძალოვნები განსასჯელზე ზუნოლას მისი დაკავებისთანავე ახდენდნენ, ურჩევდნენ, მკვლელობა ელიარებინა და სანაცვლოდ, 6 წელზე საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებდნენ. სულ შიშის ქვეშ ვიყავი; მემინოდა, ოთარის ტყავის ქურთუკი-

ვარ, რადგან ექსპერტიზას თუ ჩამიტარებთ, აზოტი მეც აღმოაჩნდება — იმისათვის, რომ საკმეველი გავადვივოთ, დიდ ნახშირს ვანთებთ, ამ საქმეს კი თითქმის ყოველთვის ოთარი აკეთებდაო. თანაც, იმ დღეს ოთარსა და მორჩილს მალაზიაში საახალწლოდ შემოტანილი ორი „ასაფეთქებელი“ ჰქონიათ ნაყიდი და აუფეთქებიათ. კიდევ კარგი, პროკურორმა ჩვენი შუამდგომლობა ექსპერტიზაზე დააკაყოფილა. ამოვიღეთ ის ნახშირი, რომელსაც მონასტერში იყენებენ, სანთელ-საქმეველი, ნაძვის ხის გადანაჭერი, რადგან სწორედ იმ დღეს მოჭრეს ნაძვი; ავიღეთ მინის სინჯი იმ ადგილიდან, სადაც „ასაფეთქებელი“ ააფეთქეს და ექსპერტიზამ მოგვცა პასუხად, რომ თითოეულ ამ ნივთში დენტის შემცველი აზოტი იყო. პარალელურად, ალტერნატიული ექსპერტიზაც ჩავატარეთ და ამით ალიბი გავამყარეთ. მაგრამ პროკურატურამ საქმე მინც არ შეწყვიტა. სხვათა შორის, მოკლულის ძმისშვილსაც აღმოაჩნდა აზოტი, როცა ოჯახის ყველა წევრს ექსპერტიზა ჩაუტარდა, როცა გაირკვა, რომ ეს ნივთიერება ნახშირში იყო, ბიჭი დამშვიდება და თქვა, რომ სახლში თვითონაც იყენებდა საკმეველსა და ნახშირს. 7 თვე და 7 დღე ოთარ არუთინაშვილი უკანონო პატიმარი იყო. მიუხედავად ამისა, პროკურორმა მისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

— რითი ამყარებდა პროკურორი თავის პოზიციას?

— პროკურატურის ერთადერთი ხელმოსაჭიდი ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გახლდათ — რომ შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნიის ნიმუშის დაყნოსვის შემდეგ, ძალში ამ ბიჭის ტანსაცმელთან მივიდა. მაგრამ როგორ შეიძლებოდა, ეს მთავარი მტკიცებულება გამხდარიყო?! ძალი ხომ ვერაფერს აგვიხსნიდა!.. შესაძლოა, ცხოველმა აზოტი „აღმოაჩინა“ და იმიტომ მივიდა?! ეს ექსპერტიზა კიდევ ერთი

— ბატონო ირაკლი, რეაბილიტაციის საკითხს არ დააყენებთ? ვინ უნდა აგოს პასუხი უკანონო პატიმრობისთვის?

— მიმაჩნია, რეაბილიტაციის საკითხი უნდა დადგეს და ჩემს დასაცავსაც ამას უურჩევ, მაგრამ ოჯახს ემინია, ძალოვნებმა ახალი დანაშაული არ შეუთითხნონ, მათგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი?! ვნახოთ, რაზე შევთანხმდებით. ოთარის გადასაწყვეტია, გააგრძელებს ბრძოლას თუ არა. მიმაჩნია, რომ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს.

— არასწორი გამოძიების გამო ჭუმბურჩიძის მკვლელობა გაუსწნლია. საინტერესოა, ამ საქმეს პერსპექტივა აქვს?

— ამ მკვლელობას გამოძიება აუცილებლად უნდა მიუბრუნდეს და უნდა გახსნას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი — დრო — ხელიდან გაუშვებს. დანაშაულის გახსნა ცხელ კვალზე უფრო იოლი იქნებოდა, მათ კი ჯოხი უდანაშაულო ბიჭზე გადატყეს, რის გამოც, რეალური დამნაშავე დღემდე თავისუფალია. ■



უსარგებლო რჩევები და თარსი 13

მარი ჯაფარიძე

პირველი შემთხვევა

ამას წინათ კბილი ამტკივდა. ვისაც გამოგიცდიათ, ალბათ შეგიცოდებით, ვისაც — არა, არც გისურვებთ. დანტისტთან ვიზიტის რომ მეც ყველა კბილმტკივანი ადამიანივით მეშინია, ესეც ცხადია. კი ვიცი, რომ კბილის ტკივილით არ მოგკვდები, რადგან თურმე ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელიც კბილის ტკივილის გამო კვდება, კურდღელი ყოფილა, მაგრამ მაინც შევშოთოდი, რადგან ტკივილი თანდათან მემატებოდა და უკვე ველ-არ ვუძლებდი. კარგა ხნის მანჭვა-გრეხის შემდეგ, როდესაც ერთი მუჭა ტკივილგამაყუჩებელი აბები ვყლურ-ნე და შედეგი არ გამოიღო, გადავწყვიტე, დახმარებისთვის ინტერნეტისთვის მიმემართა. უამრავი სასარგებლო რჩევა მივიღე, ხალხური მედიცინის სფეროდან.

რჩევა №1

გააკეთეთ ბუქნები რაც შეიძლება სწრაფად. გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რაც უფრო სწრაფად მოახერხებთ ადგომა-ჩაჯდომას, მით მალე გაგივლით კბილის ტკივილი.

სკამის საზურგეს ჩავებლაუჭე და ბუქნები დავიწყე. ტემპს თანდათან ვუმატებდი, მაგრამ ტკივილი ისევ ისეთი ძალით მიტყვდა. უეცრად, ფეხი გამიცურდა და იატაკზე მოვადინე ზღართანი. ხელი ისე ცუდად მოვიყოლე, ვიფიქრე, ნამდვილად მომტყვდა-მეთქი. მოტყეხილობას გადავურჩი, მაგრამ მაჯაში ისეთი ტკივილი ვიგრძენი, კბილის ტკივილი დროებით ნამდვილად გადაფარა. ალბათ სწორედ ამას გულისხმობდნენ გერმანელი მეცნიერები, მაგრამ შვება ვერ ვიგრძენი. ცოტა ხნის შემდეგ კბილის ტკივილი მაჯის ტკივილს „ნამოენია“ და ახლა უკვე ორმაგი ტკივილით ვიტანჯებოდი.

რჩევა №2

იმ ყურში, რომლის მხარესაც კბილი გტკივთ, ვალერიანი ჩაინკეთეთ. ჩავინკეთე. საშინლად ამენვა მარცხენა თვალი. ცოტა ხანში დამინთლდა კიდევ. კბილის ტკივილი კი ისევ მანუხებდა. ახლა, კბილა და მაჯასთან ერთად, თვალის ტკივილიც დამემატა, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დავეყარე. მტკივანი თვალი მოვჭუტე და ჯანსაღით მონიტორს ჩავაშტერდი.

რჩევა №3

აიღეთ შებოლილი ლორის თხელი ნაჭერი და მტკივან კბილზე დაიდეთ.

ეს რჩევა უსაფრთხოდ მომეჩვენა. ჩემი მარშრუტი: კომპიუტერი-სამზარეულო-მაცივარი-კომპიუტერი, შედეგინად დასრულდა. ვიფიქრე, „თხელი ნაჭერი“ რას მიშველის-მეთქი და ლორის ნაჭრის კარგა მოზრდილი „ნადავლით“ ხელში კომპიუტერთან დავბრუნდი. ცოტა ხანში ლორის ნაჭერი შემომეჭამა, მაგრამ კბილის ტკივილმა არ მიკლო.



რჩევა №4

გახსენით 20 გრამი სამედიცინო სპირტი კიტრის მწილის 50 გრამ ნვეში და პირში ჩაიგუბეთ 5 წუთით. გახსენი. ჩავიგუბე. შედეგი? პირის ღრუ ისე დავინვი, გაყინული წყლის მრავალჯერადმა გამოვლებამაც კი არ მიშველა. ენა გამისივდა, სასა — საშინლად მენვოდა.

რჩევა №5

ფანჯარასთან დადევით და სამჯერ წარმოთქვით ჯადოსნური სიტყვები: „შორს მრავალ ტირილო, შორის კბილისა ტკივილო“.

მართალია, ასეთი შელოცვების არ მჯერა, მაგრამ გაჭირვებული ადამიანი რას არ გააკეთებ? ჰოდა, დავედვი ფანჯარასთან და ხმამალა წარმოვთქვი „ჯადოსნური“ სიტყვები. არც ამან მიშველა. ეს კი ალბათ იმის ბრალი იყო, ფანჯარაში გადმოყუდებულ გვერდით მეზობელს ჩემს ნათქვამზე ხმამალა რომ გაეცინა ან იმის, გასივებული ენით მკვეთრად რომ ვერ წარმოვთქვი შელოცვა და ჩემი ბლუყუნის ვერ გაიგონა იმან, ვისთვისაც იყო გამიზნული და შესაბამისად — ვერ „დამეხმარა“.

თავს აღარ შეგანწყენთ და გტყვივთ, რომ კბილის ტკივილმა დანტისტის ჩარე-

ვის გარეშე არ გამოიარა; ენას, სასასა და თვალს 1 კვირის განმავლობაში ვმკურნალობდი, მაჯა კი ახლაც მახსენებს თავს, როცა ამ „სიტუაციას“ ვნერ. ასე რომ, ისევ ძველი და გამოცდილი მეთოდი ჯობია — ექიმთან ვიზიტი.

ინტერნეტის უსარგებლო რჩევებს კი აღარასოდეს დაუფუჯერებ.

როდესაც კბილის ტკივილისგან ასე თუ ისე განვიკურნე და გონზე მოვედი, დავფიქრდი. თურმე რამდენ უსარგებლო რჩევას ვაძლევთ ერთმანეთს ადამიანები... ჩემს მაგალითზე მოგიყვებით:

შარშან, როდესაც დასასვენებლად მივედიოდი, ჩემმა 75 წლის მეზობელმა მიჩინა, ტანისამოსზე, რაც კი თან მიმქონდა, შიგნიდან ჯიბეები დამეკერებინა და ფული ამ ჯიბეებში გამენანილებინა. ალბათ კარგი რჩევაა, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვისაც იმდენი ფული აქვს, რომ ჯიბეებში ჩაილაგოს. დასვენებისთვის გადადებული ჩემი თანხა კი ერთ მომცროს ჯიბეშიც კარგად ჩატეოდა. ამიტომ ეს რჩევა არ გამომადგა.

— მარი, როდესაც ყავას სვამ, შაქარს ჭიქაში საათის ისრის მიმართულებით უნდა მოურიო, — მითხრა ერთმა ახლობელმა.

— რატომ? — ვკითხე მრჩეველს, მიუხედავად იმისა, რომ უშაქრო ყავას ვსვამ. — ასეა საჭირო.

ხშირად მალიზიანებს გარშემო მყოფთა უადგილო და უსარგებლო რჩევები. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ რჩევა მაშინაა ღირებული, როცა მას დროულად აწვდი ან ამის შესახებ ვინმე გთხოვს.

მეორე შემთხვევა

ამას წინათ საზამთროს საყიდლად ერთ-ერთ „მწვანედ აკოკოლავებულ გორაკს“ მივაღდექი.

— საზამთრო მწიფეა? — ვკითხე წელს ზემოთ მიშველ, ღიპგადმოგდებულ მამაკაცს.

— გენაცვალე, ყარფუზი ჯერ უნდა ავწონოთ, — გამიღიმა, — შემდეგ მოგანვდი და ზედ დააკაუნე.

— რომ გამოძახოს ვინმემ, რომელი ხარო, რა ვუთხრა? — დოინჯი შემოვირტყი და ხუმრობის გუნებაზე დავედექი.

— მაშინ ნუ ნაიღებ, გენაცვალე. კაკუნის დროს ყრუ ხმა უნდა გამოცხეს, გეგონება და ცარიელააო. მეგრე, თუ ხმაზე მოგეწონება, გაგჭრი და დარწმუნდები, რომ მწიფეა.

ერთ მოზრდილ საზამთროს დავადგი თვალი. ამინონა და მომანოდა. ინსტრუქციის თანახმად, უნდა დამეკაუნებინა. დავაკაუნე. ხმა ისეთივე ჰქონდა,



როგორც სხვა დანარჩენ საზამთროებს. შემდეგ გამყიდველმა გვერდიდან სამკუთხა ნაჭერი ამოჭრა, დანა ჩაარჭო და გამოიმინოდა.

— აბა, მიაკბინე, გენაცვალე. ცალი თვალით ჩაახედე შიგთავსს. — მიაკბინე, ნუ გვერდება, ყარფუზი უკვე აწონილი მაქვს და ცოტათი მააჭამ თუ ბევრ, მაგაი მნიშვნელობა აღარა აქვს. „ყარფუზი“ გემოს გაუსინჯავად ნამოვილე და მერე ვინანე, რომ გამყიდველს არ დავუჯერე და მისი რჩევა არ გავითვალისწინე. ცოტათადენი მაინც რომ მომეპიჩა და გემო გამეგო, ამ წითელ, მაგრამ უგემურ საზამთროს არ ვიყიდდი. სამაგიეროდ, ჩემი მეზობელი ანგელინას ქათმები დარჩნენ კმაყოფილი და ჩემ მიერ მათთვის მირთმეული საზამთრო გემრიელად „შეახრამუნეს“.

მესამე შემთხვევა

სიმართლე რომ გითხრათ, ამ ყველაფრის დანერას არ ვაპირებდი, მაგრამ ერთმა შემთხვევამ გადაამანყვეტინა, ყველა მსგავსი ამბებისთვის თავი მომეყარა და თქვენთვის მომეყოლა.

ერთ მშვენიერ დღეს, შუქნიშანზე გაჩერდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ გარშემო უამრავი სხვა მანქანა იდგა, გზისპირას მდგარმა ახალგაზრდა მამაკაცმა ყველას თვალი მოავლო და მიზანში მე ამომიღო. ფანჯარაში თავი შემოყო და მოგძძო სარკულამო ბუკლეტი გამოიმინოდა.

— კარგად ნაიკითხეთ და გაითვალისწინეთ, — მითხრა და გამშორდა.

ეს ბუკლეტი კარგა ხანს შემორჩა ჩემს „ბარდაროკს“. ამას წინათ კი შემთხვევით გადავწყდი და გულდასმით ნავიკითხე: „რჩევები მძლოლ ქალებს!

ავტომობილში დაყენებული უკანა ხედვის სარკე იმისთვის არაა განკუთვნილი, რომ მოძრაობის დროს პომადა ნაისვა ან მკაიუი შეისწორო. როდესაც საჭესთან ჯდები, ნუ დაგავინყდება მისი დაყენება ისე, რომ შიგ საკუთარ თავს კი არა, უკან მომავალ, „საძაგელ“ „ჟიგულებს“ ხედავდე.

თუ მოძრაობის დროს უკან მომავალი მანქანა გისიგნალებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მძლოლი გეარშიყება. დაფიქრდი, იქნებ რამეს აშავებ? მობილური ტელეფონი გვერდზე გადადე და მოძრაობის მარცხენა ზოლიდან უკიდურეს მარჯვენა ზოლში გადადი. ნუ გაჩერდები შუქნიშანზე წითელი შუქის დანახვისას. კარგად დაფიქრდი, იქნებ ის სხვა ზოლზე მოსიარულე მძლოლებს ეკუთვნის?

ყურადღება მიაქციე საგზაო ნიშნებს. ან ის მაინც დაიმახსოვრე, რომ სუნამოების მაღაზიასთან მოხვევა არ შეიძლება, ტანისამოსის მაღაზიასთან — მობრუნება. საგზაო მოძრაობის წესები უნდა დაიცვა იმის მიუხედავად, თუ რა მარკის ავტომობილის საჭესთან ზიხარ.

თუ მამაკაცმა შენთვის გასწრება

მოინდომა, ნუ მიადგამ სიჩქარის სატერფულს ფეხს ბოლომდე. ჩვენ ისედაც ვიცით, რომ ცხოვრებაში საკუთარი ადგილისთვის ბრძოლა შეგიძლია.

და თუ ამ რჩევების გათვალისწინების შემდეგ მაინც მოჰყვები ავტოავარიაში, ნუ გადმობხტები მანქანიდან ყვირილით — ახლა ჩემს ქმარს დავურეკავ, მოვა და სეირს გაჩვენებ! შეგიძლია, პირდაპირ გინებაზე გადახვიდე და იქით დაადანაშაულო „შოვინისტი“ და „გაუნათლებელი“ მძლოლი.

პატივისცემით, თქვენგან მრავალგზის დაზარალებული „ჟიგულის“ მძლოლი“.

წარმოიდგინეთ, როგორი თავმობურებული უნდა ყოფილიყო ქალი მძლოლებისგან ეს მამაკაცი, რომ ბუკლეტების დასაბეჭდად თანხა გაეღო და შემდეგ ასე, გზადაგზა დაურიგებინა სამწუხაროდ, მას არანაირი კოორდინატი არ ჰქონდა მითითებული, რომ მეკითხა, გამოიღო თუ არა შედეგი მისმა მცდელობამ.

მეოთხე შემთხვევა

ახლა კი კიდევ ერთი რჩევის შესახებ, რომელიც ჩემი მეგობრის დეიდა მომიცა.

ერთ საღამოს ზაფხულის სიცხისგან შეწუხებულ მეგობარს ვესტუმრე (გურულ ნინოს, მის მეუღლესა და დედას ყველა ძველი მკითხველი იცნობს, რადგან მათ შესახებ უამრავი „სიტუაცია“ დამინერია).

შინ ყველა ჩურჩულით დადიოდა.

— რა ხდება, რატომ ჩურჩულებთ?

— მეც დაეუწიე ხმას.

— სიძე-ბატონი 2 დღე და ღამე გადაბმულად მუშაობდა და 2 საათის წინ დაბრუნდა. ახლა კი სძინავს და ვცდილობთ, არ გავაღვიძოთ, — სიდედრმა კიდევ უფრო დაუნია ხმას.

საუბარს მოჰყვა და ვიკითხე:

— დღეს რა რიცხვია?

— 13 ივლისი. უი, რავარი თარსი დღე ყოფილა, მიტო ბუზღუნებდა ვაჭბატონი, — ნაწყენი მზერა იმ კარს მიაპყრო, რომლის მიღმაც სიძე-ბატონის ეძინა, — მარი, შვილო, დღევანდელ დღეს გარეთ გამოსვლას უნდა მოერიდო, მით უმეტეს — „მაშინით“.

— კარგი, რა, დედა, რა დროს ცრურწმენებია, XXI საუკუნეა, — ნინო დედის მოსაზრებას არ დაეთანხმა.

— არ გჯერათ, არა? ასეთ იცით ახალგაზრდებმა, არაფერს იჯერებთ და მიტო გაქვთ საქმე აწყობილი. რომ გეუბნები, უნდა გეიგონო.

— დედა, საშუალება მოგვეცი, ვილაპარაკოთ.

— გეუბნები, 13 თარსი რიცხვია. მარი, შენ მაინც დაიჯერე, ამას არაფერი ესმის, ყურები „მიხატული“ აქვს ბავშვობიდან. 13 რიცხვი მე ცუდად მაქვს დაცდილი. ამ დღეს რასაც ხელს მოკვიდებ, არაფერი გამომდის, იმასთანაც, — თავი

ისევ სიძის საძინებლისკენ გადააქნია, — სულ 13-ში მომდის ჩხუბი. ამ დღეს არც ახალი საქმე წამოიწყო, არც შინიდან გახვიდე, არც სტუმრად წახვიდე. ახლავ დავიმტკიცებთ, რომ თარსია, — წამოდგა და საძინებლის კარი შეაღო.

ჩვენ გაოცებული, ფეხაკრებით მივყევით უკან.

ქალბატონი ნანა ჩუმად მიუახლოვდა მიმინარე სიძეს, მის თავთან დაიხარა და მოულოდნელად, ყურში მთელი ხმით ჩასახა:

— ცამეტი!

დათო ჯერ წამოხტა, სანოლთან დალაგებულ ფლოსტებს ხელი წამოავლო და გასაქცევად მოემზადა. კართან მისულმა დაამუხრუჭა და შემობრუნდა. ჩვენს დანახვაზე გაოცდა. შემდეგ როგორც ჩანს, ყველაფერი გაიზარა.

— დავიდოვნა, დღესვე ჩაალაგე ბარგი და „დავი“, გურიში! — კბილების კრაჭუნით წარმოთქვა.

— კააი, ნენა, რა იყო, ექსპერიმენტი ჩავატარე, — სანყლად დაიჭყანა დავიდოვნა.

— არა-მეთქი! ხვალ, დილის „მარშრუტკაზე“ დაგვამ და გაგიშვებ ჩოხატაურში. შენი ფეხი აღარ ვნახო აქ ახალ წლამდე!

— შორია! — „განაჩენი“ გაასაჩივრა დავიდოვნამ.

— მორჩა! გაიღო ახლა და აღარ დამენახვო, სანამ ჩემოდანს არ ჩაალაგებ, — არ გადათქვა დათომ.

დავიდოვნამ ოთახი დემონსტრაციულად დატოვა. ჩვენ რომ ჩაგვიარა, გამარჯვებულის იერით გამოგვხედა და თავით გვანიშნა, გამომყევითო.

ჯარისკაცებზე, მწკრივი ჩამდგრებმა დავტოვეთ დათოს ოთახი.

— აი, ხომ გეუბნებოდი, 13 თარსი რიცხვია-მეთქი? ხედავ, როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა „ცამეტი“ გაიგონა? — იღუმალი გამომტყველებით მითხრა დავიდოვნამ და ნინოს ნიშნისმოგებით გახედა. — კიდევ არ დაიჯერებ, ქალბატონო?

ასე და ამგვარად, დავრწმუნდი, რომ 13 თარსი რიცხვია და ალბათ დავიდოვნას რჩევას გავითვალისწინებ.

დაბოლოს, რამდენიმე უსარგებლო რჩევა ჩვენს მკითხველს (ვგიჟდები რჩევების მიცემაზე):

„მარცხს ღირსეულად უნდა შეხვდე“ — ამ აზრს მოინახლამდეგ მხარე უნდა შეაჩვიო.

თუ საკუთარ პასპორტში ჩაკრულ ფოტოს დაემსგავსე, დროა, დასასვენებლად წახვიდე.

თუ ატომური აფეთქების თვითმხილველი გახდი, თვალეები არ დახუჭო, რადგან ასეთი „მოუს“ ნახვის საშუალება ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად გეძლევა.

არ დაუჯერო სხვის რჩევებს. არც ამას.



გერმანელთა ქართველი რძლისა და მისი მეუღლის „ქართული“ საქმიანობა

ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე — ირმა ქიმერიძე დაგვიკავშირდა. გვითხრა, რომ ჩვენს ჟურნალს კარგა ხანია, კითხულობს და „გზასთან“ თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვა. მის შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მონოდება ვთხოვეთ. ცნობებთან ერთად, მოკრძალებით შემოგვთავაზა, საქართველოში

მისი მეუღლის მოგზაურობის ამსახველი ნარკვევის გამოქვეყნება, რომელიც მან რომანზე მუშაობისას დაწერა. „უძილო ღამე საირმეში“ — ასე ეწოდება ამ ნარკვევს, რომელსაც შემოგთავაზებთ, ოღონდ — წერილის შემდეგ, რომელშიც ირმა ბერშიდ-ქიმერიძე თავისი საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

„არცთუ ისე ხშირად ხდება ხოლმე, რომ ცოლ-ქმარი შემოქმედებით წყვილსაც შეადგენდეს. სწორედ ასეა ჩემი — ირმა ბერშიდ-ქიმერიძისა და ჩემი მეუღლის — თომას ბერშიდის შემთხვევაში.

თომას ბერშიდი სწავლობდა კიოლნის უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე. სამი წლის განმავლობაში მუშაობდა კიოლნის რადიოში, სადაც დაეუფლა ჟურნალისტის პროფესიას. 2001 წლიდან პროგრამისტად და ვებმასტერად მუშაობს ბიოტექნოლოგიურ ფირმაში. თავისუფალი დროის დიდ ნაწილს წერას უთმობს. მისი მოთხრობები და რომანები მეტწილად კრიმინალური ჟანრისაა. 2006 წელს საკუთარ გამოცემლობაში გამოაქვეყნა პირველი დეტექტიური რომანი „უკანასკნელი ველოსიპედი“.

მე დავიბადე 1971 წელს თბილისში. 1994 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გერმანისტიკის განხრით. გერმანულ ენას ვასწავლიდი თბილისის მე-6 გიმნაზიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში,

საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე. 1997 წლიდან ვცხოვრობ გერმანიაში. ძირითადად, დაკავებული ვარ თარჯიმნობით. ნათარგმნი მაქვს რამდენიმე ფილმი და სატელევიზიო რეპორტაჟი. საქართველოში წამსვლელთათვის ვატარებ სემინარებს საქართველოს შესახებ და მათვე ვასწავლი ქართულ ენას. 10 წელზე მეტია გასული, რაც მე და თომასმა შევექმენით გერმანულენოვანი ინტერნეტ-გვერდები საქართველოს შესახებ — www.georgien.net და www.georgien-nachrichten.de. ეს „საქართველოს გვერდები“ ყოველდღე ახალი ინფორმაციით ივსება და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

თომასი საქართველოს დიდი მოყვარული და ქომაგია. სწორედ ამ დიდმა სიყვარულმა მოატარა ქვეყნის ულამაზესი კუთხეები და მიაღებინა მარ-

თლმადიდებლობა. მისი აქტუალური პროექტი, რომელიც საქართველოს თემას ეხება, არის რომანი „ქართული ფესვები“. მასზე მუშაობისთვის საჭირო გახდა, საირმეში წასვლა, სადაც ვითარდება რომანის ერთი სიუჟეტი. ამ და საირმესთან დაკავშირებულ სამხედრო ტყვეების თემას ეხება ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტური მოთხრობა „უძილო ღამე საირმეში“.



ირმა ქიმერიძე-ბერშიდი მეუღლესთან ერთად

უძილო ღამე საირმეში

ავტორი — თომას ბერშიდი
თარგმანი გერმანულიდან ირმა ბერშიდ-ქიმერიძისა

საირმისკენ მიმავალ მთებში გზა იკარგება. ჩემგან მარჯვნივ ხეობა მოჩანს, დაბლა კი მწვანე ხეებს შორის ვერცხლისფრად ლივლივებს ნაკადული. ვზივარ მძღოლის გვერდით იმ მანქანაში, რომელიც 6 წელი ვატარე გერმანიაში, შემდეგ კი ჩემს ქვისლს გადავულოცე. ჩემს მხარეს ფანჯარა ნახევრად ღიაა. ზაფხულის მინურულს თბილი ჰაერი სახეზე მეღამუნება და თმას მიწნენავს.

2009 წლის სექტემბერია. შეიძლება, ნებისმიერი წელი ყოფილიყო, რადგან მე სხვა პიროვნების ამბულაში ვარ: ეს არის იანი, ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი,


რომელიც ქიმიურ კონცერნში მუშაობს და პროფესიულ კრიზისს განიცდის. ის ეძებს თავის ბაბუას, რომელმაც მერე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ოჯახი დატოვა.

საქმე ეხება რომანისთვის მასალის მოძიებას, რომლის დაწერასაც მომავალში ვაპირებ. ეს არის ამბავი ორი ადამიანისა, რომელთა ოჯახებიც ომმა ერთმანეთს დააშორა. მათ მიზნად დაისახეს თავიანთი ოჯახების ფესვების პოვნა. ეს ის ამბავია, რომელიც ნაწილობრივ ჩემი მეუღლის ოჯახის წარსულში იღებს სათავეს. ის უკანა სავარძელზე ზის, ისევე, როგორც მუსიკოსი სოფიო, რომანის მთავარი გმირი ქალი.

ადგილს, საითაც მივემართებით, უკვე ვიცნობ. ეს არის საირმე, ბალ-

ნეოლოგიური კურორტი კარგი ჰაერითა და სამკურნალო წყლით, მდებარეობს მთებში, საქართველოს დასავლეთ ნაწილში. საბჭოთა კავშირის პერიოდში აქ კომუნისტური პარტიის ფუნქციონერები მკურნალობდნენ. პირველ რიგში, აქაური წყალი კუჭის სამკურნალოდ არის კარგი.

სულ სხვაა ჩემი გამოცდილება ამ სამკურნალო წყალთან დაკავშირებით. ეს იყო 7 წლის წინ. საღამო ხანს გაჭირვებით მივიწვევდი გაუმართავ გზაზე. ერთმანეთის მიყვრლებით გვხვდებოდა ღრმულები. ვცდილობდით, მათთვის გვერდი აგვევლო. როცა ზემოთ ავვდით, დღის სინათლე ოდნავდა კმაროდა სურათის გადასაღებად: სოციალისტური რეალიზმის ამსახველი დიდი მოზაიკა. წყაროს წყლის გამდინარე ადგილის მონითალო ფერი იუნწყებოდა, რომ წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით მინერალს. მე რამ-



ეს არის საირმე, ბალნეოლოგიური კურორტი კარგი ჰაერითა და სამკურნალო წყლით

დენიმე ყლუბი მოვსვი...

ღამით რამდენჯერმე ავდექი და ფანჯრიდან შევყურებდი სავსე მთვარეს, რომელიც ჩემი ქვისლის სახლის ეზოს დანათობდა. ვცდილობდი, კუჭის ტკივილს გავმკვლავებოდი. იმ ღამემ უძილოდ ჩაიარა.

როგორც ჩანს, უძილო ღამეები სხვებსაც აწუხებდათ. ეს არის ამბავი, რომელიც ჩემი რომანის წერის მიზეზი გახდა. ისევე, როგორც ჩემი რომანის გმირი იანი დადის საქართველოს გზებზე, გერმანულად თუ ქართულად მოსაუბრე პირებთან ერთად, თავისი ფესვების საპოვნელად, ახლა მეც მოვიარე საქართველოს კუთხეები ერთი ამბის კვალის მისაგნებად. სწორედ ამ ამბავს მივყავარ საირმეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა ათასობით გერმანელი სამხედრო ტყვე წაასხა საბჭოთა კავშირში. ბევრისთვის ცნობილია იმ ტყვეების შესახებ, რომლებიც ვორკუტაში ნახშირის მალაროებში კატორღულ შრომას ეწეოდნენ. სამხედრო ტყვეები შედარებით რბილ კლიმატურ ზონებშიც გაანაწილეს. ერთ-ერთი მათგანი საქართველო იყო. თბილისში მათ ააგეს ხიდები, ასევე — ხიდი მდინარე ენგურზე, რომელიც აფხაზეთს დანარჩენ საქართველოსთან აერთებს; ისინი

აგებდნენ ჰესებს და გზას, რომელსაც საირმისკენ მივყავართ.

ბევრი მათგანი შეენირა ამ მშენებლობებს. საირმის შესასვლელთან მდებარეობს იმ გერმანულ სამხედრო ტყვეთა სასაფლაო, რომელნიც ამ გზას აგებდნენ. ის 1995 წელს იქნა ფერდობზე გაშენებული. აქ 50-მდე გერმანელმა სამხედრო ტყვემ პოვა სამუდამო განსასვენებელი. თითოეული ისთვის აღმართულია ქვის პატარა სვეტი, სასაფლაოს შუაში კი — ჯვარი.

ამ სამხედრო ტყვეების შესახებ სტატია წავიკითხე. როგორც ამბობენ, ისინი გზასთან ახლოს დაუმარხავთ. ამ ადგილზე თურმე პანსიონატი უნდა აგებულყო. ამბობდნენ, იქ მყოფ დამსვენებლებს უძილობა არ ასვენებდათ... 1994 წელს ამ

პანსიონატის დანგრევა გადაუწყვეტიათ და ამ დროს იქ, სადაც პანსიონატი ყოფილა აგებული (ასე ეწერა სტატიაში), მართლაც, უპოვიათ ძვლები და თავის ქალები, შემდგომში კი მათთვის სასაფლაო მოუწყვიათ. მხოლოდ ამ ამბის შემდეგ მოუპოვებიათ დამსვენებლებს მოსვენება. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, მას მერე, იმ გზაზე აღარც ფატალურად დასრულებული ავტოავარიები მომხდარა...

ნეტავ, თუ მართალია ეს ამბავი ამ თემის შესახებ ახლახან ვესაუბრეთ ბაღდათში მცხოვრებ შუახნის ქალბატონს, თამარს. მართალია, მას პირადად არ უნახავს საირმეში ტყვეები, მაგრამ უფროსი თაობის გადმოცემიდან ზოგი რამ გაუგია გზის მშენებლობის შესახებ.

სამხედრო ტყვეთა ბანაკი ყოფილა იქ, სადაც კოტეჯები მდგარო, — გვიყვება ჩვენი რესპონდენტი. იმ დროს საირმეში ძალიან ცოტა ოჯახს უცხოვრია. მათ არ ჰქონიათ ტყვეებთან კონტაქტის უფლება, თუმცა ამას რალაცნაირად, მაინც ახერხებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო იოლი, მაგრამ ისინი ჰუმანურები ყოფილან ტყვეების მიმართაც კი. რაც შეეხება ოფიცრებსა და ზედამხედველებს, ისინი დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ თურმე.

ქალბატონმა თამარმა გვიამბო ერთი პატარა ბიჭის შესახებ, რომელსაც ერთ-ერთი ტყვე ამოუჩემებია და სახლში საჭმელს იპარავდა, რომ მისთვის მიეტანა და ყოველთვის ერთ განსაკუთრებულ ადგილზე დებდა, საიდანაც ტყვეს მისი ალება შეეძლო. ბიჭის მამას გაუგია და ბავშვისთვის აუკრძალავს საჭმლის მიტანა, რადგან, მოგეხსენებათ, მაშინ ყველას ეშინოდა. ბიჭს ტირილი დაუნყია და ამის შემდეგ დედა ეხმარებოდა თურმე. თავისი დიდსულოვნებით ბიჭს ტყვესთვის სიცოცხლე შეუნარჩუნებია.

...გუთახლოვდებით სასაფლაოს. განვილღ შეიდ წელს უკვალოდ არ ჩაუვლია: საირმეში ამავალი გზა ამჟამად უკვე მოასფალტებულია; ჯვრის ზედა ნაწილი ჩამოტეხილია. რამდენიმე ქვის სვეტიც დან-



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა ათასობით გერმანელი სამხედრო ტყვე წაასხა საბჭოთა კავშირში



გრეულია. საფლავებთან ამავალი კიბის საფეხურებიც ჩამომტვრეულია. საფლავებზე ბალახია ამოსული...

შვიდი წლის წინ უძილო ღამემ რამდენიმე დღით მადა გამიქრო. მიპატიჟებული ვიყავი ქართულ წვეულებაზე. ჩემ წინ სუფრაზე იდო: ქათმის ბაჟე, მოხარშული ხბოს თუ შემწვარი ღორის ხორცი, ლობიო, ხაჭაპური, საკუთარი წარმოების ყველი, მჭადი — მოკლედ, ტრადიციული ქართული კერძები. მე კი, ცარიელი პურის გარდა, არაფრის ჭამა შემეძლო.

სრულიად სხვანაირი ყოფა ჰქონდათ გერმანელებს, რომლებიც 60 წლის წინ იმყოფებოდნენ აქ. ასეთი


რომ ტყვეები თურმე ხანდახან შემოდგომაზე წიფელას ხეებს ბერტყავდნენ და წინიბოს ჭამდნენ — ამით შიმშილის გრძობას ოდნავ მაინც იკლავდნენო.

წარსულიდან ისევ აწმყოში ვბრუნდები. საირმიდან დაბლა ვეშვებით.

რაც 2002 წელს აქ ყოფნისას დამამახსოვრდა, ახლა შესამჩნევად შეცვლილიყო. როგორც ჩანს, რამდენიმე სცენა ხელახლა უნდა გადავამუშაო. მოგვწყურდა. გზაზე, ცივ კამკამა წყაროსთან შევჩერდით.

ჩაუდგამს, რომ ამვლელ-ჩამომვლელ-მა ხეთა ჩრდილში შეისვენოს.

მოხუცი ჩემი წარმოშობის შესახ-



ჯვრის გელა ნაწილი ჩამოგეხილია. რამდენიმე ქვის სვეტიც დანგრეულია

ქალბატონმა თამარმა გვიამბო ერთი პატარა ბიჭის შესახებ, რომელსაც ერთ-ერთი ტყვე ამოუჩემებია და სახლში საჭმელს იპარავდა, რომ მისთვის მიეტანა

სუფრა მათთვის სამოთხის ტოლფასი იქნებოდა. ისინი ბევრს შრომობდნენ, მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ და მხოლოდ ძალზე მწირ საკვებს იღებდნენ: ორ ლიტრ „სუპს“, 670 გრამ პურსა და ცოტა თევზს. მათ არ შეეძლოთ იმ კალორიების აღდგენა, რომელსაც კატორღული შრომის შესრულებისას ხარჯავდნენ. ბევრი გარდაიცვალა შიმშილის, საკვების სიმწირისა თუ დაუძღურების შედეგად...

ჩვენი რესპონდენტი გვიამბობს,

წყაროს გვერდით ვილაცხას ქვაში სახეები გამოუკვეთავს. ხეობის პირას მოხუცი კაცი დგას, იქვე პატარა დახლი დაუდგამს და საკუთარი წარმოების თაფლსა და არაყს სთავაზობს გამვლელთ. არაყს მთავაზობს. პატარა ჭიქით ვსვამ... ის 1934 წელს დაბადებულია — ისევე, როგორც მამაჩემი. ქვისგან სახეების გამოქანდაკების იდეაცა და ეს ნამუშევრებიც მას ეკუთვნის. რამდენიმე ხის სკამი

ებ მეკითხება. მე ვპასუხობ, რა საქმეზე ვარ აქ ჩამოსული. ის მოგონებებში ეშვება და თხრობას იწყებს.

ბავშვობაში მას გერმანელი სამხედრო ტყვეები მამინ უნახავს, როცა ისინი სამუშაო ადგილისკენ მიდიოდნენ. „საწყლები, ყველას ეცოდებოდა ისინი, მიუხედავად იმისა, თუ რა საშინელება ჩაიდინეს მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა კი ისინიც ხომ მსხვერპლნი იყვნენ... ბევრი მათგანი დაიხოცა. მხოლოდ ასამდე ტყვე დაბრუნებულია გერმანიაში“.

სანატორიუმის შესახებ ვეკითხები. ამის შესახებ მასაც გაუგია, მაგრამ ამბობს, რომ ეს სანატორიუმი არ არსებულა.

იგივე მოგვითხრო ქალბატონმა თამარმაც. სასაფლაო გვიან გაუშენებიათ, მას შემდეგ, რაც სანატორიუმის საძირკველში ძვლები უპოვიათ. ის ძვლები დაბლა ჩაუტანიათ და სასაფლაოც აუგიათ.

ამ ყველაფრისგან შეიძლებოდა, კარგი ამბავი გამოსულიყო — ლეგენდა, რომელშიც სიმართლის მარცვალი დევს.

...საირმოდან ქვემოთკენ მიმავალ გზაზე ისევ ჩემს რომანში ვიძირები და იანსა და ბაბუამისზე ვფიქრობ.



იქ, სადაც პანსიონატი ყოფილა აგებული (ასე ეწერა სტაგიაში), მართლაც, უპოვიათ ძვლები და თავის ქალები, შემდგომში კი მათთვის სასაფლაო მოუწყვიათ

ლუი არმსტრონი

ჯაზთან და საუკუნესთან ერთად დაბადებული

„მე ჯაზს ჯერ კიდევ მანამდე ვიცნობდი, სანამ ის რბილი და დამყოლი გახდებოდა... მე მინახავს, როგორ დააბიჯებდა ის ფეხშიშველი ბინძურ ტროტუარებზე მანამ, სანამ „ფეხსაცმლის ფულს იშოვიდა“; მე მინახავს, როგორ დაიწყო მან მოგზაურობა ბრწყინვალე კომპანიასთან ერთად და ისიც — თუ როგორ გაატარა მრავალი წელი ნაძირალების საზოგადოებაში...“

ამას დიდი ლუი არმსტრონგი ჯაზის შესახებ ამბობდა. ცხადია, სწორედ მას, ყველაზე მეტად სხვა მუსიკოსთაგან, ჰქონდა უფლება, ჯაზთან „შენობით“ ესაუბრა, რადგან ეს მუსიკა მასთან ერთად დაიბადა და არმსტრონგმა და ჯაზმა, შეიძლება ითქვას, ერთმანეთი გაზარდეს.

ზვიად გურული

ყველგან, თვით „რკინის ფარდით“ დახურულ საბჭოთა კავშირშიც კი იცოდნენ, ვინ იყო ლუი არმსტრონგი და უსმენდნენ მის „Hello, Dolly“-ს; ყველგან, თვით ბნელეთის საუფლოში — საბჭოთა კავშირშიც კი წერდნენ ჟურნალ-გაზეთები მასზე და 1971 წელს, ცნობილი „კრემლის კარის ჟურნალისტი“ მელიორ სტურუაქ გულაზიუყვილი ამცნობდა მკითხველს მისი ბოლო კონცერტის შესახებ: „სამომო ძლივს დადიოდა სცენაზე, მომსახურე პერსონალი ეხმარებოდა... ინსტრუმენტი ისე ეკავა, როგორც ბებერ რაინდს — მახვილი, რომელიც მას უფრო დასაყრდნობად სჭირდება, ვიდრე გამოსაყენებლად...“

მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ მას შემდეგ, რაც ეს მუსიკოსი მთელ მსოფლიოში (მათ შორის, ევროპაშიც) პოპულარული გახდა, მის შესახებ ყველამ ყველაფერი შეიძინა და დიდების მწვერვალზე მყოფი ლუი არმსტრონგი ჩვენი მკითხველისთვისაც კარგად არის ცნობილი. ამიტომ, ჩვენი რუბრიკის თავიდანვე აღნიშნული მიზნის



გათვალისწინებით, შევეცდებით, უფრო ის წლები გავისვენოთ, რომელთა შესახებაც არც თვითონ უყვარდა საუბარი, თუმცა დიდი სიყვარულითა და იუმორით აღწერა ავტობიოგრაფიულ ნიგნში.

„აღწერა თავის ნიგნში“ — ალბათ ხმაალა ნათქვამია, რადგან წერა-კითხვა საკმაოდ გვიან, ციხეში ისწავლა და ცხოვრების ბოლომდე მწყრალოდ იყო ამ საქმესთან.

ნიუ-ორლეანში დაიბადა. და აქ ცოტა ხნით უნდა შეეჭრდეთ — რადგან მისი დაბადებაც (უფრო სწორად, დაბადების თარიღი) და თვით მამინდელი ნიუ-ორლეანის ცალკე საუბრის თემა...

80-იან წლებში ვილაცამ ქალაქის არქივში მისი დაბადების მოწმობა „აღმოაჩინა“, სადაც 1901 წლის 4 აგვისტო ეწერა. მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ეს მისი ცხოვრების „შავი ლაქის“ — დეზერტირობის ჩამოსარეცხად გაკეთდა. თვითონ თავის დაბადების დღედ, 1900 წლის (საუკუნის დასაწყისი) 4 ივლისი (ამერიკის დამოუკიდებლობის დღე) „აირჩია“; მკვლევართა „ბოროტი ენები“ კი ამბობდნენ, 1898-ში იყო დაბადებული და 2 წელი სწორედ იმიტომ მოიკლო, რომ 1917-ში სხვებთან ერთად, მსოფლიო ომის ფრონტზე არ მოხვედრილიყო (აშშ სწორედ მაშინ ჩაება სამხედრო მოქმედებებში). ასეა თუ ისე, მან 1900 წელი „დაგვიბარა“ და ჩვენს „ნიუ-ბილართა“ რუბრიკაშიც ამიტომ „მოხვდა“.

ისე, ერთადერთი, ვინც დაადასტურებდა მისი დაბადების თარიღს — დედამისი იყო, მაგრამ მას ეს ნაკლებად აინტერესებდა — მრეცხავი და „შეთავსებით მეძავი“, დიდად არ ნაღვლობდა შვილის დაბადების დღისთვის ტორტის გამოცხობაზე, ხოლო მეიენის (სახელიც ეს იყო და გვარიც) ქმარი ვილი არმსტრონგი 1903 წელს „აორთქლდა“ და ლუის მსოფლიო გვარი დაუტოვა.

ნიუ-ორლეანს რაც შეეხება: ნურავინ იფიქრებს, რომ მეიენი ცუდი ქალი, მეძავი


იყო და შვილი არ უყვარდა. არა, უბრალოდ ეს იქ მამინ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ: ცნობილია, რომ 1789 წლის დიდ რევოლუციამდე, მთელი საფრანგეთიდან შეკრებილი და გემებზე შეყრილი მეძავებს სწორედ თავიანთ ამერიკულ კოლონიაში — ლუიზიანაში ასახლებდნენ და მათი უმეტესობა ახალ ორლეანში იყრიდა თავს, რომელიც მოგვიანებით ამ ამერიკული შტატის დედაქალაქი გახდა. ამერიკელებმა მაშინ ერთი „საინტერესო“ კანონი მიიღეს (ერთმანეთისგან გარჩევა „დაუზარათ“) — ყველა, ვისაც თუნდაც ერთი წვეთი „არათეთრი სისხლი“ ჰქონდა, ზანგად მიიჩნეოდა. ასე გახდნენ ახალორლეანელი ზანგები და კრეოლები „ძმები“, ხოლო მეძავთა და მოთამაშეთა შთამომავლები — „მამა-პაპათა“ საქმეს აგრძელებდნენ და ეს „საქმე“ იქამდე მივიდა, რომ ქალაქის თავის — ვინმე მისტერ სტორის ბრძანებით, იქ ამერიკაში პირველი „ვარდისფერი კვარტალი“ შეიქმნა და სახელიც მამინდელი შერჩა (შემქმნელის „პატივსაცემად“) — „სტორივილი“.

სწორედ ამ „სტორივილიში“ დაიბადა... რომელიც წელს (1898-დან 1901 წლამდე) ლუის დენიელ არმსტრონგი. მის უბანში, სადაც მხოლოდ ბარები, სალუნგები, ბორდელები და სამრეცხაოები იყო, ცხოვრება მხიარულად, თუმცა ღარიბულად მიდიოდა. ამ „მხიარულებაში“ ყოველდღე ჩხუბი და ქუჩაში დილიდან საღამომდე უპატრონოდ დაგდებული დაჭრილი ან მოკვლილიც იგულისხმებოდა, ხოლო ლუკმაპურს მხოლოდ მათხოვრობით პატარა ბიჭიც კი ვერ იშოვიდა — ლუი ხან ბოლო ხმაზე გაჰკიოდა „სილიერას“ და დოღზე აბრაზუნებდა ქუჩის კუთხეში, ხან კი ნახშირს ეზიდებოდა გრომების სანაცვლოდ. გრომები ბებიასთან მიჰქონდა, რომელიც დედის მოუცლევლობის გამო, მისი „აღზრდით“ იყო დაკავებული და რომლისთვისაც ეს დიდ ფულად ითვლებოდა, რადგან მას ჯერ კიდევ ის დრო ახსოვდა, როდესაც ის და მისი მშობლები მონები იყვნენ და საკუთარი ფული სიზმარშიც არ ჰქონდათ ნანახი.

კარგი და ცუდი მუსიკის გარჩევა ძალიან ადრე ისწავლა. მოგვიანებით ამბობდა, — ჩემი ქუჩის კუთხეში ცნობილი ბარი — „ფანკი ბატი“ იყო, რომელიც ბადი ბოლდენი უჭრაუდა; ამ კაცს დიდ მუსიკოსად მიიჩნევდნენ, მე კი არ მომწონდა და მიმაჩნდა, რომ ძალიან ძლიერად უბერავდა ინსტრუმენტში; ვფიქრობ, სწორედ ამის გამო გაგვიფა ბოლოსო! — სარკასტულად ასკვნიდა არმსტრონგი. სამაგიეროდ, ბავშვობიდანვე აღმერთებდა ჯო ოლივერს, „კინგად“ („მეფე“) ნოდებულს, რომელმაც გაუკავა კიდევ პირველი ბილიკი მწვერვალისაკენ, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით იყო...

მანამდე კი იყო არასრულწლოვანთა ციხე და, როგორც ბედის ყველა ნებიერასათვის, გამართლებული ანდაზა: „ზოგი ჩირი მარგებელია“.

...სკოლაში მეგობარი ჰყავდა (თუმცა გაკვეთილებს იშვიათად ესწრებოდა) — არტურ ბრაუნი. ლამაზი ბიჭი ყოფილა, კარგად ცივამდა და გოგონებში პოპულარობითაც სარგებლობდა. ერთ-ერთი მისი მეგობარი გოგონას უმცროსი ძმა, ცნობილი



პატარა ლუის ფოტო არასრულობს, ამის ფული არ ჰქონდა



ჩსუბისთავი მისულა და მოკვლით დაჰმუქრებია. არტურსა და ლუის გასცინებიათ — თვითონაც ბავშვებს, თავისზე უმცროსის მუქარა სათვალავში არ მიუღიათ. პატარა მკვლელმა მშვიდად ამოიღო რევოლვერი და თავში ესროლა „სასიძოს“. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ორლენში ყველა დაკრძალვა (მათ შორის, ესეც) ბოლოს კონცერტად გადაიქცეოდა (ამას თვითონ წერს), ამ შემთხვევამ მაინც იმოქმედა ყმანვილ ლუი არმსტრონგზე და ერთხელ, მორიგი ქუჩურ შელაპარაკების დროს, როდესაც მონინააღმდეგეს იარაღი დაუწახა, სახლში შევარდა, დედის მორიგი „კლიენტის“ — პოლიციელის ტანსაცმელზე დადებული რევოლვერი აიღო და ქუჩაში გამოვარდნილმა, უმისამართო სროლა ატყა (თუმცა ამბობენ, უმისამართოდ კი არა, ძალიანაც დამიზნებით ესროდა, მაგრამ ვერ გაარტყა).

ასე იყო თუ ისე, დაიჭირეს, ბავშვთა საპატიმროში გააშენეს და თანაც, ერთობ უცნაური „ვადი“ — „დავალებული იქნას გამოსწორებად!“ (ასე ეწერა განაჩენში)

„ჯოზეფ ჯონსის ციხე“ — ასე ეძახდნენ იმ ბავშვთა საპატიმროს თუ ბავშვთა გამოსასწორებელ სახლს, სადაც არმსტრონგი მოხვდა და ეს იყო პირველი გამართლება. ჯოზეფ ჯონსი — გადამდგარი ოფიცერი, ზანგი, რალა გზებით გამდიდრებული კაცი, ამ ბავშვებს პატრონობდა და მათ სწორ გზაზე დაყენებას ცდილობდა. სწორედ იქ შედგა ფენი სცენაზე პირველად ლუი არმსტრონგმა. ჯერ უბრალო ინსტრუმენტი (კლარნეტის მარტივი მოდიფიკაცია) მისცეს და დილას და საღამოს, ასევე საღილზე შეკრების მათე-წყებელი სიგნალის დაკვრა დაავალეს; მერე კვარტეტშიც თითო-ორთა აკორდი ანდეს; მერე ნამდვილი კლარნეტი მისცეს და „წავიდა და წავიდა“... ციხიდან გამოსულმა უკვე დაკვრა იცოდა, თანაც — კარგად! ჰო, კიდევ — ნერა-კითხვა და ანგარიშიც! ერთი სიტყვით, ციხიდან „დაკაცებული“ გამოვიდა. 17 წლის იყო (საკუთარი „ნელთალრიცხვით“) მაშინვე მივიდა ძველ კუთლისმყოფელთან — ჯო „კინგ“ ოლივერთან, მან და ბენი „ბლეიკ“ უილიამსმა თავიანთ ბენდში მიიღეს და „კინგმა“ კლარნეტზე პროფესიულად დაკვრა, ხოლო „ბლეიკმა“ რიტმში „ჯდომა“ ასწავლა. სხვათა შორის, „ბლეიკზე“ ყოველთვის ამბობდა არმსტრონგი: ჩემსა და თვის „კინგ“ ოლივერზე დიდი გახდებოდა, იმ მეძავისთვის ორიოდ გროში რომ მიეგდო, რომელმაც გადაუხდებლობის გამო ლოგინშივე დააყალბა მთელი მჭიდრო...
როგორც ვთქვით, ამ დროს ამერიკა ომში ჩაება, სამხედრო მეთაურობამ ბრძანა, სამხედრო-საზღვაო ბაზების ქალაქებში ბორდელეები აიკრძალოსო და ახალი ორლენიც დაიცალა — საროსკიპოებს ჯაზიც „გაჰყვა“ და ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა. თუმცა ეს ტერიტორია არც არსებობდა — მხოლოდ ერთი თეთრკანიანი მომღერალი, ტომ ბრაუნი უწოდებდა თავის ჯგუფს „ჯეაზბენდს“; შემდეგ მეორე თეთრმა — ჯონი სტინენმა ჩაწერა სიმღერები 1917-ში, იმავე სტილში და ბოლოს, ორლენელმა ზანგებმაც ჩააღნიეს ჩიკაგოსა და ნიუ-იორკში! და მაშინ დაიწყო ნამდვილი ჯაზი! ჩიკაგოში ჩავიდა ჯო „კინგ“

ოლივერიც, მაგრამ არმსტრონგი ჯერ ისევ ახალ ორლენში იყო და ცენტებს შოულობდა. თანაც, ცოლი შეირთო — რა თქმა უნდა, ზანგი და, რა თქმა უნდა, მეძავი!.. რომელიც ამ „სიკეთის“ გარდა, ისეთი ეჭვიანი იყო, რომ მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ისე, არც არმსტრონგი მოქცეულა მთლად „ეთიკურ-მორალურად“: არა, მეძავი რომ იყო — ეგ არაფერი (ხომ ვთქვით, ახალ ორლენში ეს ჩვეულებრივი „სამუშაო“ იყო), მაგრამ დეიზი პარკერს ქმარი ჰყავდა! და ლუიმ პირდაპირ საძინებლიდან ნაპგვარა ცოლი! 3 თუ 4 წელი იყვნენ ერთად და სულ ნივილ-კვილი იდგა მათ სახლში, მაგრამ ლუის საყვარელი — 15-დოლარიანი „სტეტსონის შლასის“ სამართლებლი დაჭრა ბოლო წვეთი იყო მოთმინების ფიალაში — არმსტრონგი სახლიდანაც (რა სახლი?! — შუმბანდში ცხოვრობდნენ, სხვის ქვრქვეშ) წავიდა და ქალაქიდანაც „კინგ“ ოლივერს ჩააკითხა ჩიკაგოში და მაშინვე მოიპოვა აღიარება.

ეს 1922 წელს მოხდა. ჯომ ყველანაირად შეუსწო ხელი, დანარჩენი, ნიჭის საქმე იყო. „ახალი ცოლიც“ გაიჩინა — ლილიან ჰარდინი პროფესიონალი პიანისტი იყო, კლასიკური განათლებით. სწორედ მან აიძულა, ჩიკაგოდან ნიუ-იორკში გადასულიყო, მისი „მენეჯერობაც“ შეითავსა და მის ჯგუფშიც უკრავდა, თანაც ყველაფერს კარგად აკეთებდა და არმსტრონგმაც გაიგო „ცხოვრების გემო“: ცოლმა მას 11-ოთახიანი სახლი ყიდვინა ჩიკაგოს მდიდრულ გარეუბანში, არადა, როდესაც ახალი ორლენიდან ჩავიდა, პირველად ნახა აბაზანა!.. ნიუ-იორკში ფლჩერ ჰენდერსონთან — ზანგ მუსიკოსსა და პროდიუსერთან უკრავდა, რომელიც იმით გამოირჩეოდა თავისი წრისაგან, რომ უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და ამოუდ ოცნებობდა საკუთარ ლაბორატორიაზე — ზანგებისთვის ეს სფერო მაშინ ტაბუდადებული იყო.

ნიუ-იორკში მხოლოდ რამდენიმე წელი დარჩა — „დიდი დეპრესიის“ წლებში და ეკონომიკურმა კრიზისმა ჩიკაგოში დააბრუნა. „მშრალი კანონის“ გამო ყველაზე დიდი ფული ჩიკაგოელი ბუტლეგერების ხელში მოექცა, ხოლო ჯაზმენები (ყოველ შემთხვევაში, მაშინ) არც კითხულობდნენ, ვინ იყო მუსიკის დამკვეთი. არმსტრონგი მაინც „სტორიცილელ ბიჭად“ დარჩა და ლილიმაც ბოლოს და ბოლოს, მიატოვა იგი. მაგრამ ლუის დიდად არ უდარდა — ერთი ცანცარა გოგო, სახელად ელფი შეირთო. იატაკქვეშეთი დამზადებულ ვისკისაც მიეძალა და არც მარისხუნასს ეკლებდა. სხვათა შორის, ამისთვის გაასამართლეს კიდევ და ის ელფი ქმარს მხოლოდ შაბათ-კვირას ხედავდა საკუთარ ლოგინში — კვირაში 5 ლამე კი მას ციხის საკანში უნდა გაეთუნებინა, ასეთი იყო სასჯელი — სამსახურიდან ციხეში (ბარემ დავას-

რულოთ „ცოლების თემა“ — ვარიეტეს მოცეკვავე ლუსილ უილსონი მისი მეოთხე და უკანასკნელი ცოლი იყო).


სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მარისხუნა მისთვის ტკივილგამაყურებელი საშუალება უფრო იყო, ვიდრე „კაიფი“: როდესაც იგი მოვიანებოდა ოტოლარინგოლოგებმა გასინჯეს გაცივებული დარჩენ — მისი ხორხი მიძიმე იყო დაავადებული და მას მრავალი წლის განმავლობაში ძლიერი ტკივილი ტანჯავდა... სხვათა შორის, მას ტუჩებიც ამ ტკივილისგან ჰქონდა დეფორმირებული და მისი მეტასახელი — საჩმოც (ანუ „დიდტუჩა“) ამ ტკივილის „დამსახურება“...
30-იან წლებში საჩმოს ბანდიტებთანაც აურია საქმეები და პოლიციასთანაც; თავის გასარიდებლად, კარგი მიზეზი მოიფიქრა — ევროპული გასტროლოგი. ორჯერ იმოგზაურა „ბებერ კონტინენტზე“ და უამრავი თაყვანისმცემელი შესძინა საკუთარ თავსაც და ზოგადად — ჯაზსაც. შემდეგ იყო აღმა-



ფრენისა და დაცემის წლები, პოლიკულტურული ტრიუმფები და ჯაზის პოპულარობის დაცემის წლებიც — ამის მიზეზებზე საუბარი ალბათ მუსიკანთა ოცნებების საქმეა, მაგრამ ერთი ფაქტი, რომელმაც საჩმოს პოპულარობის ბოლო და ყველაზე ხანგრძლივი ტალღა გამოიწვია, მაინც უნდა გავისხნოთ:

არკანზასის შტატი (ცნობილი თავისი რასისტებით), პატარა ქალაქი ლითლ-როკი. მიუხედავად დესეგრეგაციის კანონის მიღებისა, ქალაქის ერთადერთ სკოლაში პატარა შავკანიან გოგონას სწავლის საშუალებას არ აძლევენ. ლუი არმსტრონგი ნაციონალური რადიოთი გამოდის და სიმღერის შესრულებამდე პრეზიდენტ ეიზენჰაუერს „ექსპრომტად“ მიმართავს... არცთუ რჩეული ლექსიკით გაჯერებულმა სიტყვამ გაჭრა და პრეზიდენტის გადამწყვეტილებით, ლითლ-როკში ეროვნული გვარდიის რაზმი გაიგზავნა, რათა გოგონა პომპეზურად მიეცილებინათ სკოლაში! ხალხს ისევ გაახსენდა არმსტრონგი! ჯაზი ისევ „სახალხო მუსიკა“ და არა „რჩეულთა სიამოვნება“ გახდა!

დანარჩენი კი, საყოველთაოდ ცნობილია... არაფერ იცის, საჩმოს მიბაძვით, ისევ შემოვა თუ არა მოდამი თეთრი ცხვირსახოცები, მაგრამ ჯაზი რომ აღარ გადავა მოდიდან, ეს უკვე უდავოა...



სამყარო

საიდუმლო ჰოხი და მოკარვის უიუით გადაგაღული ნახატები

ადამიანები პროფესიას სზირად ადრეულ ასაკში, გაუცნობიერებლად ვირჩევთ. შემდეგ გადის დრო და ვხვდებით, რომ თურმე ჩვენი მონოდება სულ სხვა რამ ყოფილა. ჩემი რესპონდენტი თელავის მკვიდრი, კახს პაპონაშვილი გახლავთ, მისი მონოდება და ჰოხი — ხატვა. როგორც ჩემი რესპონდენტი ირწმუნება, ის განსხვავებული მეთოდით მუშაობს. სიმართლე რომ გითხრათ, მსგავს მეთოდზე ინფორმაცია ინტერნეტში ვერც მე მოვიძიე. გულწრფელად გეტყვით, რომ მოყვარული და თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევრებით აღფრთოვანებული დაფრჩი. ნახატი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ფანერაზე ამომწვარ სურათს კი არა, ნატიურმორტის დასახატავად გამზადებულ, ცოცხალ კომპოზიციას უყურებ. რატომ მაღავედა ნახატებს და რას ხატავს ყველაზე დიდი საამოვნებით, როგორ შექმნა მ ნელინადში სულ რამდენიმე სურათი, ამის შესახებ კახა თავად მოგვითხრობს. ჩვენი ინტერვიუ „სკაიპით“ შედგა.



მარი ჯაფარიძე

— გამარჯობა, კახა. რამდენი წლის ხართ?

— 27-ის. დაოჯახებული ვარ, 2 შვილი მყავს, ქალ-ვაჟი. ცოლი საკმაოდ პატარამ მოვიყვანე და ბავშვები ახლა კარგა მოზრდილები არიან.

— რა პროფესიის ხართ?

— ეკონომისტი. თელავის გამგეობაში, სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტად ვმუშაობ.

— ხატვა თქვენი ჰობია?

— დიახ. სამსახურიდან რომ ვბრუნდები ან დასვენების დღეებში ვმუშაობ ხოლმე. მხატვრობა პროფესიად არ ამირჩევია.

— როდის დაიწყეთ ხატვა?

— 4 წლის ასაკიდან.

— და პროფესიად მხატვრობა მაინც არ აირჩიეთ...

— სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, რატომ არ ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში. ალბათ იმიტომ, რომ ცოტა ისეთი ადამიანი, ვისაც ამ დარგში სოლიდური შემოსავალი აქვს. მხატვრები ღარიბი ხალხია. ვფიქრობ, ამან განაპირობა, რომ პროფესიად ეკონომისტობა ავირჩიე. თან, მამაც ეკონომისტია და მინდოდა, მის გზას გავეყოლოდი.

— თუ გახსოვთ, ბავშვობაში რის ხატვა გიყვარდათ ხოლმე?

— ძირითადად ბუნებას, ეკლესიებსა და ადამიანებს ვხატავდი. მაშინ ფერადი

ფანქრებით ვმუშაობდი. სამხატვრო სკოლაში რომ მიმიყვანეს, მერე აკვარელით დავიწყე ხატვა. თელავის ე. ახვლედიანის სახელობის სკოლაში 4 წელი ვსწავლობდი.

— მომიყვით, ახლა როგორი ტექნოლოგიით მუშაობთ?

— ნახატს ჯერ ხეზე ვწვავ, ძირითადად, ნერტილოვანი გზით. მგონი ამას პუნტილიზმი ჰქვია, შემდეგ კი ზეთის საღებავებით ფერები შემაქვს.

— ბევრი ნამუშევარი გაქვთ?

— არა, სამწუხაროდ არა. ნახატის დამუშავებას დიდი დრო უნდა და ამიტომ ბევრის შექმნას ფიზიკურად ვერ მოვასწრებ. დასრულებული სულ 9 ნამუშევარი მაქვს, 2 კი დასამთავრებელია. თანაც, ცოტას ვზარმაცობ კიდევც. ისეთი

ნახატები მაქვს, რომლის დამუშავებას 1 წელი მოვუნდი. ხანდახან კი ეს „ოხერი“ მუზა მიდის და ველოდები, როდის დაბრუნდება. თუ მუზა არ გაქვს, შანსი არაა, გულით ვერ დახატავ და ნახატი ფუჭდება.

— ეს 9 ნამუშევარი რამდენ ხანში შექმენი?

— 7-8 წელი მოვუნდი. საკმაოდ დიდი ზომის ნახატებია. როდესაც მხატვარი ზეთის საღებავით მუშაობს, მას აქვს შეცდომის დაშვების უფლება ანუ შეუძლია, შეასწოროს. აქ სხვანაირადაა. შანთვის დროს შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს. თუ შეგეშალა, ვეღარ წაშლი და ნახატი ფუჭდება ან იძულებული ხარ, შინაარსი შეცვალო. ძირითადი დრო წვას მიაქვს. ხანდახან ნახატს 3-ჯერ სჭირდება წვის გზით ტონების გადატარება.

— ბავშვობაში ხეზე ამოსანავი მოწყობილობა მქონდა — პატარა, კალმის ფორმის, საშანთი, მოხრილი, რკინის წვერით, რომელსაც დენში ვაერთებდი, წვერი უცხელდებოდა და შემდეგ იოლი იყო ნახატის ამონვა. ასეთია თქვენი ხელსაწყო?

— დიახ. ახლა მაგით ვმანთავ, მაგრამ ვიდრე მოწყობილობას ვიყიდდი, გაცხელებული დანით ვმუშაობდი. პირველი სამი ნახატი სწორედ დანით შესრულდა. ცეცხლზე ვაცხელებდი და ასე ვწვადი. რა მექნა? ხელსაწყო არ მქონდა და...





— დანას წარამარა დასჭირდებოდა გაცხელება. ალბათ ძალიან საწვალელებელი იყო...

— რა თქმა უნდა, ბევრს ვწვალობდი, მაგრამ როდესაც რაღაც გინდა შექმნა, მაგას უკვე აღარ უყურებ.

— რატომ აირჩიეთ ნახატების შესაქმნელად მინცდამინც ეს მეთოდი?

— პირველ რიგში მინდოდა, ისეთი რამ შექმენა, რომელიც გამორჩეული იქნებოდა. ადრე მხოლოდ ვნავი და მეტი არაფერი. ასეთი სურათები ცოტა უსიცოცხლო გამოდიოდა. მერე ვიფიქრე, ცოტა ფერები რომ შევიტანო, შეიძლება რაღაც გამოვიდეს-მეთქი და შექმნა პირველი ნამუშევარი. უბრალოდ, ერთი ყვავილი დაეხატე და ძალიან ლამაზი გამოვიდა.

— მსგავსი მეთოდით შესრულებული სხვისი ნახატები თუ გინახავთ?

— არა. ინტერნეტი „გადავქექე“, მაგრამ ვერ მოვებნე. არც გამიგონია, რომ ვინმე მსგავსი მეთოდით ხატავდეს.

— ვიდრე მუშაობას დაიწყებთ, წინასწარ ალბათ მოინახავს აკეთებთ, არა?

— მხოლოდ გონებაში. ჩანახატს არ ვაკეთებ, პირდაპირ ვინცებ შანთვას.

— ნახატს რა მასალაზე ასრულებთ, ფანერაზე?

— დიახ, 10-12 მმ სისქის ფანერაზე, რომელიც წინასწარ მუშავდება, „იშვურება“ და სუფთავდება. ისეთ მასალას ვარჩევ, სადაც ძალიან ცოტა კოჟირია.

— თქვენი ნახატები ვინმე სპეციალისტს თუ უნახავს?

— არავის. თქვენ წარმოიდგინეთ, არც სპეციალისტს და არც არავის. საიდუმლოდ ვინახავდი მათ.

— რატომ? რად მალავდით?

— იდეის მოპარვის შიში მქონდა. საერთოდ, ხელოვნების სწვევით სხვისი იდეის მითვისება.

— ახლა აღარ გეშინათ?

— ახლა — არა. წინათ 4-3 ნახატით მნახველზე შთაბეჭდილებას ვერ მოვახდენდი. ახლა უკვე მომიმრავლდა. თანაც, მომწყინდა დამალობანას თამაში.

— სულ არავინ იცოდა?

— მხოლოდ ოჯახმა და რამდენიმე ახლო ნათესავმა. ნათესავებში ვინც მხატვარი იყო, იმათაც ვუმალავდი.

— ყველაზე მეტად რომელი ნამუშევარი მოგწონთ? რომელს მიიჩნევთ „გამოსულად“?

— არც ერთი არ მომწონს. ისე კი, „ქალის სურვილს“ მივანიჭებდი უპირატესობას. მას მთელი 1 წელი ვამუშავებდი და დიდი შრომა მაქვს ჩადებული.

— ნახატი გაგჩიუებიათ?

— კი, ერთხელ გაგაჩიუქე და დღესაც ძალიან მწყდება გული. ყურძნისა და ხორბლის კომპოზიცია იყო, ნათესავს ვაჩიუქე.

— თუ აქვს გამოფენილი გამოსაჩენ ადგილზე?

— არა მგონია. პატარა ნახატია და



არა მგონია, გამოსაჩენ ადგილზე ჰქონდეს.

— გაყიდით ნახატს?

— დიახ, მხოლოდ ისეთ ფასში, როგორც მე მანყობს. ისე კი არც მექარება გაყიდვა. როცა ამხელა დროს ვანდომებ, აშენ შრომას ვდებ, იაფად ვერ გაყვიდი.

— სახელოსნო გაქვთ?

— სახელოსნოდ პატარა ოთახი მაქვს სახლში, მაგრამ პერიოდულად მისი დატოვება და ნათელ ოთახში გადასვლა მიწევს.

— ოჯახის წევრები როგორ უყურებენ თქვენს საქმიანობას?

— ხელს მიწყობენ, რომ ვიმუშაო.

— რომელი პროცესი უფრო მოგწონთ? ამონვის თუ საღებავის დადების?

— ორივე ერთნაირად. ორივეს თავისებური სირთულე აქვს. ხან არის პერიოდი, როდესაც წვა მირჩევნია, ხან — პირიქით. განწყობილებაზე დამოკიდებული.

— ანუ შეიძლება ისეც მოხდეს,



რომ ნახატის ნაწილი ამონვით, მერე საღებავი შეიტანოთ, მერე ამონვა გააგრძელოთ და ასე... თუ ჯერ მთლიანად ამოშანთავთ და მერე საღებავით მუშაობთ?

— იმის მიხედვით ვიქცევი, როგორც ნახატი მონიხოს.

— როცა ხატვას იწყებთ, ზუსტად იცით რას დახატავთ თუ აიღებთ ხელსაწყოს და მერე ფიქრობთ, რა გააკეთოთ?

— ჯერ კარგა ხანს ვფიქრობ, რა უნდა დაეხატო და როგორ. იდეა გონებაში მუშავდება და მნიფდება ფერებით, საგნების პოზიციით, დეტალების შეჯერებით და ბოლოს უკვე ვინცებ ხატვას. რადგან ამ სფეროში განათლება არ მაქვს, ამიტომ ხშირად, რაც უნდა დაეხატო, იმისთვის სურათის გადაღება მიწევს, რადგან შემდეგ სურათიდან გადატანა იოლია. ხანდახან ისეც ხდება, რომ ნახატს ვამთავრებ და ვხვდები — სადღაც შეცდომა დაშვებული, მაგრამ ზეთის საღებავით შესრულებულ ნაწილს კი გამოასწორებ, ეგაა, ამომწვარს ვერ შეცვლი. მაშინ ნახატი უნდა გადააკეთო და ის ადგილი საღებავით შეცვალო.

— ხომ არსებობს ენ. „შპაკლი“, რომლითაც შეიძლება ამომწვარი ადგილი გააახლოო ან ხის ლაქში გარეული ხის ფქვილით ანუ ნახერხით „გამათელო“?

— არ მიცდია, სიმართლე რომ გითხრათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავის კვალს დატოვებს. ჩემი ნახატების შესახებ პროფესიონალების აზრი ძალიან მაინტერესებს და თუ ვინმე მსურველი აღმოჩნდება და „მასტერკლასსაც“ ჩამიტარებს, რომ ხატვის ტექნიკა უკეთ შევისწავლო, არც ამაზე ვიტყვოდი უარს.



ყვავილია



პრაქტიკული რჩევები საყურაო კოსტიუმების შერჩევას

დიზაინერ ზალიკო ბერბერს ქუდებთან კარგი „ურთიერთობა“ არა აქვს: პლაჟზე შლაპიანი, მზისსათვალისანი ქალბატონი მისთვის „კომუნისტურ გადმონაშთთან“ ასოცირდება. სამაგიეროდ, სუსტი სქესის წარმომადგენლებს პრაქტიკულ რჩევებს აძლევს — როგორი საცურაო კოსტიუმი ჩაიცვან გარუჯვამდე და გარუჯულ ტანზე, როგორი ქსოვილი გამოიყენონ სხეულის დეფექტების დასაფარავად...



ეთი ყორღანაშვილი

— ტანისამოსთან შედარებით, საცურაო კოსტიუმზე მუშაობა უფრო იოლია — ბოლოს და ბოლოს, უფრო ნაკლები ქსოვილი იხარჯება (იციინის). ხარისხიანი საცურაო კოსტიუმის შესაქმნელად ბევრი დროა საჭირო, მაგრამ დიდ გარჯას არ მოითხოვს, შესაბამისად — მუშაობა საინტერესო, სახალისოა. რალაც ახალს ვერ მოიგონებენ, რადგან „კუპალნიკს“ გარკვეული სტილი აქვს — შეიძლება, „ცალცალი“ ან მთლიანი იყოს, სხვადასხვა დეტალით გამდიდრებულ-გალამაზებული. პოდიუმზე ძალიან ეფექტურია. თუმცა ყველას — არა, მაგრამ ზოგიერთ ქართველ გოგონას საცურაო კოსტიუმით პოდიუმზე გასვლასთან დაკავშირებით ისევ პრობლემა აქვს. ამიტომ ჩვენებაზე „კუპალნიკების“ კოლექციის წარმოდგენა, ცოტა არ იყოს, რთულია.



— ასეთი კოლექცია შეგიქმნათ?

— 1998 წელს შექმენი. პოდიუმისთვის საცურაო კოსტიუმის ჩაცმა ქართველი გოგონებისთვის დღესაც პრობლემაა და ხომ წარმოგიდგენიათ, მაშინ რა იქნებოდა! სპონსორი გყავდა: ერთ-ერთ კომპანიას სარეკლამო აქციას ვუკეთებდით. გადაწყდა, რომ გოგონებს „კუპალნიკები“ უნდა ჩაეცვათ. ამის შესახებ ჩვენებამდე რამდენიმე დღით ადრე გვითხრეს. მგონი, ერთ ღამეში 15 საცურაო კოსტიუმი შევკერეთ. სხვათა შორის, ძალიან ეფექტური იყო!



— ე.ი. ერთ ღამეში ლამაზი და იმპედროულად, ერთმანეთისგან განსხვავებული საცურაო კოსტიუმების შექმნა მოახერხეთ?

— კი, როგორ არა! თან, მაშინ ქსოვილების დიდი არჩევანი არ გქონდა, მით უმეტეს — საცურაო კოსტიუმის „მასალის“ შოვნა ძნელი იყო. ზოგი კაბა დავჭერთ და „კუპალნიკი“ შევკერეთ, ბრჭყვიალა ბაფთების საშუალებით ვარდებით გაავფორმეთ. მოსკოვში ძალიან ცნობილი დიზაინ-



ერი — ბესო რაზმაძე და კიდევ ერთი ჩემი მეგობარი (რომელმაც კერვა კარგად იცოდა) მეხმარებოდნენ. რაც უნდა მოინდომო, ერთ ღამეში 15 კაბას ვერ შექმნი. სწორედ ამიტომ ვთქვი, — საცურაო კოსტიუმებზე მუშაობა უფრო იოლია-მეთქი.

— როგორი საცურაო კოსტიუმები ნელს აქტუალური?

— შარშანდლიდან ყვითელი ფერი შემორჩა, ოღონდ — ცოტა უფრო გამუქებული (ჭაობისფერში, ყავისფერში გარდამავალი), ოქროსფერი, მეტალის აქსესუარებით გაფორმებული. რასაკვირველია, „ცალ-ცალი“ „კუპალნიკი“ აქტუალურია; იშვიათია შემთხვევა, როცა ქალი ასეთ მოდელს ვერ იცვამს. შეიძლება, გოგონა ძალიან მსუქანი იყოს, მაგრამ მაინც „ცალ-ცალი“ საცურაო კოსტიუმის ჩაცმას ამჯობინებს.

— აღნაგობის მიხედვით, როგორი საცურაო კოსტიუმი უნდა შეარჩიოს გოგონამ?

— თუ დუნდულების პრობლემა აქვს, შორტის ტიპის ქვედა ნაწილი ჩაიცვას, თუ ზედმეტი კილოგრამები ძალიან აწუხებს — მთლიანი „კუპალნიკი“. უკვე სილიკონგარეული ქსოვილებიც გამოვიდა, რომლებიც ტანს „ტკიცავს“ და შეუძლიათ, სხეულის გარკვეული დეფექტები დამალოს. ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ თუკი ქალს ნაიარევი აქვს (რაც ცხა-



დია, არაესტეტიკურია), ჯობია, დამალოს (მაგალითად — შარფით). ალბათ, პლაჟზე საცურაო კოსტიუმის ფერთან შესამებული დიდი ჩანთა და „შლოპანცებიც“ აუცილებელია.

— ყვითლის გარდა, კიდევ რა ფერის საცურაო კოსტიუმებია აქტუალური?

— „კუპალნიკების“ შერჩევას მაინც თავისებური სპეციფიკა აქვს — რაც უფრო ნათელი ფერისაა, გარუჯულ ტანზე უფრო ეფექტურია: ჭრელი, კუბოკრული, შაბიამნისფერი, ყოლოსფერი, სალათისფერი, ორნამენტებით გაფორმებული... გარუჯვამდე სასურველია შავი, მეტალოიდით ან თვლებით გაფორმებული პრიალა საცურაო კოსტიუმის ჩაცმა, გარუჯულ ტანზე კი — ღია ფერის.

— საცურაო კოსტიუმებთან დაკავშირებით, თქვენს კლიენტებს როგორი ფანტაზია აქვთ?

— „კუპალნიკების“ შეკვეთა ჯერ არ მქონია, ვერ ვისხენებ... ძირითადად, გოგონები გამზადებულ საცურაო კოსტიუმებს ყიდულობენ. როგორც ალვინში, ერთხელ შევკერეთ, მაგრამ ისინი პოდუმიისთვის იყო განკუთვნილი. ჩვენებაზე ლამაზი იყო, მაგრამ პლაჟზე არაპრაქტიკული იქნებოდა. საცურაო კოსტიუმის შესაკერად სპეციალური წელგადი ქსოვილია საჭირო. ერთმა ჩემმა მეგობარმა გოგონამ მაისური დაჭრა, ქსოვილები განელა, მიაბ-მოაბა და არაჩვეულებრივი „კუპალნიკი“ გააკეთა — სალათისფერი ლურჯში. იმ საცურაო კოსტიუმით მთელი ზაფხული მშვენივრად დაისვენა (იცინის)..



— მოდი, უყურადღებოდ არც მამაკაცში დეტოვით პლაჟზე მოდურად როგორ უნდა გამოიყურებოდნენ?

— წლებია, რაც მამაკაცის საცურაო კოსტიუმად შორტი იქცა, რომლის სიგრძე ხან მოკლდება, ხან — გრძელდება. წელს მუსლამდე სიგრძის შორტებია მოდაში — ცოტათი ტანზე მომდგარი, ოდნავ დაბალი წელით; ნითელი, ლურჯი ან ნებისმიერი სხვა ფერის (ძალიან კვასკვასა — არა) ყვავილებით გაფორმებული.

— ამჟამად საზაფხულო კოლექციაზე თუ მუშაობთ?

— ვმუშაობ. „კუპალნიკებს“ — არა, მაგრამ გამჭვირვალე კაბებს წარმოვადგენ, რომლებიც პლაჟიდან ამოსულმა გოგონამ ან ქალბატონმა შეიძლება, ჩაიცვას. ალბათ, ჩვენება აგვისტოში, ბათუმში გაიმართება. დაასლოებით, 40 მოდელი იქნება. ჩვენებას და დასვენებას ბათუმში „გავაერთიანებთ“. შეიძლება, კოლექცია რამდენიმე კლუბში საზაფხულო ტურნესავით წარმოვადგინოთ, რათა საზაფხულო კოლექციის ხილვის საშუალება ბევრ დამსვენებელს ჰქონდეს. ■



1875-1876 წლების სვანეთის აჯანყება

მიხეილ ლაბაძე

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, როცა რუსეთის იმპერიამ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარა, სანქტ-პეტერბურგში, იმპერატორის საიდუმლო მრჩევლებმა რეგიონის ასათვისებლად და საბოლოოდ გასარუსებლად სპეციალური გეგმა შეიმუშავეს, რომელსაც გრძელი სათაური ჰქონდა: „კავკასიაში არარუსებით დასახლებული მიწების მრავალგზითი ათვისების, განკარგვისა და გავონტროლების გენერალური გეგმა“. ცარიზმის მესვეურებს სურდათ, რომ კავკასიაში აუზომათ ყველა ის მიწა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეთა — არარუსთა ხელში იყო, რათა შემდეგ იქ მიმდინარე პროცესები უკეთესად გაეკონტროლებინათ. ხსენებული გეგმის მთავარ პუნქტებზე დაყრდნობით, რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ 1874 წლის ბოლოს კავკასიის მეფისნაცვალს, მიხაილ რომანოვს დაავალა, მიწები აუზომა და შესაბამისი ანგარიში მოემზადებინა.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწების აზომვა 1875 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ცარიზმის მოხელეებს ნაბრძანები ჰქონდათ, არ გაეღიზიანებინათ მოსახლეობა და თუ ვინმე დაინტერესდებოდა, ეთქვათ, რომ ყველაფერი საერთო-საიმპერიო აღწერის მოსამზადებლად კეთდებოდა. აღსანიშნავია, რომ მიწის აზომვის პროცესი ქუთაისის გუბერნიაში, ძირითადად, სერიოზული ექსცესების გარეშე წარიმართა და ამიტომაც, გუბერნატორმა, ვლადიმირ ლევაშოვმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო — მისი ბრძანებით, მიწისმზომელები გაუშვეს ლეჩხუმის მაზრის, ბეროს საბოქაულოსადმი დაქვემდებარებულ, „თავისუფალ“ ტერიტორიებზეც ანუ დღევანდელი მესტიის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მაშინ „თავისუფალ სვანეთად“ იყო ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად სვანეთი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიის სამფლობელოს წარმოადგენდა, „თავისუფალ სვანეთში“ რუსული ხელისუფლება არ არსებობდა — აქ ხალხი ტრადიციული წეს-ჩვეულებებით ცხოვრობდა და იმპერიის ორგანოებთან ურთიერთობაც არ ჰქონდა; მაინცდაბაინც, არც ცარიზმის მესვეურები იწუხებდნენ ხოლმე თავს „თავისუფალ სვანეთში“ ასვლითა და იქაურთა პრობლემების გაზიარებით, რადგანაც სვანეთი, თავისი ბუნებრივი იზოლირებულობის გამო, ნაკლებად აინტერესებდათ. აქვე დავძენთ იმასაც, რომ 1875 წლამდე, კავკასიის



სვანეთის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე პარტყულ მამურიანი

მეფისნაცვლის ბრძანებით, რუსებმა რამდენჯერმე სცადეს, „თავისუფალი სვანეთიდან“ წვევამდელები ჯარში გაენვიათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ საქმეზე მესტიაში ასული ბარონი პეტრე უსლარი (კავკასიურ ენათა ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, შოვინისტი, რუსი სამხედრო მოღვაწე) ქუთაისში თავგატეხილი, ნაცემი და იარაღაყრილი დაბრუნდა, მეფისნაცვალმა ხელი ჩაიქინა.

აქედან გამომდინარე, ვლადიმირ ლევაშოვის გადაწყვეტილებით, შემოფოთებულმა ლეჩხუმის მაზრის მმართველმა, გრინევსკიმ, 1875 წლის ივნისში „თავისუფალ სვანეთში“ პრისტავი ჯორჯაძე გაგზავნა, რომელსაც დაავალა, რომ მიწების აზომვის თაობაზე იმპერატორის გადაწყვეტილება სვანებისათვის დანერგვით განემარტა, რათა ისინი არ გაღიზიანებულიყვნენ და ბუნტი არ აეჭებათ. აღსანიშნავია, რომ პრისტავმა არათუ კარგად ვერ შეასრულა დავალება, არამედ საერთოდ, ყველაფერი გააფუჭა — სვანებს მან პირდაპირ უბრძანა, რომ მთავრობისგან გამოგზავნილი მიწისმზომელებისათვის ხელი არათავიშო შეეშალათ. ამასთან, ჯორჯაძეს არც ახსნა-განმარტებით შეუწუხებია თავი. „რაკი მთავრობამ თქვა, მიწისმზომელები სვანეთში ამოვლენ და თავის საქმეს გააკეთებენ, რადგანაც ასეა საჭირო...“ — ასე განუცხადა მან მულახის საზოგადოების წარმომადგენლებს. პრისტავის უპასუხისმგებლო ქმედებამ, რასაკვირვე-

ლია, სვანეთში მღელვარება გამოიწვია. მიწისმზომელთა სვანეთში არმიშვება და იმპერიისადმი სრული დაუმორჩილებლობის გამოცხადება პირველად ჯერ მულახის საზოგადოებამ გადაწყვიტა, შემდეგ კი მას მესტია, ლენჯერი, კალა, იფარი, ლატალი და უშგულიც შეუერთდა. „თავისუფალი სვანეთის“ ამ საზოგადოებებმა საერთო-სახალხო ყრილობა მოიწვიეს, რომელმაც დაადგინა, რომ მთავრობის ხსენებული გადაწყვეტილებისათვის ხელი შეეშალათ. ყრილობა სოფელ კალაში გაიმართა, სადაც სვანეთის უძველესი და უძლიერესი სალოცავი — წმ. კვირიკესა და ივლიტას ტაძარი დგას. სწორედ ამ ტაძრის ეზოში, სვანებმა ღვთის წინაშე ფიცი დადეს, რომ სანამ მთავრობა თავის უკანონო გადაწყვეტილებას არ გააუქმებდა, ბრძოლას არ შეწყვეტდნენ. სხვათა შორის, ფიცის დადების პროცესს პრისტავი ჯორჯაძეც ესწრებოდა.

ღვთის წინაშე დაფიცების შემდეგ, შეფიცულთა უზუცესმა, 100 წლის ლატალელმა გინადრუყვ გირგვლიანმა ჯორჯაძეს მაზრის მმართველ გრინევსკისადმი გადასაცემად განუცხადა, რომ სვანები იარაღს ხელში არ აიღებდნენ, თუ მთავრობა ყურად იღებდა მათ მოთხოვნას და მიწისმზომელებს აღარ გამოგზავნიდა. ამავედროულად, გინადრუყვ გირგვლიანმა ყრილობის მონაწილეთა სახელით ჯორჯაძეს აღუთქვა, რომ თუ მიწების აზომვა აუცილებელი იქნებოდა, ამას მხოლოდ საზოგადოებების რჩეული პირები გააკეთებდნენ. ტაძრის ეზოში შეკრებილი ხალხი გინადრუყვ გირგვლიანის ამ წინადადებით კმაყოფილი დარჩა. ჯორჯაძემც მოხუცს თავი დაუჭირა და ქუთაისისკენ გაქუსლა, სადაც მას გუბერნატორი ლევაშოვი და მაზრის მმართველი გრინევსკი ელოდნენ.

პრისტავმა ჯორჯაძემ გუბერნატორსა და მაზრის მმართველს საქმის ნამდვილი ვითარება დაუმალა და მოახსენა, რომ სვანებმა მას არ მოუხმინეს: „იმპერატორის სახელით გაგონებინსანავე მათ სროლა ამიტევს და იძულებული გახდით, იქაურობას გავცლოდით,“ — განუცხადა ჯორჯაძემ ლევაშოვს და გრინევსკის. მანვე მოითხოვა, რომ თავისუფალ სვანეთში ეგზეკუცია გაეშვათ და ყველა „ბუნტოვანი“ სამაგალითოდ დაესაჯათ. ჯორჯაძე იმედოვნებდა, რომ ეგზეკუციის მეთაურად მას დანიშნავდნენ, თუმცა ლევაშოვმა სხვაგვარად განსაჯა — პრისტავი დანიშაურების მაგიერ ჩამოაქვეითა, ხოლო სვანეთში კი სამხედრო-საექსპედიციო ნაწილები გაგზავნა გენერლების ნიკოლაი მალოფევის (შემდგომში — ქუთაისის გუბერნატორი) და ციტოვიჩის მეთაურობით.



სვანეთისკენ მიმავალ ჯარს, 1875 წლის 13 ივლისს, ცაგერში „თავისუფალ სვანთა“ დელეგაცია დახვდა, რომელსაც მულახელი ყასბულათ შერვაშიძე ხელმძღვანელობდა. იგი შეეცადა, რუსებს მოლაპარაკებოდა, მაგრამ ამაოდ. მალოფევემ და ციტოვიჩმა მდდიდურად განაცხადეს, რომ მინის აზომვა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით ხორციელდებოდა, ყველაფერი ოფიციალურად, მთავრობის მოხელეთა მიერ უნდა შესრულებულიყო და უხუცესებს ვერ ენდობოდნენ. საპასუხოდ, რუს გენერლებს ყასბულათ შერვაშიძემ შესთავაზა, ერთად ასულიყვნენ კალაში, ხალხს შესვედროდნენ და ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყვიტათ. 20 ივლისს რუსული ჯარი, შერვაშიძის მეგზურობით კალაში ავიდა. გენერლებმა ხალხს ტაძრის ეზოში მოუხმეს.

რუსების მიერ დადგმული სპექტაკლი, რომელსაც „მოლაპარაკება“ ერქვა, 20 ივლისს, შუადღისას დაიწყო. უხუცესმა გინადრუყვ გირგვლიანმა რუსებს ხალხის აზრი გააცნო, პასუხად კი გენერალმა მალოფევემა განაცხადა, რომ პრისტავ ჯორჯაძის უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად, გაუგებრობა მოხდა. „მინების აზომვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაირღვეს იმპერატორის ქვეშევრდომთა პრივატული უფლებები... ჩვენ არ გვსურს თქვენთან დაპირისპირება. პირიქით, გვინდა, რომ კარგად გაგვიგოთ და დაგვეხმაროთ“... მალოფევის ამგვარმა საუბარმა სვანები დაამოშინა და მათ ვერც შეაშინეს, როგორ დაიკავა ჯარმა სოფელში საბრძოლო პოზიციები. იმ საღამოსვე, კალაში 13 შეფიცული დააკავეს (მათ შორის — გინადრუყვ გირგვლიანი და ყასბულათ შერვაშიძე) და ქუთაისში ჩამოიყვანეს. გახარებულმა გუბერნატორმა

მაშინვე ამცნო მეფისნაცვალს, სვანეთში ბუნტის სამიშროება აღარ არსებობს, ყველაფერი მოგვარებულიაო. მიხილ რომანოვმა მალოფევესაც და ციტოვიჩსაც თბილისში, თავის სასახლეში საზეიმო მიღება მოუწყო, დააჯილდოვა კიდევაც და შემდგომში მხარდაჭერა აღუთქვა. სწორედ ამ გენერლების წყალობით, „თავისუფალმა სვანეთმა“ რუსეთის იმპერატორის უზენაესობა დე იურე აღიარა და ცხადია, ეს რუსებისათვის სასუმარო საქმე სულაც არ იყო.

ამასთან, ცარიზმის მესვეურებს მხედველობიდან გამოორჩათ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: 13 შეფიცულის ვერაგულად დატყვევების გამო, სვანეთში მღელვარება უფრო გაძლიერდა და იქ მინისმზომელთა გაგზავნაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამის მიუხედავად, ლეჩხუმის მაზრის მმართველ გრინევსკის მეფისნაცვალმა მაინც დაავალა, საექტ-პეტერბურგიდან გამოგზავნილი მინისმზომელები „თავისუფალ სვანეთში“ რაც შეიძლება მაღე ჩაეყვანა, დაებინავებინა და მუშაობაში ხელი შეეწყო მათთვის. რალა თქმა უნდა, გრინევსკიმ დავლების აღსრულება ვეღარ გაბედა, რადგან შეიტყო, რომ 100 წლის გინადრუყვ გირგვლიანი ქუთაისის ციხეში გარდაცვლილიყო, ხოლო თვით სვანეთში კი ვითარება თანდათან იძაბებოდა. ხალხი აბუჩად აგდებულად გრძნობდა თავს და მინისმზომელთა გამოჩენის შემთხვევაში მათი დახოცვით იმუქრებოდა.

აქედან გამომდინარე, მაზრის მმართველმა გრინევსკიმ და ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის საიდუმლო საქმეთა განყოფილების მესვეურებმა ერთად განიხილეს ყველა ინფორმაცია, რაც სვანეთში შეფიცულთა მოძრაობის შესახებ ჰქონდათ. მაშინ გამოირკვა, რომ კალას თემის სოფ.

ხალდეს (დღეს აღარ არსებობს) თავს აფარებდა შეფიცულთა ჯგუფი, რომელთაც გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძე მეთაურობდნენ; აღსანიშნავია ისიც, რომ ჟანდარმერიის აგენტები სოფ. ხალდეს „ბუნტოვნიკებისა და ველურების ბუდედ“ მიიჩნევდნენ. ისინი თავიანთ საიდუმლო ანგარიშებში უფროსობას დეტალურად აღწერდნენ, თუ როგორ „აბუნტებდნენ“ ხალხს შეფიცულები. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ აგენტები თითოეული შეფიცულის გარეგნობას საკმაოდ ზუსტად აღწერდნენ; მაგალითად, ჩარგაზ ჯოხაძის შესახებ ისინი წერდნენ, რომ იგი იყო „ამაზრუნენად მაღალი, მხარბეჭიანი და ნითური გოლიათი“, ხოლო გურმაჩ გასვიანს კი ისეთი გამჭოლი მზერა ჰქონდა, რომ თვალს ვერავინ გაუსწორებდა.

ქუთაისის ჟანდარმერიამ დადანყვიცა, რომ შეფიცულების დაპატიმრება უჩემრად, გაუხმაურებლად მოეხდინა და ეს საქმე პირადად გრინევსკის მიანდო. მაღე, სვანეთს გრინევსკის წარგზავნილი, მაიორი ლეუსი ეწვია; მას მულახში ერთ-ერთი შეფიცულის, გვარად ქურდიანის დაპატიმრება სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. შეფიცული თავს ტყეს აფარებდა. ლეუსმა სანაცვლოდ მისი შვილები დააკავა და განაცხადა, რომ თუ ძებნილი ქურდიანი ცაგერში, ლეჩხუმის მაზრის მმართველ გრინევსკის რეზიდენციაში არ გამოცხადდებოდა, დაკავებულებს გააციმბირებდნენ. ამავდროულად, მაიორი ლეუსი ხალდეშიც ავიდა და სოფლელებს მოსთხოვა, მართლმსაჯულებისთვის გადაეცათ გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძე. ხალდეს მოსახლეობამ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა — მათი თქმით, ერთი და მეორეც, კარგა ხნის განმავლობაში სოფელში აღარავის ენახა. ლეუსი მდგომარეობის გამწვავებას მოერიდა და ცაგერში დაბრუნდა, სადაც გრინევსკიმ „ოპერაციის ჩაფლავების“ გამო სულ ცოფები ყარა.

1876 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში გრინევსკი და ლეუსი სვანეთში კიდევ ერთხელ ავიდნენ. ამჯერად მათ თან კაზაკთა ერთი ქვედანაყოფი და რამდენიმე სამოქალაქო ჩინოვნიკიც ახლდათ. გრინევსკი ხალდეს მოსახლეობას შეხვდა და შეფიცულთა გადაცემასთან ერთად, ყველას ცაგერში ჩამოსვლა უბრძანა. ცხადია, სოფლელები შეეცადნენ, მაზრის მმართველის გული მოეგოთ და ის სუფრაზეც კი მიიპატიჟეს, თუმცა გრინევსკიმ სვანებს პურმარილზე წიხლი უკრა და ბრძანება კვლავ გაუშეორა. სწორედ ამ დროს ერთ-ერთი კოშკიდან მოზრდილი ქვა ჩამოვარდა და მაიორ ლეუსს მოხვდა. გრინევსკიმ ეს შეტევის დაწყების სიგნალად ჩათვალა და ჯარს ნიშანი მისცა. კაზაკებმა ხიშტებზე ააგეს ერთი



ხალდეელი სვანები; გენერალ ნიკოლაი მალოფევის თანმხლები რუსი მხაგერის ნახატი



ბესარიონ ნიჟარაძე; XX საუკუნის დასაწყისის ფოტო

მამაკაცი, რომელსაც გრინვესკისთვის არყიანი ყანის მიწოდება სურდა. ამის დანახვაზე, მეორე ხალდელმა ხანჯალი იძრო და სანამ კაზაკები რაიმეს მოახერხებდნენ, სამი მათგანი აკუნა.

კოშკებს თავშეფარებულმა ახალგაზრდა ხალდელებმა რუსულ ჯარს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაიღუპა ჩინოვიკი მიქელაძე და ექიმი ბელსკი, კაზაკებმა უკან დაიხიეს და ცეცხლზე ცეცხლით უპასუხეს. კოშკებში მყოფ ხალდელთაგან მათ ძლივს შეძლეს რამდენიმე კაცის დაჭრა, თავად კი დიდი ზიანი მიადგათ. ხანმოკლე ბრძოლაში ქვედანაყოფის 1/3 განადგურდა. დაიღუპა თავად გრინვესკიც, რომელიც ხალდელებმა ამაღასთან ერთად ხმლებით აჩეხეს. რუსულმა ჯარმა პირი იბრუნა და ცაგერში გამობრუნდა. იქიდან მაზრის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ მეფისნაცვალთან აფრინა წერილი და სვანეთში მძლავრი სამხედრო ექსპედიციის მოწყობა მოითხოვა: „ხალდეში სვანმა მეამბოხებმა გაანადგურეს კაზაკთა ერთი ასეული, დახოცეს სამოქალაქო პირები, რომლებიც ჩვენს ჯარს თან ახლდნენ... აშკარაა, რომ თუ ჩვენ სვანებს ისევ დაუსჯელებს დავტოვებთ, ვითარება უკიდურესად გართულდება და მხოლოდ ლეჩხუმის მაზრაში კი არა, მთელ გუბერნიასში, მთელ სამეფისნაცვლოშიც კი, იმპერატორის სანინალმდებო გამოსვლები დაინიჭება“... — სწერდნენ მეფისნაცვალს.

მიხაილ რომანოვმა, რო-

მელიც ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში მიმდინარე მოვლენებს ისედაც შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს, გრინვესკის მოთხოვნაზე სასწრაფოდ მოახდინა რეაგირება. მალე სვანეთისკენ 1200-კაციანი კაზაკთა ჯარი დაიძრა. ამავდროულად, მეფისნაცვლის ბრძანებით, მზადყოფნაში მოიყვანეს ყაზარდოსა და აფხაზეთში მდგარი ქვედანაყოფები, რათა ისინი, საჭიროების შემთხვევაში სვანეთში დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოჭრილიყვნენ. რუსებს დაგეგმილი ჰქონდათ არა მარტო სოფ. ხალდეს, არამედ ენგურის ზემონელის დანარჩენი სოფლების მთლიანად განადგურებაც. საინტერესოა, რომ მათ ლაშქრობაში თარჯიმანად ოფიციალურად მიიწვიეს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, ბესარიონ ნიჟარაძე (1852-1918), რომელსაც იმხანად ახალი დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სემინარია და ისიც იყო, იწყებდა თანამშრომლობას მაშინდელ ქართულ პრესასთან.

ცხადია, ქართველი საზოგადოებრიობა სვანეთში მიმდინარე პროცესებს თვალს ყურადღებით ადევნებდა და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა, უდანაშაულო სვანები დაეცვა. იმდროინდელ ქართულ გაზეთებში ზედიზედ იბეჭდებოდა სტატიები თუ კორესპონდენციები, რომლებშიც აღწერილი იყო აჯანყებულ სვანეთში არსებული ვითარება. რალა თქმა უნდა, ცენზურა ყველაფერს აკონტროლებდა, მაგრამ ქართველი მკითხველი სიმართლეს მაინც იგებდა. როგორც გულმხურვალე ქართველი პატრიოტი, ბესარიონ ნიჟარაძე აჯანყებულებს თანაუგრძობდა და რუსთა შემოთავაზებებზე უარის თქმას აპირებდა, მაგრამ წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) განზრახვა გადააფიქრებინა: „თუ საქართველოსთვის სიკეთე გინდა, წადი სვანეთში,“ — ურჩია მაშინ საქართველოს უგვირგვინო მეფემ, ბესარიონ ნიჟარაძეს.

1200-კაციანი რუსული ჯარი სოფელ

ხალდეში 1876 წლის 20 აგვისტოს ავიდა, ხოლო მეორე დღეს კი იერიში დაიწყო. კაზაკებმა კოშკებს, სადაც ხალდელები თავს აფარებდნენ, ბომბები დაუშინეს. ჯარის ახალგაზრდა თარჯიმანმა, ბესარიონ ნიჟარაძემ საკუთარი თვალთი იხილა, როგორ ცდილობდნენ რუსები კოშკების დანგრევას და არაფერი გამოსდიოდათ. მიუხედავად იმისა, რომ კოშკებს საფუძვლიანად დაუნალმეს საძირკვლები, ავეთქებისას ისინი არ დაშლილა, ისე დაენარცხა მიწას. იერიშის შედეგად განადგურდა სოფლის მთელი მოსახლეობა. გადარჩა მხოლოდ 27 კაცი, რომელიც რუსებმა „მეამბოხებდა“ გამოაცხადეს და დააპატიმრეს. ხალდეში საომარი მოქმედებები 1876 წლის 27 აგვისტოს შეწყდა. რუსებმა სოფელი პირისაგან მიწისა აღგავეს და იქ ხელმეორედ დასახლება ყველას აუკრძალეს. სვანთა შორის, მათ თვით სახელ „ხალდეს“ აკრძალვაც სცადეს. ნასოფლარს „ახალი იფრალი“ უწოდეს. მალე მთელ თავისუფალ სვანეთში დააკავეს ამბოხების მონაწილეები და ამ მხარეში რუსული ხელისუფლების „აღდგენა“ გამოაცხადეს. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსების მიერ სვანეთში ჩადენილ მხეცობათა შესახებ მასალები ოპერატიულად ჩნდებოდა ხოლმე ქართულ გაზეთებში. მათი ავტორი, რასაკვირველია, ბესარიონ ნიჟარაძე გახლდათ, რომელიც „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით წერდა.

საინტერესოდ წარიმართა დაკავებულ მეამბოხეთა ბედი. ისინი ყველა ერთად გაასამართლეს და უმეტესობას, როგორც წესი, ჩამოხრჩობა მიუხაჯეს. მეამბოხეთა დასაცავად აღდგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც: აკაკი წერეთელმა აჯანყების დაწყების მთავარ მიზეზად ხალხის მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ცარიზმის მოხელეთა შოვინისტური პოლიტიკა დაასახელა, ნიკო ნიკოლაძემ კი ყველა მეამბოხის შეწყალება მოითხოვა. ცხადია, ცარიზმის მესვეურებმა მათ ყური არც კი უგდეს. ყველა დაპატიმრებული უმკაცრესად დაისაჯა, თანაც ჩამოხრჩობილებსა და გაციმბირებულებს სურათებიც გადაუღეს და გაზეთებში გამოაქვეყნეს, რათა უბრალო მოქალაქეებს მათი მიბაძვა ალარასოდეს გაეხდებოდა.

მიუხედავად ამისა, ხალდეს აჯანყების გმირები ხალხს არ დავინწყებია. მათ მოსაგონრად სვანეთში ცნობილი სიმღერა, „გაულ გაგხე“ შეიქმნა.



სოფელი სეგი (თანამედროვე მესგია), XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო



სლავთა შორის ქრისტიანობა მასობრივად პირველად სერბებმა მიიღეს

სერბეთის ეკლესია საპატრიარქო საყდრის მქონე ეკლესიაა. სერბთა შორის ქრისტიანობის მასობრივად გავრცელებას ყველაზე მეტად სლავთა განმანათლებელი ძმების — წმინდა კირილეს და მეთოდეს ქადაგებამ შეუწყო ხელი. მოგვიანებით, სლავთა ქრისტიანული კრებულნი ჯერ ავტოკეფალური ეკლესიის სახით ჩამოყალიბდა, შემდეგ კი საპატრიარქო რანგში იქნა აყვანილი...

შორსა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— იმ ტერიტორიებზე, სადაც ამჟამად სერბეთის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება, მოციქულებმა პირველივე საუკუნეებში იქადაგეს. გადმოცემის თანახმად, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სახარების პირველი მქადაგებელი ანდრია პირველწოდებული იყო, ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში კი წმინდა პეტრე მოციქულს უქადაგია. იმ დროს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სლავები — სერბები არ ცხოვრობდნენ.

მოციქულთა ქადაგების შედეგად, ამ ტერიტორიებზე არა მარტო ქრისტიანული თემები, ქრისტიანული საეპისკოპოსოებიც დაარსდა, რომლებიც რომის ეკლესიის დაქვემდებარებაში შედიოდა.

V-VI საუკუნეებში რომის იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებზე ბარბაროსების შემოსევები ხდებოდა. VI საუკუნის დასაწყისში ბარბაროსებმა დუნაიზე გადასვლისას ერთიანად გაანადგურეს ეს მხარე, რასაც არა მარტო ქრისტიანობის, მოსახლეობის გაქრობაც კი მოჰყვა. ამის შემდეგ ამ ტერიტორიების ათვისება სლავების ერთ-ერთმა ტომმა — სერებმა დაიწყო. ნელ-ნელა მათ შორის ქრისტიანობის მიღება და გავრცელებაც მოხდა. VII საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორ ირაკლის თხოვნით, რომის პაპმა სერბეთში სასულიერო პირები წარგზავნა. მათ ქადაგებას ქრისტიანულ სჯულზე მრავალი სერბის მოქცევა მოჰყვა, თუმცა ამას მასობრივი სახე არ ჰქონია.

სერბეთის მთავრის — მუტიმირის თხოვნით კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ სერბეთში ბერძენი ღვთისმსახურები წარგზავნა. მართალია, სერბთა გარკვეული ნაწილი მათი ქადაგებით მოექცა ქრისტიანობაზე, მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არ მიუღია. მსახურებები და ქადაგებები ლათინურად, შემდეგ კი ბერძნულად მიმდინარეობდა, რაც სერბებისთვის გაუგებარი იყო. სერბთა შორის ქრისტიანობის გავრცელების არამასობრიობა სწორედ ენობრივმა ბარიერმა განაპირობა.

პირველი სლავური ეპარქია ველიჩის ეპარქია გახლდათ, რომლის პირველი ეპისკოპოსი წმინდა კირილესა და მეთოდეს მოწაფე, წმინდა კლიმენტი იყო. პირველი სლავები, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს, სწორედ სერბები იყვნენ, თუმცა სერბეთს საეკლესიო ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ გააჩნდა.

ამას მოჰყვა ის პერიოდი, როდესაც



კონსტანტინოპოლზე გარეშე ძალების — ჯვაროსნების გაუდმებული შეტევები ხდებოდა. XIII საუკუნის დასაწყისისთვის ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და იქ ლათინური იმპერია შექმნეს. ამავე პერიოდში, ქალაქ ნიკეაში ბერძნული სახელმწიფო შეიქმნა და კონსტანტინოპოლის პატრიარქიც იქ იჯდა, თუმცა არსებული ვითარების გამო კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ბალკანეთში არსებულ ეპარქიებზე კონტროლს ვეღარ ახერხებდა და ამ მხარეში ძალაუფლების მოპოვებას დასავლეთის კათოლიკური ეკლესია ცდილობდა. ქვეყანა ამ საფრთხისგან სერბმა ბერებმა — წმინდა საბამ იხსნა. პატრიარქმა, მანუელ I-მა სერბი ქრისტიანების მძიმე მდგომარეობა გაითვალისწინა და 1219 წელს წმინდა საბა არქიეპისკოპოსად აკურთხა. ამავდროულად, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიად ცნო.

1346 წლამდე სერბეთის ეკლესია კვლავ საარქიეპისკოპოსოს სახით არსებობდა. შემდგომ სერბეთის მეფემ, სტეფანე დუშანმა სკოპიაში საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც სერბეთის ეკლესია საპატრიარქოს რანგში იქნა აყვანილი; მისი პირველი პატრიარქი კი იოანე II გახლდათ, თუმცა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კალისტოსმა სერბეთის პატრიარქი არ ცნო, 1362 წელს ანათემას გადასცა და ეროვნული ეკლესიის განმტკიცების მიზნით სერბეთიდან ბერძენი ეპისკოპოსები განდევნა. 1374 წელს სერბი ბერის, ისაიას დაყინებული მოთხოვნით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ანათემა გააუქმა.

1459 წელს სერბეთი თურქებმა დაიპყრეს, რასაც სერბეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დეკარგვა მოჰყვა. თურქე-

თის ბატონობა თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა. ეს სერბეთის ისტორიაში უძიმესი პერიოდი იყო, რაც თავისთავად, სერბეთის ეკლესიაზეც მძიმედ აისახა — უამრავი მართლმადიდებელი მოექცა მუსლიმანურ სჯულზე იმ ზენოლის გამო, რასაც სერბი მოსახლეობა თურქეთის ხელისუფლების მხრიდან განიცდიდა. განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიღო შემდეგმა ფაქტმა: ხუთ წელიწადში ერთხელ, სერბებს თურქებისთვის 6-7 წლის ასაკის ვაჟები უნდა გაეგზავნათ, რომელთაც თურქულ სახელებს არქმევდნენ და მუსლიმანური ტრადიციებით ზრდიდნენ, განათლებას აძლევდნენ და იანიჩარების ლეგიონში რიცხავდნენ, რაც არა მარტო ფიზიკურ, უძიმეს სულიერ დასაცემად ქვეყანას — გამუსლიმანებული სერბები განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდნენ მართლმადიდებელ თანამოქმედებს...

XIX საუკუნეში სერბეთი თურქთა ბატონობისგან გათავისუფლდა, რასაც ქვეყნის პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლება მოჰყვა: 1830 წელს, სერბეთმა პოლიტიკური ავტონომია მოიპოვა, 1831 წელს კი — საეკლესიო, რასაც მართლმადიდებლობის გამოცოცხლება და ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა. 1874 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ხელახლა ცნო სერბეთის ეკლესიის ავტოკეფალია.

1919 წელს სერბეთის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესია შეიქმნა, სადაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებული სხვადასხვა ეპარქია გაერთიანდა. 1920 წელს პატრიარქად ბელგრადის მიტროპოლიტი — დიმიტრი აირჩიეს.

XX საუკუნის დასაწყისში იუგოსლავიის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, სადაც სერბეთი, ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სლოვენია, მაკედონია და ჩერნოგორია — დღევანდელი მონტენეგრო — გაერთიანდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანელების დახმარებით, ხორვატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. შეიქმნა ხორვატეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და აქტიურად დაიწყო ბრძოლა მართლმადიდებელი სერბების წინააღმდეგ. ამ პერიოდში ნახევარ მილიონზე მეტი მართლმადიდებელი დახოცეს, 300-ზე მეტი ტაძარი დაანგრიეს. 80-იანი წლების ბოლოს იუგოსლავიის სახელმწიფო დაიშალა. ამჟამად მის ყოფილ ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფო არსებობს. მათგან ორი — სლოვენია და ხორვატია კათოლიკურია, ბოსნია და ჰერცეგოვინა — მუსლიმანური; მაკედონია, სერბეთი და მონტენეგრო — მართლმადიდებლური. სერბეთი და მონტენეგრო სერბეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. მაკედონიის ტერიტორიაზე არსებული ეპარქიები კი საბერძნეთის ეკლესიას ექვემდებარებიან. მაკედონიის ტერიტორიაზე არსებობენ ასევე განხეთქილებაში მყოფი ჯგუფები, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ცალკე, მაკედონიის ეკლესია დააარსეს, რომელსაც არც ერთი ადგილობრივი ეკლესია არ ცნობს.



სეპუკუსა და ხარაკირის მსხვერპლი

იაპონურ ენაში სეპუკუ და ხარაკირი ორი ერთნაირი იეროგლიფით ინერება, მაგრამ განსხვავება მანაც არსებობს: სეპუკუ აღინიშნება ჯერ „ჭრის,“ შემდეგ „მუცლის“ იეროგლიფით, ხოლო ხარაკირი კი — პირიქით.



სამურაის კოდექსს „ბუსიდო“ ჰქვია. მასში ჩამოყალიბებულია სამურაის მორალი. იგი უნდა იყოს ერთგული, ზრდილობიანი, მამაცი, სამართლიანი და უბრალო.

ხარაკირს ტყვედ ჩავარდნილი სამურაები ან საზოგადოების მაღალი წრის, შეურაცხყოფილი წარმომადგენლები მიმართავდნენ. თვითმკვლელობას, რომელსაც სამურაი ბატონის სიკვდილის შემდეგ მიმართავდა, „ოიბარა“ ან „ცუიფუკუ“ ერქვა. ძველად დიდგვაროვანი იაპონელის გარდაცვალების დროს, მასთან ერთად ცოცხლად მარხავდნენ მის მსახურებსაც. ამ ტრადიციას „ძიუსი“ ერქვა. შემდეგ, მსახურები ცოცხლად დამარხვისგან რომ დაეცვათ, ნება დართეს, ბატონის საფლავზე თავი მოეკლათ.

თვითმკვლელობას ის სამურაებიც მიმართავდნენ, რომლებიც მტერთან მარცხდებოდნენ. ამგვარად, მათ ბატონის წინაშე დანაშაულის გამოსყიდვა სურდათ. ბრძოლის წაგების შედეგად ყველაზე ცნობილია მასასიგე კუსუნოკის ხარაკირი, რომლის დროსაც 60-მა სამურაიმ მოიკლა თავი. მუცლის გაფატვრის შემდეგ, ტანჯვა რომ აეცილებინათ, სამურაები ყელსაც იჭრიდნენ. ზოგიერთი ჯერ სახეს ისერავდა, შემდეგ ხარაკირს მიმართავდა, რათა მოწინააღმდეგეს მისი სახე ვერ ამოეცნო. ხარაკირს დამნაშავე ადამიანსაც უტარებდნენ. ზოგჯერ სეპუკუს უმნიშვნელო კამათის დროსაც იტარებდნენ. ცნობილი ფაქტია, როცა სასახლის კიბეზე შეხვედრილი ორი სამურაის ხმალი ერთმანეთს ოდნავ შეეხო, კამათის შემდეგ სიცოცხლე ორივემ ხარაკირით დაასრულა.

ხარაკირის დროს სამურაი ცივი იარაღს მუცელზე ორჯერ ისვამდა — ერთხელ ჰორიზონტალურად, მეორედ — ვერტიკალურად. ზოგჯერ ჭრილობებს ლათინური „X“-ის მსგავსადაც ისერავდნენ (არსებობს მუცლის გამოფატვრის კიდევ რამდენიმე ილეთი). თვითმკვლელობის მეთოდი სამურაის გამძლეობაზე იყო დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ხარაკირს არა ცივი იარაღით, არამედ ბამბუკის ხმლით მიმართავდა, რასაც გაცილებით მეტი ტკივილი ახლდა. ხარაკირის 25 სმ-იან იარაღს კუსუნგოუ ჰქვია. იგი საოჯახო სიმდიდრედ აღიქმება და მისაღებ ოთახში, კედელზე კიდებენ.

სეპუკუს, როგორც წესი, დამსხდრები იტარებდნენ (სამურაის ზურგზე დაცემა დამამცირებლად მიიჩნეოდა).

ხარაკირის წესს სამურაებს ბავშვობიდანვე ასწავლიან. კაცების გარდა, ხარაკირს მეომრების ცოლები და ქალიშვილებიც მიმართავდნენ, მაგრამ ისინი მუცელს არ იფატრავდნენ. სასიკვდილო ჭრილობას ყელის გამოჭრით (ძიგაი) ან გულში ხანჯლის ჩარტყმით იყენებდ-



ნენ. მანდილოსნები სპეციალურ იარაღს (კაიკენი) სრულწლოვან ასაკში დროს ან ქმრისგან საჩუქრად იღებდნენ.

სხვების თანდასწრებით (რაიმე დანაშაულში შემჩნეული ადამიანი) ჩასატარებელ სეპუკუს 2-3 ადამიანის თანდასწრებით, ტაძარში ან ბაღში ატარებდნენ.

ხარაკირი ოფიციალურად აკრძალულია, მაგრამ XX საუკუნეში სეპუკუს ჩატარების ფაქტი არაერთხელ დაფიქსირდა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე სეპუკუთი დაასრულა (1970 წელი) იაპონელი მწერალი, იუკიო მისიმა იყო.

საქორწინო

დედამინის სხვადასხვა კუთხეში ქორწინილს უჩვეულოდ აღნიშნავენ. ყველაზე მამაცური წესები იმ ტომებში არსებობს, სადაც ცივილიზაციას ჯერ ფეხი არ დაუდგამს. ტრადიციის თანახმად, მასაის ტომის (აფრიკა) სასიძომ, მარტომ, სხვის დაუხმარებლად, ქორწინილის წინადადებს ლომი უნდა მოკლას. ახალდაქორწინებულებმა პირველი ღამე მოკლული ცხოველის ტყავზე უნდა გაატარონ, რათა მამაცი შვილები ეყოლოთ.

ტუნისელების ქორწინილში ნათესაებს ძვირფასი ნაციონალური ტანსაცმელი უნდა ეცვათ, რაც საკმაოდ ძვირი ღირს. ამიტომ კაბებს, ისევე როგორც ჭურჭელს, ავეჯს, ავტომობილებსა და სამკაულებს, ქირაობენ. სიძემ საცოლეს ოქროს სამკაულები უნდა მიართვას, მაგრამ არანაკლებ 3 კგ-ზე ნაკლები. ქორწინილი 7 დღე გრძელდება, მაგრამ ნეფე-დედოფალი ერთმანეთს მხოლოდ მე-7 დღეს ხვდება, მანამდე ქორწინილს ორივე ცალ-ცალკე, თავის სახლში, ნათესაებთან და სტუმრებთან ერთად აღნიშნავენ.

სუდანში ახალდაქორწინებულებმა შადრევანთან უნდა დაიფიცონ, რომ ერთად იზრუნებენ მშობლების კეთილდღეობაზე. ოჯახში შესულებმა კვერცხი უნდა გატეხონ. შემდეგ პატარძალი ქმარს ფეხებს ჰბანს, რითაც მიუთითებს, რომ მას უკვე ახალი პატრონი ჰყავს, რომელიც მასზე იზრუნებს. ოჯახურ ცხოვრებაში უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად შვიდი ცოცხი უნდა დანავან. ქორწინილში წყვილმა შემწვარი ქათამი უნდა გაგლიჯოს. ვისაც დიდი ნაჭერი შეხვდება, ოჯახში შემომტანიც ის იქნება. სუდანელთა ქორწინილზე სასმელი თითქმის არაა. სამაგიეროდ, უზვადაა ბრინჯის კერძები და ტკბილეული.

მაროკოელ პატარძალს სინმინდის სიმბოლო — ნიჟარების სამკაული უნდა ეკეთოს. ქორწინილამდე რძის აბაზანა უნდა მიიღოს, რის შემდეგაც სხეულზე ინიით ლამაზ ორნამენტებს დაახატავენ. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს მტრედის ხორცის ღვეზელი, ზღვის პროდუქტები და სხვა ტრადიციული კერძები.

ჩინეთში სიყვარულისა და ბედნიერების ფერი ნითელია. ყველა და ყველაფერი ამ ფერშია მორთული, პატარძლის კაბაც და საჩუქრის ყუთიც. პატარძალს ოქროს სამკაულებს ჩუქნიან. ახალდაქორწინებულებმა ღვინო ნითელი, ლენტეხიანი ჭიქებიდან უნდა მიირთვან.

ირანელმა სასიძომ პატარძალს კაბა თავად უნდა უყიდოს. კაბა გრძელი ნაჭერია, რომელშიც პატარძალს ახვევენ. საქორწინო ცერემონიის შემ-



ტრადიციები



დღე, ნეფე-დედოფალს შაქარს აყრიან. იაპონიაში პატარძალს სამკუთხა ქუდს ახურავენ, რათა „ექვანიობის რქები“ დაუმალონ, რომელიც იაპონელების აზრით, ყველა პატარძალს აქვს. ცერემონიაზე პატარძალმა კაბა სამჯერ უნდა გამოიცვალოს. პირველად თეთრი კიმონო აცვია, შემდეგ წითელი, ბოლოს — ვეროპული კაბა. მამაკაცს შავი ფერის კიმონო (თუ სასიძო თავადია, ტანსაცმელზე საოჯახო გერბი აქვს ამოქარაგული) და შარვალი — ხაკამა აცვია.

კენიაში გავრცელებულია „საცდელი ქორწინება“ — წყვილი ერთად ცხოვრობს, ქორწილს კი შვილის გაჩენის შემდეგ იხდის.

ნიგერიაში პატარძალი გათხოვებამდე კარგად უნდა გაასუქონ. გამხდარ გოგონას არავინ ითხოვს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბედნიერების შესანარჩუნებლად გოგოსა და ბიჭის მშობლებმა შინიდან ახალდაქორწინებულების სახლში ცეცხლი უნდა მიიტანონ და ერთად დაანთონ.

ბრიტანეთში პატარძალი სტუმრებთან ერთად ტაძარში შედის, სადაც სასიძო ელის. პატარძალმა პატარა გოგონას მიერ დაყრილი ყვავილების ფურცლების ბილიკზე უნდა გაიაროს, რათა მისი ახალი ცხოვრება ყვავილებით იყოს მოფენილი.

ფინეთში პატარძალს ოქროს გვირგვინს ადგამენ, თვალებს უხვევენ და გასათხოვარი გოგონები მის გარშემო ცეკვავენ. პატარძალი ვისაც გვირგვინს დაადგამს, შემდეგი ის გათხოვდება.

ნორვეგიაში ნეფე-დედოფლის ოჯახმა თითო ხე უნდა დარგოს.

ნავახოს ტომის (აშშ-ის ინდიელთა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ტომი) პატარძლის კაბა ოთხფერიანი უნდა იყოს: შავი ჩრდილოეთს აღნიშნავს, ლურჯი — სამხრეთს, ფორთოხლისფერი — დასავლეთს, ხოლო თეთრი — აღმოსავლეთს. ცერემონიის დროს წყვილს აღმოსავლეთ მხარეს აყენებენ.

„კრაისლერის“ ახალი Dodge Durango

„კრაისლერის“ ქარხანაში ახალ Dodge Durango-ს მალულად სურათები გადაულეს და ისინი ინტერნეტით გავრცელდა. წინასწარი ინფორმაციით, ავტომობილის მსოფლიო პრემიერა 2011 წლის იანვარში დეტროიტის საერთაშორისო ავტოშოუზე შედგება.

როგორც ფოტოსურათებზე ჩანს, ახალ ავტომობილს ძარას ყველა პანელი აქვს შეცვლილი. ამასთან, რადიატორის ახალი ცხაური, განსხვავებული ბამპერი და ფორმაშეცვლილი მამუქები ექნება. „დოჯ დურანგო“ სავარაუდოდ, ახალი თაობის Jeep Grand Cherokee-ის პლატფორმაზე აიწყობა, რომელიც თავის მხრივ, Mercedes-Benz ML-ის მოდერნიზებული შასითაა აღჭურვილი. გავრცელებული ინფორმაციით, ახალ ავტომობილს 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა ექნება, რომლის მოცულობა 3,6 ლიტრი, სიმძლავრე კი 280 ცხ.ძ-ია.



Mercedes-Benz-მა განახლებული კუპე გამოაშუქრა

ბავარიულმა ავტოგიგანტმა ფარდა ახადა აქამდე გასაიდუმლოებულ მოდელს — CL-Class-ის განახლებული კუპეს მოდიფიკაციებს, რომლებიც უკვე ტრადიციისამებრ, ატელიემ — AMG დაამზადა. ფართო საზოგადოების სამსჯავროზე ავტომობილებს — CL63 და CL65 შემოდგომაზე, პარიზის საერთა-

აგრეგატის სიმძლავრე 536 ცხ.ძ-ს შეადგენს, 7-საფეხურიანი, ავტომატური ტრანსმისია აქვს, 96 კმ/სთ სიჩქარეს 4,4 წმ-ში ავითარებს, ხოლო ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. ოპციური სპორტ-პაკეტის შექმნის შემთხვევაში, ძრავას სიმძლავრე 563 ცხ.ძ-მდე გაიზრდება, „ასეულამდე“ აგორების დრო ერთი მეათედი წამით შემცირდება, ხოლო მაქსიმალური სიჩქარის შემზღუდავი 299 კმ-სთ ნიშნულზე განისაზღვრება. კომპანიაში საზგასმით აცხადებენ, რომ სიმძლავრის გაზრდის მიუხედავად, სანავის ხარჯი და ატმოსფეროში გადმოგრეკულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ გაზრდილა.




შორისო ავტოსალონზე წარმოადგენენ, ხოლო ამის შემდეგ მათ ევროპელ და ამერიკელ დილერებს მიანვდიან.

„შემცროსი“ ვერსია — CL63 AMG — 5,5ლ მოცულობის ტვინ-ტურბო ძრავით აღიჭურვება და უწინდელ, 6,2 ლ მოცულობის „რვიანს“ შეცვლის. ახალი

CL65 AMG-ის ტოპვერსია 6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ტურბოაგრეგატით, 5-საფეხურიან გადაცემათა ავტომატური კოლოფით აღიჭურვება, 621 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს და 96 კმ/სთ სიჩქარეს 4,2 წმ-ში მიაღწევს.

აშუ-ში დათვაა ავტომობილი გაიჭასა

კოლორადოს შტატში დათვი ავტომობილის უნებლიეთ გამტაცებლად იქცა. ვიდრე მანქანის 17 წლის მფლობელ ბენ სტორისა და მისი ოჯახის წევრებს შინ ტკბილად ეძინათ, ბაჯბაჯა „სტუმარი“ მათ ღიად დატოვებულ „ტოიოტაში“ შეძვრა... როგორც ჩანს, ნადირი ავტომობილის უკანა სავარძელზე დატოვებული ბუტერბროდის სურნელმა მიიზიდა. სალონში შემძვრალი დათვი თათით სიჩქარის გადაცემათა კოლოფს გამოედო და ავტომობილიც დაიძრა. მანქანაზე დაღმართზე დაგორდა. შეშინებული ცხოველი საჭეს აწვებოდა და უნებლიეთ ასიგნალებდა... საბოლოოდ, გამძვინვარებულმა პირუტყვმა ავტომობილის სალონისგან არაფერი დატოვა... უცნაური ხმებით გამოღვიძებული ბენ სტორი არ დაიბნა და ფოტოების გადაღებაც მოასწრო. ცხოველის ავტომობილიდან გამოსაყვანად, პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებმა ის თოკის მეშვეობით გამოაყვანეს და ტყეში გაუშვეს.





როდესაც მიმე სამუშაო დღის შემდეგ შინ დაღლილი ბრუნდები, ბალიშისა და მწვიდად დაძინების გარდა, სხვა არაფერზე ფიქრობ. ეს გრძნობა, ალბათ, მრავალი თქვენგანისთვის ნაცნობია, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც აქტიურ დასვენებას ამჯობინებენ. მათთვის მძაფრი შეგრძნებები ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. „ჩემთვის ეს ყველაფერი მორალური სიამოვნებაა. ეს არის ის, რის გარეშეც ცხოვრება უბრალოდ, არ მინდა. თამაშის დროს ისეთ ემოციას ვიღებ, როგორსაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი მოვლენებისგან ვერასდროს მივიღებ“, — ამბობს ნინო ზვინაძე. პროფესიით იურისტი, მეორადი განათლებით — ფინანსისტი, ერთ-ერთ კერძო კომპანიაში ბუღალტრად მუშაობს, თუმცა ერთი შეხედვით ნამდვილად ვერ წარმოიდგენთ, რომ მას საკმაოდ სახიფათო გატაცებები აქვს. N-ქაუნთერი, სტრაიკბოლი, იახტმენობა — ეს მისი გატაცებების მცირედი ჩამონათვალია. თუ ექსტრემისა და თავგადასავლების მოყვარული ხართ, ნინოს მონათხრობი ნამდვილად დაგაინტერესებთ.



ქართული ექსტრემალური თამაშები და ექსტრემალი ქალები

სოფო შინაშვილი

— N-ქაუნთერი საქართველოში 2007 წლიდან არსებობს, თუმცა მსოფლიოში ის დაახლოებით ათი წელია, პოპულარულია. ეს არის თამაში, რომელსაც ექსტრემისა და სპორტის მოყვარული ადამიანები თამაშობენ. თამაში, ძირითადად, ღამე მიმდინარეობს. მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კავშირი ინტერნეტთან. თამაშს თავისი ვებსაიტი აქვს, სადაც სხვადასხვა მოთამაშე გუნდია რეგისტრირებული. ამ საიტზე დარეგისტრირება ნებისმიერ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შეუძლია, რომელსაც თამაშში ჩართვის სურვილი აქვს. მოთამაშე გუნდები ერთმანეთისთვის თამაშის სცენარებს ქმნიან. წესების თანახმად, თამაში რამდენიმე ტურისგან შედგება. ერთი ტურიდან მეორე ტურში გადასვლის მიზნით მოთამაშეები, გარკვეული დროის მონაკვეთში, ამა თუ იმ უცნაურ დავალებას ასრულებენ. სცენარის მოფიქრება ვებსაიტზე დარეგისტრირებულ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, უბრალოდ, ამასთან დაკავშირებით ვებსაიტის ხელმძღვანელს უნდა შეუთანხმდეს. დავალებებთან მიმართებაში განსაკუთრებული შეზღუდვები არ გვაქვს, უბრალოდ ყველაფერი გონივრულობის ჩარჩოში უნდა ჩაჯდეს. თითოეულ გუნდს თავისი ავტომობილი ჰყავს. გუნდი თავად აფინანსებს თავის თავს — ნებისმიერ აღჭურვილობას, რაც შეიძლება, დავალებების შესრულების დროს იყოს საჭირო, თავად იძენს. ვებსაიტზე გამოცხადებულ დროს გუნდებს ქალაქში, განსაზღვრულ ადგილზე ავტომობილებით იკრიბებიან და პირველ დავალებას ელოდებიან, რომელიც წინასწარ უცნობია. მათ ამ დროს განუწყვეტელი კავშირი აქვთ ინტერნეტთან ტელეფონით ან უბრალოდ, ადამიანის დახმარებით, რომელიც შინ, კომპიუტერთან ზის და მოთამაშეებს ტელეფონით ეკონტაქტება. ვებსაიტზე მოსული პირველი დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში გუნდი პოუ-

ლობს კოდურ სიტყვას და ვებსაიტზე ამ სიტყვის შეყვანის შემდეგ მომდევნო დავალებას იღებს. თამაში შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება — ვინც დავალებებს ყველაზე სწრაფად გაართმევს თავს, გამარჯვებულიც ის არის. თამაში ძირითადად, თბილისში მიმდინარეობს, თუმცა ერთხელ მცხეთაშიც ვიყავით.

— თამაშის დროს ალბათ მრავალი საინტერესო რამ გადაგხდენათ თავს. რამდენად რთულ დავალებებს ასრულებენ მოთამაშეები? განსაკუთრებულად რომელი თამაშში დაგამახსოვრდა?

— ეს შეიძლება იყოს როგორც ქუჩაში უცნაური რამის გაკეთება, ასევე კედელზე აძრომა, პარაშუტით ან თოკით გადმოხტომა და ა.შ. მასსოვს, ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს უნივერსიტეტის მალლივი კორპუსის ხიდიდან თოკით უნდა ჩამოვსულიყავი. ჩამოსვლის დროს თოკში თმა გამეჭვდა და იძულებული გახდი, თმა ხელით მომეგლიჯა. ერთხელ ასეთი უცნაური დავალება ჰქონდათ მოთამაშეებს: სუპერმარკეტის წინ ძველბერძნულ სტილში, თეთრ ზენრებში გამოწყობილი უნდა მდგარიყვნენ და გამვლელებისთვის მარკერით ავტოგრაფების დანერა ეხსოვათ. 3 ავტოგრაფის შეგროვების შემდეგ მათთან ორგანიზატორი მიდიოდა და შემდეგ ტურში გადასასვლელად საჭირო კოდს აძლევდა. მორიგი დავალების დროს გლდანის ხიდებთან, სადაც მტკვარი ყველაზე დაბალია, მდინარე არა ცურვით, არამედ სიარულით უნდა გადაგველახა. ერთი შემთხვევა ყველაზე მძაფრად დამამახსოვრდა, რადგან სასწაულებრივად გადავურჩი სიკვდილს. ერთ-ერთი ტურის მიხედვით, უნივერსიტეტის მალლივი კორპუსის ხიდიდან, რომელიც ყველაზე მაღალი ხიდია თბილისში, მთაზე დანთებული კოცონი უნდა გვეპოვა. ხიდი მდინარე ვერზე გადადის. ღამე იყო, შორიდან ვხედავდით კოცონს, რომელთანაც დაღმართზე დაშვებულ პატარა ბი-

ლიკს უნდა მივეყვანეთ. ჩვენმა გუნდელმა ბილიკი იპოვა და ძალიან სწრაფად გაიარა. მას უკვე ვეღარ ვხედავდი. გუნდის კაპიტანი ორი თვის ფეხმძიმე იყო და ერიდებოდა ასეთი დავალებების შესრულებას, ამიტომ კოცონამდე გზა მე უნდა მეპოვა. მარტო ნავედი, სიბნელეში ბილიკს ავცდი და მივხვდი, რომ გზას ვეღარ გავაგრძელებდი. ერთი ნაბიჯიც გადავდგი და ჩავგორდი. არ მახსოვს, რამდენ ხანს მივგორავდი. მდინარეში პირდაპირ თავით ჩავვარდი. დაუყეილი, დასისხლიანებული და მთალიანად სველი ვიყავი. ფარანი და ტელეფონი წყალში ჩამივარდა. ვეღარც გუნდელს ვხედავდი. დიდი ტრიტორია არ იყო, მაგრამ ადვილად დაიკარგებოდი. გზა აუცილებლად უნდა გამეგრძელებინა და იქითვე ნავედი, საითკენაც მახსოვდა, რომ ჩემი გუნდელი ნაგვიდა. ბოლოს, კოცონამდე რომ მივალნიე, ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ იყო.

— მოთამაშეების ჯანმრთელობას რაიმე საფრთხე რომ შეექმნას, დახმარებას ადგილზე ვინ გაუნეცს?

— ადამიანი, რომელმაც, საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს, თან არ დაგყავს, მაგრამ როდესაც ერთ გუნდს რალაც პრობლემა ექმნება და თამაშს ვერ აგრძელებს, დანარჩენი გუნდებიც ჩერდებიან. თამაშის უსაფრთხოებაზე ორგანიზატორები აგებენ პასუხს. N-ქაუნთერში მონაწილეობა 18 წლამდე ასაკის ადამიანებს ეკრძალებათ. ერთ-ერთ ტურში თითოეული გუნდიდან თითო მოთამაშე შეარჩიეს და გუნდის დანარჩენი წევრებისთვის უცნობ ადგილზე წაიყვანეს. რამდენიმე ტურის შემდეგ უნდა გვეპოვა ისინი. გლდანის ტბაში არის ანძა, სადაც ჩვენი გუნდელები ნავით მიიყვანეს. დავალების თანახმად, თითოეული გუნდიდან ერთი ადამიანი ცურვით უნდა მისულიყო ანძასთან და თანაგუნდელი უკან წამოეყვანა. ოქტომბერი იყო, საკმაოდ ციოდა. გლდანის ტბის გარშემო სულ ჭაობია. როგორც იქნა, გამოვიყვანეთ ჩვენი თანაგუნდელე-



ბი, კოდური სიტყვაც ვიპოვეთ და უკან წამოსვლისას გზად ავტომობილი ტალახში გაგვეჭყადა. გუნდი, რომელიც წინ გვისწრებდა და თამაშს იგებდა, შეჩერდა და ტალახიდან ამოსვლაში დაგვეხმარა. მართალია, თამაში ჩაიშალა, მაგრამ საბოლოოდ, სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩა.

— რა არის შენთვის ეს თამაში — ჰობი, უბრალოდ, განტვირთვა თუ რაღაც უფრო მეტი? ქალისთვის რთული არ არის ეს ყველაფერი?

— ჩემთვის ეს ყველაფერი მორალური სიამოვნებაა. თამაშის დროს ისეთ ემოციას ვიღებ, როგორსაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი მოვლენებისგან ვერასდროს მივიღებ. თამაშში მთელი ფანტაზიით უნდა იყო ჩართული. თუ ცოტათი მეოცნებე, რომანტიკოსი და თავგადასავლების მოყვარული არ ხარ, ამ თამაშს ვერ ითამაშებ. საკმაოდ ინტელექტუალური თამაშია და ლოგიკურ აზროვნებას მოითხოვს. გარდა იმისა, რომ დროს საინტერესოდ ატარებ, საუთარო თავის შესახებ ბევრ ახალ რამეს იგებ. გუნდში ყველა სხვადასხვა პროფესიის ვართ, მაგრამ მრავალი რამ გვაქვს საერთო. ძირითადად 5-6 გუნდია, რომელიც სულ თამაშობს და ყველანი ერთმანეთის მეგობრები ვართ. თავიდან ჩემს გუნდში 3 გოგო და 4 ბიჭი იყო — ყველაზე „ქალური“ გუნდი ჩვენ გვყავდა, თუმცა ახლა 2-3 გოგო თითქმის ყველა გუნდშია.

— პირველად როგორ შეიტყვე ამ საიტის შესახებ?

— თბილისის ფორუმზე საუბრობდნენ ამ თამაშის შესახებ. დაინტერესებული ადამიანებისთვის ვაკის პარკში შეხვედრა გამოცხადდა. მეც წავედი. თამაშის ორგანიზატორებმა ჩვენთვის საცდელი თამაში ჩაატარეს, რომ გვენახა, რაზე იყო ლაპარაკი და ვისაც მოეწონებოდა, თამაშს გააგრძელებდა. სიახლე ჩვენთვის უჩვეულო და სახალისო აღმოჩნდა. ადრე თამაში ორ კვირაში ერთხელ ტარდებოდა, ახლა კი — ორ-სამ თვეში ერთხელ, რადგან არც ორგანიზატორებს და არც მოთამაშეებს იმდენი თავისუფალი დრო აღარ გვაქვს.

— თამაშის სცენარი რასაც ითვალისწინებს, მოთამაშეებისთვის ვინ ამზადებს ამ ყველაფერს, ვინ მალავს კოდურ სიტყვებს და ა.შ.?

— თამაშის მომზადება საკმაოდ რთული პროცესია, დაახლოებით, ერთთვიანი მძიმე შრომა სჭირდება. ჯერ ერთი გუნდი ამზადებს თამაშის სცენარისთვის, შემდეგ — მეორე და ა.შ. ასე ვთქვათ, მომსახურებას ერთმანეთს თავად ვუწევთ. თავიდან დაინტერესებული გუნდები უნდა მოძებნო, შემდეგ უკვე ის ადგილები, სადაც სცენარის შესაბამისად მომზადდება ყველაფერი. თამაშის დაწყებამდე ორგანიზატორი მოთამაშეებს იმ ნივთების ჩამონათვალს აცნობს, რომლებიც მათ დავალებების შესრულების დროს დასჭირდებათ. ყველაზე გავრცელებული

დავალების თანახმად, რომელიმე მიტოვებულ ბნელ შენობაში პატარა ასობით დანერილი კოდური სიტყვა უნდა იპოვო. სცენარის შექმნისას ირჩევა თემა, რომელსაც თამაშისთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს. სცენარში, შესაძლოა, რომელიმე ფილმის ან წიგნის პერსონაჟის სახელი ფიგურირებდეს და შესასრულებელი დავალებები ამ ფილმის ან წიგნის გმირის მიერ განვიღებ გზას უკავშირდებოდეს. ერთმა მოთამაშემ სცენარი „ინდიანა ჯონსის“ ერთ-ერთი სერიის მიხედვით დაწერა — თამაში გარკვეულწილად მართლაც ჰგავდა ფილმის სცენარს. ერთ-ერთი თამაშის დროს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის თემაზე იყო შექმნილი, თითოეული გუნდიდან ტყვეები აიყვანეს. მეც ტყვედ ვიყავი ჩავარდნილი. ხელები შეგვიკრეს, თვალები აგვიხვეს და რომელიმე ძველი შენობის ბნელ სარდაფში ჩავვიყვანეს. სარდაფის ინტერიერი ძალიან კარგად იყო მოწყობილი — მინის იატაკზე ძროხის ძვლები და ვითომ სისხლიანი სახვევები ეყარა, ირგვლივ

სანთლები ენთო. კედელზე ხელბორკილით მიმაბნეს და თავის დასახსნელად 10 წუთი მომცეს; თუ თავს ვერ დავიხსნიდი, ჩემი გუნდი დაჯარიმდებოდა. ხელების ცეცება დავიწყე და ამ დროს ქალაქის ფურცელი ჩამოვარდა, რომელზეც ეწერა: „ცეცხლი გიჩვენებს ჭეშმარიტებას“. გამახსენდა, რომ მსგავსი დავალებების დროს უხილავ მელანს იყენებენ. ქალაქი ცეცხლზე გაახურე და შედეგად გამოჩნდა ნარნერა, რომელმაც მიმითითა, თუ სად იყო დამალული გასაღები. ძალიან სწრაფად ვმოქმედებდი. საბოლოოდ, თავის დახსნა შევძელი.

— სტრატეგობზეც მიახმე. ვიცი, რომ ამ თამაშითაც ხარ გატაცებული.

— სტრატეგობი — ეს არის სათამაშო ავტომატებით საბრძოლო სცენების იმიტაცია. ავტომატი სათამაშო ტყვიებს ისვრის. ბრძოლა რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს. ბრძოლის დაწყებამდე გვაქვს ამოცანა, მაგალითად, მეტროპოლისის ერთმა ნაწილმა რომელიმე შენობა უნდა აიღოს, მეორე ნაწილმა კი დაიცვას — როგორც ნამდვილი საბრძოლო ოპერაციის დროს. ყველა მხარეს ჰყავს ლიდერი, რომელიც წყვეტს, როგორ უნდა განხორციელდეს მანევრები. თამაში ქალაქგარეთ ეწყობა. თითქმის ყოველკვირა ვიკრიბებით; თუ ორდღიანი თამაშია, მაშინ ბრძოლა შაბათს დილიდან კვირას საღამომდე გრძელდება.



— შენი ოჯახის წევრები როგორ უყურებენ შენს გატაცებას? აქტიურობით ალბათ ბავშვობიდან გამოიჩინოდი.

— მშობლები აღფრთოვანებულნი ნამდვილად არ არიან, მაგრამ ნორმალურად უყურებენ ყველაფერს, დაბრკოლებას არ მიქმნიან. ბავშვობაში სწრაფად ვერ დავვრბოდი. ძირითადად, გოგონებთან ვმეგობრობდი, ახლა კი უფრო ბიჭების წრეში ვტროვალ და ზოგჯერ თავი მეც ბიჭი მგონია.

— იახტსმენი როგორ გახდი?

— სტრატეგობის მორიგი თამაშის შემდეგ მეგობრები სახინკლეში ვიყავით შეკრებილნი. ერთ-ერთმა თანაგუნდელმა თქვა, რომ თურქეთში იახტსმენობის კურსის გავლას აპირებდა. მეც დაინტერესდი და ერთად წავედი. თურქეთში, მარმარისში ბრიტანულ იახტსკოლაში სწავლების ერთკვირიანი კურსი გავიარეთ. ძალიან საინტერესო იყო. ახლა შემიძლია, სამკაცთან ეკიპაჟში მესამე წევრის ფუნქციები შევასრულო.

ზოგადად ყოველთვის მაინტერესებდა იახტსმენობა, მაგრამ ამ საქმეში ისე გარკვეული არ ვიყავი, როგორც ჩემი მეგობარი. მან თითქმის ყველაფერი იცის იახტების შესახებ.

— თუ საკუთარი იახტა არ გყავს, მაშინ რა უნდა ქნა? ქრაობა ძვირი ღირს?

— იახტის დაქირავება არც ისე რთულია, თან ძვირიც არ ჯდება. სადაც ჩვენ ვიყავით, იმ სკოლაში ერთი კვირით იახტის დაქირავება 2.000 ევრო ღირდა. საქართველოში არც კი ვიცი, შეიძლება

თუ არა იახტის დაქირავება. არსებობს ერთი იახტკლუბი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, იქ რა ვითარებაა. არსებობს უამრავი საიტი, სადაც ადამიანები, რომლებსაც ზღვაში გასვლა სურთ, ეკიპაჟის დამატებით წევრს ეძებენ, მაგრამ მე ასე წასვლა არ მინდა. შეიძლება, კიდევ ერთკვირიანი კურსი გავიარო და შემდეგ დამოუკიდებლად შევძლო იახტის დაქირავებას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თურქეთში ერთი კვირით დასასვენებლად წასვლა გაცილებით ძვირი ჯდება. იმის ნაცვლად, რომ ანტალიაში წახვიდე დასასვენებლად, შეგიძლია, მეგობრებთან ერთად იახტა იქირაო და ზღვაზე გაისეირნო. ეს ჩემთვის ჩვეულებრივ სასტუმროში დასვენებაზე გაცილებით სახალისო და საინტერესოა.

გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენი ჟეკი ივანიძე

1. თბილისის ოპერა 1874 წელს დაიწვა.
2. ბრიუს ლი სან-ფრანცისკოში დაიბადა.
3. დიეგო ველასკესი რაინდული ორდენის კავალერი იყო.
4. მაროები მისალმებისას ერთმანეთს ცხვირით ეხახუნებიან.
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი დიმიტრი შვეარდნაძის შექმნილია.
6. ახლო აღმოსავლეთში მეგრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებს არაბები ჯვაროსნებს ეძახიან.
7. „დაუბანელი“ იერის გამო, ბინ ლადენს ამერიკელებმა „უსახლკარო სანტაკლაუსი“ შეარქვეს.

8. ფულისადმი დამოკიდებულება რუსეთში ყოველთვის ამგვარი იყო: „ბეზ ნის ნიკაკ, ა სნიმი ეშჩო ხუჟე“.

9. არც ერთ ქართველ პოეტს არ ჰყოლია იმდენი თაყვანისმცემელი ქალი, რამდენიც ავაკი წერეთელს.

10. 1953 წლის 11 იანვარს გარდაცვლილი ნოე ჟორდანიას პარიზის მახლობლად, ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს.

11. „გენიოსები ყოველთვის ზარავენ საკუთარ ეპოქას“, — წერდა ოგიუსტ როდენის შესახებ მისი ბიოგრაფი, ჯოზეფ რილკე.

12. გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა — ყველა ამ სახელმწიფოში მდინარე დუნაი ჩამოედინება.

13. „მან ნეკნი ამოიღო რომის იმპერიიდან და ახალ ცივილიზაციას ჩაუყარა სათავე“, — წერენ ისტორიკოსები მეფე კარლოს დიდის შესახებ.

14. ნათურის სანათი ძაღვისათვის თომას ედისონმა 6 ათასი სხვადასხვა მასალა მოსინჯა. თავდაპირველად, ამისთვის სამკერვალო ძაფს იყენებდნენ, რომელიც ნახშირით იყო დაფარული. ასეთი ნათურა მხოლოდ 12 საათს ძლებდა.

15. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიო მშენებლობათა ერთი მეხუთედი ჩინეთზე მოდის, ამ მეხუთედის ნახევარი კი — ქალაქ შანხაიზე. ურბანიზაციის მასშტაბებით, შანხაი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

16. ფლორენციის დატოვებისას ფაშისტებმა მიქელანჯელოს, რაფაელის, ბოტიჩელისა და სხვა ცნობილ მხატვართა ტილოები გააყოლეს ხელს. შედეგებს სატიერთო მანქანების ღია ძარაზე ტვირთავდნენ, ზემოდან ჩალას აფარებდნენ და ისე მიჰქონდათ. ამგვარი ტრანსპორტირე-



ისწავლეთ სისარულის ბანსდა

ალბათ გეყოლებათ ისეთი ნაცნობები, რომლებიც არასდროს იცინიან, იშვიათად იღიმებიან და ბედნიერები და მხიარულები თითქმის არასდროს არიან...

სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი არცთუ ცოტაა და, სპეციალისტების სწმუნებით, მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდება.

ანგედონია — სისარულის ვერგანცდას ნიშნავს — ანუ როცა არ იცი, როგორ უნდა გიხაროდეს. დედამინის მოსახლეობის 10%-ს არ შეუძლია ნამდვილი სისარულის განცდა, რადგან ანგედონიით იტანჯება.

ბევრი საკუთარ თავს დაბადებიდან პესიმისტად აღიქვამს, ასეთ მდგომარეობას ეჩვევა და ვერც კი ამჩნევს, რომ მდგომარეობა დროთა განმავლობაში უარესდება.

არაკვალიფიცირებული სპეციალისტები ამ მდგომარეობას დეპრესიას მიაწერენ და „პაციენტს“ მკურნალობის კურსსაც კი უნიშნავენ. თუმცა, ანტიდეპრესანტებს დადებითი ეფექტი ვერ მოაქვს. გაცნობიერება იმისა, თუ რა არის სინამდვილეში თქვენი პრობლემა და მასთან გამკლავებისთვის მზაობა, სერიოზული, წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენ მიერ ცხოვრების აღქმა ჩვენსავე ემოციებით განისაზღვრება და პირდაპირ კავშირშია იმასთან — რამდენად მოვრიგდებით საკუთარ თავთან, გარშემო მყოფებთან და სამყაროსთან.

ზოგიერთი საკუთარ თავზე იღებს არა მარტო თავის, არამედ სხვის საზრუნავსაც; და თუ ამ მოვალეობას ვერ უმკლავდება, ნარუმატებლობაში საკუთარ თავს ადანაშაულებს. მუდმივი მცდელობა, ყველაფერი ზედმინწევით კარგად გააკეთოთ და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა (რომელიც მაშინ ჩნდება, როცა რაღაც „საუკეთესოდ“ არ გამოგდით) ემოციურ ფონს ადაბლებს.

ანგედონიასთან ბრძოლის საუკეთესო ნაშალი — სისარულის ჰორმონის ბუნებრივი გამოყოფის სტიმულაციაა. ერთ-ერთი ხერხია — ექებოთ სისარულის მიზეზი ყველგან, ყველაფერში, ყველაზე უმნიშვნელო მოვლენებში, შთაბეჭდილებებსა და შეხვედრებში.

როგორ უნდა გააკეთოთ ეს რეალურად?

• სცადეთ, დილიდანვე მზერა ფანჯრის მიღმა მოთამაშე მზის სხივებს, აფეთქებულ კვირტებს ან მოფარფატე



ფიფქებს მიაპყროთ. გარეთ გამოსულმა ქარის გამოქროლებას, ბავშვების ჟრიაშულს მიუგდეთ ყური...

• ძალიან კარგია იმ ადგილებში გაულა, სადაც გაიზარდეთ. თუკი რაიმე მიზეზის გამო სამახსოვრო ადგილები აღარ არსებობს ან თქვენგან შორსაა, ნათელი და მხიარული ეპიზოდები გაიხსენეთ, იქ დატოვებულ საუკეთესო, ბედნიერ წლებში იმოგზაურეთ. მეხსიერებაში ქექვა არავრთ ამბავს მოგაგონებთ და სიამოვნებასაც მოგანიჭებთ.

• ნუ ეცდებით, ყველაფრის ერთად და უცებ გაკეთებას. ნურც შვილებს დასტრიალებთ ქორივით თავს, დაუტოვეთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

• ისწავლეთ „არას“ თქმა იმ კოლეგებისთვის, რომლებიც ყველაზე სწირად სარგებლობენ თქვენი პროფესიონალიზმით: თქვენ ხომ თითქმის ყველაფერს სხვის ნაცვლად და თანაც — უნაკლოდ აკეთებთ.

• და კიდევ: ნუ დაგვიწყნებთ, რომ თქვენი მეუღლე ზრდასრული ადამიანია და მშვენივრად შეუძლია არა მარტო — საკუთარ თავზე, არამედ თქვენზეც და ოჯახზეც ზრუნვა. თქვენ კი აუცილებლად უნდა დაგრჩეთ დრო საკუთარი თავის მოსაველეად, სილაშხის სალონში თუ კონცერტზე წასასვლელად; ბოლოს და ბოლოს — მეგობრებთან ერთად გასასიერებლად მაინც...

ქვირფასო ქალბო, შეიყვარეთ საკუთარი თავი და თქვენთვის სამყაროც გაფერადდება...



ერიდეთ მასღურებს...


მას მაცდურ მამაკაცს უწოდებენ და მისი ამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მას გამუდმებით გარს ახვევია ახალ-გაზრდა გოგონების მრავალრიცხოვანი არმია, რომელთანაც მხოლოდ პლატონური ურთიერთობები აკავშირებს. ფლირტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ქუჩაში აუცილებლად აყოლებს მომწუსხველ მზერას ყველა საინტერესო მანდილოსანს და მზადაა მის მოსახიბლად. მის გვერდით თავს მშვიდად ვერასდროს იგრძნობთ. სამაგიეროდ, უსამოვნებები არასოდეს გამოგლევათ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ ტიპის მამაკაცები გულის სიღრმეში საშინელი ქალთმოძულენი არიან. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს მათი ცხოვრების ძირითად მიზანს ყველა ქალის გულის დაპყრობა. ასეთიარად თითქოს შურს იძიებენ სუსტი სქესის წარმომადგენლებზე და სასურველი მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევენ.

ყველა ქალი, რომელიც მაცდურის კლანჭებში მოხვდება, აუცილებლად დაიტანჯება. ეს გარდაუვალია. როგორც უნდა ეცადოს, რაც უნდა მოიმოქმედოს, მის გულს ვერ მოი-

ხადირებს, ვერ დაარწმუნებს, რომ სწორედ თვითონაა ის ერთადერთი და განუყოფელი, რომელიც მას გააბედნიერებს. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ზრდასრული ადამიანის ხასიათის შეცვლა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, თუ უთანასწორო ბრძოლაში არ აპირებთ ჩაბმას და ზედმეტი ნერვიულობა არაფერში გჭირდებათ, ჯობს, ყველანაირად დააღწიოთ თავი მაცდურის ხიბლს. დაივიწყეთ ის, როგორც ცუდი სიზმარი.

აუცილებლად გაითვალისწინეთ — მამაკაცი, რომელიც ციამოვნებით ადევნებს თვალებს, როგორ იბრძვის რამდენიმე ქალი მის გვერდით „ღირსეული“ ადგილის მოსაპოვებლად, არ იმსახურებს არც ერთის, მით უმეტეს — თქვენს სიყვარულს. თანაც ცხოვრება ისედაც რთულია და ხელოვნურად შექმნილი პრობლემები, ვფიქრობ, არაფერში გჭირდებათ. გახსოვდეთ და გჯეროდეთ: თქვენ უკეთესს იმსახურებთ!



ქალაქის ღვინო

მასალად საჭიროა:

250 გ კარაქი, 250 გ შაქრის ფხვნილი, ერთი ლიმონის ცედრა, 5 კვერცხი, 125 გ ფქვილი, ვანილი და სახამებელი.

მოზადების წესი:

დარბილებული კარაქი კარგად ათქვიფეთ, თანდათანობით ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ვანილი და ლიმონის ცედრა. შემდეგ სათითაოდ ათქვიფეთ კვერცხები, ნაწილ-ნაწილ ჩაუმატეთ გაცრილი ფქვილი, სახამებელი და სოდა ძმრით. ყველაფერი ფრთხილად აურიეთ ერთმანეთში, მიღებული მასა გადაიტანეთ პერგამენტდაფენილ ფორმაში, ზემოდან მოაწყვეთ წინასწარ გარეცხილი, გამშრალი ალუბალი და შედგით ჰაერლუმელში 35 წუთით.

იმისთვის, რომ გაიგოთ, ნამცხვარი მზად არის თუ არა, ცომში ჩაურჭვეთ ხის წვრილი ჩხირი ან ასანთის ღერი. თუ მას ცომი მიეცრა, ნამცხვარი 10 წუთით ისევ შედგით ჰაერლუმელში. ასეთ დროს, უმჯობესია, ზემოდან დააფაროთ სპეციალური ქაღალდი, რათა ღვეხელი ზედმეტად არ გამოშრეს.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ქპლერელი თქუპ იყანიძე

ბის გამო, ბევრი ტილო საგრძნობლად დაზიანდა, ხოლო ფლორენციის გალერეის ექსპონატთა ნახევარზე მეტი სრულებით განადგურდა.

17. პუგაჩოვის აჯანყების ჩასახშობად ეკატერინე II შეგნებულად არ იწვევდა სუვოროვს, რადგან არ სურდა, ევროპელებს იმ შიდა არეულობის მასშტაბები გაეგო, რომელიც რუსეთში ტრიალებდა.

18. ტალიანდში ძალზე პოპულარულია ბავშვების კიკობუსინგი. მაყურებელი, რომელიც გატაცებით ადევნებს თვალს, თუ როგორ ალილავებენ ერთმანეთს 6 წლის გოგონები, შეჯიბრების დროს პირდაპირ მინიატიურულ რინგზე ჩამოდის სანაძლეო თანხას.

19. ბერლინის კინოფესტივალზე მაიკლ ჩიმინოს ფილმის — „ირმებზე მონადირენის“ ჩვენებისას საბჭოთა კავშირის დელეგაციამ დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი და სხვა დელეგაციებისგანაც იგივე მოითხოვა. მას რუმინეთის, ინდოეთის და რამდენიმე სხვა დელეგაციამაც მიჰბაძა. ამგვარმა პროტესტმა უფრო გააცხოველა ფილმისადმი ინტერესი და საბოლოოდ, ამ სურათმა გაიმარჯვა კიდევ.

20. ფაშისტურ გერმანიაში მფრინავ-გამანადგურებლები ლამის სახალხო გმირებად შერაცხეს და უბრალო ხალხმა მათი გვარები ზეპირად იცოდა. რაც შეეხება ინგლისს, იქ მთავრობა პრესას იმის უფლებასაც არ აძლევდა, დაესახელებინა თანამემამულე მფრინავთა სახელები, რომლებსაც დიდი რაოდენობით მტრის თვითმფრინავი ჰქონდათ ჩაბოგდებული. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გუნდური შედეგი პერსონალურ წარმატებაზე მნიშვნელოვანი იყო.

21. შექსპირის ტრაგედიების უზადლო მთარგმნელს, ივანე მაჩაბელს ერთი საოცარი უნარი ჰქონდა — შეეძლო, დილით აელო ნიგნი, წაეკითხა და საღამომდე რაიმე დარგის სპეციალისტი გამხდარიყო. მრავალ პროფესიას შორის, რომელსაც იგი ფლობდა, იყო მევენახეობაც, რომელიც პარიზში ყოფნისას შეისწავლა. მაჩაბელი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა საოცარი ნიჭით. მან იცოდა ნუსხური, ხუცური, სულ პატარამ ნაიკითხა და ზეპირად ისწავლა „დავითნი“. ხალხი მის მოსასმენად ეკლესიაში მთელი ქართლიდან მიდიოდა და ბევრმა ქართველმა მოღვაწემ იგი ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, როცა 5-6 წლის იყო.





სწორად გარუჯვის წესები ანუ დავისვათ კანი მზით დამწვრობისგან

ნარუჯვი ორგანიზმის ერთ-ერთი დამცველობითი რეაქციაა. კანის რქოვანა გარსის გასქელება და მელანინის უნარი, შთანთქოს სითბური გამოსხივება, იცავს ორგანიზმს გრძელტალღიანი ულტრაიისფერი სხივებისგან, რომელთაც ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში კანის ქვედა ფენებში განლაგებული უჯრედების განადგურება და მძიმე დამწვრობის განვითარება შეუძლია. გარდა ამისა, ინფრანითელი სხივები მზის დაკვრის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მზის სხივებისგან ორგანიზმის დაცვის დამატებით საშუალებას ოფლის გამოყოფა წარმოადგენს.



მზის დადებითი ზემოქმედების მიუხედავად, საკმაოდ დიდია საფრთხეები, რომლებიც მზეზე დიდხანს ყოფნისას შეიძლება დაგვაცდეს თავს.

ჩვენი კანისთვის ულტრაიისფერი სხივები სახიფათოა. მხოლოდ მუქი და შავი ფერის კანის ადამიანებს გამოეყოფათ ორგანიზმში მზის სხივების მავნე გავლენისგან დასაცავად საკმარისი რაოდენობის მელანინი. ზიანი, რომელიც შეიძლება კანს მიაღებოს, მზეზე გატარებული დროის პირდაპირპროპორციულია. მცირე დროით (10 წუთამდე) მზე კანს მხოლოდ მსუბუქად აღიზიანებს და ზერეულე სინითლეს იწვევს. დიდი დროით მზის სხივების მიღებისას კი კანზე ანთებითი პროცესები ვითარდება და იგი შუბდება. თუ ასეთ შემთხვევაში გარუჯვას გავაგრძელებთ, კანი შეიძლება დაიწვას და ამ დროს იგი ბუშტუკებით დაიფარება. მზეზე ძალიან დიდხანს ყოფნა კანს იმდენად აზიანებს, რომ იგი კარგავს თავისი ფუნქციის შესრულების უნარს. მძიმე დამწვრობის შემთხვევაში წყდება თერმორეგულაცია, რაც თავის მხრივ მზის დარტყმას იწვევს.

გარდა ამისა, მზეზე დიდხანს ყოფნისას შეიძლება კანმა ელასტიკურობა და სიგლუვე დაკარგოს და ნაოჭებით დაიფაროს. სამწუხაროდ, შეუძლებელია ამ პროცესის შეჩერება ან შენელება.

მზით დამწვრობის მკურნალობა

1. პირველ რიგში უნდა შეხვიდეთ შენობაში. დამწვრობის მიღების შემდეგ მზეზე ყოფნა სიტუაციას მხოლოდ დაამძიმებს;
2. შეამომნეთ, კანზე ბუშტუკები ხომ არ გაგიჩნდათ. მათი გაჩენა კანის ძლიერ დაზიანებაზე მიუთითებს, რასაც შეიძლება სერიოზული გართულებები მოჰყვეს. თუ ბუშტუკებით კანის დიდი ფართობია დაფარული, მაგალითად, ხელები ან მუცელი, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.
3. ტკივილის შესამსუბუქებლად მიიღეთ ცივი შხაპი ან აბაზანა;
4. დაიმუშავეთ კანის დაზიანებული უბანი ალოეს, უმი კარტოფლის წვენი ან სხვა გამაგრილებელი ნივთიერებებით. არც ერთ ვარიანტში არ დაიმუშაოთ დამწვარი არე კარაქით ან ზეთით! სხვათა შორის, ძალიან კარგ შედეგს იძლევა ძველი და გამოცდილი საშუალება — ცივი მანწის წასმა.
5. დამწვრობით გამოწვეული ტკივილის შესამცირებლად დალიეთ ტკივილგამაყუჩებელი საშუალება (მაგალითად, იბუპროფენი ან აცეტამინოფენი). თუ ტკივილი არ გაგიყუჩდათ, მაშინ მიმართეთ ექიმს.

კიდევ რამდენიმე რჩევა

1. დამწვრობა მიმდინარეობს შემუშებით. ამიტომ სახის და ყელ-კისრის ვრცელი დამწვრობა ზოგჯერ სუნთქვის გაძნელებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.
2. კიდურებზე მიღებულმა ვრცელმა დამწვრობამ შეიძლება ძლიერი შეშუპება გამოიწვიოს, რაც სისხლის ნორმალურ მიმოქცევას დაარღვევს. კიდურების დაბუყების, გაღურჯების, მგრძობელობის დაქვეითების ან ჩხვლეტის შეგრძნებების განვითარების შემთხვევაში, აუცილებელია ექიმთან დაუყოვნებლივი ვიზიტი.
3. კანის მოშუშების პერიოდში ატარეთ ნატურალური ქსოვილისგან (მაგალითად, აბრუშუმის ან ბამბის) დამზადებული, თავისუფალი ტანსაცმელი. უხეში ან სინთეტიკური ქსოვილი მხოლოდ გააძლიერებს კანის გაღიზიანებას.
4. მზეზე დიდხანს ყოფნამ შეიძლება სითბური დაავადებები (მაგალითად, სითბოს დაკვრა) გამოიწვიოს.

მზის აბაზანები შეიძლება მოუხდეს მათ, ვისაც აქვს ფერიმჭამელები. ჭუჭყით დაცობილი ცხიმოვანი ჯირკვლების გასუფთავების ერთ-ერთ საშუალებას კანის აქერცვლის გამოწვევა წარმოადგენს. სწორედ ეს მეთოდი უდევს საფუძვლად ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობას. ბუნებრივი მზის სხივების ზემოქმედება იმავე ეფექტს იწვევს. აქერცვლისას მკვდარ უჯრედებთან ერთად კანის ზედაპირს სცილდება ქერცლი, რომლითაც დაცობილია ცხიმოვანი ჯირკვლები და შედეგად, მისი ფუნქციის აღდგენა ხდება.

მზეზე დიდხანს ყოფნა ეკრძალებათ ხანდაზმულ ადამიანებს, 2 წლამდე ბავშვებს, ორსულებს, ასევე ადამიანებს, რომელთაც აქვთ ფილტვების ქრონიკული დაავადებები (განსაკუთრებით ტუბერკულოზი), გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნევრასთენია, წითელი მგლურა. ასეთ შემთხვევაში მზეზე ყოფნის დრო და ხანგრძლივობა აუცილებლად მკურნალ ექიმთან უნდა იქნას შეთანხმებული.

მზის სხივებისადმი მომატებული მგრძობელობა შეიძლება განუვითარდეთ ადამიანებს, რომელთაც ღვიძლის ფუნქცია აქვთ დარღვეული სხვადასხვა დაავადების, ან თუნდაც ალკოჰოლის ბოროტად მოხმარების გამო.

მზის სხივებისადმი მომატებული მგრძობელობის შემთხვევაში ქუჩაში ჩრდილიან მხარეს უნდა იაროთ, მსუბუქი, ღია ფერის ტანსაცმელი ატაროთ, კანის დაუფარავ (ღია) ნაწილებზე მზისგან დამცავი კრემი წაისვათ, ასევე, ნათელი ფერის ქოლგა და მზის სათვალე უნდა იქონიოთ.

სამწუხაროდ, მზის მავნე გავლენის შესახებ უამრავი



ინფორმაციის მიუხედავად, ბევრი მაინც აგრძელებს აქტიურად გარუჯვას, რადგან მიიჩნევენ, რომ ნარუჯი მას ბევრად მიმზიდველს გახდის.

რეკომენდაციები გარუჯვის მოყვარულთათვის

მზის აბაზანები მხოლოდ იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ მას თანდათანობით იღებთ. თავდაპირველად გაირუჯეთ მხოლოდ 2-5 წუთი (კანის ტიპის გათვალისწინებით). ეს სასიამოვნო პროცესი ყოველდღიურად 2-5 წუთით გაახანგრძლივეთ და ასე ადით 2 საათამდე. ამასთან, არ დაგავიწყდეთ ყოველ 30-40 წუთში ერთხელ წყალში შესვლა.

პირველ დღეს მზის აბაზანა მხოლოდ ფეხებზე მიიღეთ. მეორე დღიდან კი შეგიძლიათ, მთელი სხეულის გარუჯვას შეუდგეთ. მოძრაობის დროს კანი მზის სხივების მოქმედებაზე უკეთ ადაპტირებს. სასარგებლოცაა და სასიამოვნოც, მზის ქვეშ ბადმინტონის, ფრენბურთის თუ ხელბურთის თამაში, ცურვა, ტანვარჯიში და ა.შ. ეს დაეხმარება თქვენს კანს, შეეგუოს მზის მწველ სხივებს.

არ არის რეკომენდებული გარუჯვის წინ სხეულის გასუფთავება საპნით, ლოსიონით ან ოდეკოლონით. საპონი არღვევს კანის დამცველ შრეს და აშრობს მას. გახსოვდეთ, რომ ლოსიონი და ოდეკოლონი კანს მგრძობიარეს ხდის ულტრაიისფერი სხივებისადმი და შეიძლება მოყავისფრო ლაქები გაგიჩნდეთ.

რჩევები გარუჯვის მსურველებს:

1. არ მიიღოთ მზის აბაზანა უზმოდ ან საკვების მიღებისთანავე. უკეთესია, ეს გააკეთოთ ჭამიდან ერთი საათის შემდეგ.
2. გარუჯვისთვის საუკეთესო დრო 9-დან 11 საათამდეა. არ არის რეკომენდებული მზის აბაზანების მიღება სადილობის დროს (12-დან 16 საათის ჩათვლით), რადგან ამ პერიოდში მზის სხივები განსაკუთრებული სიძლიერით მოქმედებს კანზე.
3. მზის სხივების ქვეშ ყოფნისას აუცილებლად დაიფარეთ თავი და თვალები.
4. გარუჯვისას არ მოიკლათ წყურვილი ცივი წყლით ან ალკოჰოლით.
5. მზის აბაზანის მიღების შემდეგ სასარგებლოა ოდნავ მლაშე საკვების მიღება და ცივი ჩაის დალევა.
6. შეძლებისდაგვარად, ფეხშიშველმა იარეთ.
7. თუ თქვენ ირუჯებით მნოლიარე მდგომარეობაში, თავი ოდნავ წამოსწიეთ.
8. მზის აბაზანის მიღების დროს არ შეიძლება ძილი და არ არის რეკომენდებული კითხვა.
9. კანის მზის სხივებისგან დაცვისა და დარბილების მიზნით, არ შეიძლება მინერალური ცხიმის (ვაზელინის, გლიცერინის) გამოყენება, რადგან ამ დროს კანზე ჩნდება წვეთები, რომლებიც პატარა, შემკრები ლინზის როლს ასრულებს. ამას კი შეიძლება დამწვრობა მოჰყვეს.
10. გარუჯვის წინ ტუჩებზე წანისვით ჰიგიენური პომადა.
11. ფრჩხილებზე ლაქის წასმა არ არის სასურველი.
12. ძალიან არ გაგიტაცოთ გარუჯვის პროცესმა: მზეზე დიდხანს ყოფნა, გარდა იმისა, რომ მავნეა ჯანმრთელობისთვის, კანის დაბერებასაც აჩქარებს (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, წამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თქვენი ოჯახის მკურნალი



www.mkurnall.ge



ადამიანი

გადარეული ექსტრემალუბი, მაშველუბის თავსატუხი და ჩაფუთნილი დამსვენებლუბი

თუ ქალაქიდან არსად გასულხართ და ჯერ კიდევ თბილისის მცხუნვარე მზე „გეალერსებათ“, ალბათ ცდილობთ, სამუშაოს დასრულების შემდეგ გართობისა და დასვენებისთვისაც გამოიხატოთ დრო და ქალაქში მომრავლებულ გასართობ ადგილს ესტუმროთ... იმის გასარკვევად, თუ როგორ ისვენებენ თბილისელები, ერთი დღე „აკვაპარკში“ გავატარე. ამ გასართობი ადგილის წინ დილის 10 საათიდან ისეთი რიგია, რომ თუ გარუჯვის მოყვარული ბრძანდებით, რამდენიმე წუთში მშვენიერ ნამზეურს „გამოჰკრავთ ხელს“ და შეიძლება, პარკში შესვლა გადაიფიქროთ კიდევ... ეს გრძელი რიგი ნაცნობი მაშველ-ინსტრუქტორის დახმარებით გავარღვიე, რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მივხვდი, საოცრად გადაღლილი იყო.

ელენე ბასილია

დოზა, 19 წლის, მაშველ-ინსტრუქტორი:

— უკვე 2 წელია, რაც „აკვაპარკში“ ვმუშაობ. ბოლო დროს ისე გადავიღალე, რომ ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის დადგება შაბათ-კვირა (იციან).

— დასვენების დღეები ასე რამ შეგაყვარა?

— ამ დღეებში ბილეთის ფასი შედარებით ძვირი — 40 ლარი ღირს და ამიტომაც, ცოტა ხალხი გვსტუმრობს... ყველაზე რთული ექსტრემალი ადამიანების სიჯიუტესთან გამკლავებაა, ასეთ ადამიანებს რა მოვუხერხო, აღარ ვიცი... ამას წინათ, კომპურაზე ერთი „უექსტრემალესი“ რუსი ქალბატონი ამოვიდა და მეუბნება: — „კრუნი მენიო“ ანუ უნდოდა დამეტრიალებინა და ატრაქციონიდან ბზრიალ-ბზრიალით დაშვებულიყო. გადავირიე, — რაის „კრუნი“, ქალბატონო, ჩვეულებრივად რომ ეშვებით, წყლის ზედაპირზე მაშინაც სახით ეცემით და რომ დაგატრიალოთ, ღმერთმა იცის, რა მოგივით-მეთქი. ის კი ჯიუტად მიმტკიცებდა, რომ არაფერი დაემართებოდა... ხშირად, ასეთი დამსვენებლები მაშველებს გვეპარებიან, ჰოდა, მათ კუდში მივადევნებ ხოლმე, — მოგტყბია კისერი-მეთქი (იციან)... წელს

ბევრი ახალი მაშველი შემოგვემატა. ბიჭები ვცდილობთ, ერთმანეთს ხელი შევუწყოთ, მორიგეობა შევუმსუბუქოთ. სხვათა შორის, ბევრ მაშველს აქ ვასწავლეთ ცურვა (იციან).

— შევამჩნიე, რომ ყველაზე საშიშ ატრაქციონს ბევრი ხალხი ეტანება...

— ჰო, ასეა! რატომღაც, ძალიან ბევრი გამბედავი გვსტუმრობს — კოსეზე ასვლასა და გასაბერ ლეიბებზე ისეთი ტაციობაა, ლამის დახოცონ ერთმანეთი (იციან). თანაც, ხომ გითხარი, ძალიან ჯიუტები არიან: თუ ეუბნები, — თავით არ გადახტეო, მაინცდამაინც თავით უნდა ისკუპონ წყალში. ხშირად, ფეხსაც იჭრიან — ეს იმ შემთხვევაში, თუ ატრაქციონიდან არასწორად დაემშვებიან... ზოგჯერ

ძალის გამოყენებაც გვინევს, ისევ და ისევ დამსვენებლების კეთილდღეობისთვის. მაგალითად, ერთკაციანი გასაბერი ლეიბით არ შეიძლება, 2 კაცი დასრიალდეს — დიდი ალბათობაა, რომ ამ ორიდან ერთ-ერთი დაიღუპოს. ვცდილობთ, კლიენტები არც გავანაწყინოთ და არც თავისი გავატანინოთ (იციან). წელს იმდენი ხალხი გვსტუმრობს, რომ კომპურაზე მაშველის დასადგომი ადგილი აღარ რჩება, ჰოდა, ლამის ქერზე ვდგავარ და ხალხს იქიდან მოვუწოდებ, — მასე არ დასრიალდეთ, დაილენებით-მეთქი (იციან). სხვათა შორის, მაშველებს ამ სამსახურმა ერთი უცნაური თვისება შეგვიძინა — ქალის სილამაზეს ვერ აღვიქვამთ, თუ ჩაცმული არ არის (იციან). იცი, რაზე ვხალისობ? გასახდელიდან გოგონები ჩაფუთნილები, ჯინსითა და გრძელმკლავიანი მაისურით რომ გამოდინან, არადა, ქალაქში ხომ იცი, როგორ შილიფად ჩაცმულები დადინან?! თუ წვიმს, „სვეტები“ აუცილებლად მეკითხებიან — რატომ წვიმს და როდის გამოიდარებსო? ალბათ ჰგონიან, რომ ყველაფერთან ერთად სინოპტიკოსიც ვარ (იციან).

— დამსვენებლებს არარეალური მოთხოვნები თუ აქვთ?

— როგორ არა! მაგალითად, ამას წინათ, ერთადგილიანი კამერით 4 ადამიანი მომადგა და ერთ-ერთმა მთხოვა: — ჩემი ძმა, ოთხივეს ხომ დავატყეო?... ერთხელ ორადგილიან კამერაზე გოგონა და ბიჭი დავსვი, გვირაბში უნდა დასრიალებულიყვნენ; როგორც კი მოსახვევს მიუახლოვდნენ, დავინახე, გოგონა თავისი ადგილიდან ამოხტა, შემოტრიალდა, შეყვარებულს „შეაჯდა“ და წავიდა კონცანობა (იციან) — აი, ასეთი რაღაცებიც





ხდება, შედეგად კი წყვილები კამერიდან ცვივდებიან, წყლისკენ „მიფრინავენ“, მოცურავენ ეტაკებიან. კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა: რამდენიმე დღის წინ ერთი ჭარმაგი კაცი შეზღონგით მომადგა და მითხრა, — ჩემი ძმა, ველარაფრით ვერთობი და რა მოხდება, კამერის ნაცვლად შეზღონგით რომ დამასრიალოო (იციანის)?!

— მაშველს პირველ რიგში, რა მოეთხოვება?

— მთავარია, ნებისყოფა ჰქონდეს და ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოს. მაშველს ერთი და იმავე სიტყვის რამდენჯერმე გამეორება არ უნდა დაეზაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამსვენებლებს ვერაფერს შეაგნებინებს (ილიმის).

ირაკლი, 20 წლის, მაშველ-ინსტრუქტორი:

— 10 წლიდან რაგბიში ვვარჯიშობ. აქ ჩემი მეგობარი მუშაობდა, რომელმაც შემომთავაზა, — თუ გინდა, სამსახურს ჩემთან დაგაწყებინებო. ხელმძღვანელობას რამდენიმე მოთხოვნა ჰქონდა, რომელიც დავაკმაყოფილე, შემდეგ კი სპეციალური კურსებიც გავიარე, სადაც პირველადი დახმარების განევასა და ადამიანის გადარჩენის ხერხებს გვასწავლიდნენ...

— მაშველად მუშაობა იოლა?

— არა, სულ დაძაბულ რეჟიმში გვიწევს ყოფნა. 100 თვალი და ამდენივე ყური გვაქვს „გამომშული“, რათა რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდეს. სამაგიეროდ, ძალიან მიხარია, თუ ჩემი სამუშაოთი ვინმესთვის სიკვთე მომაქვს (ილიმის).

— ქართველი და უცხოელი დამსვენებლები ერთმანეთისგან რით განსხვავდებიან?

— უცხოელი ატრაქციონიდან ერთხელ ჩასრიალდება, მერე კი დანებება და მთელი დღე ნამზეურს იღებს, ქართველი კი შეიძლება, მილიონჯერ ამოვიდეს კომპლურაზე და მთელი დღე ისრიალოს. ამას წინათ კაცი ამოვიდა და მეუბნება, — ხელი მაქვს ნალრძობი, ჰოდა, მაინტერესებს, კამერაზე წინ დავჯდე თუ უკანო (იციანის)?..

წელს „აკვაპარკში“ დიჯეიცი მუშაობს. მისი კაბინის წინ თითქმის ყოველთვის, რამდენიმე დამსვენებელი გოგონა ცეკვავს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გარშემო მყოფებს ცოცხალ სტრიპტიზს, თანაც — უფასოდ სთავაზობს.

ჰადსი, 20 წლის, დიჯეი:

— 2 წელია, რაც ფუკრავე. საქართველოში საკუთარი ინიციატივით ჩამოვედი. მინდოდა, „აკვაპარკში“ „ივენტი“ გამეკეთებინა, მაგრამ ადმინისტრაციას ჩემი მუსიკა ისე მოეწონა, რომ დარჩენა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. ჩემი აზრით, აუზზე ყოფნა მუსიკის გარეშე სიამოვნებას ვერ მოგანიჭებს (ილიმის). ჯერჯერობით, საზოგადოება აქ იმიტომ შემოდის, რომ ნამზეური მიიღოს და

გაერთოს, მაგრამ იმედი მაქვს, მალე ჩემი მუსიკის მოსასმენადაც მოვლენ (ილიმის).

— მსმენელები შეკვეთას თუ გაძლევენ?

— კი, ხშირად ითხოვენ პაპსას. ამას წინათ მითხრეს, — ფულს მოგცემთ, ოღონდ „აჭარული“ დაუკარო; ითხოვენ წინო ჩხეიძის სიმღერებსაც (იციანის). მიუხედავად იმისა, რომ აპარატურასთან ვდგავარ, ზოგ დამსვენებელს მაშველი ვგონივარ და მეკითხება: — ის ატრაქციონი მალე ჩაირთვებაო (ილიმის)?..

მისა, 25 წლის, დასუფთავების სამსახურის უფროსი:

— შარშან აქ მაშველად ვმუშაობდი, წელს კი დასუფთავების სამსახურს ვხელმძღვანელობ. ჩემს კომპეტენციაში ატრაქციონების ჩართვა-გამორთვა და ტექნიკური საქმეებიც შედის... დამსვენებლებისგან ყველაზე ხშირად, ასეთი კითხვები მესმის: — რატომ გათიშე ატრაქციონი? როდის ჩართავ? მეც ვპა-

სუსობ, — ველარ ჩავრთავ, ბენზინი გათავდა-მეთქი. ჰოდა, იჯერებენ, დადიან და ბუზლუნებენ: — რა გახდა ეს „აკვაპარკი“, 10 ლიტრი ბენზინი რომ ვერ უყიდიათო (იციანის)?!

— სინამდვილეში, ატრაქციონის გამორთვის მიზეზი რა არის?

— როცა ბევრი ხალხი ტრიალებს, ატრაქციონი აუცილებლად უნდა გავთიშო, რათა იქაურობა ცოტათი მაინც განიტვირთოს. სხვა თუ არაფერი, მაშველები ყველას ყურადღებას ვერ მიაქცევენ და შესაძლოა, სავალალო რამ მოხდეს. ბოლოს და ბოლოს, ისინიც ადამიანები არიან და იღლებიან... ხშირად საინტერესო ადამიანები გვსტუმრობენ. მაგალითად, ამას წინათ „გაურკვეველი“ ორიენტაციის მამაკაცები მობრძანდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მაშველს უკანალზე ხელი წამოართყა და ფისოო, — დაუძახა; მაშველმაც არ „გაუტეხა“, ჰაერში ახტა და მიაუო, — შეძლებისდაგვარად დაიკნავლა (იციანის).

23 ივლისიდან

პარსენალი

▶ **აკაპუზისში კალაუი...**

▶ **გუჩინაში ყველაგაყაუაუი...**

▶ **გარკოისში პაიუენაუი...**

▶ **ნიეაქიანი ყუგაკაკაუი...**

▶ **თხეაუდი ჯაუგაენილაუი...**

▶ **ლაუკენი გუკიას კელაუი...**

▶ **ჩინელაუის პიარ პუიენაუი რუსაუი...**

...სრულად იხილეთ პარსენალი

⊗ **მსოფლიოს უკველასი სპეცრაზმი**

⊗ **სახელგანთოული ბრენდები სამხედრო სამსახურში**

⊗ **პარტიზანების მემკვიდრე ტერორისტები ანუ ირლანდიის რესპუბლიკური არმია...**

⊗ **ოქროს ჩარკონსები სპეცსამსახურების პარსენალში**

ყველაზე კასური პარსენალი არა მარტო მამაკაცებისთვის

კონსულაბისთვის გაგართული კონსერტი და პატარა პიანისტით აღფრთოვანებული პროფესორები

„ბებიას სურვილს ვუსრულებ...“

რატომღაც საქართველოში კლასიკურ მუსიკას დიდი ყურადღება არ ექცევა და ალბათ ამიტომაც, უამრავი ნიჭიერი ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება. ჩემი რესპონდენტი 17 წლის პიანისტი, მარიამ ბანაშვილია, რომელმაც მიმდინარე წლის განმავლობაში საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში სოლო კონცერტი გამართა, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა კი თავისი სოლო პროგრამა ქართველ მსმენელსაც შესთავაზა.

ნათია შივიძა

— 21 ივნისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში სოლო კონცერტი მქონდა, სადაც შევესრულე ბახის, ჰაიდნის, ბეთჰოვენის, შუბერტის, ლისტის, შოპენისა და პროკოფიევის ნაწარმოებები. მანამდე, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად სამხრეთ აფრიკაში, კეიპტაუნში კიდევ ერთი სოლო კონცერტი გაემართე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის კონსულები ესწრებოდნენ. კეიპტაუნში აფრიკის საპატიო კონსულმა, ჯერალდ უოლმანმა მიმინვია. მას სურდა, ქართული კულტურა აფრიკელებისთვის გაეცნო. ძალიან მიხარია, რომ დიპლომატები სიამოვნებით მისმენდნენ.

— აფრიკაში ვისთან ერთად გაემგზავრე?

— ჩემს მეწვეურთან, მკა მანანელთან ერთად. იქ ათი დღე ვიყავით, კონცერტი კი მხოლოდ ერთხელ გაემართე ანუ დანარჩენ დღეებს ექსკურსიებს ვუთმობდით. სხვათა შორის, უამრავი ღირსშესანიშნაობა აქვთ, მართლა საინტერესო ქალაქია. იქ ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეები ერთმანეთს უერთდება და ძალზე საინტერესო სანაპიროა. მიუხედავად იმისა, რომ კეიპტაუნი სამხრეთ აფრიკაში მდებარეობს, ძალიან განვითარებული ქალაქია. იქ ძირითადად, თეთრკანიანები ცხოვრობენ. მინდოდა, აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატამდე დავჩინილიყავი, მაგრამ არ მოხერხდა...

— ვიცი, რომ წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობ და კონცერტებს მართავ...

— მართალი ხარ! მაგალითად, შარშან ზაფხულს, ივნისში ფრანკფურტში, ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში ვმონაწილეობდი, სადაც გრანპრი ავიღე; იმავე წლის ნოემბერში კი შტუტგარტსა და ინგოლტატში ორი სოლო კონცერტი გაემართე.

— კიდევ რომელ ფესტივალებში მონაწილეობდი?

— 10 წლის ვიყავი, როცა ავსტრიაში გაემგზავრე და „პატარა ტალანტებში“ მივიღე მონაწილეობა, შემდეგ კი კონცერტე-

ბი გერმანიის ქალაქ პოტსდამში, ბერლინსა და დიტფურტში გაემართე.

— მარიამ, როდის მიხვდი, რომ მუსიკა შენი მონოდედა იყო?

— 4 წლის ვიყავი, როცა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ნერგეში“ მიმიყვანეს, სადაც არა მარტო ფუკრავდი, არამედ ვმღეროდი კიდევ. მალევე მიხვდი, რომ დაკვრა ბევრად მომწონდა და ჩემი მომავალი პროფესიაც ეს უნდა გამხდარიყო. ვიცოდი, სიმღერაც და დაკვრაც რომ გამეგრძელებინა, ხარისხიანად არც ერთი არ გამომივიდოდა, ამიტომ სიმღერას შევეშვი და ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში შევედი; ამჟამად ევგენი მიქელაძის სახელობის მეორე ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში ვსწავლობ. ჩემი პედაგოგი ნატა ნაცვლიშვილია, რომელიც პირველი კლასიდან მასწავლის და ჩემი ფსიქოლოგიური, მუსიკალური განვითარება მისი დამსახურებაა... ბებიას დიდი სურვილია, პიანისტი გავხდე და ამ სურვილს ვუსრულებ (ილიმის).

— შენ გარდა ოჯახში ვინმე უკრავს ან მღერის?

— ოჯახში პროფესიონალი მუსიკოსი არავინ მყავს, დედას მხოლოდ მუსიკალური შვიდნული აქვს დამთავრებული. სამწუხაროდ, მე არ ვიცნობდი, მაგრამ ამბობენ, რომ ბაბუას ანუ დედაჩემის მამას არაჩვეულებრივი სმენა ჰქონდა.

— სკოლის მოსწავლე ხარ, არა?

— რა თქმა უნდა, წელს მეთორმეტე კლასში გადავედი. მუსიკისა და საზღვარგარეთ მოგზაურობის გამო გაკვეთილებს ხშირად ვაცდენ, მაგრამ საბედნიეროდ, მასწავლებლებიც და დირექტორიც მაქსიმალურად მინყობენ ხელს, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ.

— ალბათ, თანატოლებთან ერთად თამაშსაც ვერ ახერხებდი ხოლმე. საინტერესოა, ამის გამო პროტესტს არ გამოთქვამდი?

— ჩემ გარშემო მყოფებმა იცინა, რომ



დაკავებული ვარ და ხელს არ მიშლიან. რაც შეეხება თანატოლებთან თამაშს, მსგავსი რამეები არასოდეს მიზიდავდა.

— როგორც მიხვდი, გაისად სკოლასთან ერთად, მუსიკალურ სასწავლებელსაც ამთავრებ. სწავლის გაგრძელებას სად აპირებ?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ევროპის რომელიმე ქვეყანაში მსურს სწავლის გაგრძელება.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ავსტრიაში ყოფნისას იქაურ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლა შემოგთავაზეს, შენ კი ამ წინადადებაზე უარი თქვი.

— მართალი ხარ. იმ ადამიანებმა, რომლებმაც ჩემი დახმარების სურვილი გამოთქვეს, ზალცბურგში, უმაღლეს სასწავლებელ ოცარტუშში, ერთ-ერთ პროფესორთან მიმიყვანეს, რომელმაც თქვა: მიუხედავად იმისა, რომ ეს ბავშვი ასე პატარაა, მისთვის გამოწვევის დაფუძნება და ჩვენს სასწავლებელში მივიღებთო. ამ წინადადებით აღფრთოვანდი, მაგრამ მართლა ძალიან პატარა, 13 წლის ვიყავი და მშობლებმა არ გამიშვეს.

— როგორც ვიცი, უახლოეს მომავალში კვლავ გერმანიაში მიემგზავრები.

— დიახ. ავსტრიაში გერმანიაში, მასტერკლასებზე მივდივარ, რომელსაც ცნობილი გერმანელი პროფესორი გრიგორი გრუზმანი ატარებს. ეს იქნება 10-დღიანი სწავლება... გარდა ამისა, კეიპტაუნში, ჩემს კონცერტზე მყოფმა დიპლომატებმა გადაწყვიტეს, რომ მომავალ წელს ისევ მიმინვიონ, რათა იოჰანესბურგში, კეიპტაუნსა და ღურბანში სოლო კონცერტი გაემართო, სადაც სოლო პროგრამის გარდა, ორკესტრის თანხლებით, ლისტის პირველ კონცერტსაც შევესრულებ.

— წარმატებებს გისურვებ!



უსნაური გვარები, სილაჟი ჩაფლული აკლასია და ზაპოროჟეის მხიარული თავბადასავალი

რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ სიტყვებს — „სანაური“, „ზაპოროჟეცი“, „ვარადა“? ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს უბრალოდ სიტყვები კი არა, გვარებია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სურვილი გამიჩნდა, ამ გვარების წარმომადგენლები მომეძებნა.

ნაწილი ზოგიერთობილი

დიანა სანაური, ხელოვნებათ-ცოდნე:

— მამაჩემს პასპორტში „ქართველი“ ეწერა, ამიტომ ბავშვობაში არც მიფიქრია, რომ ქართული წარმოშობის გვარი არ მქონდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ბებია ანუ მამის დედა — ელენე გილი ბერძენი იყო. მამა ჩვენი გვარის შესახებ არასდროს ლაპარაკობდა. მან მშობლები ადრეულ ასაკში დაკარგა და არავინ იცის, ისინი გადასახლეს თუ გარდაიცვალნენ. სანაურად, ბებია-ბაბუას სურათებიც არ შემოგვრჩა. 1937 წლის რეპრესიებმა კიდევ რამდენიმე გილის სიცოცხლე შეინარა. მამამ მხოლოდ ერთხელ აღნიშნა, — ჩვენ უკრაინელი კაზაკები ვართო. ბაბუაჩემი, გვარად სანაური დაოჯახებამდე ბაქოში ცხოვრობდა, მაგრამ ბებიაზე დაქორწინების შემდეგ მეუღლის სამშობლოში, ლანჩხუთში დასახლდა, სადაც ბებიას დიდი ოჯახი — 9 და-ძმა გილი ცხოვრობდა. მამიდისგან ვიცი, რომ ბაბუას ბაქოში ნავთობის ქაბურღილები ჰქონდა და მიყვებოდა ხოლმე, თუ როგორ მგზავრობდნენ მათარებლით ბაქოდან თბილისისკენ; ერთხელ მათარებლის სახურავზეც მსხდარან (ილიმის). გილების მხრიდან ბევრი ნათესავი გვყავს, თუმცა უმრავლესობამ გვარი გული-საშვილად გადაიკეთა. ბაბუის მხრიდან ერთი ნახევარძმა მყავს, რომელიც რუსეთში ცხოვრობს. თურმე მამა ფრონტზე ექიმად მსახურობდა, სადაც რუსი ექიმი შეირთო ცოლად და ბიჭიც შეეძინა. ომის დამთავრების შემდეგ მამა საქართველოში დაბრუნდა, მეუღლე კი არ წამოჰყვა, მშობლებს ვერ მივატოვეთ... მოგვიანებით მამამ დედაჩემი (რომელსაც ომში წასვლამდეც იცნობდა) შეირთო და თბილისიდან ლანჩხუთში წაიყვანა. სხვათა შორის, კრასნოიარსკელი ქალი მამიდაჩემს ხშირად სწერდა წერილებს. მამიდაც, საახალწლოდ და ბავშვის დაბადების დღეს, ამანათს უგზავნიდა. როცა ჩემი ნახევარძმა გაიზარდა და გაიგო, რომ და-ძმა ჰყავდა, ჩვენს სანახავად ლანჩხუთში ჩამოვიდა. ამ ამბის აღსანიშნავად, მაშინ მთელი ლანჩხუთი ქეიფობდა... ჩემი გვარის გამო უხერხულ მდგომარეობაში ბე-

რჯერ აღმოჩენილვარ. მაგალითად, მასწავლებლები „სანაურს“ ვერ იმასსოვრებდნენ და გვარს მიმახინჯებდნენ, მხოლოდ ქართული ენის პედაგოგი მეუბნებოდა, — რა ლამაზი გვარი გაქვსო! სასკოლო ასაკში, როდესაც ეროვნებას მეკითხებოდნენ, რატომღაც ვამბობდი, — ბერძენი ვარ-მეთქი! ხშირად ჩემს გვარს არასწორად წერენ. მაგალითად: სანბერი, ზანბური, ზანგური... ზოგი მიიჩნევს, რომ მთიული ვარ, სხვები კი „სანაურის“ გაგონებისას, გაცეცხლები მეკითხებიან, — საიდან ხარო? ზოგჯერ ამდენი ახსნა-განმარტებისგან ვიღლები და ასეთ დროს მეუღლის გვარს ვიყენებ, ვამბობ, — გელაშვილი ვარ-მეთქი (იციინის).

ნატა ვარადა, პოეტი და კრიტიკოსი:

— ბევრისთვის ჩემი გვარი სიმლერასთან ასოცირდება. „ვარადა“ გვარის ძირია, სინამდვილეში კი ვარადაშვილი ვარ. როცა ლექსების წერა დავიწყე, პოეზიას „ვარადა“ მოუხდა და გვარი შევკვეციე (ილიმის). კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში დავიბადე. ჩვენი სოფლის ზემოთ, ძველ გავაზში წმინდა გიორგის ნიშია, რომელსაც თავწმინდა გიორგის ეძახიან. ადრე იმ ადგილას ვარადაშვილები, ხუციშვილები, წყალობაშვილები და კიდევ რამდენიმე გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ძველი გავაზი საზღვარზეა, ამ სოფლის იქით უკვე ლეკები ცხოვრობენ. ზუსტად არ ვიცი, როდის (შეიძლება, ლეკიანობის დროს), მაგრამ ჩვენი გვარის ხალხი ბარში ჩამოვიდა და ყარაჯაანთ საყდრის მიდამოებში დასახლდა. ეს საყდარი გავაზის გარეუბანშია. აქ აღმოჩენილია XII საუკუნის საფლავის ქვები. ერთ-ერთ ქვაზე საკმაოდ უცნაური წარწერაა — „მეფეთ-მეფისაი გიორგის შვილს, თამარს“. ტაძარი სილაჟი ჩაფლული და მასზე ლექსიც დავწ-

ერე — „ყარაჯა, დაილაშაო!“ ტაძრის მხოლოდ გუმბათი ჩანს. იმდენად დიდი გუმბათია, რომ ამბობენ, — ტაძარი შეიძლება, ალავერდის ზომისა იყოსო. ამჟამად იქ აფხაზეთიდან ჩამოსული ბერები ცხოვრობენ. თუ გათხრები დაიწყება, ტაძარი ზემოთ „ამოვა“ და რადგანაც სილა თურმე არაფერს აზიანებს, ალბათ ფრესკებიც კარგად შენახული იქნება. როგორც ჩანს, ვარადაშვილები იქიდანაც წამოვიდნენ და ბოლოს, გავაზში დასახლდნენ... უცნაური სოფელი მაქვს

— შეიძლება ითქვას, რომ წყალზე დგას — ქვემოთ ტბა არის. ეს აღმოჩენა სპეციალისტებმა 1980 წლის მიწისძვრის შემდეგ გააკეთეს. მაშინ ძველი სახლები მთლიანად დაინგრა და გაგაფრთხილეს: შეიძლება, ერთ დღეს წყალმა ამოხეთქოს და სოფელი ჩაიძიროს, აქედან უნდა წახვიდეთო! ხალხს კი შეეშინდა, მაგრამ სოფლიდან არავინ წასულა. საფლავს რომ თხრიან, წყალი ახლაც ამოდის... ჩემი გვარის შესახებ ნავიკითხე, რომ ძირი უძველესი ღვთაების, ვარადას სახელიდან მოდის. რადგან ღვთაება ყოფილა, მეც ქანდაკების სახით ვეძებდი რაიმეს, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიე... აღმოჩნდა, რომ ებრაელი ვარადაშვილებიც არიან და ისინი რაჭაში, სოფელ წესში ცხოვრობენ. პაპაჩემის დიდი არქივში ხშირად ვიქექებოდი და ყველგან ბიბლიურ სახელებს ვხვდებოდი. ბებიისგან ვიცი, რომ ეკლესიურ ნივთებს შორის, ძვირფასყდიანი, ბიბლიის ძველი აღთქმის უძველესი გამოცემაც გვქონია, რომელიც თურმე, მოგვბარეს... სიმღერასთან დაკავშირებით გავარკვიე, რომ „ვარადას“ აფხაზეთიც, ოსებიც და აჭარლებიც მღერიან. ვფიქრობ, ის საგალობელივით სიმღერა იყო, ოღონდ — წინაქრისტიანული ხანის. აფხაზეთის სიმღერას „ვარადა“ ჰქვია. როგორც ვიცი, აფხაზურად „ვარადა“ დაჭრილს ნიშნავს ანუ ეს დაჭრილის სიმღერაა, რომელსაც ქართველი და აფხაზი ძუძუმტეხი მღეროდნენ. როცა სიმღერა მოვისმინე, რა თქმა უნდა, სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ ამ სიმღერამ მაინც ამაფორიაქა, ლექსი დამანერინა — „ადრიაწეს გალობა“, რომელიც მამა ან-



დიანა სანაური



ნატა ვარადა



დრიას მივუძღვენი. ლექსში გადმოცემულია, თუ როგორ დახვრიტეს იგი კამანში, რომ 3 დღის განმავლობაში სისხლი მირონივით სდიოდა... ეს ამბავი ვიცოდით. თუმცა ერთი უცნარი რამ მოხდა: ლექსში ასეთი ფრაზაა: „რას მომწუხრდი, ილორის გზავ, ცით მფარველი ღმერთმა გიშვა“.



მარინა ზაპოროჟეცი

ლექსის დანერის შემდეგ, მამა ანდრიას ცხოვრების ამსახველი წიგნი წავიკითხე და სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ თურმე, ვიდრე კამანში ჩავიდოდა, სწორედ ილორში ყოფილა. რამ დამანერინა „ილორის გზა“?

მამინ ხომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით! ეს ლექსი ჩემი ფანტაზიით „გადათარგმნილი“ „ვარადოს“ სიმღერაა და მგონია, რომ აფხაზებიც ბერ ანდრიაზე მღვრიან... ძალიან მინდა, აფხაზური ენა ვისწავლო. ჰოდა, როცა ამას მოვახერხებ, პირველად „ადრიანეს გალობას“ ვთარგმნი.

მარინა ზაპოროჟეცი, ექიმი:

— ეს უკრაინელი კაზაკების გვარია. ქალაქი ზაპოროჟეცი ხომ არსებობს! ჰოდა, „ზაპოროჟეცი“ ქართულად ზაპოროჟეცი ნიშნავს. ისტორიული გვარია, რეპინის ცნობილ სურათზე „Càiximàim i ètòb i èñüi òtòèèis òtòèèis“— კაზაკები არიან გამოსახული, გვარის სიტყვასიტყვით თარგმანი კი ასეთია — „ზღურბლს იქით, განაპირას. ამ გვარის ხალხი უკრაინის საზღვართან ცხოვრობდა, მერე სტავროპოლის მხარეს წავიდა. ჩვენ გეორგიევსკიდან ვართ, მამა ჩემი იქ დაიბადა. სულ 8 და-ძმანი იყვნენ — ხუთი და და ერთი ძმა, მამა მეხუთე შვილი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა და პაპაჩემმა მეორე ცოლი მოიყვანა, რომელთანაც შვილებიც შეეძინა. ობოლი ბავშვების გულშემატყვივარი მათი მამიდა იყო, რომელიც დაახლოებით 1917 წელს მეულელესთან, ვინმე ივანოვთან ერთად ყვარელში ჩამოვიდა და დურუჯის ხეობაში, ე.წ. ყაზარმაში დასახლდა, სადაც ჩვენი ჯარი იდგა. ამ ქალის ქმარს უკრაინაში კომკავშირელი თუ კომუნისტი შემოაკვდა და ამიტომაც, იძულებულნი გახდნენ, გამოქვეულდებოდნენ. მამას მამიდამ ექვსივე ძმისშვილი ყვარელში ჩამოიყვანა (მამაჩემი მასთან 14 წლის ასაკიდან იზრდებოდა). პაპიდან ჩემი ლამაზი მამიდები სამხედროებზე დაათხოვა; მამაც სამხედრო პირი გახდა. დედაჩემის მეგობრები ყაზარმაში ცხოვრობდნენ და ისიც ხშირად მიდიოდა მათთან. ჰოდა, სწორედ მაშინ შეუყვარდა მამაჩემს ქართველი ქალი. დედა გვარად ქოილავილი იყო — ეს იშვიათი გვარია,

მხოლოდ 4 კომლია და ყვარელში ცხოვრობს. ჩემი მშობლები ერთმანეთს მალე დამორდნენ, თუმცა მამასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. დღესდღეობით ის ქალაქ ლერმონტოვში ცხოვრობს, პიატიგორსკიდან 3-4 კმ-ში. ნახევარძმა მყავს, კარგი ბიჭია და მამასავით — ვლადიმერი ჰქვია.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ანსამბლში ვცეკვავდი და ჩემი ოცნებები ხატვას, არქიტექტურას, მსახიობობას უკავშირდებოდა, ოჯახის წევრებს კი სურდათ, ექიმი გამოვსულიყავი. საბოლოოდ, საბუთები

ავიამშენებლობის ფაკულტეტზე შევიტანე, მაგრამ მოკლე ხანში ეს საქმე უინტერესოდ მივიჩნიე და სულ სხვა სპეციალობაზე — კვების მანქანების და აპარატები — ჩავაბარე. სწავლის დამთავრების შემდეგ ტიუმენის კვლევით ინსტიტუტში დავინწყე მუშაობა, მანქანა-დანადგარების ნახაზებს ვქმნიდი. აზარტული ვარ და ვიდრე დეტალის ნახაზზე მუშაობას არ მოვრჩებოდი, სახლში წასვლაზე არც ვფიქრობდი... გარდა ამისა, ვესოვდი, ვკერავდი, ბევრს ვკითხულობდი და კიდევ, ტელევიზორის ყურება ძალიან მიყვარდა. ამ ყველაფრის ნიადაგზე კი მხედველობა დამიქვეითდა, მხოლოდ ჩრდილებსლა ვხედავდი. მოსკოვში ვიმკურნალე და 2 წლით კითხვა, ტელევიზორის ყურება ამიკრძალეს. ერთი წელი გავეძლი, მერე კი დავინწყე ფიქრი იმაზე, თუ სად ჩამებარებინა. საქართველოში სამედიცინო ფაკულტეტზე ნახევარი ქულა დამაკ-

ლდა; შემდეგ, ორჯონიკიძეში ვაბარებდი, საბოლოოდ კი სმოლენსკის სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე და ბრინანსკში თერაპევტად ვმუშაობდი. ამჟამად ანესტეზიოლოგ-გენიმატოლოგი ვარ, მაგრამ ამ პროფილით არ ვმუშაობ — ყვარელში „სასწრაფო დახმარების“ ექიმი გახლავართ. მასხოვს, სკოლაში სწავლისას პატარა ბავშვები თითს ჩემკენ იშვერდნენ და ამბობდნენ: — აი, ეს არის ზაპოროჟეციო! ხშირად მეკითხებოდნენ, — ეე, მართლა ზაპოროჟეცი ხარ?... მეცხრე კლასში ვიყავი, როცა სილნალის სკოლაში გადავედი სასწავლებლად. კლასელებთან დირექტორის მოადგილემ წარმადგინა და როცა ბავშვებმა გაკვირვებულბმა ამათვლიერ-ჩამათვლიერეს, გავნითლდი. მერე მითხრეს: ზაპოროჟეცი შენი მეტსახელი გვეგონათო. უფიქრიათ, — ალბათ ასე იმიტომ ეძახიან, რომ დაბალი და ფეხებმოგრეხილიაო, მაგრამ როცა შხვართი გოგო დამინახეს, გაოცდნენ (იცინის).

ქალბატონი მარინეს ფოტოალბომის თვალღერებისას აღმოვაჩინე ფოტო, რომელზეც მისი ქალიშვილი ნათია და პიერ რიშარი არიან ალბეჟდელი. სურათი გადაღებულია ნატა გონჩაროვას, ქალბატონი მარინეს მეგობრისა და მეზობლის მიერ. ნანა ჯორჯაძის ფილმის — „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტის“ გადაღებას თურმე ნატაც ესწრებოდა, რომელმაც ჯერ პიერ რიშარს გადაუღო სურათი, შემდეგ კი ნათიაც „ამოიღო მიზანში“ და სრულიად შემთხვევით, ორივე ერთ კადრში მოხვდა. ნატამ ფოტო რეჟისორს მიუტანა და სთხოვა, პიერ რიშარისთვის ეჩვენებინა. მან თურმე სურათს დახედა და ფრანგულად ნაანერა: — „გოცნით, რიშარი“...



სურათს დახედა და ფრანგულად წააწერა: — „გოცნით, რიშარი“...

Balson ჟონდრა



პირბუალური სამყაროს ნიღბოსნები და ჩათაობით შექმნილი ოჯახი

„პირბუალი“ შესაძლოა, თვით ეზიაროს ანგელოზად მოგაჩვენოს...“

ვინც სწორად ჩეთაობს, ის დამეთანხმება, რომ ეს საპირისპირო სქესის გამოსაჭერად მშვენიერი საშუალებაა. რატომღაც, ვირტუალურ სამყაროში ადამიანები თითქოს, უფრო მიახლოებიან(?) და ქალი მამაკაცს (ან პირიქით) დაუფიქრებლად ემორჩილება, ცდილობს ყველანაირად ასიაშოვნოს და თუკი მათი ურთიერთობა ინტერნეტსივრცეში რამდენიმე დღით მაინც შეწყდება, ქალს (ან კაცს) ნევროზი გარანტირებული აქვს.

სწორად, წველის შორის ჩეთაობა ოჯახის შექმნითაც სრულდება. რამდენად გამართლებულია ასეთი ქორწინება და შესაძლებელია თუ არა, ვირტუალურ სამყაროში გაცნობილი ადამიანი სიცოცხლეზე მეტად შეგყვარდეს? — ალბათ ამ კითხვებზე პასუხს ფსიქოლოგები უკეთ გაგვცემდნენ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმ მოზარდების ინტერვიუებით შემოვიფარგლებით, რომლებმაც გულახდილად გვიამბეს საკუთარი თავგადასავალი.

ლიკა ქავაია

იზა, 18 წლის:

— მამამ 2 წლის წინ ოცნება ამისრულა და კომპიუტერი მიყიდა. მას შემდეგ წიგნებთან აღარ ვმეგობრობ, წიგნებიცა და ბევრი სხვა რამეც კომპიუტერმა ჩაანაცვლა. თავიდან ინტერნეტში მხოლოდ ჩემთვის საინტერესო თემების ძიებით ვიყავი დაკავებული, მაგრამ მერე ჩეთაობამ უფრო გამიტაცა. მოკლედ, გონების სავარჯიშოები გვერდზე მივაგდე და ახალი ნაცნობების შემოკრებას შევუდექი. ძალიან მიხაროდა, როცა უცხოელი თანატოლები ან უფროსები მწერდნენ და ყველას მეგობრობას ვთავაზობდი. ერთხელ ჩემს „სკაიპში“ ვილაც ტიპი შემოიჭრა, რომელიც ძალიან მომეწონა — კარგი „ფოტო“ ედო. ჰოდა, ცხადია, მასთან მეგობრობაზეც არ მითქვამს უარი. ის ეროვნებით რუსი აღმოჩნდა — სიომა ერქვა. ჰოდა, სწორედ მან შეძლო ჩემი ქვასავით გულის გაღობა; ქვასავით იმიტომ, რომ მანამდე ვერც ერთმა ბიჭმა ვერ შემეყვარა თავი. ყოველთვის ბევრი თავიანისმცემელი მყავდა, მაგრამ ყველას უარით ვისტუმრებდი, მეტიც — დავცინოდი და ირონიულად ვუყურებდი, ახლა კი დასაციინი თავად ვარ...

მოკლედ, სიომამ თავგზა ამიბნია და მაგრად „დამაბოლა“. თვეების განმავლობაში ვწერდით ერთმანეთს, ფოტოებსაც ვცვლიდით. უკვე გითხარით, რომ ის გარეგნულად კარგი ტიპი იყო და არც მე გახლავართ



მამინჯი. მეუბნებოდა, — ქართველებს კარგი ქალები ჰყოლიათ და რომ ამბობენ, ქართველ მამაკაცებს რუს ქალებზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე, ეს ძალიან მიკვირსო. ვკითხე, — ჩემ გარდა კიდევ ბევრ ქართველ გოგოს იცნობ-მეთქი? — არც ისე ბევრს, მაგრამ შენი სილამაზე ისედაც ყველაფერზე მეტყველებს, სხვების ნახვა რად მინდაო?! მოკლედ, კარგა ლაზათიანად „შემასუჭუჭა“; იმდენად შემაყვარა თავი, რომ საღამოობით მესიზმრებოდა და გამოშტერებული დავდიოდი, სწავლაც მივატოვე. ჰოდა, ერთხანს მშობლებმა კომპიუტერთან ჯდომა ამიკრძალეს კიდევ, თუმცა მე მაინც ვახერხებდი სიომასთან ლაპარაკს — ცხადია მამინ, როცა მშობლები შინ არ იყვნენ.

ერთხელ „ლოვემ“ მითხრა: საქართველოში ჩამოვალ და მამამენს ვთხოვ, ჩვენი ურთიერთობა რომ დალოცოსო. მართლაც, რამდენიმე თვეში ჩამოვიდა და შინ მესტუმრა. მისი დანახვით ბედნიერმა, მამას

გამოვეცხადე, — იცოდე, თუ ამას უარს ეტყვი და სახლიდან გააგდებ, მერე ველარასდროს მნახავ-მეთქი. მამამ ხელი გამარტყა, მიყვირა: რამდენს მიბედავო?! სიომას არც დაეღობარაკა, უბრალოდ მიუგდო: თუ ფული არა გაქვს, მე მოგცემ, რათა საიდანაც მობრძანდი, იქ წახვიდო. მე ვითომ, „ლოვეს“ ვაცილებდი, მაგრამ მასთან ერთად გავიპარე. იმ საღამოს სასტუმროში ოთახი ვიქირავეთ და მას დავენებდი კიდევ. ჩემს „ლოვეს“ ფული ჰქონდა, —

მათხოვარივით ნამდვილად არ ჩამოსულა. სამი დღე ვიმალებოდი, მეოთხე დღეს კი დედას „მობილზე“ დავურეკე და ვუთხარი, — თუ მიმიღებთ, მიმიღებთ, თუ არა და, საშუალოდ დამკარგავთ-მეთქი. დედა ცხარე ცრემლებით ტიროდა და მეხვეწებოდა, — იმ ბიჭთან ერთად მოად და დაგველაპარაკეთო, მაგრამ ამასობაში, მამას ღრიალიც გავიგონე: აქ ნუ მოეთრევა, თორემ ორივეს ჩემი ხელით მოვკლავ, შენც ზედ მიგაყოლებო. მერე ტელეფონი იატაკზე დავარდა და „ბრაჰ“ — გატყდა... მე და სიომა რუსეთში წავედი, საიდანაც სულ რაღაც 2 თვეში უკან მოვბრუნდი, ქმრის გარეშე და მშობლებს მათხოვარივით მივადექი, პატიება ვთხოვე იმიტომ, რომ ურჩი შეილი ვიყავი. დედამ გულში ჩამიკრა, მამის გულის გაღობა კი ჯერჯერობით ვერ მოვახერხე, ის ისევ ეჭვის თვალით მიყურებს და სწირ-სწირად მაკონტროლებს; რაც მთავარია, კომპიუტერთან დაჯდომას მიკრძალავს...

— ქმარს რატომ დაშორდი?

— სიომა ყალბადი აღმოჩნდა. სახლში რომ მიმიყვანა და მითხრა, — აი, აქ უნდა ვიცხოვროთო, ლამის გული გამისკდა: ერთი ფიცრული ქოხი ჰქონდა რომელიღაც მივარდნილ სოფელში, რომლის სახელი ვერაფრით დავიმახსოვრე. შინ მხოლოდ ჭურჭელი და 2 გატყეხილი ტახტი ებადათ. ის ამ ქოხში მშობლებთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. იმ სახლში ჩემი ადგილი კი არა, მისიც არ იყო — იატაკზე იწვა, ბებუის გვერდით და მეც მათ უნდა მივწოლოდი... ყველაზე ცუდი ის გახლდათ, რომ მამა-შვილი



ყოველდღე სვამდა, ქალებზე მბრძანებლობდნენ და ბოლოს, არა მარტო საყვარელმა მეუღლემ, არამედ მამამთილმაც გამარტყა ხელი, რადგანაც მას სურვილი ვერ შეეუსრულე და ყანა ვერ გავთოხნე, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ თოხნა არ ვიცო... დედამთილი დამეხმარა და გამომაპარა. მითხრა: საყვარელო, თავის დროზე ჩემმა ქმარმა მეც გამაბრწყინა — აზერბაიჯანში ჩამომავითხა და ისე წამოყვავი, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ხომ ხედავ, რა საშინელ დღეში ვარ? სიომას გარდა შვილი არ მყავს და იცი, რატომ? — იმიტომ, რომ ქმარი ფეხმძიმესაც არ მინდობდა, გამუდმებით მცემდა; დედამთილიც არაფერში მეხმარებოდა, პირიქით, შვილს იცავდა და როცა ქმარი მირტყამდა, ისიც წინაშე მიქნევდა... მოკლედ, იმ ღვთისნიერმა ქალმა სახლიდან დილაუთენია გამომაპარა, ფულიც მომცა და საქართველოში გამომიშვა... აი, ასე გავხდი ინტერნეტის მსხვერპლი, საკუთარი სურვილით. ჰოდა, ახლა ზუსტად ვიცი, რომ ჩეთაობა ადამიანის გაცნობის ყველაზე მახინჯი ფორმაა.

ლილია, 19 წლის:

— ჩემი მეუღლე სწორედ ინტერნეტის მეშვეობით გავიცანი და 2 წელია, რაც მშვენიერი ოჯახი გვაქვს. მადლობელი ვარ ამ საოცარი სამყაროსი, რადგან მაპოვნინა ოცნების პრინცი — ადამიანი, რომელიც მართალია, თეთრ რაშზე არ იყო ამხედრებული, მაგრამ რაშით „ჯიპი“ კი ჰყავს (იცინის).

ერთმანეთს დიდხანს ერთავებოდით?

— არც ისე დიდხანს — მხოლოდ 8 თვის განმავლობაში და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთმანეთი უზომოდ შეგვეყვარებოდა. გიოს მშობლებსაც მოვეწონე და სხვათა შორის, პირველად მათაც ვიდეთვალის მეშვეობით მნახეს, დამელაპარაკენ და მთხოვეს, მათ შვილს ცოლად გავყოლოდი. მამაჩემი ამ ყველაფერს, ცოტა არ იყოს, აგდებულად უყურებდა, მე და დედას გვლანძღავდა — ამ კომპიუტერმა დედა-შვილი ძალიან დაგაშტერათო, მაგრამ ახლა ბედნიერია, რადგან იცის, რომ სწორედ კომპიუტერმა და ინტერნეტსივრცემ აპოვნინა საოცარი სიძე. სხვათა შორის, ახლა ჩემი ძმა კომპიუტერს მიშტერებული და ვნახოთ, შესაძლოა, თავისი სახედო მანაც ინტერნეტით იპოვოს.

თაო, 17 წლის:

— ბებიაჩემი დამცინის ხოლმე (თავისი ჭკუით, რა თქმა უნდა), ბი-

ჭებს კომპიუტერში ეძებსო. საცოდავმა ის კი არ იცის, რომ უკვე ვიპოვე! უფროსებს ისე უკვირთ, — როგორ შეიძლება, კომპიუტერით გაცნობილ ადამიანს ენდოო, თითქოს, „რეალში“ გაცნობილ მათთვის არასდროს ელაღატოს და გარეგნით თუ სიყვარულით შექმნილი ოჯახი არასდროს დანგრეულიყოს... წელიწადია, რაც თემოს ვიცნობ. ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ. ის არაჩვეულებრივი ადამიანია. მართალია, დედ-მამა მეჩხუბება, რადგან არ უნდათ, „სკაიპით“ გაცნობილთან მქონდეს პაემნები (ეს თითქოს, „უტყდებათ“), მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია არა აქვს, ადამიანს სად გავიცნობ. უკვე დავილაღე იმის მტკიცებით, რომ ინტერნეტსამყაროშიც შესაძლებელია, არაფლიდს გადაეყარო.

— შენს სამეგობროში ასეთ ნაცნობობას არავინ აკრიტიკებს?

— ზოგი ამბობს, — „ვირტუში“ ვერავის ენდობი, ინტერნეტში ყველა ინიღბება და შესაძლოა, თვით ეშმაკიც კი ანგელოზად მოგჩვენოსო, მაგრამ მე ვფიქრობ, ასეთების გამოჭერა, მათთვის ნიღბის ჩამოსხნა არც ისე ძნელია... ჩემი დაქალი, ნინო სწორედ „სკაიპით“ გაცნობილს გაჰყვა ცოლად. მართალია, მას არ გაუმართალია და ოჯახი მალევე დაენარა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს — ყველას ერთნაირად ხომ არ გაუმართლებს?.. ადრე ტელეფონით ნაცნობობა იყო მოდაში, მერე ინტერნეტსამყაროში გაცნობილებზე „იჭრიდნენ ვენებს“. ახლა მართალია, მოდიდან ესეც გადავიდა, მაგრამ ჩეთაობას ბევრი ვერ შეეღია. ისე, ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ხდება — ყველანი კომპიუტერს ვართ მიშტერებულინი (თანაც, 24 საათის განმავლობაში), ვირტუალურ სამაროში ხეტიალი მოგვწონს, ჰოდა, სხვაგან სად უნდა გავიცნოთ საპირისპირო სქესის ადამიანი?..

ბაბა, 21 წლის:

— ერთმა ქალმა ჩემი ძმაცაცი მაგრად „დააბოლა“ — ისეთ სურათებს უგზავნიდა, რომ კაცი დადებულდა და იფიქრა, ახლა მაგარ ნაშას დავითრევეო, მაგრამ ხელში ხახვივით გაფცქენილი ქალი შერჩა... გიოს ეკა ლამის 2 წლის განმავლობაში აწვალებდა, ელაპარაკებდა ყველაზე და ყველაფერზე, მაგრამ შესვედრაზე არ თანხმდებოდა, ჰოდა, მიზანსაც მიაღწია — ბიჭი დაინტერესა, დაატყვევა (პროფესიონალი მეძავით მოიქცა, რა), მერე კი პაემანზე დაიბარა. აღმოჩნდა, რომ ეკა საიტზე მეგობრის დის ფოტოებს დებდა, თავად გათხოვილი და 2-შვილიანი

კი, სხვა საქმე რომ არ ჰქონდა, ინტერნეტსივრცეში დაძვრებოდა, სადაც ამ ჩემს სულელ ძმაცაც ნაანყუდა, თვალი დაადგა და მის ხელში ჩასაგდებად ყველაფერი გააკეთა... როცა გიოს მას შეხვდა, უკვე ყურებით იყო დაჭერილი — არც მისი სილაბაზე ადარდებდა და არც სხვა რამ. თურმე, პაემნის დროს ისიც კი არ უსაყვედურა, — რატომ მატყუებდი, სხვის ფოტოებს რატომ მიგზავნიდიო? პირიქით — მე ასეთი უფრო მომწონხარო, — უთქვამს. ეკამ ოჯახი დაანგრა, გიოს გაევიდა და ბოლოს, ცოლადაც გაჰყვა. ისინი დღესაც ერთად ცხოვრობენ... ასე მგონია, ადრე თუ გვიან, ამ წყვილს სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება თავზე ხუსულასავით დაენგრევა. ამის თქმის საფუძველს ისიც მაძლევს, რომ ქალბატონი ეკატერინე ისევე ვირტუალურ სამყაროში დაძვრება და როცა გიოს მუშაობით წელს იწყებებს, ის ვილაყებთან „ბაზრობს“.

— შენ რა იცი, რომ სხვა კაცის „შემა“ აქვს გადანყვეტილი? იქნებ, კაცებს სულაც არ ელაპარაკება?

— ამას წინათ მის „ოდნობეზე“ სულ სხვა სახელით შევედი და გამოველაპარაკე. ვიცი, ეს ცუდი საქციელია და მე არ მქონდა უფლება, ძმაცაცის ცოლი შემემომწმენინა, მაგრამ სხვაგვარადაც არ შემეძლო — არ მინდა, ჩემს მეგობარს ირემივით, თავზე რქები ედგას და მისმა სიმძიმემ კისერი მოგრიხოს. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ეკას გაველაქუცე და მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზთოვილია, უცნობს საოცრად თბილად შემეგება. ეს კი, არა მგონია, ქალის საკადრისი საქციელი იყოს. ამ ბოლო დროს არ მიჩნდება სურვილი, რომ მეგობრის ოჯახში მივიდე. გიოს სულ მეზუზღუნება, — რაც ცოლად მოვიყვანე, აღარ მეკარებო. ხომ არ ვეტყვი, შენი ცოლი ცოტა ვერ არის-მეთქი? ჰოდა, ათას სისულელეს ვიმიზეზებ. ყველაზე მეტად გული იმიტომ მტკივა, რომ შესაძლოა, ბავშვობის დროინდელი მეგობარი ვილაყ ქალის გამო დავკარგო...

ფილისა, 21 წლის:

— 3 წლის წინ მეც მქონდა ურთიერთობა ბიჭთან, რომელიც ერთი საიტის მეშვეობით გავიცანი და მეგონა, ბედს ვენიე, მაგრამ მწარედ შევეცი. ძალიან მინდა, ჩემი მაგალითი გაითვალისწინონ გოგონებმა, რომლებსაც ჩეთაობა იზიდავს. მეც მეგონა, რომ ვირტუალური ნაცნობობა არ შეიძლებოდა, ყალბი ყოფილიყო, რადგანაც იქ ადამიანები ერთმანეთს გულახდილად ელაპარაკებინან, ერთმანეთის არ



რცხვენიათ, მაგრამ შევცდი — ყველა ჩემნაირი სულელი და მიაშიტი ხომ არ იქნება?.. მოკლედ, იმ ბიჭმა ცხოვრება დამინგრია! მან იოლად „შემაბა“, მერე კი ჯერ ვირტუალურ სამყაროში „მიხმარა“, მერე — „რეალში“ შემაცდინა. რამდენიმე ხნის განმავლობაში სიყვარულით ვტკბებოდი, თავს ბედნიერ ქალად მივიჩნევდი, მაგრამ დავფხვნიძიდი თუ არა, უსარგებლო ნივთივით მომისროლა... მასსოვს, როცა გავუხიდილე, ფეხშიმედ ვარ-მეთქი, მითხრა, — არა მგონია, ამნუთას ჩემზე ბედნიერი ვინმე იყოს; ამ ამბით ძალიან გამახარე. მერწმუნე, მალე ჯვარს დავინერთ და ბედნიერები ვიქნებითო — მაგრამ იმ დღის მერე თვალითაც არ მინახავს, მის კვალსაც ვერ მივაგენი. ერთადერთი, მობილური ტელეფონის ნომერი ვიცოდი და ისიც გათიშული აქვს. მხოლოდ სახელითა და გვარით საქართველოში როგორ ვეძებო? თანაც, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მისი სახელი ნამდვილად ვიცი — შესაძლოა, სახელი ზვიოც ისეთივე ყალბი იყოს, როგორც ამ სახელის მატარებელი ადამიანი გახლდათ...

— ბავშვი გააჩინე?

— არა, ნერვიულობის ნიადაგზე ორსულობა ნაადრევად შემიწყდა და პატარაც ვერ ვნახე... ალბათ, ასე იყოს საჭირო. ჩემმა მშობლებმა არ იციან, ამდენი რამ თუ გადავიტანე. ეს რომ იცოდნენ, შეიძლება ახლა ცოცხალიც არ ვიყო, მამაჩემი ძალიან მკაცრია... ახლა კომპიუტერს აღარ ვეკარები და ვფიქრობ: ფელისა, შენ ალბათ, ბედნიერი ვერც ვერასდროს იქნები.

კათილა, 17 წლის:

— კეთილი გოგო ვარ, არავისთვის არაფერი მენანება, ჰოდა, ამიტომაც მეძახიან ბატს. ისე, ბატი ვარ, აბა, რა ჯანდაბა ვარ, როცა სახლში კომპიუტერი მაქვს, მე კი სურვილიც არ მიჩნდება, „ვირტში“ ვილაცები გავიცნო. არადა, ამ ხერხით ბევრმა ჩემმა მეგობარმა გაიჩინა სატრფო... ახლა ჩემზე სალაპარაკოდ არ მცალია, მინდა, დედაჩემზე გაიპოთ. წლებია, რაც მამას გამოვრდა და მას მერე კაცისკენ არც გაუხედავს. სულ ვეხვეწებოდი, — ქმარს თუ არ შეურიგდები, სხვას მაინც გაჰყვივ-მეთქი, მაგრამ უარობდა. ახლა კი არ ვიცი, რა ეტაკა, — აიჩემა, უნდა გავთხოვდეო. მერე კი გამომიტყდა, რომ მასა და მის რჩეულს შორის „სკაიპი“ მაჭანკლობდა. თურმე, როცა მე მეძინა და მეგონა, დედა შრომაში ათენ-ალამებ-

და, ის ჩეთაობდა (იციან). მშობელი შვილს რომ გაჯობებს ასეთ საქმეში, სასაცილოა, აბა, რა არის? მოკლედ, მალე დედაჩემი ბედს ეწევა. იმედია, ახალი მამიკო მაინც შეძლებს, სურვილი ამისრულოს და „პიპია“ მიყიდოს, თუ არა და, მერე ჩემს ნამდვილ მამას შევუჩიჩხინებ, რომ ფულიანი ქალი შეირთოს. ისე, ჩვენში დარჩეს და, დედინაცვალს ვინ გაუხარებია, მე, რომ გამაბედნიეროს?!



მარიკუნა, 16 წლის:

— ჩეთაობა ძალიან მიყვარს, მაგრამ „ვირტში“ იმ მიზნით არ დავძვრები, რომ „პაკლონიკები“ შევიძინო ან პრინცი „გაგნითო“; აქ მხოლოდ გასართობად შემოვდივარ და მერწმუნეთ, „ვირტუალურ სამყაროში გაცნობილ ადამიანს სერიოზულად არასდროს შევხედავ, რადგან აქ ყველაზე ტანდაბალმა არსებამ შესაძლოა, თავი გიგანტად წარმოაჩინოს.

— პირადად შენ თუ ცრუობ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობისას?

— როცა მჭირდება, ტყუილსაც ვამბობ. მაგალითად, ამას წინათ ერთი ბიჭი დამეკონტაქტა, რომელსაც „ჟურნალიდან გადმოსული“ ვილაც ტიპის ფოტოები ჰქონდა „შემოყრილი“ და ყველას გვეკითხებოდა, — ხომ მაგარი სიმპათიური ვარო?.. მე ერთი უცნობი მოდელის ფოტოები დავდე და თან, ამ ბიჭს ვთხოვე: თქვენო მოწყალებაც, იქნებ

ჩემთან ურთიერთობა ისურვოთ-მეთქი? მოდელი გოგონას შიშველმა ფოტოებმა ის საწყალი ისე დააბნია, რომ ვერ მიხვდა, თუ ვაცუცურაკებდი და ბედნიერი, წერილს წერილზე მიგზავნიდა, ჩემთვის ლექსებს თხზავდა; მერე მისამართი მთხოვა, — ყვავილები უნდა გამოგიგზავნო. მე ვუთხარი: სერენადას რომ მიმღერიან, მომწონს, ყვავილებით კი ვერ მომხიბლავ-მეთქი. ვუკარნახე ჩემი მისამართი, ოღონდ — პირველი სადარბაზოს ნაცვლად, მესამე ჩავანერინე (ბინის ნომერი არ მითქვამს). ჰოდა, იმ ღამით მესამე სადარბაზოს მოსახლეობა ყროყინმა გააღვიძა — ჩემი სატრფო ვილაცის ფანჯრებქვეშ იდგა და მთელი მონდომებით ყროყინებდა — უჰაცრავად, მღეროდა; მეორე დღეს მივწერე, — ეს რა საოცარი ხმა გქონია-მეთქი?! მას შემდეგ ყოველკვირა მოდიოდა ჩემს უბანში, სერენადის სამღერად (იციან).

პოსტა, 18 წლის:

— ვირტუალურ სამყაროში ძრომიალმა ლამის დამღუპა — 3 წელი „ვეჭორავებოდი“ ქალს, რომლსაც თურმე, ქმარიც ჰყავდა, შვილებიც და შვილიშვილებიც. მოკლედ, ის ქალბატონი ბებიჩემის ასაკის ყოფილა, მაგრამ თავს ჩემს თანატოლად ასალებდა და უსირცხვილოდ „მაბამდა“. როცა შეხვედრა ვთხოვე, ალბათ იფიქრა, ჩიტი ბადეში გაბმული მყავსო და მხოლოდ მაშინ მითხრა, ვინც იყო სინამდვილეში. მაგრამ „გამიტყდა“, მაგრამ ვერც ვაგინე და ვერც — ვუყვირე; ქალი თავის ჭიას იხარებდა, მე კი ის გოიმი აღმოვჩნდი, რომელიც მის დაგებულ მახეში გაება. ისე, იმ ქალს არ გაემტყუნება — ხომ ამბობენ, მოხუცებულობაში ადამიანს ტვინი აკლდება, ბავშვივით ხდებაო? ჰოდა, იმ ქალმა სხვა გასართობი რომ ვერ ნახა, მე მიპოვა და მარიონტივით მათამაშა. ისე, გართობის გარდა, სხვა რა უნდა ნდომებოდა 63 წლის ქალს?!

ქათიო, 14 წლის:

— ჩეთაობა ჩემი ჰობია. ხშირად, თავს 19 წლის გოგოდ ვასალებ და უფროს ბიჭებზე ვკაიფობ. უმეტესად, ჩემთან მამაჩემისტოლა კაცები შემოდიან (ალბათ იმ ფოტოების გამო, რომელიც მიდევს) და ცუდ რალაცებს მთავაზობენ — ასეთებს გინებით ვისტუმრებ. მოკლედ, ჩეთაობას გემოს ერთხელ თუ გაუგებ, მერე მისგან თავის დაღწევა გაგიჭირდება.



გიგლუსი

გიგლუსი — იკივია, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ნატურმორტი
ვაშლებით



სუსტი სინათლე და ვერცხლის სინი
და მოწითალო სინზე – ვაშლები
და თუკი ჯართან დამატლობ წვიმით,
ჩამავალ ვაშლის სხივზე გავშრები.

ჭერზე ჭალივით დავკიდებ სათქმელს,
რომ ვაციმციმო მუერდზე ბისერი,
ან მოვადგები რიყრაყზე სარემელს
ამომავალი ვაშლის სიმღერით.

მაგრამ, ვინ იცის, არა ხარ მარტო,
ნაორთქლარ საწოლს ასწორებ მშვიდად
და ყოველივე უბრალოდ გართობს,
ისიც, რომ წვიმდა, წვიმდა და წვიმდა.

და თუ შეშლილის საშველის ქალთას
არხევს შიშველი ქალი ვაშლებით,
აშლილი ფრთებით ბრინჯაოს ქალთან
ჩამავალ ვაშლის სხივზე გავშრები.

რა შეედრება ამ ღამის თევას –
ღარწეულ ფიქრში ეჭვების ამშლელს?
თუ ვერცხლის სინზე დააწყობს ევა
სამოთხის ბაღში დაყრეფილ ვაშლებს.

ღათო მატრადე

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანგარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თეგურ ივანიძე

დ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-29

დაისულუნებს (კუთხ.) — ფრთებშეკუმშული სწრაფად დაეშვება (არწივი დაისულუნებს).

დაჯორჯვილი (საუბ.) — 1. უხეიროდ დახვეული (ძაფი, თოკი და მისთ.); 2. ვისაც ბევრი აცვია უწესრიგოდ, აჩაჩულ-დაჩაჩული.

დაჯორჯვებული — 1. დაკორძებული, დასივებული, შემუშებული; 2. უშნო, დანაოჭებული (სახე).

დგოფი, დგოფინა — წყალნარევი, წყლიანი ღვინო.

დედოფალა — პატარა მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა, — თრითინა, სინდიოფალა.

დევერხანა (კუთხ.) — ძალიან დიდი, ვეება.

დეკადა ფრ. ბერძ.-დან — 1. ათდღიანი დროის მონაკვეთი; 2. ხელოვნების ამა თუ იმ დარგის საზოგადოებრივი დათვალეერება, რომელიც 10 დღე გრძელდება.

დეკანოზი — 1. ქართული ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 2. საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში ძველად — ხატის მსახური.

დეკუელი — ფური ერთიდან ორ-სამ წლამდე. პირველი ხბოს მოგებადდე.

დეღგმა — კოკისპირული წვიმა, თავსხმა.

დერგი — დიდი ქილა ქვევრის მოყვანილობისა.

დეცოკი (ძვ.) — იგივეა, რაც თერძი.

დიბა სპ. (ძვ.) — იგივეა, რაც ფარჩა.


დიელექტრიკი (სპეც.) — ნივთიერება, რომელიც ელექტრობას არ ატარებს.

დიკა — საზაფხულო ხორბალი, გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



აქვთიბა თაყაიშვილი



„საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება, მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს... რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი“...

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში, აზნაურის ოჯახში. მამა — სვიმონ თაყაიშვილი რუსეთის ჯარში მსახურობდა. დედა — ნინო, ნაკაშიძის ქალი გახლდათ. ექვთიმეს ჰყავდა ერთი და და ორი ძმა. მეტისმეტად მკვირცხლსა და დაუდგარ პატარა ექვთიმეს სამი წლის ასაკში მარცხი შემთხვევია, რის შესახებაც ასე წერდა: „ბავშვობაში ცელქი ვყოფილვარ, სამი წლისა ხეზე გავსულვარ, გადმოვვარდნილვარ და მარჯვენა ფეხი მომიტეხია“. ფეხის ადრევე დაზიანების გამო იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ხელჯოხზე დაყრდნობით დადიოდა, მაგრამ მაინც ჩქარი სიარული უყვარდა.

მშობლები ექვთიმეს დაბადების შემდეგ მალე გარდაიცვალნენ. ბავშვების აღზრდაზე ზრუნავდნენ — ბებია, დაქვრივებული მამიდა, უფროსი და და სიძე, რომელიც ობოლი ცოლისძმების მეურვედ დანიშნეს... ექვთიმე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. ერთ-ერთი მონაწივე მონაწე გახლდათ და გიმნაზია ვერცხლის მედლით დაამთავრა. შემდეგ სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა და ბერძნულ-ლათინურ ენათა განხრით ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა... თაყაიშვილი თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა. 1888 წელს, იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის წევრად მიიღეს.

ექვთიმე თაყაიშვილის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებს ნიადაგი ისტორიკოსმა — დიმიტრი ბაქრაძემ მოუშადა. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხშირად ერთად მოგზაურობდნენ, ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში... 1892 წელს თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში ესმარებოდა. მალე ექვთიმეს რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული გამოსცა... თაყაიშვილი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1919-1921 წლებში იგი გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. დიდა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. ექვთიმე უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი იყო... ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 11 მარტს, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომად-

გენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ის თავდაპირველად პარიზში დასახლდა, 1922 წლიდან კი — ლევილიში. საფრანგეთში თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას... გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ განძის შესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა მიიჩნეოდა, ფაქტობრივად, მას თაყაიშვილი მეურვეობდა. იგი (სულ 39 ყუთი) ექვთიმეს მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული. განძის ცალკეული ექსპონატის ყიდვა სურდა ევროპის სხვადასხვა მუზეუმს, მაგრამ თაყაიშვილი ამაზე არ თანხმდებოდა, თუმცა საქართველოს სიმდიდრე მოგვიანებით საფრანგეთის მთავრობამ დაისაკუთრა. თაყაიშვილი იმ დღიდან მოყოლებული საფრანგეთის მთავრობისგან ითხოვდა, რომ განძი საქართველოს სსრ-ისთვის გადაეცათ, რაც საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1945 წლის 11 აპრილს თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა... ექვთიმეს ჰყავდა მეუღლე — ივანე პოლტორაძის ასული ნინო, რომელზეც 1894 წელს ექორწინა... 1985 წელს რე-



ჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა ამ დიდებულ ქართველ მოღვაწეზე დოკუმენტური ფილმი — „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ გადაიღო... დიდი მეცნიერი 1953 წლის 21 თებერვალს, უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას, ვაკის სასაფლაოზე, მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი დაესწრო... ამჟამად იგი გადასვენებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა.



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24

რუსუდან ბერიძე

სასაფლაოს დირექტორმა საბუთებში კარგა ხანს იქეჟა და ლაშას ვახტანგ არეშიძის საფლავის დაახლოებით ადგილიმდებარეობა მიუთითა. საფლავს რკინის მესერი ჰქონდა შემოვლებული, შუაში მდგარ უსურათო მარმარილოს ქვაზე კი გვარ-სახელი და დაბადებისა და გარდაცვალების წლები იყო მითითებული. უფრო გულდასმით დათვალიერების შემდეგ ლაშამ ისიც დააფიქსირა, რომ საფლავი — მოვლილი, მესერი კი სულ ახალი შეღებული იყო. თუმცა იმ ფქტმა, რომ ამ თითქოს საგანგებოდ მოვლილ საფლავზე ასეთი ადგილების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი — ყვავილები არსად ჩანდა, ლაფაური მინც ჩააფიქრა...

ლაშამ სასაფლაოს დარაჯი მისი პროფესიის კაცისთვის ცოტა უჩვეულო საქმიანობაში გართული აღმოაჩინა. მას დანა მოემარჯვებინა და სათამაშო სასტვენს აკეთებდა.

— შეილიშვილები სულ მესვენებთან, ბაბუ, სასტვენი გაგვიკეთო და აი, ახლა ძლივს მოვიცალე... — მან თავის მართლებასავით დაიწყო.

— დიდი ხანია, აქ მუშაობთ? — მისალმების შემდეგ ჰკითხა ლაშამ.

— საკმაოდ.

— არ მოგებზრდათ? ირგვლივ ხომ მხოლოდ მიცვალებულები არიან?

— რატომ უნდა მომებზრდეს? — სანახევროდ გაკეთებული სასტვენი როგორც იქნა, გვერდზე გადადო დარაჯმა და ლაფაურს სკამი შესთავაზა. — მკვდრები ყველაზე უწყინარი „ხალხია“. მათ გვერდით თავს სრულიად მშვიდად გვრძნობ. ცოცხლების უნდა გემინოდეს, თორემ ესენი რა, წვანან თავისთვის და არც არაფერს გიშაგებენ და არც რამეს გთხოვენ...

— ალბათ, ისიც ზეპირად გეცოდინებათ, თუ ვინ სად არის დასაფლავებული...

— ყველა არა, მაგრამ ბევრის საფლა-

ვი მართლა ზეპირად ვიცი. სხვა რომ არაფერი, ყოველდღე მათ გვერდით მიწვეს ავლა-ჩამოვლა. თქვენ მინც ვინ განიტერეხებთ?

— ვახტანგ ლევანის ძე არეშიძე.

— არეშიძე, არეშიძე... — დაფიქრდა დარაჯი. — თითქოს ძალიან ნაცნობი გვარია, მაგრამ... კი, როგორ არა, ვიცი: თვითმფრინავი ჩამოვარდა და ისე დაიღუპა. ამაზე გაზეთებშიც კი წერდნენ.

— მართლაც კარგი მახსოვრობა გქონიათ, — შეაქო ლაშამ, — იქნებ, ისიც შეგიძინევიათ — მის საფლავზე ახლობლები ხშირად დადიან?

— ეჰ, — ხელი დანანებით ჩაიქნია დარაჯმა, — კაცი ნუ მოკვდები, თორემ... დასაფლავების შემდეგ აქ მაგ უბედურის ერთი ნათესავიც კი აღარ გამოჩენილა.

— ნარმოუდგენელია...

— რატომ ვითომ? იცით, აქ რამდენი მიტოვებული საფლავია?

— ჰო, მაგრამ არეშიძის საფლავი ჩინებულადაა მოვლილი. ეტყობა, რომ ვიღაც რეგულარულად დადის და აწესრიგებს.

— სიარულით ნამდვილად ხშირად დადიან, ოღონდ ნათესავებისა რა მოგახსენო.

— მაშ ვინ დადის?

— ფირმიდან დადიან, საფლავების მომვლელები. ფულიანი ჭირისუფლების დიდი ნაწილი ახლა სწორედ ასე იქცევა. დამსუფთავებლებს ქირობენ და ისინიც მათ ნაცვლად უფლიან მიცვალებულების საფლავებს.

— ჰო, ისე, არეშიძეებს მართლაც ნაკლებად სცალიათ... — დაეთანხმა შეფიქრიანებული ლაშა. — შემთხვევით არეშიძის დაკრძალვასაც ხომ არ შესწრებინართ?

— შემთხვევით კი არა, საგანგებოდ მივედი და ყველაფერი ჩემი თვლით ვნახე. აკი გითხარით, რომ გაზეთში წავიკითხე თვითმფრინავის ამბავი და დამინტერესა, ვინ დაიღუპა.

— მიცვალებულიც თქვენი თვლით ნახეთ? — სიტუაციისთვის სინათლის მოფენის იმედი მიეცა ლაშას.

— არა, — თავი გააქნია დარაჯმა, — მიცვალებული არ მინახავს. ან კი რა უნდა მენახა?

— ეგ როგორ?

— ასეთი უბედურების შემდეგ ხომ ადამიანისგან თითქმის აღარაფერი რჩება. კუბოში მხოლოდ ტანსაცმელი და კიდევ რაღაც ნივთები ეწყობ.

— ჰო, — ამოიხრა ლაშამ, — მართალი ხართ. უბრალოდ ამაზე აღარ დავფიქრებულვარ...

ერთი საათის შემდეგ ლაშა უკვე ნაცნობ კონსპირაციულ ბინას მიადგა. იქ ყველაფერი ძველებურად დახვდა, ისიდორეც ისევ იმ მორყეულ სკამზე მოკალათებულიყო და ენეოდა. მისალმების ნაცვლად მან ჟურნალისტს მეორე სკამზე მიუთითა.

— აბა, რისი გარკვევა მოახერხეთ? — სიგარეტის ბოლი მან ჭერში ნება-ნება აუშვა.

— მგონი, ტელეფონში უკვე გითხარით, რომ ვახტანგ არეშიძე ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მეტიც, ვფიქრობ, ამის შესახებ უჩემოდაც კარგად მოგეხსენებოდათ.

— მართალი ხართ, მოგეხსენებოდა, — გაეღიმა ისიდორეს.

— მერე რატომ არ მითხარით?

— იმიტომ, რომ მის ძებნას აღარ დაინწყებდით.

— მართალი ხართ, მიცვალებულს მართო გიჟი თუ დაუწყებს ძებნას.

— არადა, უნდა ეძებოთ.

— ვინ? მკვდარი? — ლაშას ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

— შეგიძლიათ იმის დამტკიცება, რომ არეშიძე მართლაც მკვდარია? — აუღელვებლად ჰკითხა ისიდორემ.

— არსებობს საფლავი. ბოლოს და ბოლოს, არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ...

— კარგად ვიცი, იქ რაც წერია, — გაანწყვტინა ისიდორემ, — თქვენ ის მითხარით, მკვდარი არეშიძე თუ გინახავთ?

— მკვდარი არეშიძე როგორ უნდა მენახა? ერთი წლის წინ ხომ მე მისი არსებობაც არ ვიცოდი! დამცინით თუ რა ხდება? — ახლა კი მართლა იფეთქა ლაშამ.

— გამოდის, რომ არეშიძე ჯერაც ვერ აღმოაჩინეთ, — ხმაში სევდიანი ნოტები გამოურია ისიდორემ, — არადა, ხელშეკრულებაზე გაქვთ ხელი მონერილი, რომლის მიხედვითაც დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში — ანუ თუკი მეცნიერს ვერ იპოვით, თქვენი ბინა ფირმა „ომეგას“ საკუთრებაში გადადის.

— თქვენ... თქვენ... — ნერვიულობისგან სათქმელს თავი ვეღარ მოუყარა ლაშამ, — უბრალოდ არაზნაობები ხართ. თავიდანვე ბინის წართმევა გქონდათ ჩაფიქრებული, თორემ ამხელა თანხას ავან-



სად როგორ მომცემდით? მკვდარი ადამიანის მოძებნა დამავალეთ, გირაოდ კი ბინა ჩამადებინეთ. ეს ხომ თქვენთვის ნებისმიერ სიტუაციაში სრულიად ნაუგებელი ვარიანტი იქნებოდა და ასეც მოხდა.

— მერე, ვისი ბრალია, ასე რომ მოხდა? თქვენ მართლა არ შეასრულეთ ხელშეკრულების პირობები და ბინასაც სამართლიანად კარგავთ. — ვითომც აქ არაფერიო, ახლა ასანთის ღერი გაირჩო პირში ისიდორემ და არხეინად აათამაშა.

— უხ შენი! — უცბად პიჯაკის საყელოში ორივე ხელი მთელი ძალით ჩაავლო მას ლაშამ, ერთი გამეტებით შეანჯღრია და შემდეგ ხელი ისევ სწრაფად გაუშვა.

ისიდორე ამას ნამდვილად არ ელოდა. ამიტომაც, სკამზე თავი ვეღარ შეიმაგრდა და ჯერ ძირს ზღართან მოადინა, შემდეგ კი ინერციით კედლისკენ გასრიალდა და, ახლა უკვე ლაშას მუშტის მოლოდინში, სახეზე პუტყუნა ხელები აიფარა და ისე ნამოიკნავლა:

— მე... მე ამ საქმეში არაფერს ვწყვეტ... მხოლოდ ფირმის ხელმძღვანელობის დავალებას ვასრულებ...

— ჰოდა, გადაეცი შენს ახვარ ხელმძღვანელობას, რომ ეს ნომერი ჩემთან არ გაუვა, — ისევ თავზე დაადგა ლაშა. — საკმაოდ ბევრი მეგობარი ადვოკატი მყავს, რომელიც შენც და შენს ფირმასაც კუდით ქვას გასროლინებს!

— ხომ გითხარით, რომ მე არავინ არაფერს შევითხება... — სახიდან ხელების მოშორებას ვეღარ ბედავდა მთლად დაპატარავებული ისიდორე. — მე მხოლოდ ფირმის ხელმძღვანელობის დავალებებს ვადმოგცემთ.

— და ახლა რაღა უნდა გადმომცე? — ლაშას ხმა ისიდორესთვის კარგს აღარაფერს მოასწავებდა.

— დამავალეს, გადმომეცა, რომ... — ისიდორემ სახიდან აკანკალებული ხელები კი მოიშორა, მაგრამ ლაშას შეხედვა სულ ერთი ნამით თუ გაბედა და შემდეგ თვალები ისევ დამანაშავესავით დახარა.

— რა დაგავალეს? — კითხვა გაუმეორა ლაშამ.

— რა და, არეშიძის ძებნა განაგრძოსო...

— გამაგიჟებს ეს ხალხი! — ხელები გაოცებით გაშალა ლაშამ და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა. — შეიგნეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ არეშიძე მკვდარია, მკვდა-რი!...

— ჩემი უფროსები კი მიიჩნევენ, რომ რადგან არეშიძე მკვდარი არავის უნახავს, მისი დაღუპვის დოკუმენტის ფასი ნულია ანუ ის საერთოდ არაფერს ნიშნავს. ამიტომაც თქვენ ის ან ცოცხალი, ანდა მკვდარი უნდა იპოვოთ. მაგრამ თუ არ იპოვით, მაშინ... — ისიდორე ნამით შეეცინდა და ლაშას შიშით ახედა.

— დაამთავრე! — შეუღრინა ლაშამ. — გარნშუნებთ, ბატონო ლაშა, რომ

თუ არეშიძეს ვერ იპოვით, ადვოკატების მთელი არმიაც კი ვეღარაფერს გიშველით...

ისიდორესგან ნამოსული ლაშა ლამის თბილისის ქუჩებს მანქანით მიუყვებოდა და ესოდენი გულუბრყვილობისა და წინდაუხედაობისთვის საკუთარ თავს გულში, ვინ იცის, მერამდენედ ლანძღავდა: „არა, ასე მაინც რამ გამომამტერა ამხელა კაცი, რომ ვიღაც არამზადებს პატარა ბიჭვით გავასულებლებინე თავი! ახია ჩემზე, თუ ბინას მართლა წამართმევენ. თუმცა ამას რაღა „მართლა“ უნდა? თუ არეშიძეს ცოცხალს ან მკვდარს მაინც არ ვიპოვი, შემოიღია, „ბომჟებში“ ჩემი ნებით ჩავეწერო. ასე რომ, ერთი გამოსავალია მრჩება: „ვეძებო იქ, არ ვიცი, სად და ვიპოვო ის, არ ვიცი, ვინ“... საკუთარ უადგილო ენამახვილობაზე ლაშას თავადვე მწარედ გაელიმა და მანქანა ჯერჯერობით კვლავაც საკუთარი სახლის ეზოში ნელი სვლით შეიყვანა...

ქუთაისში შესულმა ლაფაურმა მანქანა გზის პირას მდგარ პირველივე ტაქსისტთან გააჩერა და მძღოლს ადგილობრივი სამამველო სამსახურის მისამართი ჰკითხა.

— მაინც რა საქმეზე ხარ ჩამოსული? — ნაშში გაუმინაურდა ტაქსის მძღოლი ლაშას. — ჩემი ქვისლი მუშაობს იქ და იმიტომ გეკითხები.

— შეიძლება, გსმენიათ, შარშან ქუთაისიდან წასული თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა მთებში, ის ამბავი მაინტერესებს. ჟურნალისტი ვარ და რაღაცის დაწერას ვაპირებ.

— რაც მაგ ამბავზე ნერეს, მეტი რაღა უნდა დაწერო? ისე, მაგრად გაგიმართლა, იმ თვითმფრინავის პოვნის საქმეში ჩემი ქვისლი მონაწილეობდა და ყველაფერს წვრილად მოგიყვება.

— ძალიან კარგი, მაშინ პირდაპირ თქვენს ქვისლთან მივალ, რა ჰქვია და რა გვარის კაცია?

— სამსახურში არ დაგხვდება, ახლა შვებულებაშია.

— ძალიან სამწუხაროა.

— რატომ, შე კაცო, პირდაპირ სახლში მიგიყვან, რემონტს აკეთებს და მონახულებაშიც ჩამეთვლება.

— ძალიან დამავალბეთ.

— ახლავე, კლიენტი გამოვა და ... ჰო, მართლა, რომელი გაზეთიდან ხარ?

— გაზეთიდან არ ვარ. ჩვენი გამოცემლობა იმ ავიაკატასტროფაში დაღუპულ ერთ-ერთ მეცნიერზე აპირებს ნიგნის გამოშვებას და რაღაც დეტალების დასახუსტებლად გამოგზავნა.

— ნუ გემინია, ბიჭიკო ყველაფერს

დანვრილებით მოგიყვება, — დააიშვდა მძღოლმა ლაშა.

— ბიჭიკო ალბათ, თქვენი ქვისლია, ხომ?

— ქვისლია, მაგრამ ძმასავით ერთგული კაცია. მე ავთო მქვია.

— მე — ლაშა.



— ძალიან სასიამოვნოა, ჩემო ლაშა, აგერ კლიენტი გამოჩნდა და დევიძარით...

ცოტა ხანში ავთომ მანქანა ერთ კოპნია ორსართულიან სახლთან გააჩერა:

— აი, მოვედით კიდევ.

ავთოს და ლაშას მაღალი, მხრებში გაშლილი მამაკაცი გამოეგება.

— ავთოიას ვახლავარ. — მიესალმა ის ტაქსისტს და, თან, თვალები ეშმაკურად მოწკურა, — მაინც რა ქარმა გადმოგაგდო ჩემს კარზე ამ გაგანია მუშაობაში?

— ა, ძამია, თლათ თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტი ამოგიყვანე, მეტი რაღა გინდა? გაშალე ახლა სუფრა და დევიწყოთ პატარა ჭიქებით და დიდი გულით.

— ჩემი თავი მოგიკვდეთ! გადმოდით და დანარჩენი მე ვიცი.

— კლიენტი რომ არ მყავდეს დასაბინავებელი, იცოცხლე, მარა ჯერ უჩემოდ იჭუჭუკეთ და რომ მორჩებით, ერთი ზარი გამოუშვით და ხელათ აქ გაგზინდები.

ავთო მამაკაცებს დაემუხიდობა. მასპინძელმა კი ლაშა ეზოში, უზარმაზარი კაკლის ჩრდილში მდგარ მაგიდასთან მიიწვივა.

— შინ შეგიპატიუბდით, მარა ავთო გეტყვოდათ ალბათ, რემონტი მაქვს, მისპო მაგის მომგონი...



ჩემი: რაც უნდა იყოს, უკვე მთელი წელი გასული.

ლაშამ საქადალდიდან არეშიძის დოსიემი არსებული ფოტოს ასლი და კიდევ რამდენიმე თავისი ნაცნობის ფოტოც ამოიღო და ქეთის წინ გაშალა.

— მგონი, ეს მამაკაცი ნამდვილად იყო მგზავრებს შორის, — ხელი დაადო ქეთიმ არეშიძის ფოტოს ასლს, — დანარჩენებს კი პირველად ვხედავ. — კი, ნამდვილად ისაა, სწორედ ეს კაცი გავატარე რეგისტრაციაში.

— დარწმუნებული ხართ?
— დარწმუნებული ვარ. ამ კაცს თან უზარმაზარი ზურგანთა ჰქონდა და იმით უფრო დამამახსოვრდა.

— რა ზურგანთა?
— ჩვეულებრივი ზურგანთა იყო, ტურისტები და გეოლოგები რომ ატარებენ, ისეთი, ოღონდ ბევრად უფრო დიდი. მაშინ კიდევ გამიკვირდა, „ბაგაჟში“ რატომ არ ჩააბარა-მეთქი. მაგრამ ზურგანთის სალონში შესატანად ყველა საჭირო დოკუმენტი ჰქონდა გაფორმებული და ამიტომაც სულ თავისუფლად შეეძლო, თუნდაც მასთან ჩახუტებულს ეფრინა. ისე, უკეთესი იქნებოდა, შიგ პარაშუტი სდებოდა და არა ეგრეთ ნოდებულის, „ფასეული სამეცნიერო ტვირთი“, როგორც იმ დოკუმენტში ეწერა, — სევდიანად გაეღიმა ქეთის.

ლაშამ კი საბოლოოდ დაასკვნა, რომ არეშიძის ცოცხლებს შორის ძებნას უკვე არანაირი აზრი აღარ ჰქონდა და თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა.

თბილისის ცენტრში მდებარე შენობის ერთ-ერთ კაბინეტში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ალო, შეფ, ჟურნალისტი დაბრუნდა. ამტკიცებს, რომ კლიენტი მკვდარია.

— ესე იგი, ახალი ვერაფერი გამოქეა?

— ვერაფერი. მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია დაადასტურა.

— მერე მაგის დასტური ჩვენ რას გვარგებს? იქნებ, ცოტა კიდევ მიდგეს-მოდგეს... ბოლოს და ბოლოს, ამხელა ფული აქვს აღებული... ბინის ამბავიც კიდევ ერთხელ შეახსენე.

— უკვე შევასხენე, მაგრამ მაინც ჯიუტობს. ამბობს, არეშიძის გვამი წყალმა წაიღო, წყალნალბეზულების ძებნა კი ჩემი პროფილი არ არისო.

— აბა, რა არის ჩემი პროფილიო?
— არ ვიცი, მაგრამ დავალებას კი შესრულებულად მიიჩნევს და დარჩენილი თანხის გადახდასა და ბინის გირავნობის გაუქმებას ითხოვს.

— ჰოო, ძალიან ცუდია ეს ყველაფერი... როგორც ჩანს, კლიენტი მართლა მკვდარია და ჩვენც სულ ტყუილად ვწავლობთ.

— ასე გამოდის. ახლა რაღა ვქნათ, შეფ? გამოდის, რომ უკვე ჩვენც შევასრულეთ დავალება.

— შესრულებაცაა და შესრულებაც... მაგრამ სხვა გზაც რომ აღარ დავგვრჩა? ბოლოს და ბოლოს, მარტო ჩვენ ხომ არ ვექვთ იმ კაცს? ეტყობა, მართლა აღარ არის ცოცხალი.



— გეთანხმებით, შეფ, ჟურნალისტს რაღა ვუყოთ?

— ჟურნალისტი „შემცირებაში“ უნდა მოაყოლოთ, ოღონდ, ისე, რომ ამ ფაქტმა საზოგადოების ზედმეტი აფორიაქება არ გამოიწვიოს. აი, მისი ბინა კი ძალიან გამოგვადგება. ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ?

— მესმის, შეფ!..
— მაშინ იმოქმედ!

ნიკა ბერდიაშვილი (იგივე ნიკოლას ბერტოლინი) უკვე რამდენიმე დღე ცდილობდა, თუნდაც რაიმე, სულ უმნიშვნელო დამატებითი ინფორმაციის მოძიებას იმ ადამიანზე, ვისი პოვნაც დაავალეს. ნიკამ, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა ამერიკელებს, რომლებიც ამის სანაცვლოდ ფულისა და „სუფთა“ დოკუმენტების დაბრუნებას შეჰპირდნენ. იმიტომ კი არა, რომ რაღაცაში შეეპარა ეჭვი, უბრალოდ, ასეთი პრინციპი ჰქონდა: არასდროს არავის უნდა ნდობოდა, რომ მერე სანანებლად არ გახდომოდა.

ბერდიაშვილი უკვე იმასაც ძალიან ნანობდა, რომ ზედმეტად გულუბრყვილო და მიმდობ ქალებთან თამაშით თვითონაც ზედმეტად გაერთო და სიფხიზლე იმდენადაც კი მოადუნა, რომ ფედერალური გამოძიების ბიუროს თანამშრომლებს თავი გააშიფვრინა. ამიტომ ახლა მაინც ყველაფერი გულმოდგინედ უნდა გაეანალიზებინა, რომ ახალი და

უკვე საბედისწერო შეცდომაც არ დაემვა.

ამერიკელებთან რომ აღარ დაბრუნდებოდა, ბერდიაშვილმა ეს იმნამსვე გადაწყვიტა, როგორც კი ციხიდან გამოუშვეს. მაგრამ იმასაც ხედებოდა, რომ თავად ამერიკელები თვალს აღარ მოაშორებდნენ. მეტიც, ის მათ თვალთვალს ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა. თუმცა მოთვალთვალეს ვერ ხედავდა და მის აღმოჩენაში ვერც ორგანიზაციაში მუშაობისას მიღებული გამოცდილება ეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებისგან გაქცევით სიმშრით ნაშოვნ მილიონებსაც სამუდამოდ უნდა გამოეშვიდებოდა, ნიკა მაინც გაქცევისკენ იხრებოდა. „ნებისმიერ ფულს მაინც თავისუფლება სჯობს. თავისუფლება თუ მექნა, ფულის შოვნას რაღა უნდა? ამქვეყნად ხომ ჯერ კიდევ უამრავი მდიდარი და შტერი ქალია, რომლებსაც, მათდა სამწუხაროდ, მოლაღატე ქმრებიც ჰყავთ“, — ფიქრობდა იგი.

გაქცევის გეგმა ბერდიაშვილს უკვე ყველა წვრილმანამდე ჰქონდა გათვლილი, მაგრამ მის განხორციელებას მაინც არ ჩქარობდა და ამის მიზეზი მარტო უხილავი

მოთვალთვალის შიში როდი იყო. ცნობისმოყვარეობაც არ ასვენებდა. „მაინც რატომ წავიდნენ ამერიკელები ასეთ სარისკო ნაბიჯზე და ციხიდან ასე ადვილად რატომ გამოიშვეს? ანდა, ვინ არის სინამდვილეში ეს არეშიძე, დიდსა და პატარას მასზე ნამდვილი ნადირობა რომ აქვს გამოცხადებული? და ყველაზე მთავარი: თუკი ამ ადამიანის ადგილსამყოფლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაში ამერიკელები 50.000 დოლარს მარტო მე მპირდებიან, მაშინ ამ მეცნიერის რეალური ფასი რამდენიღა უნდა იყოს?“ აი, კითხვები, რომლებიც ბერდიაშვილს მოსვენებას აღარ აძლევდა. ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ჯერ არეშიძის შესახებ ყველა შესაძლო ინფორმაცია მოეპოვეინა და გაქცევის საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო. მით უფრო, რომ ასეთი შემთხვევებისთვის ინფორმაციის მიღების განსაკუთრებული წყაროც ჰქონდა, უფრო სწორად — ჰყავდა. ეს იყო ბერდიაშვილზე უგონოდ შეყვარებული ქალი, რომელიც მისთვის ყველაფერზე ნავიდოდა. ისიც ამით მოხერხებულად სარგებლობდა და როცა საქმისთვის იყო საჭირო, ქალს ისე ექცეოდა, თითქოს თვითონაც მისი სიყვარულით იწვოდა. თუმცა ეს ქალი ბერდიაშვილისთვის თავისებურად მართლაც ძვირფასი იყო, რადგან მისი ქმარი უშიშროებაში მუშაობდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ით — როგორც იქნა, გაბედა და ყველაფერი პირში მიახალა.

ილო მისი ცხოვრებიდან სამუდამოდ წავიდა და მხოლოდ რამდენიმე ფუთფულა სათამაშო დატოვა, რომელიც ვიკამ სარდაფში, თაროზე დაუნანებლად შეკუჭა. მზად იყო, გადაეყარა ან ნაკუნ-ნაკუნ ექცია, მაგრამ „ეგზეკუცია“ მომავლისთვის გადადო და უდანაშაულო სპილოები და დათვები უბრალოდ, სარდაფში ჩაიტანა, რომ თვალში არ შესჩებოდა. სათამაშოები ქალს ირიბად „უყურებდნენ“ და ადამიანური უსამართლობის წინააღმდეგ ხმას არ იღებდნენ. ვიკამ ზუსტად იცოდა, რომ ისეთ ძლიერ ქალს, როგორც თვითონ იყო, ძლიერი მამაკაცი სჭირდებოდა, ყოველგვარი ცრემლის გარეშე. და ასეთი მამაკაცი მის ცხოვრებაში გამოჩნდა.

ორ დღით ადრე, სანამ...

„შენი ცხოვრება მოგწონს?“
„არა, საყვარელო. არა! როგორ შეიძლება, მომწონდეს?! ნაცრისფერი სამყარო, ნაცრისფერი ცა და ნაცრისფერი ადამიანები“.

უკვე 2 დღე იყო, რაც ვიკა გიორგის „საყვარელოს“ ეძახდა. მამაკაცს ამაზე რეაქცია არ ჰქონია. თითქოს არც შეუნიშნავს. „შენი ნახვა მინდა“.

პასუხად ისევ „სმაილიკი“. ქალი უკვე ბრახობდა, მაგრამ გიორგიზე კი არა, საკუთარ თავზე ბრახობდა იმის გამო, რომ თავს ვერ იკავებდა და ჯერ უნახავი ადამიანის მიმართ „ცხოველურ“ სურვილებს ამჟღავნებდა.

„მზად ხარ იმისთვის, რომ ჩვენი პემანი ცოტა უცნაურ ვითარებაში წარიმართოს?“

მზად არის?
„დიახ, მზად ვარ“.
„მზად ხარ, ჩემთან ერთად წამოხვიდე?“
„სად?“

„იქ, სადაც მე ვაპირებ წასვლას“.

ვიკა ცოტა ხანს შეეყოვნა. მიხვდა, მამაკაცი რასაც გულისხმობდა.

„რატომ გადაწყვიტე „იქ“ წასვლა?“

„იმიტომ, რომ ეს სამყარო ჩვენნაირი ადამიანებისთვის არაა შექმნილი. ახლა ლამაზად წასვლა ჯობია, ვიდრე 40 წლის შემდეგ — უფერულად“.

ქალს 2 ვარიანტი ჰქონდა. მოგვიანებით, გამოძიების მასალებში ეს ნიუანსი ფიგურირებს — არჩევანის უფლება. ქალს თავად უნდა გადაეწყვიტა, როგორ მოიქცეოდა. დაჰყვებოდა გიორგის ნებას თუ არა.

ვიკას მოსაფიქრებლად სულ 1 წუთი დასჭირდა.

„თანახმა ვარ, ეს ძალიან უცნაური და უჩვეულოა“.

სამყარო ორად გაიყო — რეალობად და თამაზად, რომელიც თავბრუს ახვევდა, მაგრამ ჯერჯერობით ამ თამაზის მართვა შეეძლო.

ერთი დღით ადრე, სანამ...

წვიმიანი დილა გათენდა... წვეთები ფანჯრის მინაზე ლოკოკინებით მოცო-

ცადნენ და სველ კვალს ტოვებდნენ. ვიკა სამსახურში არ წავიდა. ყველაფერი აზრს კარგავდა იმასთან მიმართებაში, რაც ხვალ უნდა მომხდარიყო. ტელეფონი გამორთო და რბილ სავარძელში მოკალათდა. პლედით მოიხურა, ფეხები სავარძელზე დააწყო და თვალები დახუჭა. გიორგიმ უთხრა,



რომ დღევანდელი დღე იმათ უნდა დაუთმოს, ვინც „აქ“ რჩება.

„იცი, ის, რაც ჩვენთვის არაფერს წამოადგენს, ზოგიერთისთვის ცხოვრებაა. მე მათ ვუყვარდი, მზრდიდნენ და იმას ებლაუჭებოან, რამაც ჩვენთვის აზრი დაკარგა. მე მათთან ვალში ვარ და მეცოდებიან კიდევ, რადგან ვიცი, როგორ მივალნიო უკვდავებას, მათ კი არ იციან“.

ქალს ყველაფერი მშვენივრად ესმოდა. მამაკაცის მიერ მოწერილი თითოეული ფრაზა მისი აზრის ნაწილი იყო.

20 წუთით ადრე, სანამ...

ის მამაკაცს ცრემლით სავსე თვალებით უყურებდა. გიორგი ძალიან ლამაზი იყო. რეალურ ცხოვრებაში ზუსტად ისეთი იყო, როგორც ქალს ჰყავდა წარმოდგენილი. „მშრალი“ სახე, ლამაზი ნაკვთები, სევდიანი, ნაცრისფერი თვალები...

— გამარჯობა.

— გამარჯობა...

ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ. წვიმის წვეთები უღმობლად ასველებდნენ წყვილს. გამველებები გაოცებული უყურებდნენ, თავსხმა წვიმაში ერთმანეთს ჩაკრულ ქალსა და მამაკაცს.

3 წუთით ადრე, სანამ...

წვიმა უეცრად შეწყდა. ისინი მაღალ-სართულიანი სახლის სახურავზე იდგნენ და ქვევით იყურებოდნენ. ვიკა გრძნობდა, რომ თამაში კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა და თავს გამოუტყდა, რომ იმ მომენტიდან, როდესაც თამაზის დასასრული ცხადი გახდა, სურვილი ჰქონდა, ეს თამაში ცხოვრებად ქცეულიყო. სურდა, თვითონ ყოფილიყო იმის გამგებელი, რაც ოდესღაც ვილაკამ აჩუქა. ახლა კი შეეძლო, სხვისი ნაჩუქარი სიცოცხლე საკუთარი თავისთვის წაერთმია, ლილაკზე

ხელი დაეჭირა და სინათლე გამოერთო.

40 წამით ადრე, სანამ...

მათ ერთმანეთისთვის ხელები უნდა ჩაეჭიდათ. ვიკამ ბავშვობაში ფილმი ნახა, რომელსაც „მირაჟი“ ერქვა. იქ შეყვარებულებმა მსგავსი საქციელი ტელეკამერების წინ ჩაიდინეს... გიორგის სველი ხელისგული ჰქონდა. მან მამაკაცს კიდევ ერთხელ შეხედა.

— გიო, მე შენ...

მან ფრაზა არ დაასრულა. „მიყვარხარ?“ „მსურხარ?“ „გაღმერთებ?“

10 წამის შემდეგ ქალის სხეული სიმალლიდან დაეშვა...

სადარბაზოდან გამოშავალი ქალი, რომლის წინაც ვიკა დაეცა, უგონოდ მიესვენა.

ამონანერი მამუკა უნდიაშვილის (რომელიც ვიკას გიორგიდ გაეცნო) დაკითხვის ოქმიდან:

— მე გადავიხედე და დავინახე, სად დაეცა ქალი.

— რისთვის გჭირდებოდა ამის დანახვა?

— ილომ ფოტოაპარატი მომცა და მთხოვა, ქალის უსულო სხეული მალლიდან გადაემეღა.

— კი, მაგრამ ფოტოაპარატი თან რომ არ გქონდა?

— მანქანაში დამრჩა. ძალიან ვეღვადი.

— დაზარალებული თვითონ გადმოხტა თუ დაეხმარე?

— თვითონ გადმოხტა.

— გადმოხტოვს წინ რამე თუ გითხრა?

— კი, მითხრა: „გიო, მე შენ“...

— სულ ეს იყო?

— დიახ, მე ხელი გავუშვი და მან ჰერში გადადგა ნაბიჯი.

— რა მოიმოქმედეთ შემდგომ?

— ქვევით დავეშვი. სადარბაზოში კედელს გავეხახუნე და ტანისამოსი დავისვარე. სიგარეტი მოვწიე. შემდეგ მანქანა დავექოქე და ილოსთან წავედი. უფრო სწორად, ვაჟას ძეგლთან მივედი, სადაც ილოს უნდა შეხვედროდა.

მამუკა დანაშაულის მონაწილედ ცნეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რაც შეეხება ილოს, ის, როგორც მკვლელობის დამკვეთი, გაასამართლეს თვით-მკვლელობამდე მიყვანის მუხლით და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მსხვერპლთან მიმოწერა მისი კომპიუტერიდან ხდებოდა. სწორედ ეს ფაქტი გახდა დანაშაულის მტკიცებულება. თუმცა ილია თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა. ამჟამად ილია გათავისუფლებულია და თბილისში ტაქსის მძღოლად მუშაობს.

ვიკა ადგილზე გარდაიცვალა. თვითმხილველები ამბობენ, რომ ქალის დასისხლიანებულ სახეზე ნეტარების ღიმილი იყო აღბეჭდილი.



ქიჩი სოსტი ქარი

სპეციალური კვარა

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-29

ვაკომ, მისდა უნებურად, დაუსტივინა. ეს უკვე მეტისმეტი იყო, მაგრამ როგორმე უნდა შეენარჩუნებინა წონასწორობა. ერთი გადაბრუნებული სიტყვა და საბოლოოდ გაინადგურებდა ცხოვრებას. განა არ ესმოდა, რომ ცუდად მოექცა საყვარელ ადამიანს, როცა მისი ორსულობის შესახებ შეიტყო? ძალიან უხეშად გამოუვიდა... იმდენად უხეშად, რომ კიდევ ერთი შანსი დაკარგა, მასზე დაქორწინებულიყო და ბავშვის კანონიერი მამა გამხდარიყო. და რისთვის ეს ყველაფერი? ერთი უგუნური გოგოს ნიშნის მოგებით ნათქვამი სიტყვებისთვის?! როგორ წამოეგო პროვოკაცია! არადა, უყვარს! განა არ იცის, რომ უყვარს, უბრალოდ, ჯიუტად არ უტყვდება თავს ამასი. ახლა, კიდევ ერთხელ მიხვდა ამას. გრძნობა, რომელიც უკვე დასამარებული ეგონა, თურმე ცოცხალი ყოფილა. ეს რა ჩაიდი-

ნა? სადამდე მიიყვანა მისი მომავალი შვილის დედა?

— შენი ნერვიულობა არ შეიძლება, სალი, — შერბილებულად დაიწყო, — და ეგეთი აზრი მეორედ არ გაივლო გულში, კარგი?

— მემუქრები?

— არა, მხოლოდ ის მინდა, გონს მოგიყვანო. ჩემზე გამწარებულმა უკვე აღარ იცი, რა მოიმოქმედო. ცხელ გულზე ნუ მიიღებ გადაწყვეტილებას. ჯერ დაფიქრდი და...

— უკვე დაფიქრდი, შენი შეგონებები არ მჭირდება.

— გჭირდება. შეგონებებიც გჭირდება და ისეთი ადამიანიც, რომელიც გვერდით დაგიდგება. ვიზრუნებ შენზე, გპირდები. შეიძლება, ვიჩქარე და ნაადრევი დასკვნები გამოვიტანე, მაგრამ...

— დაგაგვიანდა, ვაკო. ნუ ცდილობ, გადამათქმევი. დროს ტყუილად ნუ კარგავ.

მამაკაცს გული დაუმიძიდა. ამჯერად გაჩუმება ამჯობინა, მაგრამ ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს დუმილი. ან კი რა უნდა ეთქვა კიდევ? გოგონა მის ყველა მცდელობას სასტიკი უარით პასუხობდა. ამ დროს მარინა გამოჩნდა, რომელსაც ატმის კომპოტი და ჭიქები მოჰქონდა.

— გაგრილება არ გინდათ? ნახეთ, რა კომპოტი მოხვარაზე! — ნაძალადევი მზიარულებით შესძახა ქალმა.

— დიდი მადლობა, მაგრამ მე მივდივარ, — მოგუდული ხმით ჩაილაპარაკა მამაკაცმა და წამოდგა.

— უკვე?

— ჰო, სალი გადაღლილია და... შეხვედრამდე, მარი...

თავჩალუნულმა ვაკომ სწრაფი ნაბიჯებით დატოვა იქაურობა. სალომემ თვალი გააყოლა მიმავალს... თითქოს რაღაც ჩასწყდა გულში... თითქოს ირგვლივ ყველაფერი დაცარიელდა... რატომ იქცევა ასე? იქნებ მართლა სურს ვაკოს შერიგება? ხომ შეიძლება, ნაწილად თავის საქციელს? ან საიდან მოუვიდა თავში აზრად ბავშვის მოცილება? თავდაც ხომ კარგად იცის, რომ ამის გაქვეყნებით არ არის? შურისძიება? რა დროს შურისძიება, როცა მის სხეულში ახალი სიცოცხლე ჩასახული?

გოგონა ღრმა ფიქრებში ჩაიძირა. მამიდა შორიასლოს იდგა და ყურადღებით აკვირდებოდა, წარამარა როგორ ეცვლებოდა სახე ძმისშვილს, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მერე გატრიალდა და ოთახიდან გავიდა. ასე ჯობდა. სალომე თავად უნდა მისულიყო საბოლოო გადაწყვეტილებამდე...

მეორე დღით მარინამ კარი ხმაურით შემოაღო.

— ნახე, რა თაიგული მოგიტანეს! — შესძახა სახეგაბრწყინებულმა და წითელი ვარდების უზარმაზარი თაიგული ოთახში შეიტანა.

გოგონამ კოპები შეკრა.

— ვისგანაა?

— აი, ბარათი, თავად ნაიკითხე, — მართკუთხა ფორმის ვარდისფერი კონვერტი მიანოდა მამიდა.

„ყველაზე ლამაზ მომავალ დედას. სიყვარულით, ვაკო“ — გამოყვანილი ასოებით ეწერა ფურცელზე.

„ჰმ! სიყვარულით! რა ხუმარაა!“ სალომემ ბარათი იატაკზე მოისროლა.

— გადაადგე, თუ ღმერთი გნამს! მისი მოტანილი არაფერში მჭირდება!

— რას ამბობ, შვილო... შეხედე, რა სილამაზეა, ამის გადაადგება იქნება?

— მაშინ შენს ოთახში წაიღე. მაგის დანახვაც არ მინდა!

მაგრამ მეორე დღეს იგივე განმეორდა. ახლა უფრო ლამაზი თაიგული გამოუგზავნა მამაკაცმა...

და ასე გაგრძელდა მთელი კვირა. სახლი ყვავილების მაღაზიას დაემსგავსა.

მეშვიდე დღეს ვაკო კვლავ გამოჩნდა, ამჯერად თავად მოიტანა ვარდების თაიგული, თანაც ისეთი ვეებერთელა, სალომემ ვარდებს მიღმა მისი სახე ძლივს გაარჩია. გოგონამ თვალები დააკვესა.

— ტყუილად ხარჯავ ფულს ამ ყვავილებში.

— საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვას ლამაზად ვცდილობ, — თქვა ვაკომ.

მარინამ თაიგული ჩამოართვა სტუმარს და გაუჩინარდა.

— როგორ ხარ? უკეთ გრძნობ თავს?

— ბავშვი კარგად არის.

— შენ? შენ როგორ ხარ?

— ვისი ამბავიც გაინტერესებს, ის კარგად არის, ჩემი მდგომარეობა კი, არა მგონია, გაელეკვებდეს.

— ასე ნუ მელაპარაკები, არ გინდა.

გოგონა გაჩუმდა.

— კიდევ ხომ არ წაგსვლია გული?

— არა.

— არ გინდა, გავისეირნოთ? ცოტა გავიაროთ ფეხით, მოგისდება, თორემ მთელი კვირაა, შინიდან არ გასულხარ.



— არ გავსულვარ? შენ საიდან იცი?

- ვიცი.
- მაშინ გითხრა?
- არა.

აჰა! ესე იგი, დადარაჯებული იყო... რატომ? ეშინოდა, მართლა არ გაეკეთებინა აბორტი? გოგონამ ღიმილი ძლივს შეიკავა. როგორ შეშინებულა?! ძალიანაც კარგი, მოუხდება!

— შენ რა, მაკონტროლებდი? — ირიბად გახედა.

ვაკომ მისი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

- წამოხვალ?
- სად?
- ვისადილოთ სადმე.
- რისთვის? ჩვენ ხომ გავწყვიტეთ ერთმანეთთან ურთიერთობა!
- მე შევცდი.

ოღონდ კი ბავშვი არ დაკარგოს და ყველაფრისთვის მზადაა. ამით უნდა მისი გული მოიგოს! არავითარ შემთხვევაში! ურთიერთობის აღდგენა გამორიცხულია! რადაც უნდა დაუჯდეს, მაინც დააჯერებს, რომ სალომეს მისი სიმდიდრე არაფერში აინტერესებდა!

— რას აპირებ, მოდიხარ? თუ არ გშია, ისე მაინც გავიაროთ, — გაუმეორა მამაკაცმა.

გოგონას ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ უარი ეთქვა. გასეირნება მართლა არ აწყენდა, მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ სახლიდან ფეხი არ გაუდგამს, მაგრამ ღირს კი? ისევ თავიდან დაიწყება შეგონებები. ის კი დაიღალა ამდენი „არას“ თქმით, დაილა-ლა!

მაინც დათანხმდა.

— კარგი, წამოვალ.

გასეირნება „წარმატებული“ აღმოჩნდა. მამაკაცი ყველანაირად ცდილობდა, მისთვის სიამოვნება მიენიჭებინა. სალომეს მათი პირველი შეხვედრები გაახსენდა. ვაკო ისევ ისეთი თავაზიანი გამხდარიყო, თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი და... მომხიბვლელი... ეს ის მამაკაცი იყო, რომელსაც გოგონამ თავისი გული მიუძღვნა... მაგრამ მას არ შეეძლო, იმ შეურაცხმყოფელი სიტყვების დაჟინება, რომლითაც იმ საღამოს „შეამკო“ ვაკომ. ის სიტყვები არ ავინწყდებოდა... და არც არასდროს დაავიწყდებოდა... ახლა ძალიან კეთილი და თბილი ჩანდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა...

მიუხედავად სალომეს გაუტყუარობისა, მამაკაცი ფარ-ხმალს არ ყრიდა. იგი ყოველდღე მოდიო-

და მარინასთან სახლში, მიჰყავდა სალი და მისი გულის მოგებას, მისი ნდობის, მისი სიყვარულის ხელახლა მოპოვებას ყველანაირად ცდილობდა.

რაზე ფიქრობდა ამ დროს სალომე? რა თქმა უნდა, გამგზავრების გეგმებს აწყობდა. სულით და გულით უნდოდა, ვაკოს გულწრფელობაში ეჭვი არ შეეტანა, შერიგებოდა და სიკვდილამდე მის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ ვერ რისკავდა. ეშინოდა, კვლავ შემოეშვა იგი თავის გულში. კიდევ ერთხელ გულსიტკენას ვერაფრით გადაიტანდა.

არადა, ვაკო მართლაც რომ არაფერს აკლებდა, გამოკვლევების ჩასატარებლად რამდენჯერმე საავადმყოფოშიც კი გაჰყვა. ერთი სიტყვით, მამაკაცი ყველა იმ მოვლენაში აქტიურად მონაწილეობდა, რომელიც სალის ყოველდღიურ ცხოვრებას შეაღებდა... და იგი არათუ ბავშვზე, მასზეც ნერვიულობდა, მასზეც ზრუნავდა. მართალია, ამ ხნის განმავლობაში სიყვარულზე სიტყვაც არ ჩამოუგდია, მაგრამ ისე იქცეოდა, როგორც შეყვარებულ მამაკაცს შეეფერებოდა.

ერთ საღამოს მედვამ დარეკა, სწორედ იმ დროს, როცა ვაკოც მარინასთან იყო. სალომე თბილად ელაპარაკა დედინაცვალს.

— სალო, შეილო, რატომ არაფერი მითხარი ბავშვის შესახებ? — უსაყვედურა ქალმა გერს. — ჩემი ცუდი გოგო. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამაახარე. ნეტავ, შალვაც მოსწონებოდა ამ დღეს! ვინ არის ის ბიჭი, რას საქმიანობს, არ უნდა გამაცნო? შენ როგორ ხარ? ბავშვი ხომ ჯანმრთელადაა?

— მოიცა, მედი, ნუ დამაყარე! — სიცილით აუტყდა გოგონას. — რიგრიგობით გიპასუხებ, კარგი? მარინას ახლობელია, ბიზნესმენი, თუმცა უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს, ვიდრე ბიზნესმენს შეეფერება. ბავშ-

ვიც კარგად არის და მეც მშვენივრად ვგრძნობ თავს. ის ახლა აქ არის...

— და ერთი სული აქვს, როდის გავიცნობ, — გააგრძელა ვაკომ და სალომეს ყურმილი ხელიდან გამოსტაცა.

სანამ გოგონა პროტესტს გამოთქვამდა, მამაკაცმა ისეთი გულითადი საუბარი გამართა „სასიდედრონაცვალთან“, კარგ სტაჟიან სიძეებსაც კი შემურდებოდათ.

— აუცილებლად გავიცნობთ ერთმანეთს, ქალბატონო... და რაც უფრო მალე გამოხვალთ ჩვენთან, მით მეტად გაგვახარებთ... გნებავთ, მანქანას გამოგიგზავნი?.. — არ ჩერდებოდა ვაკო.

გოგონა გაოგნებული მისჩერებოდა. როცა მამაკაცმა ყურმილი დაკიდა, დონიჯშემოყრილმა ქვემოდან ახედა ვაკოს.

— გგონია, ისე მოენონები, რომ აქ დარჩენის სურვილი გაუჩნდება? — ნიშნის მოგებით ჰკითხა.

— უფრო მეტიც — ჩვენს ჯვრისწერასაც სიამოვნებით დაესწრება! — იმავე ტონით უპასუხა მამაკაცმა და გოგონას თვალი ჩაუკრა.

— რომელ ჯვრისწერას გულისხმობ?

— რომელიც მე და შენ უახლოეს დღეებში „გვემოქრება“! — ისეთი თავდაჯერებული ტონით წარმოთქვა ეს სიტყვები, სალომეს გული აუფორიაქდა.

მოკლავს, თუ მის ზურგს უკან რამე აქვს ჩაფიქრებული. დაფიცებული აქვს, რომ „ჰოს“ ვაკო მისგან ვერასდროს გაიგონებს... და ასეც იქნება!

— რაღაც არ მახსოვს, შენთვის ამის თანხმობა მომეცა...

მამაკაცმა იღუმალად გაიღიმა.

— მგონი, მოგიწევს. თუ არ ვცდები, ბოლო დღეებში დაგიბტკიცი, რომ ძალიან ვუხდებით ერთმანეთს.

— მართლა? — ხელები გულზე დაიკრიფა სალიმ. — რა იშვიათი თავდაჯერებულობაა შენი მხრიდან! არაფერიც არ დაგიბტკიცი! ჩვენ ორივემ კარგად ვიცით, რომ ამას მხოლოდ ბავშვის გამო აკეთებ.

მისმა სიტყვებმა მტკივნეულად იმოქმედა მამაკაცზე, მაგრამ გოგონას წარბიც არ შეუხრია. სიმართლე სიმართლეა და მას თვალი უნდა გაუსწორო! — იკითხებოდა მის მზერაში.

— ნუთუ ისევ იმავე წარმოდგენის ხარ ჩემზე? სულ არ მენდობი?

— რატომ უნდა გენდო? როცა ადამიანი





ხმამალა და არაორაზროვნად აფიქსირებს თავის შეხედულებებს და შენს გრძნობებს ფეხქვეშ თელავს, ცოტა ძნელია ამის დავინწყება.

— ღმერთო ჩემო, სალი... რა გემართება? მეგონა, მიხვდი, რომ სინდისმა შემანუხა და ჩემს საქციელს ვინანებ. ყველაფერს ვაკეთებ დანაშაულის გამოსასყიდად, საკუთარი ტყავიდან ვჭრები იმის დასამტკიცებლად, რომ ჩემთვის სულერთი არ ხარ, — ვაკო მიუახლოვდა და მაჯაში ჩაავლო ხელი, — შენ და ბავშვი მთელი ჩემი ცხოვრება ხართ. ორივენი ჰაერით მჭირდებით... როგორც სუნთქვა, როგორც წყალი, ცეცხლი, მინა, პური... ძალიან გთხოვ, დამიჯერე.

მაგრამ მაინც არ უთხრა, მიყვარხარო... ნინადადება, რომლის გაგონებაც ვეცდებოდი ოცნებობდა, არ ითქვა... ხელს გათავისუფლება არ უცდია, მაგრამ გულში რაღაც ჩასწყდა... ბოლო დროს ვაკოს მისი კონცა კი არ უცდია. მხოლოდ ლოყაზე თუ შეეხებოდა ყოველი მისალმებისა და გამომშვიდობების დროს. ეგ იყო და ეგ. ეს კი სწორედ იმაზე მეტყველებდა, რასაც სალომე ვარაუდობდა.

მოულოდნელად კვლავ დარეკა ტელეფონმა. უეცარმა ზარმა ორივე შეაკრთო. ყურმილი სალიმ აიღო.

— ავთო?! — უცნაური ხმით წამოიძახა.

— როგორ ხარ? რა არის, სულ რომ დამივიწყე? ერთხელ არ უნდა დაგერევა? ჩემს საქმეს მომავალ კვირას იხილავენ. მეგონა, ჩამოხვიდოდი და ასეთ დროს მაინც დამიდგებოდი გვერდში. ასეთი რა დაგიშავე? — საყვედურებით აავსო ყოფილმა ქმარმა.

— რა უცნაურია, ასეთი პრეტენზიები რომ გაგიჩნდა! — ოდნავ დაუნია ხმას გოგონამ. — ხომ არ დაგავინწყდა, მე და შენ განქორწინებული რომ ვართ? სულაც არ ვარ ვალდებული...

— ძალიან გთხოვ, ასე სასტიკად ნუ მომექცევი! ამ ისტორიამ შეიძლება, ჩემი ცხოვრება სამუდამოდ გაანადგუროს. დამეხმარე!

— ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა იმ ვილაცას აუპატიურებდი!

— რას ამბობ, რა გაუპატიურება! შენ გჯერა ამ სისულ...

სალომემ ყურმილი მთელი ძალით დაახეთქა... უფრო იმიტომ, რომ დაინახა, როგორ წამოდგა ვაკო დივანიდან. მიხვდა, მამაკაცი ამჯერადაც გამოსტაცებდა ყურმილს ხელიდან და დაასწრო.

— რატომ არ დამალაპარაკე? — მშვიდად ჰკითხა მამაკაცმა და თვალი თვალში გაუყარა.

— ღმერთო, რა ნაძირალა! იმ ყველაფრის შემდეგ, რაც გამიკეთა,

როგორ ბედავს ჩემთან დარეკვას! ვაკო სმენად იქცა.

— ამისთანა რა გაგიკეთა, ბოლოს და ბოლოს, არ მეტყვი?

— არ მინდა, წარსულის გახსენება, — წაიჭურჩულა გაფითრებულმა და პარმალზე გავიდა, იგრძნო, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა.

მამაკაცი უკან მიჰყვა. რა გაუკეთა?! — თავისთვის აგრძელებდა ფიქრს სალომე. — ამას ხმამალა როგორ იტყვის? თანაც მასთან? შეუძლებელია! როგორ უთხრას, რომ მასაც ისევე აუპატიურებდა, როგორც იმ ვილაცას... ძალის გამოყენებით ამყარებდა ცოლთან სექსუალურ კონტაქტს იქ, სადაც მოესურვებოდა და მაშინ, როცა ამის ხასიათზე დგებოდა... ცოლის გრძნობები არასდროს აინტერესებდა. განა ამას გაუპატიურება არ ჰქვია? შეიძლება, ტერმინოლოგია ზუსტად არ მიესადაგება მის საქციელს, მაგრამ განა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევ ასეთ ქმედებას?

— მითხარი, — ჯიუტად მოითხოვდა ვაკო. სალომე ბალში ჩამავალი კიბეზე დაეშვა.

— შინ წადი, ვაკო... გთხოვ... — ოდნავ გასაგონი ხმით სთხოვა გოგონამ.

მამაკაცი გაშრა. ის იყო, სალის ბოლო საფეხური უნდა ჩეთავებინა, რომ უეცრად თავბრუ დაეხვა და შებარბაცდა. ვაკომ ვერ მოასწრო ხელის შემწვება... გულწასული გოგონა მინახე გაიშხლართა... გულგახეთქილმა ვაკომ ისლა მოიფიქრა, მობილური მოემარჯვებინა და „სასწრაფო დახმარება“ გამოეძახებინა. მერე გონდაკარგული სალი ხელში აიტატა და ოთახში შეარბენინა.

სანამ „სასწრაფო დახმარების“ მანქანა მოვიდოდა, სალომე გოს მოვიდა. მან უღონოდ შეარხია მკლავები და ჩამქრალი თვალებით შეხედა მის საწოლთან ჩამოქვადარ მამაკაცს.

— რა მოხდა?

— კიბიდან დაგორდი. ექიმი მალე მოვა.

— არ მჭირდება ექიმი, კარგად ვარ, — თქვა და წამოდგომა დააპირა.

— არ გაინძრე, გთხოვ. ასე უფრო უსაფრთხოდ იქნები. იქნებ არც შეიძლება, შენი ადგომა. „სასწრაფოს“ დაველოდოთ. გტკივა, რამე?

— მგონი, არაფერი. „სასწრაფო დახმარება“ რეკორდულად მოკლე დროში მოვიდა. თავის დაზღვევის მიზნით, ექიმმა გოგონას საავადმყოფოში გადაყვანა არჩია...

ვაკო თავისი „მერსედესით“ უკან მიჰყვებოდა „სასწრაფოს“ მანქანას. უკიდურესობამდე ღელავდა. ბავშვს რომ რამე დამართოდა, ვერასდროს აპატიებდა თავის თავს. რატომ გან-

ერვიულდა სალი ასე? ყოფილი ქმრის ზარმა შეამფოთა? ღმერთო, რა ემოციურია! რა უნდოდა, რას ურეკავდა? ხომ უკვე გაშორდნენ ერთმანეთს, რატომ უშლის ნერვებს? არადა... თვითონ უარესად არ ექცეოდა ბოლო დროს? რითია ავთოზე უკეთესი? თავისი სიჯიუტით და უხეშობით განა ნაკლები ტკივილი მიაყენა საყვარელ ქალს? მორჩა, ეს მეტად აღარ განშეორდება! არასდროს, არასდროს აწყენინებს სალის, სიცოცხლის ბოლომდე!

სანამ სალომეს გამოკვლევებს უტარებდნენ, ვაკო დერეფანში ბოლთას სცემდა. დრო გაიწვია. ასე ეგონა, ათი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც გოგონა გინეკოლოგის კაბინეტში შეიყვანეს.

როგორც იქნა, ექიმიც გამოვიდა. — ცოლად არის საქმე? — შემფოთებული მიეჭრა ვაკო, რადგან ექიმს კარგი ამბისთვის ზედმეტად სერიოზული სახე ჰქონდა.

— სამწუხაროდ, ძალიან დიდია იმის შანსი, ქალბატონს მუცელი მოეშალოს. საავადმყოფოში უნდა დავტოვოთ, მას სრული სიმშვიდე სჭირდება.

ვაკოს შეამცივნა... ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სხეული ეყინებოდა.

— თვითონ... თვითონ როგორ არის?

— თვითონ არა უშავს.

— ბავშვი?

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მის შენარჩუნებას შევძლებთ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს დავამატებ. — შეიძლება, ვნახო? — ძლივს ამოლერდა, რადგან ყელთან მოხვენილმა ცრემლებმა თავისუფლად ლაპარაკის საშუალება არ მისცა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ღრიალი მოუხდა.

„ჩემი ბრალია ყველაფერი, მე ვარ დამნაშავე“, — ერთსა და იმავეს იმეორებდა გონებაში.

— მხოლოდ რამდენიმე წუთით, — ნება დართო ექიმმა.

სალომე პალატაში გაუნძრევლად იწვა. უსუსური და დაუცველი ჩანდა. ცარცივით გასთეთრებოდა პირისახე. ამის დანახვაზე მამაკაცს გული მოეწურა.

— სალი... მამაკაცი... — ჩაიმუხლა და მის ხელს ხელი შეახო.

სალომემ სუსტად გაიღიმა.

— რისთვის? შენ რა შუაში ხარ, მე თუ დავეცი.

— ექიმმა ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა დარჩესო.

— კარგი... — გოგონამ თვალები მილულა.

— სალი... — ბატონო... — მიყვარხარ... — ზედ ყურთან უჩურჩულა ვაკომ, მაგრამ მისი სი-



ტყვები სალის არ გაუგონია... მას უკვე ეძინა.

საავადმყოფოს ეზოში მარინას შეეჩხრა. ქალს სახე შეშლოდა.

— დავიღუპეთ? — განწირული ხმით წამოიძახა.

— გადავრჩით, მაგრამ მაინც დატოვეს. ასე ჯობია, მარი. ახლა სძინავს, არ ღირს მისი შეწუხება.

ორი კვირა იწვა საავადმყოფოში. ექიმებმა ბავშვის შენარჩუნება შეძლეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაკო გვერდიდან არ მოსცილებია, დილასალამოს დადიოდა მის სანახავად. როგორ უნდოდა სალის, ეკითხა მისთვის, იმ დღეს მართლა უთხრა, მიყვარხარო, თუ დამამშვიდებელით გაბრუებულს მხოლოდ ჩაესმა? მაგრამ ვერა, ამის კითხვა ვერ გაბედა. თან რცხვენოდა, თან ეშინოდა, — ვაითუ, მხოლოდ მომესმა და მსგავსიც არაფერი წამოსცდენიაო.

მეთხუთმეტე დღეს გამოწერეს. შინ მისულს სიურპრიზი ელოდა — მედეა დახვდა სახლში. დედინაცვალი დიდხანს ეფერებოდა გერს და ხელებს უკოცნიდა. სალომეს გული აუჩუყდა. როცა ერთმანეთის მოსიყვარულებით გული იჯერეს, სალომემ ვაკოს გახედა.

— მოდი, დედა გაგაცნო... მედი, ეს ვაკოა, ჩემი შვილის მამა...

ქალს ნიკაპი აუცახცახდა გერის სიტყვებზე. ცრემლებმა თვალები დაუბინდა... „დედა“... ეს სიტყვა სალიმ პირველად წარმოთქვა, რაც თავი ახსოვს...

ემოციებით აღვსილი მედეა მამაკაცს გადაეხვია.

— სწორედ ასეთი წარმომედგინეთ, შვილი, ლამაზი და საყვარელი... ძალიან გაუმართლა ჩემს გოგოს.

— ოოო! უდიდესი შრომა დაგჭირდებათ, ქალბატონო, თქვენი ქალიშვილი ამაში დაარწმუნოთ, — გაიხუმრა სასიძომ.

ცოტა ხნის შემდეგ მარინა და მედეა ოთახიდან გავიდნენ და წყვილი მარტო დატოვეს. ვაკომ უხერხულად ჩაახველა და სალაპარაკოდ მოემზადა.

— სალი... შეიძლება, ახლა არც დროა შესაფერისი და არც ადგილი, მაგრამ რაღაც აუცილებლად უნდა გითხრა. მეტის დალოდება არ შემიძლია.

სალომე მოიღრუბლა. შესავალი სიტყვები თითქოს საგანგაშოდ ჟღერდა. ალბათ კვლავ ბავშვზე დაუწყებს ლაპარაკს. ალბათ ისევ დააძალეებს, შვილი მას დაუთმოს. მართალია ვაკო, ახლა არც დროა შესაფერისი და არც გარემო, რომ იკმათონ. ჯერ არც კი გამოკეთებულა ბოლომდე. ეს-ესაა, საავადმყოფოდან გამოწერეს. ოდნავ წამოჯდა სანოლში და საშინელების მოლოდინში გაისუხა.

— ვიცი, რომ ძალიან ცუდად

მოგექცევი... და არც არასდროს დაგადანაშაულებ, თუ ამას ვერ მამატიებ... მაგრამ როცა ყველაფერი გავიგე, იმდენს ვეცადე, იმდენს... მინდა, დამიჯერო... ასეთი გულწრფელი დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. მიყვარხარ... მთელი გულით... მთელი ჩემი არსებით მიყვარხარ...

სალის თვალები გაუფართოვდა. ესე იგი, მაშინ კი არ მოესმა, ვაკომ მართლა უჩრჩხულა ეს სიტყვები საავადმყოფოში... ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. ღმერთო, ამდენი თვეა, ამ სიტყვების გაგონებაზე ოცნებობს! თან უხაროდა, თან სიხარულის გამოსატვის ეშინოდა, ვაითუ, მესიზმრება და შეცრად ყველაფერი გაქრესო.

— მითხარი რამე, სალი, გთხოვ... მითხარი. მას არასდროს უნახავს ვაკო ასეთი შეცბუნებული, თავის თავში ასეთი დაურწმუნებელი. ის ყოველთვის ძლიერი ჩანდა, ქედმოუხრელი, მოუდრეკელი... რა დაემართა?

— რა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებს ამის მოსმენა, ვაკო, მაგრამ...

— მაგრამ პატიება არ შეგიძლია, არა?

— მე ეს არ მითქვამს... — მაგრამ ასე ფიქრობ.

— სიმართლე გითხრა... — სალის, მისდა უნებურად, ღიმილი გადაეფინა სახეზე, რადგან მიხვდა, რომ საბოლოო გადანაცვლებამდე შეცრად მივიდა, სიცოცხლე ხომ ასე ხანმოკლეა. — მეც მიყვარხარ...

მამაკაცი გამოცოცხლდა. — სერიოზულად? — ჰო!

— რით შეგიძლია, დამიმტკიცო? რაღაც არ მჯერა შენი, — ეშმაკურად შეხედა.

— კოცნა საკმარისი იქნება? — ბავშვურად შელიმა გოგონამ.

— არ ვიცი, ვნახოთ... ჯერ მოვსინჯოთ, მერე განვსაჯოთ! — გაიხუმრა ვაკომ, მისკენ გადაიხარა, ხელები თავქვეშ ამოსდო და ტუჩებზე დაეკოცნა...

დრო თითქოს გაჩერდა...

ჯერისწერა სამების ეკლესიაში შედგა, ქორნილი — რესტორანში. ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებულ სალომეს თავი ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა. მოულოდნელად ვილაც სანდომიანი, ორმოცდაათიოდე წლის ქალბატონი მიუახლოვდა და გადაკოცნა.

— გილოცავთ, სალომე, ღმერთმა

ერთმანეთს ტკბილად შეგაბეროთ. ჭკვიანი გოგო ყოფილხართ, ამ ჭირვეულის მორჯულება რომ შეძელით, — ღიმილით დააყოლა ქალმა.

— უკაცრავად? — გოგონას გაკვირვება გამოეხატა სახეზე, რადგან მისთვის ეს ქალბატონი სრულიად უცხო იყო.

— მე თათა ვარ, ვაკო ლუდუშაუ-



რის მენეჯერი.

— თქვენ-ენ? ეს თქვენ ხართ? — სალომეს თვალები შუბლზე აუვიდა, ახალგაზრდა, მომხიბვლელი მენეჯერის ნაცვლად, ხელში სულ სხვა ადამიანი შერჩა, — მე კი როგორ ვეჭვიანობდი თქვენზე! — გულწრფელად აღიარა გოგონამ, რადგან ახლა ამის დამალვას აზრი არ ჰქონდა.

— რას ამბობთ! ეგ რამ გაფიქრებინათ! — შეიცხადა თათამ და სასიამოვნოდ გაიცინა. — თქვენამდე ბევრმა სცადა მისი, ასე ვთქვათ, მახეში გაბმა, მაგრამ ყველამ სრული მარცხი განიცადა. თქვენ, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ხართ.

ამ დროს სალომეს ზურგიდან ვაკო მოეპარა და ხელები მოხვია.

— რაზე ჭორაობთ, მანდილოსნებო?

— განსაკუთრებულ ქალებზე, — ორაზროვნად უპასუხა თათამ, სალომეს თვალი ჩაუკრა და სტუმრებს შეერია.

— ვა! ეგეთებიც არსებობენ? — ვაკომ თავისკენ შემოატრიალა პატარძალი და თვალები ეშმაკურად მოჭუტა. — რომელიმე მათგანს ხომ არ გამაცნობდი, სალი?

— აუცილებლად! ეგ ბედნიერება ამაღამ არ აცდებდა. — უპასუხა გოგონამ, სიყვარულით სავსე მზერა მიანათა ოცნების მამაკაცს და მკერდზე მიეხუტა...

დასასრული

გზის გზნიღლები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო დასიცხულო (პირველ რიგში თქვენ მოგიკითხავთ), დასვენებულო, პლაჟზე წამოწოლილო, ჰამაკში წამოკოტრილებულო თუ სამსახურში ოფლმოდენილო მგზავნებულო. როგორ ხართ? ვინც ქალაქში ვართ დარჩენილი, სიცხეს ვუძლებთ, დანარჩენები — დასვენებას. ისე, შვებულების მერე 2 კვირას კიდევ უნდა აძლევდნენ ადამიანს, შვებულებ-ისგან დასასვენებლად, რადგან კურორტზე მყოფი ადამიანები უბრალოდ, ყოველდღიურობისგან ისვენებენ, თორემ ისე მე მგონი, უფრო იღლებიან — უძილობისგან, სიარულისგან და მოგზაურობისგან. ახლა კი ერთი სიახლე-სიახლე? არა, უფრო სიძველე, მე მგონი: გადავწყვიტე, გზავნილების ბოლოს ისევ თემა მოგცეთ ხოლმე (აპლოდისმენტები საჭირო არაა). მომდევნო ნომრის თემად ზაფხული ავირჩიოთ. უფრო ზუსტად, „გზავნილების“ ბოლოს იხილეთ. ახლა კი თქვენი მესიჟები.



გულმოწყალე „განგსტერი“

„ერთ კახელ კაცს ქალაქიდან მეგობრები ესტუმრნენ. მეორე დილას სანადიროდ წავიდნენ. ვერაფერი მოინადირეს და დაბრუნდნენ. გზაზე რომ მოდიან, მასპინძელმა უთხრა ერთ-ერთს: ბიჭო, ახლა მე დავდგები 50 მეტრში, აი ეს ჟაკანი მესროლე და ვერ მომხვედრებო. მოკლედ, ბევრი კამათის შემდეგ იქუხა თოფმა და ჩვენი მასპინძელი უკანაღზე ხელებათარებული დაასკდა მიწას. :)“ ახლა რაშია მთელი ეფექტურობა: თურმე მასპინძელმა ერთი ვაზნა მარტო ასაფეთქებელი წამლით გატენა, მხოლოდ ხმა რომ ჰქონოდა. იფიქრა, ქალაქელებს ავაგდებ, სანაძლეოს მოვუგებო და სწორედ ის ვაზნა მიანოდა სტუმარს, სასროლად. სტუმარს უფიქრია, ეს ძაან მსხვილი საფანტია, რომ ვესროლო, მოვკლავო, ის ვაზნა შეცვალა მეორე ვაზნით, რომელიც ჩიტის წვრილი საფანტით, ე.წ. ბუკასინით იყო გატენილი და ის ესროლა, თან პირდაპირ საჯდომზე და წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნებოდა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ძალიან გულმოწყალე „განგსტერი“ კი გამოდგა ქალაქელი სტუმარი, არა? :)“ ეჰე, მოკითხვა კახეთს და ყველა რისკიან მონადირეს. :) 9717“.

ორცოლიანი და მატყუარა

„მინდა ერთი ამბავი მოგიხსნათ, რომელიც ამ გაზაფხულზე გადამხდა... ერთხელ მასწავლებლისგან ძალიან დაღლილი მოვდიოდი. თონეში გამოვიარე, პური მიწოდდა, წამელო, იქ იმდენი ვილაპარაკე, ვერც გავიგე, ისე გავიდა ნახევარი საათი. თონის მეპატრონესთან ვმეგობრობდი და შევეყვი ლაპარაკს. იქ ერთი კაცი იყო, მაშინ ყურადღება არც მიმიქცევია მისთვის. რამდენიმე დღის შემდეგ კი მომივიდა მესიჯი, რომლის ავტორიც ის ბიჭი იყო და ჩემი გაცნობა სურდა. მე ვუთხარი, მარ-

სოლიანი შაჰპარაბულაზისა და ბაპარული, „კრუპოი“ და გაჭირვებული მშობლების ამბავი

ტო მეგობრობა შემოიძლია, შემოგათავაზო-ზო-მეთქი. კარგიო. იმ დღის შემდეგ ხშირად მწერდა, თან ჩემს უბანში ცხოვრობდა და ყოველდღე ვხვდებოდით. როცა მეორედ შემხვდა, მაშინ დავაკვირდი, ფიზიკურად რა კარგი ყოფილა. ისეთი, როგორც ყოველთვის ვიცნებობდი. მალე გამომიტყადა, რომ 10 წლის შვილი ჰყავდა, მაგრამ ცოლთან დაშორებული იყო. მე შოკში ვიყავი, მაგრამ იმდენად მომწონდა, ამაზე თვალები დავხუჭე. შემდეგ ისევ ვხვდებოდით, სიყვარულს მეფიცებოდა, ხან სად მეპატიუებოდა, ხან — სად, მაგრამ არასად დავყვებოდი. ერთადერთი, პარკში თუ ვსეირნობდით ხოლმე... ერთხელ იმ თონის მეპატრონემ დამირეკა და მითხრა, უნდა გნახო, აუცილებელი საქმე მაქვსო, შეხვდი. ძალიან შენუხებული ჩანდა. მითხრა, რომ გიორგის (ჩემს ე.წ. შეყვარებულს) მეორე ცოლიც და ბავშვების მთელი ინკუბატორიც ჰყოლია. თან ყველაზე საშინელება ის იყო, რომ ცოლთან უბრალოდ ნახუბარი და სახლიდან დროებით იყო წამოსული. ეს მისმა ცოლმაც დამი-დასტურა. მეორე დღესვე მივახალე ყველაფერი პირში. გიორგიმ იუარა, ისევ დაინყო ტყუილები, მაგრამ არ დავიჯერე და დავშორდი. ისევ მირეკავდა. მერე მითხრა, ჩემს ცოლს რატომ დაურეკე, თუ რამე გაინტერესებს, მე მკითხო. რამდენიმე დღეში კი გავიგე, ცოლს შერიგებია... ამ რამდენიმე დღის წინ ისევ მომწერა, სიყვარულს მეფიცებოდა, შენს დაკარგვას ვერ გადავიტანო (ეტყობა, ცოლთან იკამათა და მე „ზაპასად“ ვუნდოდი), მე კი მინასთან გავსაზროვე. ბოლოს პატიება მთხოვა, მაგრამ ვერ ვაპატიე. ღმერთმა აპატიოს. აი, ასეთი არამზადებიც არსებობენ... ამის შემდეგ ამიცრუვდა მამაკაცებზე გული. კაემანიშა“.

გაპარული მამა

„ყველაფერი ზუსტად 2 წლის წინ დაიწყო. მამამ გვიტყრა, რომ უკრაინაში სამსახურის გამო უნდა წასულიყო და დედაჩემიც დათანხმდა, მაგრამ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. წავიდა და თან თავისი საყვარელი გაიყოლა. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ჰქონია. ყურადღებას საერთოდ აღარ გვაქცევს, ახალ მუშავესთან ტყუპი ჰყავს და ჩვენ (21 წლის და უმცროსი ასაკის კიდევ 3 შვილი) მიგვატოვა. დედიკო 24 საათი მუშაობს, რომ არაფერი მოგვაკლდეს. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ, მე ვსწავლობ, მაგრამ ძლივს ვიხდით სწავლის გადასახადს. მინდა, ცხოვრებაში რამეს მივადნო. ამ ყველაფრით კი იმის თქმა მინდა, რომ მშობელი გილაღატებს, ოღონდ, დედა არა, მამა კი ისე გაგიყიდის, ვერ მიხვდები. ამიტომ გაუფრთხილდით დედას. რომც გათხოვდეს, შვილს არ უღალატებს. მაიკო, 19 წლის“.

„კრუტი“ დედა

„ერთ დღეს მე და დედა სახლში

მივდიოდით. ერთ ავტობუსში ავედით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახლამდე არ მიგვიყვანდა. დედამ თქვა, ცოტა ხანი ვიმგზავროთ და მერე სხვა ავტობუსს დავგვილოდოთო. ისე მოხდა, რომ ჩემს სახლთან მიმავალი, ავტობუსი უკან მოგვეყვებოდა. დედაჩემი ასეთ შანსს გაუშვებდა ხელიდან? მაგრამ სანამ ჩვენ ავტობუსიდან ჩავიდოდით, ის გაგვასწრებდა. ასე უშედეგოდ, დიდხანს „ვიგონკავით“, მაგრამ ერთ გაჩერებაზე ავტობუსებმა ერთდროულად გააჩერეს. დედაჩემმა ჩამჭიდა ხელი და თქვა — ან ახლა, ან არასდროსო (ამ ამბავში ვილას ახსოვდა ბილეთი). ორივე ერთად ჩავხტით და ჩვენი ავტობუსისკენ გავიქვეით, მაგრამ წინ კონტროლიორი გადაგვეღობა, თქვენი ბილეთებიო. დედაჩემი ისე იყო გაშტერებული, რომ კონტროლიორი ვერ შეამჩნია და ხელი ჰკრა. როდესაც 5 ნომერში ჩავსხედით, ამოვიხსენეთ, მაგრამ დედაჩემს მთელი გზა გაოცებული ვუყურებდი. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი რამის გამკვეთბელი თუ იყო. ანა“.

ნაპოვნი ბედნიერება

„არცთუ ისე ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ახლა რომ ვფიქრობ, არც სიყვარული გამომიცდია. შეიძლება, ბევრს გაეცინოს ამაზე, მაგრამ ასეა. გათხოვილი ვიყავი, შვილიც მყავს, მაგრამ 5 წელია, მეუღლეს დავშორდი. მიხვდი, რომ არ მიყვარდა. დიდი ხანი მარტო ვცხოვრობდი და მოულოდნელად, ჩემი ცხოვრება შეიცვალა. გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც არ უნდა შემეყვარებოდა, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ამ გრძნობისთვის სიცოცხლის ბოლომდე ვიბრძოლებ. თურმე არსებობს ნამდვილი სიყვარული. არადა, ცოტა ხნის წინ სიცოცხლე მძულდა. ჩვენი ბევრს შურს. მინდა, ჩემმა სიყვარულმა ეს გაიგოს და ქვეყნის წინაშე ვალიარო. მისთვის სიცოცხლესაც დავთმობ. მიყვარხარ, ჩემო სიყვარულო. უშენოდ უბედური ვარ. გოგონებო, იმედი არ დაკარგოთ, სიყვარულს დეი თქვენც გაგიმართლებთ. ნატა“.

ამბავი სიყვარულისა

„ერთ-ერთ ქვეყანაში უბედნიერესი წყვილი ცხოვრობდა. ბედნიერებისთვის არც ფული აკლდათ და ბევრი შვილიც ჰყავდათ. თუმცა, გავიდა დრო და ქალმა მეუღლეს განქორწინება მოსთხოვა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ როცა ქალი წიგნის კითხვას დაიწყებდა, მეუღლე გადააფრცვლინებდა და მის დასასრულს აკითხებდა. შემდეგ კი ქალი წიგნის კითხვას გულს ვეღარ უდებდა. P.S. ეს ამბავი ნამდვილია. გველამა“.

მადლობა

„გამარჯობა, მარი. მე თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ. 3 წელია, საბერძნეთში მოუთმენლად ველი ყოველი კვირის გათენებას. ერთ მშვენიერ

დღეს ჟურნალის საყიდლად წასულს ასეთი კურიოზი შემემთხვა: ერთ-ერთ გაჩერებაზე, ავტობუსში ყავარჯნით მოხუცი ქალბატონი ამოვიდა. წინა რიგში 2 გოგო იჯდა. ადგილიდან არ დაძრულან. მე მათ უკან ვიჯექი და მაშინვე დავუთმე ადგილი. მკითხა, საიდან ხარო. ვუთხარი ამაყად, ქართველი ვარ-მეთქი. შებრუნდა ხალხისკენ და თქვა: ვიცოდი, საქართველოში გულიანი და კულტურული ხალხი ცხოვრობდა და აი, სად გამოჩნდა მათი კულტურა, — ხელი გაიშვირა, — ამ გოგონებმა არ დამითმეს ადგილი, ამ ქალბატონმა კი დამსვაო. გული სიამაყით ამევსო, ჩემი საქართველო რომ შეაქო. გოც-ნით. ნიტა“.

პატარა „ლოთი“

„დათუნა ჩემი ბიძაშვილის 3 წლის შვილია. ერთ საღამოს დათუნა რამდენიმე ბავშვთან ერთად თამაშობდა და ერთ-ერთი, 3 წლის ლუკა დათუნამ გააბრაზა და მათ შორის ასეთი დიალოგი შედგა:
— დათუნა, გცემ!
— აბა, მიდი, მცემე!
— იცოდე, მართლა გცემ!
— დაიცადე, ჯერ დავთვრე და მერე ვნახოთ, ვინ ვის სცემს!“

გაჭირვებული მშობლები

„ალბათ მართლა ძალიან ძნელია, ორი სრულიად განსხვავებული აზროვნების ადამიანის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. დიდი ხნის წინ, ნანასა და ნიკას შორის ერთი ნახვით გაჩნდა რალაც გრძნობა, თუმცა ორივესთვის ამოუცნობი იყო ეს გრძნობა. ფაქტია, სიყვარული მათ შორის არ არსებობდა, რადგან ერთმანეთი მაშინ ახსოვდათ, როცა ერთად იყვნენ. სხვა შემთხვევაში ერთმანეთის არსებობაც კი ავინევდებოდათ. დრო გავიდა, მათ შორის ისევ იყო ის, რალაც ამოუცნობი გრძნობა. არ ვიცი როგორ, მაგრამ მაინც დაოჯახდნენ. ნიკამ კარგად იცოდა, რა ევალეობდა. მუშაობდა, ნანას სითბოთი და სიყვარულით ანებივრებდა, არაფერს აკლებდა, მაგრამ ნანა არც ისეთი მშვიდი და დამყოლი აღმოჩნდა, როგორც თავიდან ჩანდა. მუშაობის დაწყება მოინდომა, იმის მიუხედავად, რომ ამის არანაირი საბაბი არ ჰქონდა, არც ფული აკლდა და არც სხვა რამ. მალე დაფხმძიმდა კიდევ და გოგონა, ქეთი გააჩინა. ცოლქმარი გაუთავებლად ჩხუბობდა. ქალს მუშაობა უნდოდა, კაცი ამის უფლებას არ აძლევდა. ნიკას ოჯახის დანგრევა არ უნდოდა, ყოველდღე უმტკიცებდა ნანას, რომ მისი მუშაობა არ იყო საჭირო, მაგრამ ქალი ჯიუტად იცავდა თავის პოზიციას. ერთ დღესაც, შვილთან ერთად სახლიდან გაიქცა. დამოუკიდებელი ცხოვრება და შვილის მარტო რჩენა იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. ბოლოს ისე გაუჭირდა, რომ ქმართან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ნიკამ აღარ მიიღო. ნანა მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. გაჭირვე-

„შენს ლამაზ სხეულს ყვავს ნუ დააჯიჯგინებ“

„ლოკვა“ რომ მამაშენზე ღიღია, „ტახავს“...

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა 22 წლის ანას მესიჯი, რომელიც გენერდა, რომ 52 წლის კაცი შეუყვარდა და ბედნიერებისგან სწორედ მისი ასაკის გამო იკავებს თავს. „რაც მთავარია, მასაც ძალიან ვუყვარვარ და გვინდა, ერთად ვიყოთ. გთხოვთ, თავი ჩემს ადგილას წარმოადგინეთ და მიჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

ლიკა ქავაია

ბრუზინკა:

„სამწუხაროდ, ასაკში სხვაობა იმდენად დიდია, რომ მემინია, ისეთი რამ არ გირჩიო, რაც გულს გატკენს. სიყვარული ძალიან კარგია, მაგრამ რა იქნება 5 წლის შემდეგ? ამაზე გიფიქრია? შენი ოჯახი თქვენს კავშირს დალოცავს? — ძალიან მეჩქვება. მინდა, ჩვენი რჩევები შენს ვითომდა მომავალ მეორე ნახევარს წააკითხო და დაე, ამის შემდეგ თავად გადაწყვიტოს, როგორ უნდა მოიქცეს. შენ თუ გამოუცდელი და პატარა გოგო ხარ, ის ხომ საკმაოდ გამოცდილია?! არა მგონია, ამხელა კაცი ეგოისტურად მოიქცეს. მასთან ყოფნას არ გირჩევ!“

დიდა ნათო:

„რამ გადაგრიანა? დავიჯერო, ამქვეყნად ბიჭები დაილია? მგონი, ის კაცი ბაბუჯად შეგეფერება. შვილი, შენს ლამაზ სხეულს ყვავს ნუ დააჯიჯგინებ.“

ნათია 24:

„თუ გიყვარს და მასაც უყვარხარ, ბედნიერებას ნუ დაკარგავ. ჩემი ქმარი ჩემზე ბევრად დიდია, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ბედნიერები ვიყოთ.“

მისტარ:

„მაპატიე, მაგრამ დებილი ხარ თუ ასეთი „ვიდი“ გაქვს? შენ 52 წლის, „ახალგაზრდოფილის“ სიმპტომით დაავადებული მანიაკი გიყვარს. დაუყოვნებლივ გაშორდი. ეუ, რა „პლაყი-პლუყი“ „ნაროდი“ მოდის, რა. P.S. ლიკა, ჩემი სიტყვები კვაზიმოდოს სიფათივით რატომ დაამახინჯე? მე ხომ ერთად „არ“-გაზრდილი გოგოს ვგულისხმობდი და არა ერთად გაზრდილს? სისწრაფისგან შესივებს გარკვევით ვერ კითხულობ თუ ფრაზების გაინტრიგების სურვილი გამოძრავებს? (ჩემო კარგო, ეტყობა ვერ მივხვდი, იმ მესიჯში „ერთად არგაზრდილს“ შეგნებულად თუ წერდი. თუ „ესემესებს“ შენებური ქართულით აღარ მომწერ და არც ახალი სიტყვების დამკვიდრებას შეეცდები, მაშინ შეცდომისგან დაზღვეული ვიქნებით მეც და შენც. — ავტ.)“

უცნოვო:

„ჩემი აზრით, დასაძრახი არაფერი გჭირს. არ მესმის, თავს რატომ იკავებ? თუ ერთმანეთი გიყვართ, ბედნიერები



უნდა იყოთ, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?“

EKO BOY:

„მართალია, „გზა“ მომბეზრდა და მას იშვიათად ვკითხულობ (დედაჩემი ყიდულობს, წიგნების გამო), მაგრამ თვალი მოვკარი სათაურს: „52 წლის კაცი შემიყვარდა“ და სიცილით მოვკვიდი. საინტერესოა, რამდენი არანორმალურია ამქვეყნად? 52 წლის კაცმა რით მიგვიზიდა? მასთან ურთიერთობას თუ გადაწყვეტ, ჩათვალე, რომ მომავალი არა გაქვს (ეკო, „გზა“ თუ მოგებურდა, შეგიძლია, თვალიც აღარ გადაავლო და არც ჩვენი ჟურნალის მკითხველების გამო ინტერვიულო. პროზა შეგიძლია, „გზის“ გარეშეც შეიძინო — 6 ლარად. და კიდევ, ამ „მომბეზრებას“ სხვა მიზეზი ხომ არა აქვს? სიმართლე კაცურად უნდა თქვა ანუ თუ იმას ამბობ, რომ ჟურნალი გაბანძდა (რა თქმა უნდა, მხოლოდ შენთვის), იქნებ ამის მიზეზიც დასახელო. მაპატიე, თუ ჩემს ნათქვამს ბევრი პილპილი მოგაყარე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო — მე ხომ მეგრული ვარ და ცხარეებზე ვვიყუდები. — ავტ.)“

პანუკა:

„ჩემო კარგო, შენს გაკიცხვას არ ვაპირებ, რადგანაც სიყვარულის უფლება ყველას გვაქვს. ღმერთმა სწორ გზაზე დაგაყენოს და შენი სიყვარული არ დაგაკარგვინოს. უფალი გვარაჯდეს!“

გურული გუბია:

„შენს მდგომარეობაში შევდივარ. პირადი ბედნიერების გამო ყველაფერს ზურგი რომ აქციო, რთულია, მაგრამ გჯეროდეს, თუ თქვენ შორის წრფელი გრძნობაა, უფალი დაგცხმარებათ და ყველაფერი კარგად იქნება!“

რუსიპირი:

„ქართული მხატვრული ფილმი — „იმერული ესკიზები“ ხომ გახსოვს? იქ არის კადრი, როცა ხალხი „ტიტუს“ ნივლით მიდის სამძიმარზე. ჰოდა, აი, ასეთი „ტიტუუუუთი“ ვინცე ჩემი აზრის დაფიქსირებას. ნეტა მაშინ, როცა ღმერთი ტვინს არიგებდა, შენ გეძინა? ბოდიში, მაგრამ უჭკუო ხარ. შენი „ლოკვა“ რომ მამაშენზე დიდია, ამდენს ხვდები და აანალიზებ? „ბრმა სიყვარულიც“ გამიგონია და ზოგჯერ, განსაზღვრულ ასაკობრივ სხვაობასაც შეგუება ადამიანი, მაგრამ 30 წლით უფროსი კაცის შეყვარება? — ეს მეტისმეტია! დაფიქრდი, ახალგაზრდა გოგოს ბაბუისტოლა კაცი დაგაკმაყოფილებს? თავი შენს ადგილას წარმოვიდგინო ანუ მე 47 წლის ქალი რომ შემეყვარდეს? — ბებია მყავს, 56-ის :))“

თაქრო:

„აუ, არ ვიცი, რა გირჩიო. ძალიან პატარა ხარ და აჯობებს, ის კაცი დაივიწყო. ცუდად არ გამიგო, შენთვისვე აჯობებს ასე თუ მოიქცევი. ღმერთი გვარაჯდეს!“

ნინო 77:

„იცი, სიყვარული დასაძრახი არაა, მაგრამ დამიჯერე, 52 წლის კაცთან ცხოვრება გაგიჭირდება. ახლა ალბათ, საკუთარ თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევ, მაგრამ რალაც პერიოდის შემდეგ მიხვდები, რომ არც ისე ლამაზ ფერებშია ყველაფერი. მე 17 წლით უფროსი მამაკაცი მიყვარდა და ვფიქრობდი, რომ ასაკობრივ სხვაობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ დამიჯერე, მომავალში ჩემსავით, სხვანაირად იფიქრებ. თუ უბრალოდ, მეგობარი დაგჭირდება, დამიკავშირდი.“

ლუნა:

„ორგვლივ იმდენი ახალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილია, შენ კი მანცდამანც მამისტოლა კაცზე ხარ შეყვარებული. არ გეგონოს, გკიცხავდე, პირიქით, შენი მესმის კიდევ, მაგრამ იქნებ, ცოტა დაფიქრდე და ყველაფერს სხვა თვლით შეხედო? ფიქრობ, რომ 52 წლის კაცთან კარგი მომავალი გექნება? ჩემო კარგო, გულით თუ მონადომებ, მის დავინყებასაც შეძლებ. საკუთარ თავზე იფიქრე და ისე არ მოიქცე, რომ მომავალში ყველაფერი სანანებელი გაგისხდეს. შენ ახლა იწყებ ცხოვრებას, ის კი მალე ყველაფერს ხალისს დაკარგავს. დაფიქრდი, ჩემი რჩევა კარგად გაიაზრე და მიხვდები, რომ 52 წლის კაცზე ფიქრიც კი არ ღირს. ლამაზ ცხოვრებას გისურვებ! გკოცნი.“

ლიკა:

„დასაძრახი ნამდვილად არ ხარ. სიყვარული ისეთი გრძნობაა, რომელსაც



ვერ აკონტროლებ, მაგრამ დაფიქრდი, ნამდვილად გიყვარს? იქნებ, ეს უბრალო გატაცებაა? მას ნამდვილად, უანგაროდ უყვარხარ?..“

ნატალი 37:

„კარგად დაფიქრდი, შეცდომა არ დაუშვა და მამისტოლა კაცს ცოლად არ გააყვე, თორემ მომავალში შენი სიყვარული თოვლივით გაქრება და ცხოვრებას დაინგრევ“.

8242:

„ანი, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება. ხალხის ლაპარაკს ყურადღებას თუ მიაქცევ, შეიძლება გამოსულელდე. P.S. მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში და ყველაფერი კარგად დამთავრდა“.

დიკი ანაბელ:

„ანა, ანა, ეს რა დღეში ხარ? ჩემი საქმრო ჩემზე 4 წლით უმცროსია — მე 19-ის ვარ, ის — 15-ის, მაგრამ ერთმანეთზე „გვეკუთვება“. ასაკი „დაიკიდე“, დაქორწინდი!“

ნაომ:

„მე არასდროს ვიქნები შენს ადგილას, მაგრამ ნათქვამია, — სიყვარულმა ასაკი არ იცისო“.

ქათი, 19 წლის:

„იცი, სიყვარულმა ასაკი ნამდვილად არ იცის. იბრძოლე საკუთარი ბედნიერებისთვის! „გზის“ წინა ნომერში ხომ წაიკითხე უთანასწორო ქორწინებების შესახებ დაბეჭდილი სტატია? მეც მაქვს პრობლემა, რომელსაც იმედი, „გზაში“ დამიბეჭდავენ და მიხედები, რომ მხოლოდ ასაკმა არ უნდა დაგაკარგვინოთ ერთმანეთი“.

სვანის ასული:

„ჩემი აზრით, ურთიერთობა აქამდე არ უნდა მისულიყო, რადგან მინიმუმ, შვილად მაინც შეეფერები. გასაგებია, რომ მას ახალგაზრდა ცოლის ყოლის პერსპექტივა ხიბლავს, მაგრამ საინტერესოა, შენ რა დაგემართა? იმედი მაქვს, არც საეჭვო წარსულის მქონე (მაპატიე) და არც ფულზე დახარბებული გოგო არ ხარ — სხვა შემთხვევაში, ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა, ცოტა ალოგიკურია... მაგრამ რადგანაც ხშირ შემთხვევაში, ნებისმიერ სისულელეს სიყვარულის სახელით ამართლებენ, მზადაც ხარ, მის გამო ყველას და ყველაფერს დაუპირისპირდე, არა? შეგიძლია გარისკო, ოღონდ სირთულეებს ელოდე და როცა პრობლემა შეგექმნება, მერე აღარ ინუნუნო. P.S. ისე, საკუთარი თავი შენ ადგილას ნამდვილად ვერ წარმოვიდგინე“.

კლიოპატრა:

„საყვარელო, მერწმუნე, ჩემთვის რთული იყო ამ მესიჯის მონერა, რადგან ახლა შენს გრძობებს უნდა „გადავუარო“, მაგრამ... უბრალოდ, იმაზე მაინც დაფიქრდი, 15 წლის მერე რა მოხდება — შენ ისევ ლამაზი და ახალგაზრდა, ის კი მოხუცი იქნება. საერთო ჯამში, ეს ყველაფერი პრობლემას წარმოშობს,

დროთა განმავლობაში მასთან ცხოვრება სულ უფრო გაგიჭირდება, დამიჯერე... უფალი გფარავდეს“.

ღაბავი:

„ამბობენ, — სიყვარულმა ასაკი არ იცისო და ალბათ, ეს მართალიცაა, ოღონდ, იმ შემთხვევაში, როცა სხვაობა მაქსიმუმ, 10-15 წელია, თქვენს შემთხვევაში კი... ანა, საკუთარი თავი რამდენიმე წლის შემდეგ წარმოიდგინე. მაგალითად, 10 წლის შემდეგ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი ასაკოვანი მეუღლის გვერდით ცხოვრებას შეძლებ? ან კიდევ, ასაკს თავი რომ დავანებოთ, დარწმუნებული ხარ, რომ მაც კაცს ცოლ-შვილი არ ჰყავს? ყველაფერი კარგად გაიზარე, საკუთარი საქციელი სანანებელი არ გაგიხდეს. წარმატებები!“

ბაბა 20:

„მასთან საქმის დაჭერას არ გირჩევ, რადგან 10 წელიწადში შენ ისევ ახალგაზრდა, ლამაზი, გართობის მოყვარული იქნები და არა მგონია, 60 წლის კაცს მაგდენის თავი ჰქონდეს. დამიჯერე, 30 წლის ქალს ზღაპრისა და წელში მოხრილი ქმარი რომ გეყოლება, არ გესიამოვნება. სჯობს გამოვრდე და გაცილებით ახალგაზრდა მამაკაცი იპოვო“.

უცნობი:

„რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი? იქნებ მისი მატერიალური მდგომარეობა უფრო მოგწონს, ვიდრე თვით 52 წლის ბაბუა? საით მიდიხარ, ქართველებო?! ან შვილის ტოლას სხვანაირად როგორ შემოგხედა? შენს ადგილას ღმერთმა ნუ წარმომადგენინოს საკუთარი თავი. დაფიქრდი და სიყვარულს ცოტა სხვანაირი თვალებით შეხედე, თორემ შენ რომ გაფურჩქინილი ვარდი იქნები, ის შენთვის დამჭენარი ყვავილი იქნება და ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ გამოაცოცხლებ!“

პრისტი:

„სიყვარული კარგია, მაგრამ 30 წლით უფროსის შეყვარება? ახლა შეიძლება გიყვარს და ბედნიერიც ხარ, მაგრამ მომავლისკენ მაინც გაიხედე... არ დაგძრახავ, რა სისულელეა! ვიცი, სიყვარული ისე მოდის, არაფერს გვეკითხება,

მაგრამ მაინც დაფიქრდი — შენ რომ 52 წლის იქნები, ის შეიძლება, ამქვეყნად აღარც იყოს“.

მარიკო:

„ეჰ, ხალხნო, ქვეყანა თავზე გვეზრევა — ზოგს 52 წლის კაცი უყვარდება, ზოგსაც რამდენი უბედურება სჭირს. ადამიანებო, თავები იმიტომ გაქვთ, რომ გაატოკოთ და თავად ისწავლოთ ცხოვრება“.

უცნობი:

„საყვარელო, რამდენი ხანია, რაც იმ მამაკაცს იცნობ და კიდევ ჰყავდა თუ არა ოჯახი? თუ ცოლ-შვილი შენ გამო მიატოვა, იცოდე, სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერავინ ააგებს, ყოველ შემთხვევაში — სამუდამო ბედნიერებას. შენ 22 წლის ხარ, ის კი ალბათ, მამამწებზე უფროსია, ჰოდა, კარგად დაფიქრდი, საყვარელო, შენ რომ 52 წლის იქნები, ის 82-ის იქნება და როგორ ფიქრობ, ისევ ისე გეყვარება, როგორც დღეს?.. უფალმა დაგლოცოს“.

LADY:

„მართლა არ ვიცი, რა გითხრა... დავიბენი... ჩემი აზრით, ეს უბრალო გატაცებაა. კარგად დაფიქრდი და მერე იქნებ, შენს კითხვებს თავადვე გასცე პასუხი. ცხოვრებაში ერთხელ გვინებს არჩევანის გაკეთება და ამაზე იფიქრე, ნუ აჩქარდები. იცოდე, საკუთარ საქციელს სანანებლად ნუ გაიხდი. წარმატებები!“

ანასტასია 23:

„უბრალოდ არ მესმის, 22 წლის გოგოს მაგნელა კაცი რამ შეგაყვარა? მე მაპატიე, მაგრამ ასე მგონია, აქ სხვა რამეში უნდა იყოს საქმე... ვიდრე რამეს გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი“.

BAYERN:

„ვერაფერს გირჩევ, რადგან არ ვიცი, რა გირჩიო. მხოლოდ ერთს გეტყვი: თუ გიყვარს, მასთან უნდა იყო, მაგრამ იცოდე, საზოგადოება არ მიგიღებს და ეგ „ტენ-აეს“, თორემ პირადად მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ჰო, კიდევ, არა მგონია, ოჯახი (ნუ, ერთმანეთის ერთგულება მაინც) დიდი ხნით შეინარჩუნოთ და დაფიქრდი ამაზე. ამქვეყნად ერთხელ მოვიდვართ და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ბედნიერები ვიყოთ“.

„ლოვე“ დამელუპა... მის ბარკეზე როგორ ვისხოვრო?..“

საპოლიანა:

„ლოკ, შენი დეა ბავშვების დახმარება ძალიან მჭირდება: ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც „ლოვე“ დამელუპა. არ ვიცი, მის გარეშე როგორ უნდა ვიცხოვრო. უზომოდ მენატრება და ასე ყოფნა აღარ შემიძლია. როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო იმისათვის, რომ ცხოვრების გაგრძელების სურვილი გამიჩნდეს? გუხვენებით, მიშველეთ რამე. P.S. ყოველთვის მეგონა, რომ აქ მხოლოდ ისეთი ადამიანები ამესიჯებდნენ, რომლებსაც სხვების ყურადღების მიქცევა უნდოდათ, თურმე ვცდებოდი და ამას ვალიარებ კიდევ“.

P.S. მამ ასე თუ საპოლიანას ნურლის ნაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.

მოხილ-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზაციაში“ მოხდეს, მოხილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მოხილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

- ვარ 19/180/75, მსურს გავიცნო მანქანიანი და ფულიანი მამაკაცი. ვარ მხიარული. დამეხმარებები ფინანსურად? მაშინ გელი. სოფო.
- ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს 36 წელს ზემოთ, განათლებულ-დასაქმებული, თბილისელი, მატერიალურად უზრუნველყოფილი მამაკაცი. ვარ ყოფილი მოცეკვავე, უმშვენიერესი ხასიათის, კისკისა.
- გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ასაკის, უზრუნველყოფილ მამაკაცს, მანქანიანს. ვარ 22 წლის. ნია.
- ვარ 23 წლის, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის, დასავლეთ

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზაციისთვის“ გამოსავლენილი მესიჯის ტექსტი უნდა აკრბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

- საქართველოში მცხოვრებ, სერიოზულ მამაკაცს.
- ვარ 29 წლის, სიმპათიური, განათლებული, სერიოზული ქალიშვილი, რომელსაც სურს შექმნას მოსიყვარულე და ჰარმონიული ოჯახი. გავიცნობ ბათუმელ, დასაქმებულ მამაკაცს. ბათუმელი.
 - გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №27-ში, მე-20 ნომერი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ.
 - მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მამაკაცი. ვარ ირა, 25 წლის.



ქაჯაბი

- ვარ 42 წლის, ქვრივი მამაკაცი. გავიცნობ ჩემს შესაფერის ქალბატონს. მომწერეთ დილით და საღამოს.
- ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 24-29 წლის, თბილისელ, როგორც ხორციელად, ასევე სულიერად ლამაზ, სუსტ გოგოს, ვისაც ნამდვილად უნდა ლამაზი და თბილი, ეკლესიური ოჯახის შექმნა. 16770/29.
- ვარ 41 წლის მამაკაცი. ნორმალური გარეგნობის, თბილისელი, დასაქმებული, რომანტიკული. ვეძებ ქალს, 25-დან 45-წლამდე. ვისაც ნაღდი სიყვარული შეუძლია.
- ვარ 35 წლის, სერიოზული მამაკაცი. ცოლს გაშორებული ვარ. გავიცნობ ზრდილობიან და სიმპათიურ ქალს, უმჯობესია, ბინიანი. დანარჩენი — პირადად.
- ვარ 42 წლის, უცოლო მამაკაცი. ვცხოვრობ რაიონში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. მქვია ზურა.
- გავიცნობ 25-35 წლამდე ქალს, თბილისელს, დასაქმებულს, ყურადღებიანს, მოსიყვარულეს. ვარ 26/75/180, დასაქმებული, თბილისელი. მყავს მანქანა. მინდა სითბო და ალერსი.
- ვეხმარები „გზა“ №29, მე-5 მესიჯის ავტორს, 24 წლის გოგოს, გაცნობის მიზნით. დამიკავშირდით.
- ვეხმარები ჟურნალ „გზის“ 29-ე

- ნომრის მე-4 მესიჯის ავტორს. დამიკავშირდეს.
- გავიცნობ მსუქან, ფუმიფულა ქალბატონს, სასიამოვნო ურთიერთობისთვის. ვარ 35 წლის.
 - ვარ 21 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ გოგოს, ამავე ასაკისას. თბილისელი. დათო.
 - სერიოზული ურთიერთობისთვის და ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32-36 წლამდე ქალბატონს.
 - გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის, 18-25 წლამდე გოგონას. მე გუკა მქვია. ვცხოვრობ თბილისში. ვისაც გექნებათ სურვილი, დამიმესიჯეთ. მახინჯი არ ვარ.



სსვალასსვა

- როგორი უთანასწორონი ვართ ადამიანები, სოციალურ სფეროში. ვიღაცას გამოსავალად თვითმკვლელობა დარჩენია, უფულობის გამო, ვიღაც კი იმაზე ფიქრს მისცემია, თუ როგორ დააგროვოს უფრო მეტი ფული... აგვისტოს ომის მონაწილეს მინდა გამძლეობისკენ და კვლავ ბრძოლისკენ მოვუწოდო. უფალი უსაშველოდ არ დაგტოვებთ, გწამდეთ! სარვიტა.
- აზიელს მოვიკითხავ და მხიარული ზაფხულის გატარებას ვუსურვებ. ლიმონა, შენ არ მიდიხარ სამეგრელოში? :) ეჰ, როგორ მენატრება სოფელი, უკვე გიჟს ვგავარ! სარვიტა.
- სალამი, ხალხნო და ჯამაათნო. მე რაცხა ნამეტანი აუტირებული ვარ, რა მეტაკა, ნეტავ? ზაფხულის ბრალია, ვითომ? რუისპირ, გაიხარე შენ, მოკითხვისთვის. ატარექსია.
- მაგრები ხააარათ! კუსა.
- ნოდ, ჩემო ცხოვრების აზრო, მიყვარხარ და მენატრები უზომოდ. ჩვენზე არ იდარდო. გეკონი და გეფერები, შენი პატარა, ბილნი გოჭუნა. გფარავდეს ღმერთი. მალე ერთად ვიქნებით.
- ეს ცხოვრება საქათმის კიბეს ჰგავს — მოკლეა და ბინძური. ატარექსია.



მივიჩნევდი, მაგრამ ვაი, უბედურებს! ის დად მიმოჩნევს, ამას კი მას შემდეგ მივხვდები...

• ფშაველა, ჩემო სიცოცხლე, ჩვენ აქ კარგად ვართ. დამწვიდდი, არაფერზე ინერვიულო...

• დიდი სიყვარულითა და მონატრებით მოვიკითხავ თუა ფანცულაიას, ძალიან მინდა შენთან შეხვედრა...

• გამარჯობა მარი, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ლექსი რომ დამიბეჭდეს...

• ცხოვრებაში იმდენი რამ გადამხდენია, ჩემზე ნიგნი დინერება. ერთ ბიჭთან ვმეგობრობდი...

• ახლა საქვიფოდ მივდევარ და რას ვნოიმს?! აი, მესმის ქეიფი, პოდ დოჟდიომ. ნუ, რაც თთავარია, „გზის“ ყიდვა და...

• 2 კაცი ღამე ერთ მოშორებულ სოფელში მიდიოდა და თან საქაოად მიძინე ჩანთა მიჰქონდათ...

• მოგესალმები მარ, პირველად გწერთ, ისე კი დიდი ხანია, მკითხველი ვარ...

• გზის მკითხველებო, მე ქეთი მქვია, პირველად გწერთ და იმეტი მაქვს, ჩემს წერილს დაბეჭდავთ...

• ვეძებთ თენგიზ თაბაგარს. სად და როგორ ცხოვრობ? მეგობრები.

• აუჰ, რა ხანია, „ტრიკორაჩვი“ არ მიქამია და არ მიხრაშუნიანა... მომენტარა... ნეტავ, „ტრიკორაჩვი“ თუ ის ადამიანი...

• აუჰ, მარ! შენ რა გითხარი, ჰაა? ამ გაგანია სიცხემი სულ ცივი-ცივი ოფლები და ცხელ-ცხელი ცრემლები მომდის...

• მიარ, რაო რა თქვი, დაგავინყდითო? ჰჰმ! რაას ჰქვია? ეს ზაფხულნი „ვითომ სიცხე“

დამავენიყებს შენს თავს? ეგაა, რომ ჩემმა „თანაილე ნებმა“ ანუ როგორც მე ვუწოდებ, მაგთიფსინი, საბოლოოდ გაუბებრა და დაფერი ასე, ცივილიზაციას მონყვეტილი...

• აუჰ, რა ხანია, „ტრიკორაჩვი“ არ მიქამია და არ მიხრაშუნიანა... მომენტარა... ნეტავ, „ტრიკორაჩვი“ თუ ის ადამიანი...

• აუჰ, მარ! შენ რა გითხარი, ჰაა? ამ გაგანია სიცხემი სულ ცივი-ცივი ოფლები და ცხელ-ცხელი ცრემლები მომდის...

• ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მისტერ კალას, ასეთი უთბილესი და ყრუანტელის მომგვრელი სიტყვებისთვის...

• ულჰ, მარ! შენ რა გითხარი, ჰაა? ამ გაგანია სიცხემი სულ ცივი-ცივი ოფლები და ცხელ-ცხელი ცრემლები მომდის...



ტაიმ-აუზი

ადამიანები, რომლებიც ცხოველებმა გადაარჩინეს

დეღეღინებს ადამიანები დასრჩობისგან ხშირად გადაურჩენიათ, მაგრამ ტოდ ენდრიუსი ზვიგენისგან იხსნეს. სერფინგისტს თავს 5-მეტრიანი ზვიგენი დაესხა. მოულოდნელად ადამიანის გარშემო დელფინების ჯგუფი გაჩნდა და ზვიგენს ენდრიუსის შეჭმის საშუალება არ მისცა. ტედი სანაპიროზე მშვიდობით გამოვიდა, სადაც „სასწრაფო“ ელოდა.

პიტბული აგრესიული და საშიში ძაღლია. მათ სახლში ყოლა, თანაც ბავშვების გვერდით, აკრძალულია. მაგრამ ერთხელ, ძაღლმა დედა-შვილი გადაარჩინა, რომლებსაც ქუჩაში დანამომარჯვებული მოძალადე ემუქრებოდა.

1996 წლის 18 აგვისტოს ბრუკლინის ზოოპარკში უჩვეულო შემთხვევა დაფიქსირდა. მშობლების დაუდევრობით,

3 წლის ბავშვი გორილების ვოლიერში გადაძვრა და გონება დაკარგა. ზოოპარკის დამთვალეებლებს ეგონათ, რომ ცხოველები ბავშვს გაგლეჯდნენ, მაგრამ მოზრდილმა გორილამ, რომელსაც საკუთარი ნაშიერი ზურგზე ესვა, ბავშვი ვოლიერის კართან დააწვინა, რის შემდეგაც დაცვამ ბავშვი მშობლებს დაუბრუნა.

ასეთი შემთხვევა ადრეც დაფიქსირდა. 1985 წელს 5 წლის ბავშვი მაიმუნების გალიაში გადაძვრა და გონება მანაც დაკარგა. ბავშვზე უფროსი მაიმუნი ზრუნავდა, უმცროსებს მასთან მიკარების საშუალებას არ აძლევდა და როცა ბავშვი გონს მოვიდა, მოშორებით დადგა, რათა დაცვას ბავშვი გალიიდან გაეყვანა.

ჯენის ვოლფი საკუთარ ფერმაში



ძროხებს მწყემსავდა. მოულოდნელად, ბილიკზე ხბო გადაეღობა და გადაადგილების საშუალება არ მისცა. პირუტყვის უკან ქალმა შხამიანი გველი შენიშნა. ხბო მას შემდეგ ჩამოეცალა ქალს გზიდან, რაც გველი სხვა მიმართულებით გახობდა.

უბვირო ადამიანების განაჩენი

24 წლის ავსტრალიელი კუნგ-ფუსი ილეთებს რამდენიმე წელი ეუფლებოდა. შავი ქაშის ალების დღეს, მწვრთნელმა უთხრა, რომ შიშველი ხელებით ცხოველთა მეფესაც კი დაამარცხებდა. შეგულიანებული ყმაწვილი, ღამით ზოოპარკში შეიპარა და ლომების გალიაში გადაძვრა. დილით, დაცვის თანამშრომლებმა შავი ქაშის მფლობელის მხოლოდ ხელებს მიაკვლიეს. ლომებს კი რამდენიმე თვიანი სარეაბილიტაციო კურსი ჩაუტარეს, რათა მომავალში ადამიანებს არ დასხმოდნენ თავს.

2007 წლის 29 ივლისს ორმა ახალგაზრდამ ვიდუოკამერების და სათვალთვალო მოწყობილობების მალაზია გაძარცვა. ვიტრინაზე დიდი ასობით ეწერა, რომ მალაზიაში მიმდინარეობს ვიდუოკონტროლი, მაგრამ მძარცველებმა აბრას ყურადღება არ მიაქციეს. 17-მა კამერამ მძარცველებიც დაფიქსირა და მათი ავტომობილიც. მეორე დღეს ქურდები უპრობლემოდ დაიჭირეს.

2006 წლის თებერვალში ახ-

ალზელანდიელი ამი ადამისი ფოტო ტელევიზიით აჩვენეს. ერთ-ერთი მალაზიის დირექტორმა, რომელმაც ამი ნივთებს ხშირად იპარავდა, განაცხადა, რომ ქალმა ლატარიაში მოიგო და ჯილდოს ასაღებად მალაზიაში ელოდნენ. ადამისი მივიდა, მაგრამ ჯილდოს ნაცვლად, პოლიციელები დასვდნენ. ქალს რამდენიმეწლიანი პატიმრობა და ფულადი ჯარიმა შეუფარდეს.

1994 წელს ერთ-ერთმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ ბრძოლა გამოუცხადა იმ მალაზიებს, სადაც ვიდუოკასეტებსა და ალკოჰოლურ სასმელებს ყიდდნენ. ერთ-ერთმა აქტივისტმა კინოდარბაზი 50 დოლა-



რად დაიქირავა, რათა აფეთქებინა. ევრანზე თურქული პორნოგრაფიული ფილმი გადაიოდა. ასაფეთქებლის დამონტაჟების შემდეგ ბიჭი ფილმით გაერთო და იმ სკამზე დაჯდა, სადაც ბომბი დაამაგრა. რამდენიმე წუთში აფეთქებულმა ბომბმა ბიჭს ფეხები მოაწყვიტა და იგი ცოტა ხანში სისხლის დაკარგვით გარდაიცვალა.

დალასის ქუჩაში სეირნობისას მსახიობს ჩაკ ნორისს ორი დანამომარჯვებული თავდასხმელი გადაეღობა. მათ მსახიობს განუცხადეს, რომ იცოდნენ, ვის აყაჩაღდნენ და მისგან საფულეს ითხოვდნენ. თავდაპირველად მამაკაცების გამოსვლა მსახიობმა ხუმრობად მიიჩნია, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ყაჩაღები არ ხუმრობდნენ, ორივეს ხელები დაამტვრია. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს მძარცველებმა განუცხადეს, რომ არ ეგონათ, თუ ნორისი ცხოვრებაშიც ასეთი მაგარი იყო. მკითხველს ვაცნობებთ, რომ ჩაკ ნორისი რამდენიმე საბრძოლო ხელოვნების ოსტატია. მათ შორის ჯიუ-ჯიცუს, ტაეკვანდოს, კარატედოსა და ა.შ.



საშიში კურორტები

ერთ-ერთმა ტურისტულმა კომპანიამ, ტურისტების საჩივრების მიხედვით ყველაზე საშიში კურორტები გამოავლინა

✦ ტაილანდში ხშირია ავარიები, ქურდობა, ვადაგასული პროდუქტებით მოწამვლა. ამ ქვეყანაში ნასვლის მსურველებს ყველა ტურისტული კომპანია აფრთხილებს, რომ მართომ არ ისეირნონ ქუჩაში, არ მიირთვან ქუჩის სწრაფი კვების ობიექტებში და არ დალიონ წყალი ონკანიდან.



✦ ბრაზილიის მახლობლად, გველების კუნძულზე ყველაზე შხამიანი ქვეწარმავლები ბინადრობენ. სტატისტიკის მიხედვით, ამ კუნძულის ერთ კვმზე 1-დან 5 შხამიანი გველი ბინადრობს. ოფიციალურად კუნძულზე ტურიზმი აკრძალულია, მაგრამ ექსტრემალები მაინც სტუმრობენ ხოლმე.

✦ ბარბადოსზე შხამიანი, ტროპიკული მწერები, წყალში — ზვი-

გენი, სკატი და სხვა საშიში ბინადრები გელიან. ტურისტებს მხოლოდ სანაპიროზე აქვთ ბანაობის უფლება.

✦ დედამიწის ერთ-ერთ უბინძურეს ქვეყანაში — ინდოეთში ინფექცია შეიძლება, ნებისმიერ ნაბიჯზე აიკიდოთ. ამიტომ, გამგზავრებამდე ყველა საჭირო აცრა უნდა ჩაიტაროთ.

✦ სიაში აგრეთვე მოხვდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სადაც ნელს ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. ადგილობრივები ტურისტებს ქუჩაში, იარაღის გამოყენებით აყაჩაღებენ.

✦ ტურისტული სააგენტოს აგენტები ასევე არ გირჩევენ კუბაში გამგზავრებას. მათი აზრით, ქვეყანაში ჩასული, ნარკოტიკებს უფრო მალე შეეჩვევით, ვიდრე სასტუმროდან პლაჟზე მიხვალთ.

სანიტარისო ფაქტები

● გერმანიის საფარი-პარკში უჩვეულო ცხოველი ზორსი (ნანარ-მოვბია ინგლისური სიტყვებისგან zebra — ზებრა და horse — ცხენი) მეტსახელად ეკლიპსი ცხოვრობს. იგი ზებრისა და ცხენის შეჯვარების შედეგად გაჩნდა.

● ყველაზე გრძელი — 30-მეტრიანი ლიმუზინი კალიფორნიელმა აჯეი ორბერგმა დააპროექტა. ორსალონიანი ავტომობილი 26 საბურავით გადაადგილდება.

● ყველაზე თმისანი ადამიანი — იუ ჩუენხუანი ჩინეთში ცხოვრობს. 30 წლის მამაკაცის სხეულს 96 პროცენტი თმითაა დაფარული.

● აფრიკის ზოგიერთ რეგიონში ყველაზე პოპულარული სასმელი ბანანის ლუდია. აფრიკაში 50 ჯიშის ბანანი ხარობს 50%-ისგან 28-გრადუსიან ლუდს ამზადებენ. სამწუხაროდ, ლუდის ექსპორტი ჯერჯერობით არ ხორციელდება.

● მხატვარ-მოქანდაკეს — მარკუს ლევინს ქალაქში ფანქრით ხატვა მოჰპებურდა და კედლებზე ლურსმნების დაჭედებით ქმნის შედეგებს.

ეს საერთაშორისო პროექტი, რომელიც არაერთხელ განხორციელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, საქართველოშიც დაიწყო. გამოკითხვა გატარდა ქვეყნის ბოლომდე, ხოლო გამოცემლობა "კალატრა L" წიგნების გამოცემაზე შემოგვამსხვ დაიწვევს. ეს თქვენი არსებული წიგნები იქნება!

საერთაშორისო პროექტი
კალატრა L
წიგნების გამოცემაზე შემოგვამსხვ

დააბრუნეთ ნაწარმოებები, მსოფლიო ლიტერატურის საგანგებოდან რომლებიც თქვენი აზრით უნდა შევიდეს ამ სერიაში. ამოგვრით კითხვარი და გამოგზავნეთ "ქვირის ავალტერის" ხაფოსტო ქუთუბის მეშვეობით.

თქვენი აზრი შევადლოთ დააქვეყნოთ ინტერნეტზე მისამართზე: www.50.kvirispalitra.ge

სახელი, გვარი.....
 მისამართი.....
 ქალაქი.....

„არტ-გენის“ მასშტაბური ფესტივალი და ქართულად აქტიუზულ-ასეკვიზული უსხოელაბი

ახლახან ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხარისხიანი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის გამიზნული ფესტივალი — „არტ-გენი“ დასრულდა. ფესტივალის დასკვნითი ნაწილი ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. „არტ-გენის“ ისტორიაში, წლებადეული ფესტივალი ყველაზე მასშტაბური გახლდათ. მასში ხელოვნების ბევრი დარგი და მიმართულება გაერთიანდა. წლებადეული „არტ-გენის“ შესახებ, მის ერთ-ერთ დამფუძნებელს — ზუმბას ვესაუბრეთ, რომელმაც ფესტივალის დასკვნით ნაწილში ანსამბლ „ჩვენებურებთან“ ერთად, ახალი პროგრამა — „ასტროჯორჯია“ წარმოადგინა.

იყო ყორღანაუვილი

— უკვე 7 წელია, რაც ფესტივალი „არტ-გენი“ არსებობს. წელს ფესტივალის 3 ნაწილად მოწყობა გადაწყვიტეთ. ჯერ რეგიონული გასვლები გვექონდა კახეთში (წინადალი), სამცხე-ჯავახეთსა (ვარძია) და ზემო რაჭაში (ონი). ონში ზემო და ქვემო რაჭა, მთელი სვანეთი, ლეჩხუმი შეიკრიბა, თბილისიდან ჩასული ანსამბლები იყვნენ, სტუმრები უკრაინიდანაც გვეწვივნენ. შემდეგ ვაკის პარკის ღია კინოთეატრში გადავინაცვლეთ, სადაც თანამედროვე ხელოვნებას წ დღე დაეთმო. თავიანთი ნამუშევრები ცნობილმა და უცნობმა მუსიკალურმა ჯგუფებმა, ფოტოგრაფებმა, მხატვრებმა, დიზაინერებმა წარმოადგინეს. ფესტივალის დასკვნითი ნაწილი ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. წელს საქართველოს ყველა კუთხე მაქსიმალურად წარმოვაჩინეთ, ტრადიციული ხელოვნების და კულტურის ყველა დარგი წარმოვადგინეთ: კულინარია, ხელსაქმე, საბრძოლო ხელოვნება (რომელიც „არტ-გენს“ ყოველ წელს თან ახლავს)... თანამედროვე მუსიკის საღამოზე წარდგინენ: ნინო ქათამაძე, ნიაზ დიასამიძე, ევროპაში ცნობილი ანსამბლი სანქტ-პეტერბურგიდან — „მარკუიდეო კუნსტი“ (რომელმაც დასკვნითი ნაწილის გახსნის დღეს დაუკრა), „ხიდი“, „ფრანი“. ბოლო დღეს მე და ანსამბლმა „ჩვენებურებმა“ (12-კაციანი შემადგენლობით) ახალი პროგრამა — „ასტროჯორჯია“ შევასრულეთ. მასზე ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. სხვადასხვა ფესტივალზე ესტონეთში, ლიეტუაში, ლატვიაში ვიყავით. ყველანაირ სცენაზე მოვსინჯეთ ძალები — კონცერტები კლუბებში, თეატრებში, ცილის ქვეშ გვექონდა. „ასტროჯორჯიას“ უცხოელმა მუსიკატმცოდნეებმა „მუსიკა საქართველოდან“ უწოდეს.

— „არტ-გენის“ მონაწილე მუსიკალური ჯგუფებიდან რომლებს გამოარჩევთ? თქვენი განსაკუთრებული მონონება რომელმა ჯგუფებმა დაიმსახურეს?

— ბევრი შემთხვევაა, როცა ახალგაზრდა ადამიანები ერთმანეთს სწორედ ფესტივალზე შეხვდნენ, ჯგუფები ჩამოაყალიბეს და წელს „არტ-გენზე“ მასწავლებლის წინაშე უკვე პროფესიონალებად წარდგინენ, მაგალითად: გოგონათა ანსამბლი „გორდელა“, „ფიცვერცხლი“... მიხარია, რომ ბევრი სტუდენტისთვის მუსიკა მთავარი საქმე გახდა. თანამედროვე მუსიკის შემსრულებლებს რაც შეეხება, ჯგუფი — „ხიდი“ ძალიან მომწონს. მისი ხელმძღვანელი — შოთაიკო საგანელიძე ჩვენ გვერდით არის გაზრდილი. კარგი მხატვარი, პოეტი და მუსიკოსია. „ხიდი“ წელს ახალი ნაწარმოებები დაუკრა — ავანგარდული ჯაზისკენ იყო გადახრილი, მაგრამ ეთნოსაზი გასდევდა.

— ფესტივალის მიმართ ხალხის დამოკიდებულება როგორია?

— მიხარია, რომ სტუმრების 80-90% ახალგაზრდები არიან. ტრადიციული ხელოვნება მოდად იქცა (კარგი გაგებით). „არტ-გენის“ მსგავსი ფესტივალები წინათ ფილარმონიაში, ოპერაში, კონსერვატორიაში იმართებოდა. „არტ-გენი“ ღია ცის ქვეშ იმართება — ალბათ წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. ფესტივალი კულტურული დასვენებისთვის სასურველი გახდა. ტურისტული კომპანიები ხშირად გვიკავშირდებოდნენ.

— უცხოელ მსწავრებლებზე რას გვეტყვი?

— ასეთი ძალიან ბევრი იყო. ფესტივალში მონაწილე უცხოელების რაოდენო-

ბაც გაიზარდა (იმ უცხოელებზე აღარ ვსაუბრობ, ვინც ქართულად მღერია!); ინგლისიდან, ჩინეთიდან, ესტონეთიდან სახალხო თეატრები, მომღერლები, ქორეოგრაფები გვსტუმრობდნენ. სპეციალურად „არტ-გენისთვის“ ქართველი ემიგრანტები საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, კანადიდან გვეწვივნენ. ალბათ, გაისად უკვე საკუთარ შემოქმედებით პროგრამებსაც ჩამოიტანენ.

— მოსახლეობა რეგიონებში როგორ გხვდებოდათ?

— თავდაპირველად, როცა ექსპედიციებს ვინწყებდით, მუშაობა რთული იყო: მოხუცების ძებნა ყანებში, წისქვილებში გვიხდებოდა. მათგან გულგატეხილ დამოკიდებულებას ვგრძნობდით. ვუსხნიდით, რომ მხოლოდ მათი სიმღერის ჩანერა, გადაღება გვინდოდა. როცა ეს ადამიანები თბილისში ჩამოვიდნენ და მასწავრებლებმა ტელევიზიით იხილეს, თანასოფლელებმა უფრო დააფასეს. მოხუცებს სიამაყის გრძობა გაუჩნდათ. საკუთარი თავი უფრო მეტად დააფასეს, დიდი ხნის წინ დაშლილი ანსამბლები აღადგინეს და ყოველ წელს ახალ-ახალი რეპერტუარით გვანებიერებენ. ჩვენც მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მათ ცხოვრება გაეულამაზოთ.

— „არტ-გენის“ ყველაზე უხუცესი მონაწილე ვინაა?

— სოფიო ქალდანი, რომელმაც ფესტივალზე 4 თაობასთან ერთად იმღერა. შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილენები — ოჯახური ანსამბლი იყო. წელს უხუცესი ბაბუები მაჭახელიდან გვყავდნენ. არაჩვეულებრივად ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

— წლებადეული „არტ-გენი“ გასული წლების ფესტივალისგან რით განსხვავდებოდა?

— უფრო მასშტაბური ფესტივალი გაემართეთ. ყველა დარგი და მიმართულება შევაჯამეთ, რაც გასულ წლებში წარმოვადგინეთ.

საერთოდ, „არტ-გენის“ მთავარი მიზანია, ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების — ხარისხიანი შემოქმედების პოპულარიზაცია. შემდეგ ეტაპზე გვინდა, უცხოეთში კულტურის „გაცვლის“ საკითხებზე ვიმუშაოთ. ალბათ, გაისადაც შედეგი გვექნება. ფესტივალის პარტნიორები ქართული ორგანიზაციები რომ იყვნენ, ქართული საქმე დააფინანსონ და კულტურის განვითარებას დაეხმარონ, კარგი იქნება. ამას გულსტკივილით და ცოტათი გაბრაზებული ვამბობ (ილიძის).



ლექსუმის ანსამბლი



მექსიკა 1970

ფინალური ტურნირი 31 მაისიდან 21 ივნისამდე მიმდინარეობდა.

მონაწილეები: მექსიკა, სსრკ, ბელგია, სალვადორი, ურუგვაი, ისრაელი, იტალია, შვედეთი, ინგლისი, რუმინეთი, ბრაზილია, ჩეხოსლოვაკია, პერუ, ბულგარეთი, გფრ, მაროკო.

გათამაშების სისტემა: გუნდები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი და წრიული სისტემით ასპარეზობენ. თი-



თოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გადის. ამ ეტაპიდან ტურნირი უკვე ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს.

გაიმართა: 32 მატჩი. სულ დაესწრო 1673975 მაყურებელი (საშუალოდ, 52312 კაცი თითოეულ მატჩს).

გოლები: გავიდა 95 გოლი (საშუალოდ 2,97 თითო შეხვედრაში)

საუკეთესო ბომბარდირი: გერდ მიულერი (გფრ, 10 გოლი).

ფინალი: ბრაზილია — იტალია (4:1).

21 ივნისი. მეხიკო, „ატატუკა.“ 107412 მაყურებელი.

გოლები: პელე (18); ჟერსონი (66); ჟაირზინიო (71); კარლოს ალბერტო (86) — ბონინსენია (37);

მსაჯი: გლეკერი (გდრ).

ბრაზილია: ფელიქსი, კარლოს ალბერტო, პიაცა, ბრიტო, ევერალდო, კლოდოალდო, ჟერსონი, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე, რიველინო.

იტალია: ალბერტოზი, ბურნიკი, ფაკეტი, ჩერა, როსატო, ბერტინი (იულიანო, 74), დომენგინი, მაცოლა, ბონინსენია (რივერა, 84), დე სისტი, რივა.

სიმბოლური ნაკრები: ბენკსი (ინგლისი), მატოსასი (ურუგვაი), მური (ინგლისი), ფაკეტი (იტალია), ოვერათი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), ჟერსონი (ბრაზილია), ჟაირზინიო (ბრაზილია), პელე (ბრაზილია), გ. მიულერი (გფრ).

„ოქროს ქალღმერთის“ აქოქის დასასრული

ეს იყო ჩემპიონატი, რომელშიც ბევრი რამ პირველად მოხდა. პირველად დართეს გუნდებს მატჩის მსვლელობისას შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელების უფლება. პირველად

ხმარობდნენ მსაჯები ყვითელ და წითელ ბარათებს (თუმცა, მთელი ტურნირის განმავლობაში, წითელი ბარათი არავის გამოუყენებია — ეს ერთადერთი მუნდიალი გახლდათ, რომელზეც არც ერთი მოთამაშე არ გაუძევებიათ მოედნიდან). პირველად მიმდინარეობდა მსოფლიოს ჩემპიონატი მალაქის ბუნებრივ პირობებში. გუნდებს ორკილომეტრიან სიმაღლეზე უხდებოდათ ადგილობრივ კლიმატთან შეგუება. პირველად მუნდიალის ისტორიაში „ოქროს ქალღმერთმა“ არსებობა შეწყვიტა, როგორც გარდამავალმა ჯილდომ — ბრაზილიამ მესამედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი და ჟიულ რიმეს თასიც საბოლოოდ დაისაკუთრა.

თუმცა, ყველაზე ძვირფას საფეხბურთო განძს, „ტყავის ბურთის ჯადოქართა“ სამშობლოში სამუდამოდ არ დაუღვინა ბინა: 1983 წელს იგი მოიპარეს და როგორც ვარაუდობენ, გადაადნეს.

მექსიკაში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. თანამგზავრ „ტელესტარ-3“-ის საშუალებით ტურნირს პლანეტის 73 ქვეყნის 800 მილიონამდე ადამიანი ადევნებდა თვალს. უფრო მეტიც, მუნდიალს გულგრილი არც ზოგიერთი საქვეყნოდ ცნობილი პირი დაუტოვებია. მაგალითად, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, ვილსონი მუდმივად ამხნელებდა თავის გუნდს ტელეგრაფებით, ხოლო რომის პაპმა, პავლე VI-ემ შეჯიბრების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვა გაუგზავნა.

მექსიკის მოედნებზე უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა ბრაზილიის ნაკრებმა. უკვე პირველივე მატჩში სამხრეთამერიკელებმა ძლიერი ჩეხოსლოვაკიის გუნდი 4:1 დაამარცხეს. ამ მატჩშიც და მთელ ტურნირშიც საუკეთესო პელე იყო. იგი არც ე. წ. შავ სამუშაოს ერიდებოდა და არც — დაცვაში თამაშს, ჩინებულად ლიდერობდა თავის გუნდს, პარტნიორებს გამოზომილი პასებით ამარაგებდა და ამავე დროს, არაჩვეულებრივი გოლებიც გაჰქონდა. ულამაზესი გოლი მან ჩეხებსაც გაუტანა. ერთ-ერთ მომენტში კი, მაშინ, როდესაც მეტოქე გუნდის გოლკიპერი წინ იყო გამოსული, — მოედნის ცენტრიდანაც სცადა თავის გამოჩენა, მაგრამ ბურთი სულ რაღაც სანტიმეტრებით ასცდა კარს. „ერთადერთი, რაც ვერ შევქელი, მოედნის ცენტრიდან კარის აღება იყო, — ამბობდა კარიერის დასრულების

შემდეგ „ფეხბურთის მეფე.“

პელეს მსოფლიოს ჩემპიონებთან, ინგლისელებთანაც შეეძლო გოლის გატანა, როდესაც მან ოთხი მეტრიდან დაურტყა ალბიონელთა მეკარეს, მაგრამ ბენკსმა სასწაული მოახდინა და ბურთი მოიგერია. მოედანზე პელე რაინდულად მოიქცა: ინგლისელ გოლკიპერთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. ამ პაექრობაში, პელეს პასით ჟაირზინიომ გაიტანა გოლი, რისი წყალობითაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა ჯგუფში ყველა პრობლემა მოაგვარეს.

ჯგუფური ეტაპი წარმატებულად დაასრულა საბჭოთა გუნდმაც, მაგრამ მეოთხედფინალში ურუგვაელთა ბარიერი ვერ გადალახა.

ნახევარფინალში ორი სამხრეთამერიკული და ორი ევროპული გუნდი გავიდა: ბრაზილია, ურუგვაი, იტალია და გფრ. ბრაზილიელებმა ურუგვაელები დაამარცხეს (3:1), ხოლო იტალიელებმა — გერმანელები (4:3).

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნაკრებები, რომლებსაც ორ-ორჯერ ჰქონდათ მოპოვებული „ოქროს ქალღმერთი.“ გამარჯვების შემთხვევაში გუნდი მას სამუდამოდ დაიხსაკუთრებდა. ბრაზილიელები ნამდვილად შეუდარებელი იყვნენ. ანგარიში ოსტატური თავური დარტყმით პელემ გახსნა. ერთადერთი, რისი გაკეთების საშუალებაც ზაგალოს გუნდმა მეტოქეს მისცა, — ანგარიშის გათანაბრება იყო. მეორე ტაიმში კი „ტყავის ბურთის ჯადოქარებმა“ იტალიის გუნდი „უღვთოდ“ გააცამტვერეს (4:1).

ბრაზილია ისევ ზეიმობდა. ჩემპიონებს რიო-დე-ჟანეიროს მილიონზე მეტმა ადამიანმა მოუწყო შეხვედრა. სამწუხაროდ, საერთო-სახალხო ზეიმს უსიამოვნო მოვლენაც ახლდა: ჭყლეტის შედეგად 73 კაცი დაიღუპა, 2 ათასზე მეტმა ტრავმა მიიღო. კარნავალი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან „ჟიულ რიმეს თასი“ ბრაზილიელებმა სამუდამოდ დაისაკუთრეს! აბა, მაშინ ვინ წარმოადგენდა, რომ სამხრეთ ამერიკაში „ოქროს ქალღმერთი“ ორ ათეულ წელსაც ვერ გაძლებდა და მას მეორედ მოიპარავდნენ, თანაც უკვე სამუდამოდ.





დავა „ბაფანა ბაფანას“ შესახებ

სმაურიანი სკანდალი აგორდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მსოფლიოს პირველობის დასრულებიდან 2 კვირის შემდეგ. ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები-სათვის მეტსახელ „ბაფანა ბაფანას“ („ბი-ჭუნებად ბიჭუნებად“ — ასე ითარგმნება ზულუს ენიდან) ჩამორთმევა სურთ, რომელიც თურმე ერთ-ერთი კერძო მფლობელის საკუთრება ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დიდი ხანია, რაც „ბაფანა ბაფანა“ ადგილობრივ ქომაგთა შორის ფეხბურთის ისეთივე სიმბოლოდაა ქცეული, როგორადაც მაგალითად „ვეფუზელა“. მუნდიალის მსვლელობისას ფრანსის, — „ბაფანა, ბაფანა“, — გამოყენებით სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ასოციაციამ 10 მილიონი დოლარი მოგება მიიღო. ამის შესახებ ტურნირის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. ამ მეტსახელის მფლობელის მხრიდან ოფიციალური პროტესტი მოჰყვა. საქმე ის არის, რომ სხენებულ ბიზნესმენს სავაჭრო ნიშანი — „ბაფანა, ბაფანა“ ჯერ კიდევ 1994 წელს დაურეგისტრირებია. მას შემდეგ იგი დაუსრულებელ ბრძოლას აწარმოებს სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციასთან (SAFA). 2002 წელს ქვეყნის უმაღლესმა სასა-



მართლომ კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ SAFA-ს „ბაფანა ბაფანას“ გამოყენების უფლება არა აქვს, ამ სახელწოდების მფლობელთან კონტრაქტის გაფორმების გარეშე, რაც დღემდე არ მომხდარა. საქმე სამხრეთ აფრიკის პარლამენტამდე მივიდა. საკანონმდებლო ორგანოში სპორტის საკითხების კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ საავტორო უფლებაზე დავა არ დასრულდება, ქვეყნის ნაკრებს „ბაფანა ბაფანა“ აღარავინ უნდა დაუბახოს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, თუმცა SAFA-ს პრეზიდენტმა — ნემანტადანამ უკან დახევა არ ისურვა და ნაკრების მეტსახელის შესახებ ნაპოვნებულ დავაში საზოგადოების ჩართვა გადაწყვიტა. მისი აზრით, „ბაფანა ბაფანა“ ეროვნული საკუთრებაა. „ვიცი, რომ ყველაფერი კანონის თანახმად უნდა გაკეთდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არასწორია. „ბაფანა ბაფანა“ ხალხმა მოიგონა და კერძო საკუთრებაში მისი მოქცევა არ შეიძლება. დაე, ხალხმა თავად გადაწყვიტოს ჩვენი დავა“, — განაცხადა მან.

STOP VUVUZELA

ჰოკეის კონტინენტურმა ლიგამ CHL-ის მატჩებზე ვუვუზელას გამოყენება აკრძალა. 2010-2011 წლების სეზონში ყინულის მოედნებზე ვუვუზელის შეტანა, გამოყენება ან გაყიდვა აკრძალული იქნება. ჩვენი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ცოტა ხნის წინ სამხრეთ აფრიკაში დასრულებულ საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვუვუზელას სმაურის გამო უამრავი ადამიანი იყო უკმაყოფილო. მაგალითად, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა პატრიკ ევრამ განაცხადა, რომ ვუვუზელის გამაყრუებელი ბზუილი მისი გუნდის წარმომადგენლებს სათანადოდ გამოძინების შესაძლებლობას არ აძლევდა. საბურთეთის ნაკრების თავდამსხმელმა თეოფანის გეკასმა კი, ფიფას მესვეურებს და მუნდიალის ორგანიზატორებს საერთოდ, ამგვარი საყვირის გამოყენების აკრძალვისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, ვუვუზელას სმა მთელი ტურნირის განმავლობაში ისმოდა. ეს ერთი შეხედვით, უწყინარი აფრიკული ნივთი უკვე აკრძალეს ბრიტანულმა საფეხბურთო კლუბებმა. „ჩელსიმ“ ოფიციალურად განაცხადა სტადიონ „სტენფორდ ბრიჯზე“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვუვუზელას აკრძალვის შესახებ. ასეთი გადანყვეტილება „არისტოკრატთა“ ხელმძღვანელობამ ფეხბურთის კომფორტულად ყურებისთვის საჭირო გარემოს შენარჩუნების მიზნით მიიღო. ამას წინ უსწრებდა კლუბის აქციათა მფლობელებთან და ქომაგებთან ვუვუზელას შესახებ გამართული სჯა-ბაასი. მანამდე ანალოგიური გადანყვეტილება „არსენალმა“ და „ტოტენჰემმა“ მიიღეს.



ანრი მასპელიაზე განაცხადებულის

ამერიკული „ნიუ-იორკ რედ ბულზის“ თავდამსხმელმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ის სიტუაცია, რომელიც „მამლაყინნათა“ ბანაკში მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას იყო შექმნილი. ფეხბურთელის თქმით, ბევრი რამ, რაც მასმედიის საშუალებებით სამფეროვანთა შესახებ ვრცელდებოდა, ყურნალისტა ფანტაზიის ნაყოფია. „ჯერ კიდევ არ ვიცი, თუ რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ შემოიძლია ვთქვა, რომ სიმართლეს არ შეეფერება ის, რასაც გასახდელში მომხდარი ამბების შესახებ წერენ. ეს მხოლოდ მონაგონი და სისულელეა. როდესაც იმარჯვებ, იმაზე ლაპარაკობენ, რომ გუნდში ყველაფერი რიგზეა. ხოლო როდესაც აგებ, ბევრ ტყუილს იგონებენ“, — ამბობს ანრი.

ფორლანს სიმღერა მიუძღვნეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დასრულებულ მუნდიალზე წარმატებულად ასპარეზობის შემდეგ, ურუგვაის ნაკრების ლიდერი დიეგო ფორლანი, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, სამშობლოში ნამდვილ გამირად იქცა. ამას გულგრილი არ დაუტოვებია ურუგვაელი კომპოზიტორი მაქს კაპოტიე. ფორლანის ოსტატობით აღფრთოვანებულმა მუსიკოსმა ფეხბურთელს სიმღერა მიუძღვნა. „თუ იგი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდებოდა, მუნდიალამდე ფორლანის პატივსაცემად, მისთვის სიმღერის შექმნის პირობა დავდე. ფეხბურთელის ასპარეზობამ აღმაფრთოვანა. სიმღერა 3 საათში დავენერე და იგი ურუგვაიში უკვე ჰიტად იქცა“, — განაცხადა კაპოტიემ.

შაკირა საუბნურთომ ეპოზიციიდან გაყოფის

პოპულარულმა კოლუმბიელმა მომღერალმა, შაკირამ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰიმნად ქცეული სიმღერის, — It's time for Africa, — ავტორი და შემსრულებელია, ფეხბურთისაგან ცოტა ხნით დასვენება გადაწყვიტა. მუნდიალამდე ერთი თვით ადრე და თავად ტურნირის მსვლელობის დროსაც, ფეხბურთი მშვენიერი კოლუმბიელის მუდმივი თანამგზავრი იყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შაკირამ სპორტის ამ სახეობაში კარგად



გარკვევა გადაწყვიტა. „ესპანელები ლამაზად თამაშობენ. ამ მსოფლიოს ჩემპიონატს დიდი სიამოვნებით ვესწრებოდი, რომელიც ფანტასტიკური აღმოჩნდა. ხოლო გადაწყვეტი, ფინალურ მატჩში ესპანელებს ვუჭერდი მხარს. ამ გუნდის თამაშის ყურება თვალს უხაროდა. ძალიან მომწონდა ის, თუ როგორ გააქონდა გოლები დევიდ ვილიას, მაგრამ მე მცველ სერარდ პიკეს თამაში შევიყვარე. ის ძალიან ლამაზია“, — ამბობს შაკირა, რომელმაც პიკესთან რომანი ვერ გააბა, ამიტომ მოსაწყენი აზრებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, ნამდვილი ქალური მეთოდი გამოიყენა: ჩემოდანში რამდენიმე ლამაზი კაბა ჩაიწყო, კუნძულ მალიორკაზე ფოტოსესიაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა და თავყანისმცემლებს კიდევ ერთხელ დაუბეჭდოდა, რომ ჩინებულ ფორმაშია.



გომბორის ტყის ზღაპარი

ამ ფოტოზე აღბეჭდილი მელორე — დათა ციცაშვილი ახლა ასე 80 წლის უნდა იყოს... რაც თავი ახსოვს, გომბორის ტყეში, ლორების კოლტს მწყემსავს. საგზალს ყოველთვის თვითონ ალაგებს: შოთი, ყველი და საკუთარ ვენახში მოწეული ყურძნისგან გამოსხილი ჭაჭის არაყი. უღრან ტყეში იშვიათია, რომ ვინმე თანამეინახეს შეხვდეს, ამიტომ თამადაც თავად არის, მერიქიფეც და სუფრის მთელი შემადგენლობაც. ჯერ ღმერთსა და ხატს შეიწვევს, მშვიდობასა და ერს დალოცავს და ისევ გარეკავს თავის კოლტს...

დათა ძიას ამ შთამბეჭდავმა ფოტომ ერთი საინტერესო ამბავი გამახსენა, რომელიც ჯანრი კაშიასგან მოვისმინე.

„საკურსოზე ვმუშაობდი და თეძამის ხეობაში მდებარე უძველეს ეკლესიაში ხშირად ავდიოდი ხოლმე.

ამ ეკლესიიდან სხვადასხვა მიმართულებით ხუთი ბილიკი მიდიოდა და სოფელში მოხვედრა მხოლოდ ერთი ბილიკით იყო შესაძლებელი. ერთ დღესაც გზა ამებნა და ბილიკს რამდენჯერაც დავადექი, იმდენჯერ შუაგულ ტყეში ამოვყავი თავი. ამასობაში დაღამდა კიდეც და მეც იქით გავემართე, საითაც სინათლე მოჩანდა. როდესაც ახლოს მივედი, ვნახე, რომ სინათლე პატარა ქოხში ბუუტავდა, ხოლო სპეციფიკური სუნით მივხვდი, რომ ეს ქოხი სალორე უნდა ყოფილიყო. კარზე დავაკაკუნე და მოხუცის ხმამ შიგნით შემიპატიჟა. ჩემი მასპინძელი ას წელს გადაცილებული მელორე აღმოჩნდა. შვილიშვილის მიტანილი ლობიოთი გამიმასპინძლდა. არც მე დავერჩი ვალში და ჩემი ზურგჩანთიდან შავი პური, ხახვი და ერთი ბოთლი არაყი ამოვალაგე. როდესაც ცოტა დავ-

ნაყრდით, მე და მოხუცმა ერთმანეთის გაცნობა დავინწყეთ. გაოცებული დავრჩი, როდესაც მოხუცმა მელორემ ფრანგული, ინგლისური და იტალიური ენების უზადლო ცოდნა გამოავლინა. მოხუცი თურმე პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში იბრძოდა, შემდეგ დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა და ოცი წლის განმავლობაში სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებდა. ამ ხნის განმავლობაში მან იცხოვრა — ინგლისში, იტალიასა და საფრანგეთში. როდესაც ბოლოს და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნება გაუბედავს, მერე საბჭოთა ხელისუფლებას გადაუხასლებია მთელი ათი წლით ციშიბრში. მოხუცმა მელორემ უამრავი რამ მიაბო ევროპის უდიდესი ქვეყნების შესახებ და შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს კარიბჭე გამიხსნა,“ — იხსენებდა ბატონი ჯანრი.

ემა ტუხიშვილი





ნოდინო ტატიშვილი ლონდონში წავიდა



როცა მომღერალ ნოდინო ტატიშვილს დაფურეკე და „ერუდიტი“ სტუმრობა შევთავაზე, მიპასუხა: შეხვედრას დღეს თუ მოვასწრებთ, თორემ ხვალ ლონდონში მივფრინავ და სექტემბრამდე ვერ ჩამოვალ. „სანო სტუდიაში“ ერთმანეთს დათქმულ დროს შეხვებით. სანამ რუბრიკის კითხვარზე გადავიდოდით, ვთხოვე, „ლონდონური გეგმის“ შესახებ მოეთხრო.

თაყუნა კვინიკაძე

ნოდინოს არაერთი საყვარელი ავტორი ჰყავს. ლიტერატურული ჟანრებიდან რომანები და ტრაგედიები იზიდავს. ისეთ ოჯახში გაიზარდა, სადაც წიგნის ფასი კარგად იცოდნენ. ძალიან უყვარს გალაკტიონის, ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის შემოქმედება. თანამედროვე ავტორებიდან რატი ამალაშვილი მოსწონს. იმასაც მიმხვლეს, რომ სკოლაში დიდი ხნის მანძილზე ერთ გოგოზე იყო შეყვარებული. რატის აქვს ლექსი, რომელშიც ერთი სიტყვა გამოტოვებული და შეგიძლია, შენთვის საყვარელი ადამიანის სახელი ჩაწერო... ამბობს, რომ ზეპირად ბევრი ლექსი იცის, ყველაზე ბევრი კი გალაკტიონის.

— ახლა რომელი ლექსი გახსენდება, რომლის ნაკითხვის ხასიათზე ხარ?

— („ახსნა“ და ინყებს) „ღამეს ელვარე დღე შეუცვლია/ თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი/ ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია, / დაიმორჩილოს მთელი ხმელეთი/ რისთვის მიყვარხართ? მე არ მაქვს ნება/ მაგნაირ გულით და სინაზეთი.../ არის ამქვეყნად დაგვიანება/ მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?/ არის ამქვეყნად ვერსვი და სვია/ არის ამქვეყნად სიკვდილი ქალით/ ამ რევოლვერშიც არის რვა ტყვია/ ერთს გაიმეტებთ: მე გთხოვთ, მომკალით!“

— რაკი ლექსს ასე უშეცდომოდ ჰყვები, როგორც ჩანს, კარგი მესსიერება გაქვს...

— არა, კარგი მესსიერება ნამდვილად არ მაქვს. უბრალოდ, რაც ძალიან მომეწონება, თავისთავად მამახსოვრდება. სკოლაში მყავდა მშობლიური ენის და ლიტერატურის არაჩვეულებრივი პედაგოგი — ლალი ნასყიდაშვილი, მან არა მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა, ძალიან ბევრი რამ მასწავლა. ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ.

— ლონდონში რომელიმე წიგნის წაღებას ხომ არ აპირებ?

— ჩემი დაც ლონდონში სწავლობს. პროფესიით ფილოლოგია, გალაკტიონთან მან „დამაახლოვა“. მთხოვა, რომ ოთარ ჭილაძის წიგნები წაეწა, ამ ავტორზე გიჟდებო. თხოვნას აუცილებლად შევუსრულე...

— დროა, კითხვარზე გადავიდეთ.

— სიმართლე გითხრა, ცოტათი ვღელავ.

— რომელი უცხოური სიტყვა წარმოიშვა ფრანგული სიტყვისგან „არგო“, რომელიც მოპარულ ენას ნიშნავს?

— ვაიმე! აბა, კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ), ჟარგონი, სწორად ვამბობ?

— დაბს. ცნობილია ავტომობილელმა შუმასერმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი ლოზუნგის პროპაგანდაში: „10 წამი, რომელმაც შეიძლება, გადაარჩინოს თქვენი სიცოცხლე“. რაში უნდა დაინარჯოს ეს 10 წამი?

— ღვედის შეკვრაში.

— რის უწოდებენ ფშავში ახალდაქონინებულებს?

— არ ვიცი.

— ახალყოილი. სად ზეიმობენ ათენგენობას?

— ხევსურეთში.

— და ფშავში. მსატრობაში ერკვევი?

— კარგის და ცუდის გარჩევა შემიძლია.

პაპაშვილის აგაიარ

ნოდინო:

— ლონდონში არის ვოკალის შემსწავლელი ინსტიტუტი, სადაც 2 წლის წინ წერილი მივწერე, რომ იქ სწავლის სურვილი მქონდა და იქიდან მიწვევაც მივიღე. ბუნებრივია, პირობებსაც გავეცანი. მოგხსენება, ლონდონში სწავლა და ცხოვრება ძვირი სიამოვნებაა; ამიტომ ფინანსური პრობლემის გამო, 2 წლის განმავლობაში, იქ გამგზავრება ვერ მოვახერხე. ახლა კი ყველაფერი გვერდით გადავდე და საკუთარ თავს „საჩუქარი“ გავუყუეთ. ჩავალ თუ არა, ენის შემსწავლელ კურსებზეც შევალ... ვოკალის კურსის დამთავრების შემდეგ ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზში უნდა ვიმღერო, ბენდი დამიკრავს და... ბედნიერი ვარ.

— ვინ იქნებიან შენი პედაგოგები, იცი?

— იმ ინსტიტუტში მასტერ-კლასებს ყოველთვის ვარსკვლავები ატარებენ. წელს ვინ ჩაატარებს, ჯერ-ჯერობით არ ვიცი. სავარაუდოდ, ცნობილი ჯაზმენები იქნებიან.

— სპონსორი იპოვე თუ საკუთარ თავს თავად აფინანსებ?

— ყველაფერი თავად მოვაგვარე, რადგანაც ჩემი პროფესიული ზრდისთვის ეს აუცილებელია. ასეთი შემთხვევები ახალგაზრდა კაცმა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

— წარმატებას გისურვებ და აქვე გკითხავ, თბილისში დაბრუნების შემდეგ რა გეგმები გაქვს?

— დაგეგმილია ჩემი ახალი ალბომის გამოშვება, რომელშიც 12 სიმღერაა შესული. შემოდგომაზე მექნება კლიპის პრემიერაც, რომელიც „სანო სტუდიაში“ ჩავწერე. სიმღერაზე, რომელსაც ჰქვია — „ყველაფერი კარგად არის“, კლიპი ზურაბ მენტეშაშვილმა გადაიღო. ცოტა არასტანდარტული გამოვიდა, გემოვნებით გაკეთებული ანიმაციაა.



— ეს მხატვარი 1452 წლის 15 აპრილს ფლორენციასთან ახლოს, დაბა ვინჩიში დაიბადა. მარცხენა ხელით წერდა და ხატავდა. მან თავის ეპოქას გაუსწრო, ის იყო მხატვარი, მეცნიერი, მექანიკოსი, სურათმოდელი, გამოგონებელი, მწერალი... დაასახელებე ვისზეა ლაპარაკი?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.
— მისი დაბადების ადგილი არაფერზე მიგანიშნებს?

— ლეონარდო და ვინჩიზე ამბობ?
— რა თქმა უნდა. რა პროფესიის იყო შერლოკ ჰოლმის თანამემწე უოტსონი?

— არ მახსოვს.
— ექიმი. სად დაინერეს ჯვარი ილია ქაჭკაჭაძემ და ოლლა გურამიშვილმა?

— თუ სწორად მახსოვს, თბილისში, სამების ტაძარში.
— დიას. დიდი ბრიტანეთის გარდა რომელ ქვეყანაში იყო პერი უმალესი არისტოკრატიის წარმომადგენელთა წოდება?

— არ ვიცი.
— საფრანგეთში. დაასახელებ ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, რომლის ნაშრომი შეიცავს უხვ ცნობას ძველი იბერიის შესახებ.

— სტრაბონი.
— ისტორიას კარგად სწავლობდი?

— სკოლა 5-ებზე დავამთავრე. ისტორია ჩემი საყვარელი საგანი იყო. შესაბამისად, კარგადაც ვსწავლობდი.
— ჰოდა, ეს კიდევ ერთი კითხვით გადავამოწმოთ. რომელი მეფე იყო დემეტრე II თავდადებულის მამა?

— დავით ულუ. საქართველოში ორმეფობის პერიოდზე შემიძლია, ბევრი რამ გიამბო. იმასაც გეტყვი, დავით ულუ ლაშა-გიორგის შვილი იყო. ულუ იმიტომ უწოდეს, რომ მეორე დავითზე (რუსუდანის ძეზე) უფროსი იყო.

— ქრისტიანული მსოფლმხედველობით მაცხოვრის მიერ 7 საიდუმლოებაა დაწესებული...
— ნათლისღება, მირონცხება, მღვდლობა, სინანული, ზიარება, ზეთის კურთხევა, ქორწინება.

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?
— არც არაფერი. ეს ის თემაა, რომელზეც ყველაზე უინტერესო მოსაუბრე ვარ. შეყვარებული არ მყავს. ისე, მსუბუქი ფლირტი, გატაცება, მოწონება, რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაშიც არის.

— „სიბერის საკვები სიბრძნეა. იმოქმედე სიჭაბუკეში ისე, რომ სიბერე შიმშილით არ გაგიმწარდეს“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— არ ვიცი.
— ეს მხატვარი უკვე ვახსენეთ.
— ლეონარდო და ვინჩი.

— ბიბლიის მიხედვით, რომელ ქალაქში გაატარა ბავშვობა იესო ქრისტემ?

— ნაზარეთში.
— დაასახელებ შუა საუკუნეებში გავრცელებული წიგნი მაგის შესახებ, რომლის ავტორი იყო ისრაელთა ბრძენი მეფე სოლომონი?

— არ ვიცი.
— „სოლომონის გასაღები“. სად და რომელ წელს შეიქმნა ინტერპოლი?

— ვიცი, რომ ვენაში შეიქმნა, მაგრამ არ ვიცი, ეს რომელ წელს მოხდა.
— 1923 წელს. რომელ ქვეყანაშია მდინარე პო?

— მგონი, იტალიაში. არა?
— დიას. ხალხური სიმღერის რომელ ჟანრს განეკუთვნება „ალილო“ — სანესოს, სუფრულს, საფერხულს თუ საგმიროს?

— სანესოს.
— დაალაგე მამაკაცთა სასიმღერო სმები მალდიდან დაბლისკენ — ბარიტონი, ბანი, ტენორი.

— ტენორი, ბარიტონი, ბანი.
— რომელი ქვეყნიდან არიან წარმოშობით ბოშები?
— ვერ გიპასუხებ.

— ინდოეთიდან. რა არის რიფი?
— წყალქვეშა კლდე. ვიცი, რომ ავსტრალიის აღმოსავლეთ მხარეს წყალქვეშ ბევრი რიფია და საშიში ადგილია.

— რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განაწყო ენა ქართული და შექმნა მნიგნობრობა ქართული“.
— ფარნავაზზე.

— რა ერქვა გულივერს?
— არ მახსოვს.
— ლეუმელი. რომელი ჯირკვლის ამოკვეთა ხდება გლანდების ოპერაციის დროს?

— გლანდების (იცინის) სამედიცინო ენაზე არ ვიცი, რა ჰქვია.
— ნუშისებრი ჯირკვალი. რა ეწოდებოდა ძველბერძნულ თეატრში მუსიკოსებისათვის განკუთვნილ ადგილს?
— არ ვიცი.

— ორკესტრი.
— მართლა? პირველად მესმის.
— როგორი ორკესტრი არ არსებობს — სიმფონიური, სასულე, საორლანე, ხალხურ საკრავთა თუ საესტრადო?

— საორლანო.
— რომელი მთების სახელწოდების მიხედვით ეწოდა მთამსვლელობას ალპინიზმი?
— ალპების, ძნელი მისახვედრი არ არის.

— მთამსვლელობა თავადაც ხომ არ გიტაცებს?
— არა. მე „შემოქმედებითი მწვერვალების“ დასაპყრობად ვიბრძვი.

— წარმატებას გისურვებ. შემდეგი კითხვა ასეთია: — ქართული კლასიკური ოპერის თარიღად 1919 წელი მიიჩნევა, რომელი ოპერა დაიდგა ამ წელს?
— „აბესალომ და ეთერი“, არა?

— დიას. რა ეწოდება დედამიწის წყლის გარსს?
— ვერ გიპასუხებ.

— ჰიდროსფერო. რა ეწოდება ადამიანის ხასიათის გარჩევას მისი ხელნაწერის მიხედვით?
— არც ეს ვიცი.

— გრაფოლოგია. რომელ კონტინენტზეა კორდილიერების მთები?
— ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე.

— „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე/ მამულზე ფიქრი, ხანდახან გულში ღიმილით ვიტყვი:/ — რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა/ მამულო ჩემო, გილხინს თუ გიტორს/ — რომელი მეფე ერეკლე მე ვარ?/ ანდა, რომელი მსაჯული მისი/ პასუხად მყისვე, ვითარცა სეტყვა/ ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, —/ იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად — ლალატაო ამგვარი ფიქრი“ ვინ არის ამ ლექსის ავტორი?
— ძალიან მომეწონა, ნაცნობი ხელწერაა. ორ პოეტზე ვფიქრობ, რომ არ შევცდე, იქნებ მინიშნება მითხრა.

— ეს პოეტი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.
— მუხრან მაჭავარიანი.
— ძველპიმალაელ დურგლებში არსებობს ახალგაზრდა ოსტატთა გამოცდის ასეთი წესი: მოსწავლეს ესწავნა ხის ნაჭერს. რა უნდა ქნას მან დაჭერამდე?
— არ ვიცი.

— ხის ჯიში უნდა განსაზღვროს. რომელ ქვეყანაში არ არის მსოფლიოს უმაღლესი პიმალაის მთათა სისტემა — ჩინეთში, ინდოეთში, პაკისტანში თუ ავღანეთში?
— ავღანეთში.

— რამდენი პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო?
— 9.

— დაბოლოს დაასრულე ინგლისური ანდაზა: — „მამა განძია, ძმა საყრდენი, ხოლო მეგობარი...
— მეგობარი — იმედი.

— „ხოლო მეგობარი — ორივე ერთად“.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(ა ი თ ხ ვ ა ბ ი)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

**„პასუხების“ სვებისაჩნ
არ გაგაჩნდეთ თვალი**

1. ეს რკინიგზა თბილისში 1940 წლის 18 მაისს გაიხსნა. დაასახელოთ იგი.
2. რის გამო გაცდა ზაფხულის სამი ოლიმპიადა?
3. რა სპორტის მისდევდა ახალგაზრდობაში ჯემალ ბალაშვილი?
4. რა არის „კავასაკი“?
5. დაასახელოთ შუშის მბერველის ოჯახში დაბადებული თანამედროვე ლატვიელი კომპოზიტორი.
6. დაასახელოთ ალკოპოლური სასმელი, რომელიც იმდენად პოპულარულია იაპონიაში, რომ მისგან ნაყინსაც კი ამზადებენ.
7. რა ერქვა ბერძნულ მითოლოგიაში მესხიერების ქალღმერთს?
8. უნივერსიტეტის რომელ ფაკულტეტზე სწავლობდა გურამ რჩულიშვილი?
9. 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანში გამართულ შეხვედრაზე სტალინმა ჩერჩილსა და რუზველტს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ ბერლინის შუაგულში 50 ათას ნაციისტ ოფიცერს მოეყაროთ თავი და სახალხო დავსვრიტოთ. ამ წინადადებას ჩერჩილი აღაშფოთა და სასტიკი პროტესტი გამოთქვა. რუზველტი ხუმრობით შეეცადა სიტუაციის განმუხტვას. რა თქვა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა?
10. რა მცენარეა გამოსახული ბრაზილიის გერბზე?
11. დაასახელოთ ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტ ალმასს მოიპოვებენ მსოფლიოში.
12. დაასახელოთ ქართველი მომღერალი მამაკაცი, რომელიც განათლებით ოკეანოლოგია.
13. რომელ ქვეყანაში გამოიგონეს პანამის ქუდი?

ანექლოცენი



* * *

მაგიდაზე აწყვია ფლომასტერი და ფანქარი.

ფლომასტერი:

— ნახე, რა მაგარი ვარ, ფერადი, მოდური, პლასტმასის...

— სამაგიეროდ, სათლელის გემოს შენს ცხოვრებაში ვერ გაიგებ!

* * *

— შვილო, სკლეროზი მაქვს და ბელინსკის ქუჩას ვერ ვაგნებ, ხომ ვერ მიმასწავლი, ბებია?

— როგორ არა, ბებო, ამ შენობას რომ გაცდები, მარჯვნივ შეუხვიე და ბელინსკის ქუჩაზე მოხვდები.

— ღმერთი გაგახარებს... ბარემ ნომერიც მითხარი...

* * *

— ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შემოგნირე! — ეჩხუბება ცოლი ქმარს.

— ღმერთო ჩემო! ესე იგი, ამაზე უარესი წლებიც მელის?!

* * *

— ქალიშვილო, მე ვიცი, რომ თქვენ დიდი ხანია, თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდებით...

— დიას...

— და აი, მეც აქა ვარ!

— რა მაგარიაააააა! და პრინცი სად არის?!

* * *

პირველი გაკვეთილი. მასწავლებელი:

— მოდი, ბავშვებო, გავიცნოთ ერთმანეთი. აბა, მოჰყევით, ვინ არის თქვენს ოჯახში ყველაზე ხნიერი?...

— ჩვენთან — დედის დედა.

— ჩვენთან — მამის მამა.

— ჩვენთან დედის-დედის-დედის-დედის დედა.

— ეს შეუძლებელია.

— შესაძ-შესაძ-შესაძ-შესაძლებელია.

* * *

ბერძენი და იტალიელი კამათობენ, ვის უკეთესი კულტურა აქვს:

— ჩვენ ოლიმპიადის სამშობლო გვაქვს, — ამბობს ბერძენი.

— ჩვენ კოლიზეუმი გვაქვს, — პასუხობს იტალიელი.

— ჩვენ მსოფლიოს უდიდესი მათემატიკოსები მოვუვლინეთ.

— ჩვენ რომის იმპერია შევქმენით.

— ჩვენ სექსი გამოვიგონეთ! — ამბობს ბერძენი გამარჯვებული სახით.

— მართალია, მაგრამ პირველად ჩვენ მოვსინჯეთ იგი ქალთან.

* * *

მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:

— ბრალდებულო, თქვენ ამ ქალთან გეძინათ?

— რას ლაპარაკობთ, ბატონო, თვალიც ვერ მოვხუჭე.

* * *

დირექტორი სახლში უსაზიზღრეს ხასიათზე ბრუნდება.

ცოლი:

— რამე უსიამოვნება შეგემთხვა?

— კი. თანამშრომელი, რომელზეც ჯავრს ვიყრი ხოლმე, სამსახურში არ მოეთრა.

* * *

— ალო, ბორდელია? — შუალამისას ხუმრობის ხასიათზეა ვილაცა.

— ჰო. დავუძახო დედაშენს?

* * *

მოსამართლე:

— ამისხნით საქმის არსი.



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. საბავშვო რკინიგზა მუშა-
ტაიდის ბაღში.
2. პირველი და მეორე მსოფ-
ლიო ომების გამო.
3. ახალგაზრდობაში იგი საკ-
მაოდ კარგი მოკრივე იყო.
4. ხის მოტორიან-იალქნიანი
თევზსაჭერი გემი კორეასა და
იაპონიაში.
5. რაიმონდ პაულსი.
6. საკე (ბრინჯის არაყი).
7. მნემოსინე.
8. აღმოსავლეთმცოდნეობის
ფაკულტეტზე.
9. „ჯანდაბას, 49 ათასი იყოს!“.
ჩერჩილი გაბრაზდა. ცალკე
ოთახში გავიდა და უკან არ
შემობრუნებულა, სანამ სტალინი-
მა არ მიაკითხა და არ უთხრა,
ვიხუმრეო.
10. თამბაქო.
11. ავსტრალია.
12. დათო გომართელი.
13. ეკვადორში.

* * *

ორი კახელი ქალი ავტობუსში
ზის. ერთი მეორეს ეუბნება:

— ალარ შემოძლია, რაც ჩემი
შვილი ინსტიტუტში მოეწყო, ერთი
ფენი ლაგოდესში მაქვს, მეორე —
თბილისში.

უკან მჯდომი კაცი თავისთვის
ჩაიბურტყუნებს:

— იფ, რა სანახავი იქნები სა-
გარეჯოდან?!



* * *

რაინდი მეფესთან მიდის:

— ჩემი დაპირება შევასრულე,
აგერ დრაკონის თავი. ახლა თქვენ
შეასრულეთ დანაპირები!

— კი ბატონო, აგერ პრინცესას
ხელი.

— ესე იგი, შემართია ამან სა-
ნოლში და სასტიკად შეურაცხყო.

— თავისი ქმედებით?

— რავა გეკადრებათ, ბატონო,
თავისი უმოქმედობით!

* * *

— ექიმმა დღეში ასი გრამის
დალევის უფლება მომცა.

— მერე?

— 2035 წლამდე გეგმა შესრულე-
ბული მაქვს.

* * *

საპარიკმახეროში:

— თქვენს შეგირდთან რომ დამს-
ვით წვერის გასაპარსად, ხელობა
კარგად იცის?!

— არ იდარდოთ, ბლავგი სა-
მართებელი მივეცი.

* * *

— თუ შეიძლება, 48 გრამი შე-
ბოლილი ძეხვი ამიწონეთ.

— ბარემ 50 გრამი იყოს, —
ლიმილით ეუბნება გამყიდველი.

— კარგი! თუ გრიალია, გრია-
ლი იყოს!

* * *

— ბრალდებულო, თუ იცით, რა
გელით ცრუ ჩვენებისათვის? —
ეკითხება მოსამართლე.

— როგორ არა! ავტომობილი
და ფულით სავსე დიპლომატი!

* * *

სტუდენტი ლექტორს ესალმება.

— მე დებილებს არ ვესალმები!
— პასუხობს ლექტორი.

— მე ვესალმები! — იღიმება
სტუდენტი.

* * *

მთვრალმა კაცმა სახლში საყ-
ვარელი მიიყვანა. კარი ცოლმა
გაუღო. ქმარმა ცოლს ხელი გადა-
ხვია და ეჩურჩულა:

— სუუ... თქვი, ვითომ ჩემი ბი-
ძაშვილი ხარ...

* * *

მამაკაცი უცნობ ქალს ეკითხება:
— მილიონ დოლარად ჩემთან
დანვებით?

— რასაკვირველია!

— ერთ დოლარად?

— თქვენ მე ვინ გგონივართ?

— ვინცა ხართ, ეგ უკვე გა-
ვარკვიე, ახლა ფასზე შევთანხმ-
დეთ.

რენიფოსოზი





ჰოროსკოპი

29 ივლისი - 3 აგვისტო

ვეჩერი

პერიოდი სიურპრიზებით იქნება დატვირთული. შესაძლოა, შეილებთან ერთად დასასვენებლად მოგიწიოს გამგზავრება. საყვარელი ადამიანი ოცნებებს აგისრულებთ.

ჯუზი

დაწყებული საქმეები დასვენების დღეებამდე მოაგვარეთ და მთელი დრო საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. ეცადეთ, ყველაფერი თქვენებური გამჭრიახი გონებით გათვალთ.

ტყუპი

ექსპერიმენტებისა და თავგადასავლების დროა. საყვარელი ადამიანი სასიამოვნო სიურპრიზებით გაგანებიერებთ. შუა კვირაში ვალების გასტუმრებასა და კრედიტის დაფარვას მოახერხებთ.

კიჩქობი

ნათესავებთან და მეგობრებთან შეხვედრა კარგ განწყობილებას შეგიქმნით. საგრძნობლად გაგიუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა.

ღოფი

სამსახურში მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას კოლეგების დახმარებით შეძლებთ. ამ პერიოდში ნუ ეცდებით, სტილისა და იმიჯის კარდინალურ ცვლილებას.

ქანდაკი

საოჯახო საქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად მოაგვარეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. კარგი იქნება, თუ მათთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრებით. შეძლებისდაგვარად ივარჯიშეთ.

სახსი

თავისუფალ დროს მელანქოლიამ რომ არ შეგიპყროთ, სამომავლო გეგმები შეადგინეთ. საყვარელ ადამიანს მოთხოვნებით ნუ მოაბეზრებთ თავს.

ფიქრი

საქმეები ცოტა ხნით გადადეთ და მთელი დრო გართობასა და დროს ტარებას დაუთმეთ. ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. ესტუმრეთ მეგობრებს, მოიწვიეთ სახლში.

მეგობარი

დაძაბული სამუშაო დღეების შემდეგ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრეთ და სპორტით დაკავდით. იცოდეთ, მოზღვავეული ენერგიით უამრავ ახალ პროექტს ჩაუყრიეთ საფუძველს.

ოხრი

სიურპრიზებითა და საჩუქრებით დატვირთული პერიოდი გელით. თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

მეგობარი

ფინანსური მოგების შანსი შესაძლოა, მეორედ აღარ მოგვეცეთ, ამიტომ მოგებული თანხა გონივრულად გადაანალიზეთ. საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში ნუ მიუჯდებით.

თავი

იმაზე უკეთესი პერიოდი დაგიდგათ, ვიდრე ოცნებობდით. სამსახურში საუკეთესოდ დასრულებული საქმეებისთვის პრემიას მიიღებთ. დასვენების დღეებს საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარებთ.

ქალი და ყვავილი

თუ ქალის გულის დაპყრობა გადამწყვეტია, ჰკითხეთ, რომელი ყვავილი უყვარს. მცენარის საშუალებით მისი ხასიათის ამოცნობას შეძლებთ:

✦ **ვარდი** — გოგონას საკუთარი სტილი აქვს. ამაყია და ხალხთან ურთიერთობისას დისტანციას იცავს.



გარშემო მყოფები აღფრთოვანებულნი არიან მისი სილამაზით, მაგრამ მისი „ეკლებს“ ეშინიათ, საზოგადოების ყურადღებას ერუდიციითა და ნიჭით იპყრობს. მხოლოდ მისმა ახლობლებმა იციან, რომ გულის სიღრმეში იგი ნაზი და რომანტიკული პიროვნებაა.

✦ **ტიტა** — ერთგული ცხოვრების თანამგზავრი და მეგობარი.

კრიზისულ მდგომარეობაში გადამწყვეტილებას ცივი გონებით იღებს, უყვარს ბუნებაში, ზღვის ნაპირზე სეირნობა, ლაშქრობები. მისი ცხოვრების კრედა — მიიღე სიამოვნება იმისგან, რაც გაქვს.

✦ **მიხაკი** — ძლიერი ქალბატონია. დახმარებაზე უარს არასდროს გეტყვით. დასახული მიზნის განსახორციელებლად შეუძლებელს შეძლებს.

✦ **მზესუმზირა** — ოპტიმისტი, ენერგიული და მხიარული, თავგადასავლების მაძიებელია. სურვილი აქვს, სპორტის სახეობაში მოსინჯოს თავი. თუ გასართობად გადამწყვეტ წასვლას, რჩევა მას ჰკითხეთ, საუკეთესო ადგილს შეგიჩვენებთ.

✦ **ჰერბერი** — საუკეთესო მეგობარი, ოჯახის ბურჯი, მოსიყვარულე დედა და ერთგული ცოლია. შეგიძლიათ, თამამად ენდოთ, — დაგიცავთ და გიპატრონებთ.


✦ **ორქიდეა** — შემოქმედი, ექსტრავაგანტური პიროვნებაა.



გამოფენებისა და საოპერო წარმოდგენების სპირი სტუმარია. მხოლოდ მოცარტსა და ბეთჰოვენს უსმენს. გირჩევთ, კულტურულ ღონისძიებებზე მასთან ერთად იაროთ.

✦ **ია** — რომანტიკული და მეოცნებეა. უყვარს ნიგნის კითხვა და როიალზე დაკვრა. მგრძნობიარე და ფანტაზიორია. მეგობრობაში ერთგულია, მაგრამ უცხო ადამიანებთან დაახლოება და საერთო ენის გამოხატვა უჭირს.



		1. რუსი ჩოგბურთელი ქალი		2. ველი, მინდორი		3. თეორიული მექანიკის დარგი	4. ადამიანის მსგავსი მაიმუნი		5. ცხედარი
			6. მცირე რაოდენობის		7. ქვეყანა აფრიკაში				
									8. ხანა, ეპოქა
			9. ქირურგიული დანა		10. ტვის ავსულო				11. უსინათლოთა შრიფტი
12. მხარე საქართველოში						13. მონეტოკლასიკები		14. ცუდი ამინდი	
15. ავტომობილის მარას ტიპი					16. მოთიბული და გამხმარი ბალახი		17. ვარცხნილობა		
									18. ინგლისური ლუდი
19. პერიოდული სხდომა		20. უკრაინის პარლამენტი			21. პოლონეთის დედაქალაქი		22. ესპანელი ჩოგბურთელი	23. იუპიტერის მკველწოდება	
		24. ქალის პირბადე		25. ბერის გრაფიკული ნიშანი					
		26. 3,141	27. ჩუკურთმა		28. ამერიკული როკ ჯგუფი	29. იაპონური თეატრი			
								30. ... შერაბოვა	31. თვალის მუცა
						32. პლანეტა			
	33. რაიმეში წარმატების საწინდარი								
	34. ვულკანი იტალიაში					35. ღვთისმშობელი			
36. ფეაფშეველას პოემა									
37. უმცროსი მედ. მუშაკი							38. ფაშის ტური ჯგარი		
39. მალახის ღიღი ფანჯარა									



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ბაქია; 2. პრერია; 3. მისისიპი; 4. პლაფონი; 5. კლასერი; 6. სპა; 7. ტაილე-რი; 8. ისარი; 9. აგვისტო; 10. ვეჩე; 11. არაქისი; 12. კიკინი; 13. ლა; 14. პაი; 15. კარე; 16. კუკია; 17. ზეკარი; 18. აული; 19. რიფი; 20. რომა; 21. აქ; 22. კარაქი; 23. ჯეინიფერ; 24. ბაიტი; 25. ირონია; 26. არამ; 27. ბარსელონა; 28. მეიფე; 29. სასმისი; 30. ოსკარი; 31. ჯონ; 32. მკაფიო; 33. ოსლო; 34. წონა; 35. ნასკევი; 36. სევე; 37. ონისე; 38. ასაკი; 39. აზო; 40. ნივევი; 41. ჩადი; 42. ფია.
სურათებზე: 1. კეტრინ ზეტა-ჯონსი; 2. მაიკლ ღუგლასი.



საფიქსიმო კროსვორდები

ს	ა	პ	ლ	ა	ვ	რ	ნ	ა	ლ	მ	ა	ნ	რ	მ	ა	ლ	ა	რ	მ	ო	მ	ნ	ა	ნ	მ

- შვედეთის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოსწნის შემთხვევაში გამოუქუბულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

ჩ. შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ქ.** ვინ არის ბელზებელი; **გ.** სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალი — ევერესტი; **ს.** თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **შ.** ფიროსმანის მიერ დახატული აფრიკის სავანაში მოზინადრე ცხოველი; **შ.** კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი; **რ.** ლითონის ფულის ან მედლის უკანა მხარე; **ნ.** სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ბ.** გემის ნაწილი, რომელზეც მეკობრეებს ახრჩობდნენ; **ლ.** რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **თ.** მოტყუებითა და ხრიკებით რაიმე საქმის გამკეთებელი, ყალბაბანდი; **ბ.** ქვეთვირის სამარე; **ნ.** ნაპოლეონის მარშალი; **ქ.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **რ.** სიყვარულში მოცილე; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ბ.** ბერძნული ანბანის პირველი ასო; **დ.** ფულის ერთეული საბერძნეთში ევროს შემოღებამდე;

ბ. ბამდე; **ა.** განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **რ.** რისამე მარაგი; **მ.** ინგლისელი მწერალი, რომელმაც თავის რომანში „მთვარე და ექვსპენსიანი“ ფრანგი მხატვრის, პოლ გოგენის ცხოვრება აღწერა; **ო.** ენამოსწრებული, ხუმარა; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ნ.** მიწის სათხრელი იარაღი; **მ.** მონღოლთა ურდოს მბრძანებელი; **ქ.** უკიდურესი, ავადმყოფური აღტაცება, თავდავინყვებამდე მისული აღგზნება, აღფრთოვანება; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **თ.** რა ცხოველი იყო ამაღლთა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება?

- წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- **ბ.** გეკი; **ზ.** ზვარი; **ა.** ავრორა; **ბ.** გოგითა; **ზ.** ზესნახე; **ი.** იადონი; **ს.** სვანეთი; **თ.** თემიდა; **ი.** ეუალი; **ი.** იალბუზი; **ს.** სლალომი; **ა.** აკვანი; **ო.** ოფელია; **მ.** მონტეგი; **კ.** კრატერი; **ი.** იხვი; **თ.** თასმა; **ს.** ხიმინჯი; **ვ.** ვიაგრა; **ქ.** ეკლერი; **ლ.** ლიე; **ი.** იდიოტი; **ს.** სეტერი; **თ.** თიყვა; **ვ.** ვივალდი; **ი.** ილიონი; **ს.** სკალპი; **ა.** აზნაური; **ო.** ოლოლო.
- გამოქვეყნულ უფრედებში იკითხება:**
- **კარგს დაბალავენ, ავს ვალე იტყვიანო**

იაპონური სენსაცია სულოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები

2	6	5	9	1	7	8	4	3
9	1	7	3	8	4	5	6	2
4	3	8	6	5	2	7	1	9
6	8	1	7	4	3	9	2	5
3	9	4	5	2	8	6	7	1
5	7	2	1	9	6	4	3	8
7	5	3	8	6	1	2	9	4
8	2	6	4	3	9	1	5	7
1	4	9	2	7	5	3	8	6

9	6	2	3	7	8	5	1	4
5	1	3	4	6	2	7	8	9
4	8	7	5	9	1	2	6	3
6	9	5	8	1	4	3	2	7
2	3	1	7	5	9	6	4	8
7	4	8	2	3	6	1	9	5
8	5	4	6	2	3	9	7	1
3	2	9	1	4	7	8	5	6
1	7	6	9	8	5	4	3	2

8	9	2	5	4	3	7	1	6
5	1	3	7	2	6	9	8	4
6	4	7	8	1	9	5	2	3
4	2	5	3	6	1	8	9	7
9	3	8	2	5	7	4	6	1
7	6	1	4	9	8	2	3	5
1	7	4	9	3	2	6	5	8
2	8	6	1	7	5	3	4	9
3	5	9	6	8	4	1	7	2

* მარტივი

		9		2				3
4		3	1			7	5	
2				7	3	8		
	7				6		4	
	6	5		9		3	8	
	9		5	8			6	
		8	6	3				4
	4	7			8	1		3
	3			4		6		


** საშუალო

			4			6			5
		9			7				1
8				4	3			9	
						8	7		
1					6				2
			3						
	5			4	1				7
2						9		5	
7			5				1		

** * რთული

				2			6		
6					9				8
	5				8			1	
		3	4				7		
	2			9	1			5	
	9			8		1			
	3		5				4		
9			8						3
		7			2				

ფოტოკუჩიონები



პრეგულემები გაქვთ დასვენების დროს?

ფიტი გამოწვეული დამწვრობა, მწარის ნაკბენი, ფიტი ალერგია, კუჭის აშლილება, ტერფის სოკო, შიშველებული ქვილით, წვითა და უსიამოვნო სუნით?

რას გვთავაზობს ჯემისტარული ქოვანია „ნოვარტი“?



ტერფის სოკო გაქვთ?

შეაწუხათ: სუნამა, წვამ, ქვილით

ლამიზილ უნო

სრული განკურნება ტერფის

სოკოსაან მსოფოდე პართი წასით



კუჭ-ნაწლავის პრობლემები გაქვთ?

კუჭის აშლილება, შეკრულება,

მუცლის შეპერილება

ლინექსი იორუნავს თქვენი

კუჭ-ნაწლავის ნორმალურ

ფუნქციონირებაზე



ფიტი გამოწვეული დამწვრობა,

მწარის ნაკბენი, ფიტი ალერგია

ფენისტილი გელი


მოგისნით აღმრგოდ, ათი შორის

მწარის ნაკბენით გამოწვეულ

ქვილს


665/30

პრეპარატის გამოყენების წინ გაცენით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

გ. ტაბიძის ქ. №18;  NOVARTIS
ტელ.: 98 27 30; 98 27 50 ნოვარტიის, შვეიცარია

„მსოფლიო ლატექსივის სერი“


ყოველ ორგანოს! ჟურნალ „კრიტიკთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!



როს აკლონაღლი

კვლას მივყვართ
ერთ რანოში

26 - ივლისიდან 2 აგვისტომდე



მსოფლიო ლატექსივის სერი


საქმე
№7

ჯონ დიქსონ კარი
• იმპერატორის საბურნუთი
• სიკვდილი არარსებულ
ოთახში

ფასი 2 ლარი!

(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1-დან - №6-მდე
(ჯეიმს კედლი ჩეიზი, ართურ კონან დოილი,
სიდნეი შულდონი, აგათა კრისტი,
ჯადსონ ფილიპსი და როს აკლონაღლი)
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში



მსოფლიო ლატექსივის სერი

საქმე
№8

2 აგვისტოდან

ჯო ჰორჯი
მტაცებელთა შავი



რეალობის აყვანილი



ბარისის დიპტაბურა

ყოველთვიური და
სამსოვრებელი ფართობი
33000 -
ფართობი 92 (მასალაობა)
დილაობი -
თავდობი 80000 53 (მთაობა 20100)
სოხობი 4 (მთაობა 20110)
პარკობი -
ხალაობი 22 (მთაობა 20100)

500\$-დან

მრეალობის უარობი მანობა www.elitehouse.ge; e-mail: eh98@mail.ru
მის: თბილისი, ფართობი 92 ტელ: 91-53-77; 29-28-02; 899 34-23-05

31 ივნისიდან 7 აგვისტომდე

ზღაპრების მეოთხე წიგნი,
ფერადი და მგარყდახი
ჟურნალ „საბავშვო
კარუსელთან“
ერთად


“ჩემი საყვარელი ზღაპრების” პირველი წიგნი -
“ნაცარქექია” და სხვა ზღაპრები უკვე შეგიძლიათ
შეიძინოთ წიგნის
მალაზიებში.



წიგნის ფასი
4 ლარი
(ჟურნალთან ერთად
5 ლარი)


საუბათეასო საჩუქარი დიასახლისებს!

320 თანამედროვე კერძი!



ყველაფერი
სამდივალაზე
დასადეი

ფასი: 29.99



წიგნები სახლში მიგანით ფასამატის გარეშე
ტელ: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge